NEW

1970 /2
2013

# ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

№8

დეკემბერი, 2013 წე
ფასი 2 ლა

12
ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები
თემურ ჩხეტიანი & ოიარს ვაციეტისი

## პოეზია
ლია სტურუა
დალილა ბედიანიძე
ბექა ახალაია
მანანა მათიაშვილი

## პროზა
ბექა ქურხული
გივი ჩიღვინაძე

## ახალი თარგმანები
გიორგოს სეფერისი
თომას ვულფი
ზაქარია თამირი

## კრიტიკა
ლელა კოდალაშვილი „წერო 2013"-ზე
თეა თოფურია ეკა ქევანიშვილზე
ეკა ქევანიშვილი მარი ბექაურზე



ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო

ჟურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნომრის ავტორები



### თემურ ჩხეტიანი

**თემურ ჩხეტიანი** – ლექსები 4, 7, 10, 13-15, 20-22
**ეკა ქევანიშვილი** – სხვა თემურ ჩხეტიანი 5
**ზვიად რატიანი** – თემურ ჩხეტიანის სუნთქვა 11
**ნუციკო დეკანოზიშვილი** – კარის სახე-მეტაფორა თემურ ჩხეტიანის პოეზიაში 16
**დავით გურგენიძე** – წარმატებული „ფიგურა“ 19
**ირაკლი ცხვედიანი** – თემურ ჩხეტიანის პოეტური სამყარო 21
ციტატები (ზორენა ჯაჭველიანი, ანდრო ბუაჩიძე) 13-14
**თემურ ჩხეტიანი** – საჭადრაკო ამოცანები 9, 22

### ოიარს ვაციეტისი

*მასალები მოამზადა რაულ ჩილაჩავამ*

**რაულ ჩილაჩავა** – ნიურნბერგის პროცესზე გამარჯვებული 23
**ოიარს ვაციეტისი** – პოეზია სიტყვიერი მუსიკაა... (ინტერვიუდან) 25
**ოიარს ვაციეტისი** – ლექსები 29-34
**ოიარს ვაციეტისი** – პოეტური გარჯის შესახებ 35
მეგობრები ოიარს ვაციეტისის შესახებ 39

### პოეზია



**ლია სტურუა** 43
**დალილა ბედიანიძე** 45
**ბექა ახალაია** 47
**მანანა მათიაშვილი** 50

### პროზა



**ბექა ქურხული** – ყოველთვის როცა 53
**გივი ჩილვინაძე** – შობა-ახალწლის მოთხრობები 60

## კრიტიკა




**ლელა კოდალაშვილი** – წერო 2013 67

**თეა თოფურია** – სახლის გაყიდვა ანუ ჩემი მეგობარი ეკა 74

**ეკა ქევანიშვილი** – „იმიტომ, რომ აპატიე“ (მარი ბექაურის „მეორე მხარის“ გამო) 76


## თარგმანები




**გიორგოს სეფერისი** – ბიოგრაფია; სანობელე სიტყვა; ლექსები (თარგმანი მაია კაკაშვილის და მარიამ წიკლაურის) 79

**ზაქარია თამირი** – პატარა მზე (არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ) 90

**თომას ვულფი** – შინ ველარ დაბრუნდები (რამდენიმე თავი რომანიდან) (ინგლისურიდან თარგმნა მაია გოგოლაძემ) 93



მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

პროექტის ავტორი:
ვაჟა წონკოლაური

რედაქტორი-სტილისტი
მარიამ წიკლაური

დიზაინი:
თეა აკობია

დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე



სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძგვერაძე
დათო ტურაშვილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა შათირიშვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური



ნომერზე მუშაობდნენ:
თემურ ჩხეტიანი
ეკა ქევანიშვილი
ზვიად რატიანი
ნუციკო დეკანოზიშვილი
დავით გურგენიძე
ირაკლი ცხვედიანი
რაულ ჩილაჩავა
ლია სტურუა
დალილა ბედიანიძე
ბექა ახალაია
მანანა მათიაშვილი
ბექა ქურხული
გივი ჩიღვინაძე
ლელა კოდალაშვილი
თეა თოფურია
მაია კაკაშვილი
მარიამ წიკლაური
დარეჯან გარდავაძე
მაია გოგოლაძე



გამომცემლობა – „საუნჯე“
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com; axalisaunje@yahoo.com
Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee
www.saungeo.ge

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 1

## ნომრის ავტორები

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

როგორ ვგავართ ერთმანეთს:
მე,
ჩემი სახლი,
ჩემი სამშობლო –
სამივენი ნანგრევები ვართ.



* * *

ეს სახლი
სამისთვის დიდია,
ხუთისთვის – ნორმალური,
ერთისთვის კი
პატარა და აუტანელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სხვა თემურ ჩხეტიანი

*ეკა ქევანიშვილი*

„ყველაზე მძიმე
მაინც სიცარიელე იყო –
მასში ყველაფერი იგულისხმებოდა"...

და თქვენ აგიწონიათ სიცარიელე? თუ კი, მაშინ მის სიმძიმეს იგრძნობდით. მე მხოლოდ მიცდია, თუმცა ვერასოდეს მოვერიე და გადავწყვიტე, რომ ზედმეტი ექსპერიმენტები აღარ ჩამეტარებინა. მითუმეტეს მაშინ, როცა თემურ ჩხეტიანის ეს მინიმა არსებობს როგორც პასუხი. და როგორც ბაცი ფერებით შესრულებული უზარმაზარი ტილო, რომელიც დიდ, ცარიელ ოთახში უნდა ჩამოიკიდო და უყურო ხოლმე. ჩემთვის, და სუბიექტურად, აქედან იწყება პოეტი თემურ ჩხეტიანი, რომელთანაც ახლა, ალბათ, სავარაუდოდ, ცივი ქარი უბერავს. ცივი, რადგან დეკემბერია და ქარი, რადგან ჩვენი რამდენიმედღიანი საუბრის დროს ის ხშირად გვიშლიდა ხელს.



თავიდან მასთან ჩასვლას ვაპირებდი. გასაგებია, ლექსები და ვირტუალური მეგობრობაც და სხვებიც – თავისი აზრებით, ყველა შეშფოთებელება, მაგრამ რა უნდა დაწერო კაცზე, რომელსაც ვერ ხედავ. ძნელია. ამიტომ რამდენიმე დღე ვიბრძოლეთ... კარგი ბრძოლა იყო, ინფორმაციული ომი. მე კითხვებით ვბომბავდი, ის მიმკლავდებოდა. აი, ოთახი, სადაც ახლა ვარ, ამბობს თემური და ფოტოში ვძვრები – იქ ერთი საწოლი დგას, მის გვერდით მაგიდა, მაგიდაზე მწვანე ელექტროჩაიდანი, ჩაიდნის გვერდით ორი წიგნი, მგონი საფერფლეც... ეს კი მე ვარ, მეუბნება თემური და ავტოპორტრეტს მიგზავნის. მის ზურგს უკან კედელზე ჭადრაკის დაფაა ჩამოკიდებული. აი, სახლის ფოტოც, თავიდან ბოლომდე, საძირკვლამდე ჩავყევი, მალე გავიგებ ცოტა ხნის წინანდელი სტიქიის ამბავსაც და ხანძრის და ქარის და შიშის ამბავსაც, მაგრამ მანამდე ცოტა ხანი იმ სოფელში უნდა ვიარო, რომელსაც ვაჩნაძიანი ჰქვია და რომელიც ჩემგან შორსაა, კახეთში. იქ არის ახლა თემურ ჩხეტიანი და მისი არ ვიცი, მაგრამ ამ დღეების განმავლობაში კლავიატურაზე კაკუნის გარდა, ჟესტების ენის ყველა სიტყვა გამოვიყენე. გარედან რომ ვინმეს დავენახეთ, იქნებ გიჟებიც ვგონებოდით, როგორ ზის ორი ადამიანი – შუაში ასრაღაცა კილომეტრით და ხან თავს გაიქნევს, ხან მხრებს იჩეჩს, ხან ტაშს შემოჰკრავს და ხანაც ღმერთო, რა შეგცოდეს სახით აიხედავს მაღლა, ჭერში. იქ ან ღმერთია, ან მხოლოდ ჭერი, გააჩნია, რა შემთხვევაში და ასე ვაგრძელებთ წერას. კიდევ ხუთი გვერდი და კიდევ სამი კითხვა, კიდევ ხუთი და კიდევ სამი. მეყოფა და არა, რამდენიმე დეტალიც. რაღა დეტალები გინდა, რა და აი.. მმმმმ... ფოსტალიონი თუ დადის ვაჩნაძიანში? ფოსტალიონი რამ გაგახსენაო. არადა, ჰყოლიათ, ვალიკო. პირველ კრებულში ლექსშიც ჰყავს თურმე ნახსენები, 20 წელი გავიდა მას მერე. აღარ ჰყავთ ნამდვილი წერილების და გაზეთების დამტარებელი სოფელში.

მაშ, კარგი... კიდევ რაღაცას ვეკითხები. ყვითელი კითხვაა. ის კიდევ მწერს. აი, ხოლო ხუთი გვერდიც და მეყოფა, მთხოვს. თანახმა ვარ და წერას ვიწყებ. და, მეტი კითხვა აღარ გაქვს? მაინც მეკითხება თემური. ესეც ასე. ვორდის ფაილს, რომელშიც ჩვენი საუბრები გროვდებოდა, „სხვა თემური" დავარქმევინე და ახლა მოყოლას დავიწყებ. სწორედ იმ ადგილიდან, სადაც ახლაა და სადაც მე ჯერ არ ვყოფილვარ.

## ვაჩნაძიანი

„მადლიანია კახეთი და ვაჩნაძიანიც მადლიან მიწაზეა გაშენებული. მეორე მიზეზი: აქ კარგი ხალხია!.. ძირძველ კახელებთან ერთად ვცხოვრობთ ლეჩხუმიდან,

იმერეთიდან და სვანეთიდან ჩამოსახლებულებიც, ვაჩნაძიანის გვერდით პატარა სოფელია: კახიფარი. ანუ კახეთის ფარიო. მესამე მიზეზად ახლა ამას ვიტყვი: ვაჩნაძიანი თამაზ ბიბილურის და სამი თანამედროვე პოეტის მშობლიური სოფელია: ელა (გოჩიაშვილი), ბელა (ჩეკურიშვილი) და მე აქ დავიზარდენით".

ცოტა ხანში ტექსტს ფოტოც მოჰყვება. ეს VI საუკუნის წმ. გიორგის სახელობის ბაზილიკური ეკლესიაა ე. წ. „ამიდასტური" და VIII-IX სს ძეგლი, საყოველთაოდ ცნობილი, ჯვარგუმბათოვანი „ვაჩნაძიანის ყველაწმინდა".

კახელებთან ერთად ამ სოფელში ცხოვრობენ იმერეთიდან, სვანეთიდან და ლეჩხუმიდან ჩამოსახლებულებიც. საქართველოს პატარა მოდელიაო, ამბობს თემურ ჩხეტიანი, ერთმანეთის გამტანი ხალხია, მაგრამ ამ სოფელშიც მომხდარა ცუდი ამბები, შემზარავიც და ამაზრზენიც.

ძველი სკოლა თავად ლევან ჯანდიერის სახლში ყოფილა განთავსებული. ამ შენობიდან მხოლოდ ნანგრევია დარჩენილი. არადა საამაყოდა აქვთ აქაურებს ამ სკოლის ძველი სტუმრების ამბავი – ვინ არ სტუმრობდა თურმე, ილია ჭავჭავაძეო, აკაკი წერეთელიო, ვაჟაცო. ის პატარა ნანილიც ნადგურდება თურმე, გულისტკივილით შენიშნავს თემური.

გვარი – ჩხეტიანი აშკარად არაფერს მეუბნება კახეთსა და კახელობაზე. ასეცაა – პაპამისი პლატონი და მისი ძმა ალექსანდრე გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩამოსახლებულან ლეჩხუმის სოფელ ოყურეშიდან. თემურის მამა, ვარლამი (დამიხასიათე-თქო და ჯერ სხვასთან გადამამისამართა და ბოლოს ალალი, კარგი კაცი იყოო, მოინერა), სოფელში ხე-ტყის სახერხ საამქროში მუშაობდა თურმე. ოჯახს საკარმიდამო ნაკვეთებიც ჰქონდა. „იქ მეც მომიდენია ოფლი – თოხი, სასხლავი თუ სხვა რამ არც ჩემთვისაა უცხო".

თემურ ჩხეტიანის დედა, რუსუდანი სამი შვილის დედა იყო, ჯერ ბავშვებს ზრდიდა, მერე კიდევ, როგორც თემური იხსენებს, საბჭოთა მეურნეობის ვენახებში მუშაობდა:

„ასე, რომ რაიმე ლიტერატურული საფუძველი მე არ მქონია, არც მშობლების ნაქონი წიგნები დამხვედრია. წიგნების შეძენა ჩემთვის დაიწყეს – პირველი შვილი ვიყავი და კითხვაც მიყვარდა".

## თემურის დილა

„ახლა ზამთარია და ჩემი დილა ღუმელთან ტრიალით იწყება:

ნაცრის გამოღება, ღუმელის ანთება, მასზე ჩაიდანის დადგმა... მერე ვიბან პირს და ვსაუზმობ – დილის მადლით!.. მერე ვრთავ ლეპტოპს და ფეისბუქზე მიმოვიხედავ ხოლმე. ახლა კითხვისგან ცოტას ვისვენებ. ვისვენებ, რადგან გაზაფხულიდან აგერ, ზამთრამდე იმდენი ვიკითხე, რომ სათვალის შეცვლა დამჭირდა...

თბილი და მშვიდი დღეები უყვარს თემურ ჩხეტიანს. ზამთარზე კი, ამბობს: „იმაზე უკეთესად, ვიდრე ეს „აღმოსავლეთის ექსპრესის" მე-7 ნანილში დავწერე, ალბათ ვერასოდეს ვიტყვი". დაინტერესებულებმა ეს ლექსი წაიკითხონ. ზარმაცებმა კი მხოლოდ ნაწყვეტი:

„ზამთარი იყო. მე მეორე კურსზე ვიყავი,
ჩემი ძმა კი თორმეტი წლის თუ იქნებოდა.
თოვლი იყო, კიდევაც თოვდა –
მაშინ თოვლს უფრო ლამაზად ვხედავდით.
მე ქალაქში მივდიოდი, ის – მაცილებდა,
ორივენი მის ციგაზე მოვთავსდით და ისე დავეშვით;
გზაში კიდეც ამოვტრიალდით
და ასე, კოტრიალ-კოტრიალში,
სიცილ-სიცილში
ჩავალწიეთ – დროზე მივედით"...

„ყვითელ" კითხვად რისი გეშინია-თქო, რომ ვკითხე, ეგ მომინათლა. არადა მერე რა ამბავიც მოაყოლა, ეგ ცალკე მოთხრობაა. სტიქიის ამბავი, ამბავი თემურ ჩხეტიანის შიშებზე, ელჭექზე, ქარიშხალსა და ცოტა მეზობლებზეც.

## 19 ივლისი, 2012 წელი

წინა თვის შუა რიცხვებში თვალში მომხვდა ჩემი ერთი პატარა ლექსი, რომელიც რამდენიმე წლის წინაა დაწერილი, მაგრამ გამოვაქვეყნე თუ არა, არ მახსოვს და არც ჩავძიებივარ – არა უშავს-მეთქი, გავიფიქრე და ფეისბუქზე ჩემს ჩანაწერებში დავდე. ორი კვირის შემდეგ, ივლისის დასაწყისში ამ ლექსში ნათქვამი თითქოს ხელახლა განმეორდა: ერთბაშად აგრილდა; აგრილდა კი არა, აცივდა და ტანსაცმლის დამატებაც მოგვიხდა შუა ზაფხულში. კავკასიონზე თოვლიც ჩანდა – უფრო ჩრდილოეთის მხარეს იყო მთელი ქედი გადათეთრებული. ამინდები მკვეთრად აირია: მაისისებური ელჭექები და ყოველდღიური წვიმები დროდადრო მარტისებურ ჭინჭყლობაში გადადიოდა – დღეში რამდენჯერმე წვიმდა, იდარებდა, წვიმდა... კახეთის რამდენიმე რაიონში დაისეტყვა და დაიტბორა ვენახები და ხეხილი. ჩვენთანაც წამოსეტყვა, მაგრამ ცოტათი და წლის მოსავალს თითქოს კარგი პირიც უჩანდა – მარწყვი მოილია და ატმობის სეზონი იდგა. 18 ივლისის დღემ მშვიდად ჩაიარა, ცხელოდა, საღამოსკენ გადაგრილდა და თითქოს ცუდიც არაფერი გველოდა. მაგრამ დაღამებულზე ისევ აირია ჰაერი: დაიწყო ელჭექი და მას ძლიერი წვიმაც მოჰყვა. ნვიმაში, მგონი, სეტყვაც გამოურია... ასეთი ამინდები ყოველთვის მაფორიაქებდა და ჩემში დაძაბულობას იწვევდა. ჩემი სახლის სახურავი ვერ იყო საიმედო: ბრტყელი, ე.წ. „რუსული" კრამიტი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქარისა და სეტყვისთვის სულ სამიზნე იყო და უკვე დაზიანებული სახურავიდან სახლში წყალი რამდენიმე ადგილას ჩამოდიოდა. წყნარი წვიმისას არა

უშავდა, მაგრამ ძლიერი წვიმის და, მითუმეტეს, სეტყვის დროს აუცილებელი ხდებოდა ვედროების თუ ტაშტების დადგმა სახლის ამა თუ იმ კუთხეში. ახლაც დავიძაბე: წყალი წინა ოთახში და უკან, გზის მხარეს კუთხეში ისევ ჩამოვიდა. სახლის ამ კუთხეს სამი წლის წინ ელჭექის და მოკლე ჩართვის შედეგად ცეცხლი მოედო. მეზობლების დახმარებით ხანძარი მალე კი ჩავაქრეთ, მაგრამ სახლის ჭერი საკმაოდ დაზიანდა, ჩვენ სახურავის კარგად შეკეთების საშუალება არ გვქონდა და ასე არასაიმედოდ დარჩა... წვიმა მინელდა და ბოლოს შეწყდა. ასე ამის პირველი საათი იქნებოდა, როცა ლეპტოპი გამოვრთე და დასაძინებლად დავწექი... საშინელმა ხმაურმა გამომაღვიძა. თითქოს რაღაც უზარმაზარი რამ მოიგრაგნებოდა და თან მიჰქონდა ყველაფერი. ამ ხმას დაერთო სეტყვის ხმა და ჭერშიც ატყდა ბრაგაბრუგი. დავიზაფრე... ჩემს ავატარზე რომ ფანჯარაა, იმას ღიას ვტოვებდი ხოლმე. ახლაც ღია იყო და ჰაერის ძლიერმა ტალღამ ფარდა გარეთ ააფრიალა. წამოვხტი, ფარდა ოთახში შემოვაბრუნე და ფანჯარა ჩავკეტე. რომ შემოვბრუნდი, ძლიერმა დარტყმამ გზის მხარეს ფანჯარა შემოლეწა და წყალი შემოასხა. სველზე ფეხი ამიცურდა და იატაკზე დავეცი. არაფერი მტკენია. წამოვდექი და როგორღაც ჩავიცვი. ოთახში წყალი უკვე ჭერიდანაც ჩამოდიოდა. ჩემი საწოლიც სველი იყო და მგონი, მინის ნამსხვრევებიც ეყარა. ოთახიდან გავედი. დიდ ოთახში წყალი უარესად ასხამდა. გარეთ გამავალი კარი შემოლეწილი იყო, მაგრამ გარეთ არ გაისვლებოდა: სეტყვაც გრძელდებოდა და ელვის შუქზე ჩანდა, რომ ქარიშხალი რაღაცებს დააფრიალებდა. კარი დავკეტე, გამოვბრუნდი და ისევ ჩემი ოთახის კართან დავდექი. ის საშინელი ხმა ისევ გრძელდებოდა – ახლა ისე, თითქოს რაღაც დიდი მანქანა იდგა აქვე ყურის ძირში და მთელი ძალით გრიალებდა. ამ ხმას თან ახლდა მინებისა და კრამიტების ლაწალუწის ხმები. ჭერში, ჩემს თავსზემოთ მძიმე ხმაურით ცვიოდა კრამიტები. მთელი სახლი ავისმომასწავებლად ზანზარებდა. პირჯვარი გადავიწერე და წამოვიყვირე:

„ღმერთო, რა ხდება?!..“ ისეთი პირი უჩანდა, რომ ჭერი სულმთლად ჩამოიქცეოდა და თან დამიტანდა... ეს კოშმარი რამდენიმე წუთს გრძელდებოდა. როცა ხმები ცოტათი მინელდა, მეზობლის სახლიდან ქალის ყვირილის ხმა გავიგონე და უკვე სრულად გავიაზრე, რომ ყველას თავს რაღაც საერთო უბედურება ხდებოდა. „ნეტავ თელავში რა ხდება და ჩვენები როგორ არიან?“ – ამის გაფიქრებაც შევძელი...

კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა. წვიმდა გარეთ და მთლიანად სახლშიც წყალი ჩამოდიოდა... გარედან ძახილი მომესმა: „თემო, როგორ ხარ?“ „ცოცხალი ვარ“-მეთქი – გავძახე. ამოვიდა. ბიძაშვილი იყო, ლერი. ელვის შუქზე დავინახეთ და გადავეხვიეთ ერთმანეთს. „ყველას თავს ეს ამბავია, სახლებს სახურავები აღარ აქვსო.“ სტიქია რამდენადმე მიწყნარებული იყო. დაბლა ჩავედით. ლერიმ მთხოვა, ჩემთან წამოდიო (მისი სახლი შედარებით უსაფრთხო იყო), მაგრამ მე დარჩენა ვარჩიე. მაშინ დაბლა იყავი, მაღლა უფრო საშიშიაო – მითხრა და ახლა სხვების დასახედად გაიქცა. მე შიგ შევედი, მშრალი სიგარეტი მოვიძიე და ძლივს მოვუკიდე. ოთახში საწოლზე ჩამოვჯექი. წყალი ნაკლებად, მაგრამ აქაც ჩამოდიოდა. ოთახში ბნელოდა და ამ სიბნელეში ვიგრძენი, როგორ შემომადგა შავი და ყინულივით ცივი წყალი მხოლოდ შლოპანცებიან შიშველ ფეხებზე. უცებ ვერ და, მალე კი მივხვდი, რომ ეს წყალი კარიდან შემოდიოდა და თანდათან მატულობდა. რას ვიზამდი? – გამოვტოპე, გარეთ გამოვედი და კიბის საფეხურზე დავდექი. გარეთ უკვე ნათდებოდა და დავინახე გზაზე დაძრული ნიაღვარი როგორ შემოდიოდა ჭიშკრის ქვემოდან ეზოში და ეზოდან სახლში – სეტყვა და ფოთლებგარეული წყალი. სეტყვა აღარ, მაგრამ წვიმა მაინც მოდიოდა. ერთიანად გალუმპული ვიყავი და სიცივისგან ამაკანკალა. ისევ მაღლა ავბრუნდი, დიდ ოთახში შევედი, კარი მივხურე და იქვე გავჩერდი – მთელ სახლში წვიმდა, მაგრამ აქ ნაკლებად ციოდა. ამ დროს ცამ ერთხელ კიდევ ამოიხვნეშა და უკვე კოკისპირული დასცხო – ცა ფეხად ჩამოდიოდა... მაინც თენდებოდა. წვიმა, როგორც იქნა, შეწყდა და აივანზე გავედი... უკვე დღის შუქი იდგა და... ყველაფერი ისე ჩანდა, როგორც ხელისგულზე; ჩანდა, რადგან ხეები და ფოთლები მზერას აღარ მიზღუდავდნენ: ხეები ზოგი კი ისევ იდგა, ფოთლები კი აღარსად ჩანდა!.. თან ციოდა – გეგონება, ნოემბრის ბოლოაო და

### ყანა, ვენახი, ძროხა...

ყანა, ვენახი, ძროხა...
და კიდევ – ყავისა და თამბაქოს პლანტაციები
სადღაც, ამაზონის თუ ვირჯინიის მიდამოებში.

და უამრავი ხელი – ხელები,
ანუ ერთადერთი დიდი ხელის ნებით და სურვილით.
და ეს ყველაფერი ჩემთვის,
ჩემი დილის საუზმისათვის.

ჩემთვის – ერთი უბადრუკი არსებისათვის,
რომელიც ჭამს პურსა და ყველს;
რომელიც სვამს არაყს და ყავას;
რომელიც ეწევა თუთუნს;
რომელიც დგას საკუთარი სახლის აივანზე,
შეჰყურებს იანვრის მზეს და ფიქრობს:
„ესაა ცხოვრება?..

ფიქრობს და ასეთივე უკმაყოფილო სახით დაეხეტება
ამაზონის თუ ვირჯინიის მიდამოებში.

არა მუა ზაფხული. ვიდექი და ვუყურებდი... იავარქმნილი სოფელი: სახურავმოგლეჯილი და „თვალებამოღამებული" სახლები; დანგრეული სათონეები; ძირფესვიანად მოთხრილი, გადალეწილი და გადაქცეული ხეები და არსად ფოთოლი... მიწაზე კი სეტყვის გროვები, ხის ტოტები და მწვანე ნაკუწები – ფოთლებისა თუ ბალახისა; თუნუქის დაჭეჭყილი ფურცლები, კრამიტის, შიფერის და მინის ნამსხვრევები... და ეს ყველაფერი ერთმანეთში არეული და ალუფხული. გადარჩენილი ხეების ტოტები და ვაზის ლერწი კი თეთრად ჩანდა – რაღაც ძალას მათთვის კანიც გაერიდებინა... ერთიანად სველი ვიყავი. როგორც იქნა შემოვბრუნდი და სახლს ავხედე. სახლი თითქოს ჩამომტიროდა. მეც მეტირებოდა, მაგრამ ვერ ვიტირე. ვიდრე კიბეს დავუყვებოდი, ერთი ფრაზა გამახსენდა და ვალიარებ, მწარედ გამეღიმა. ის სიტყვები სწორედ დანოლის წინ ამოვიკითხე ფეისბუქზე (გიორგი ლობჟანიძემ დაასტატუსა). არ ვიცი ვისი ნათქვამია, მაგრამ ვიცი, რომ ეს სიტყვები არ დამავიწყდება: „იმედს ნუ დაკარგავ, ეს დღე შენი დარჩენილი ცხოვრების პირველი დღეა!.."

P. S. ამ დღიდან ორი კვირის მერე ეზოში, ალუჩის გადარჩენილ ტოტებზე თეთრი ყვავილები შევნიშნე და ახლო მივედი. ჰო, ასე იყო – ალუჩა ჰყვაოდა!.. და ეს ჩემთვის უკვე „აგვისტოს ნათელი" იყო.

## სურამი, ტაბუ

ამ თემაზე საუბარს ყოველთვის გაურბოდა. თითქოს რაღაც დანაშაული ჩაედინოს. დანაშაული, რომლის აღიარება სირცხვილია. მაგრამ ამასწინათ ერთ-ერთ საუბარში ბავშვობაზე რომ ლაპარაკობდა, თავისი ავადმყოფობაც ახსენა. „ამ აღიარებით არც ქვეყანა დაქცეულა, არც მე დამკლებია რამე და არც ვინმე დამდგომია ხელბორკილებით, დამნაშავე ხარო", ამბობს თემურ ჩხეტიანი:

„ნათქვამია: „ქირმა თავი არ დამალაო", მაგრამ ესეც ხომ ვიცით:

„უწოდე სნეულებას სნეულება და გაგეცლება სნეულება". (ლაო ძი). რუბენ გალიეგომ სულაც თავის „სხვანაირ" ცხოვრებაზე დაწერა თავისი წიგნი-ბესტსელერი „თეთრით შავზე".

ცერებრალური დამბლის გამო ფეხი მხოლოდ **5** წლისამ აიდგა. სიარული მერეც უჭირდა. მეტყველებაც, მაგრამ „ემოციები და აზროვნება ჩვეულებრივი ადამიანისა დამყვაო".

6 წლიდან 13 წლამდე სურამის ბავშვთა სანატორიუმში იზრდებოდა.

სწავლაც იქ დაიწყო, თუმცა წერა-კითხვა მანამდეც იცოდა. პირველმა მასწავლებელმა ლილი ბექაიამ, თურმე პირველი კლასის მოწმობა სულ ფრიადებით აუვსო. დღემდე ახსოვს. გასული საუკუნის 60-იანი წლები იყო. თემური 1955 წლის 5 ივლისსაა დაბადებული.

„ცხადია, იდეოლოგია და რუტინა იქაც იგრძნობოდა (დიდი დარბაზის კედლებზე დაკიდებული პორტრეტებიდან კომუნიზმის ბელადები ჩვენც დაგვყურებდნენ). ადვილი არ იყო, ოჯახს და მშობლებს მოშორებული ბავშვისთვის იქ ყოფნა და იქაური რეჟიმი, თუმცა იყო ნათელი წერტილებიც. მაგალითად, ლოგოპედი და რუსულის მასწავლებელი ვალერი (გვარი არ მახსოვს) დაგვსხამდა ხოლმე და პუშკინის დიდ, შავყდიან ილუსტრირებულ გამოცემას გვათვალიერებინებდა და მის ცხოვრებაზე გვიყვებოდა. ტელევიზორი იქ არ იყო, მაგრამ თვეში ერთხელ კინო გვქონდა და კინომექნიკოს ასლანის გამოჩენას ჟრიამულით ვხვდებოდით...

წიგნის კითხვა იმთავითვე მიყვარდა. მშობლები ყიდულობდნენ და მიტოვებდნენ ხოლმე ახალ წიგნებს. „დიდოსტატის მარჯვენა" ასე, 11 წლისამ წავიკითხე, „ალისფერი იალქნები" კი წაუკითხავი დამრჩა – მომპარეს!..

იმდროინდელი სახელმწიფო ასე თუ ისე ზრუნავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე. მოდი, ნუ განვსჯით რამდენად გულწრფელი თუ საკმარისი იყო ეს ზრუნვა. მერე და მერე მე, რასაკვირველია, მიფიქრია იმ ბავშვებზე, ჩემს იქაურ მეგობრებზე. ერთი-ორმა, ვიცი, ოჯახიც შექმნა და როგორღაც ცხოვრებაც მოიწყო, მაგრამ სხვები?..

ამას იმიტომაც ვამბობ, რომ ჩვენთან ბავშვებს, ასე თუ ისე, ექცეოდათ ყურადღება და სახელმწიფო თითქოს ზრუნავდა მათზე, მაგრამ მერე?

ზრდასრულ ადამიანებზე, მგონი, აღარავინ ფიქრობდა. არავინ ინტერესდებოდა, რა უნდა ექნათ მათ და რითი ეარსებათ.

პირადად მე გარკვეულ დრომდე მიმართლებდა იმ მხრივ, რომ კეთილი ადამიანები მედგნენ გვერდით, სკოლის მერხის მეგობრიდან და მეზობლებიდან დაწყებული თანაკურსელების ჩათვლით, მაგრამ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რაიონში მუშაობა, ადამიანებთან ურთიერთობა და საერთოდ, ცხოვრება გამიჭირდა. ვერ ვიგუე, თუ ვერ მიგუეს, არ ვიცი... მალე შევეშვი და, როგორც ახლა ვხედავ, ცუდად არ დამჯდომია.

აქვე ვიტყვი, რომ მიეცით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს საშუალება იმისა, რომ იპოვონ თავისი ადგილი და ისინი ისე კარგად გააკეთებენ თავიანთ საქმეს, რომ თქვენ ვეღარც შეამჩნევთ მათ „განსხვავებულობას".

## ქიში და შამათი

საჭადრაკო დაფა რომ ვახსენე დასაწყისში, კედელზე ჩამოკიდებული, თემურის ავტოპორტრეტის უკან რომ მოჩანდა, სანახევროდ, ეგ შემთხვევითი ამბავი არ იყო. ჭადრაკი იყო პირველი. და შემდეგ პოეზია. თამაში მისთვის არავის უსწავლებია, ვუყურებდი და ისე ავითვისეო, მეუბნება. შემდეგ ჭადრაკზე ჟურნალებმა და წიგნებმა გაიტაცა და ასე დაიწყო სიყვარული „ერთი

თემურ ჩხეტიანი

3 პრ. „ბათუმი-2002"



შამათი 5 სვლაში

კარგი რამისა გონების სავარჯიშოდ და ხასიათის ჩამოსაყალიბებლად":

„მართალია ჭადრაკის ნიჭი არ აღმომაჩნდა, მაგრამ მისადმი სიყვარული და ინტერესი დღემდე მომყვება. გარკვეულწილად ჭადრაკს ვუმადლი იმას, რომ ცალკეული ლექსის აგება, თუ წიგნებში მათი განლაგება, ასე თუ ისე, მეხერხება. თვითონ მე კი რა უნდა შემემატებინა ამ მშვენიერი თამაშისათვის?! ჩემი შედგენილი საჭადრაკო კომპოზიციები მაინცდამაინც მაღალი დონისა არ არის. ჭადრაკის თემაზე დაწერილი რამდენიმე ლექსის შესახებ კი ალბათ შეიძლება ლაპარაკი".

პოეზიით, როგორც ამბობს, გვიან – სკოლის დამთავრების და სტუდენტობის წლებში დაინტერესდა. ფილოლოგიით დაინტერესებული დიდად არც მაშინ იყო და რა დასამალია, არც ახლა გიჟდება მასზე. მარტივი სქემა იყო – სადმე უნდა ჩაებარებინა. ფილოლოგიურზე კი შედარებით დაბალი კონკურსი იყო. ლექსის დაწერის ერთი-ორი მცდელობაც ჰქონდა. არ გამოუვიდა და თითქოს შეეშვა. იოლად, როგორც თავად ამბობს. კიდევ რამდენიმე წელი გავა, სანამ „რაღაცის თუ ვიღაცის" გამო გულნატკენ თემურ ჩხეტიანს ისევ არ შემოეწერება ერთი ლექსი, მერე მეორე და ასე დაიძვრება თავიდან.

* * *

– ვერც მშვენიერი პეიზაჟი და ვერც თავზარდამცემი ამბავი ლექსს ვერ გამოიწვევს, თუ ლექსის მუხტი მანამდე არაა შენში. მაგრამ, თუ შენ ლექსისწინა ფორიაქის და წრიალის დრო გიდგას და თუ რაღაც უკვე გილევის შიგნით, სულ უბრალო რამემაც შეიძლება „აგაფეთქოს" და ხელში კალამი აგაღებინოს. ამ „ფორიაქის და წრიალის" გამომწვევი მიზეზები კი ვრცელი თემაა და მათზე საუბარი შორს წაგვიყვანს.

– რას ამბობ, ყველაზე საინტერესოზე გინდა გაჩერდე?

– მე მაინც სიყვარულიდან მოვდივარ. იმ გულისტკენებიდან...

იცი, რამდენჯერ? ბევრჯერ! მაგრამ გული ცეცხლგამძლე მაქვს.

ერთხელ ზვიადს ვუთხარი, რატიანს, რატომ ვიგონებ ამ სიყვარულებს და რატომ ვიტანჯავ თავს-მეთქი?

და მევე ვუპასუხე: ლექსებისთვის, ძამიკო, ლექსებისთვის!

სიყვარულს ვეძებდი და ლექსებს ვპოულობდი. ასე იყო.

– ალბათ ერთხელ მაინც გიკითხავს საკუთარი თავისთვის, რისთვის წერ?

– გადარჩენისთვის. რაღაცნაირად სხვათა გამხნევებისთვის.

* * *

მაშინ, ალბათ, **26** წლისა იქნებოდა: „იმ დროისთვის უკვე საკმაოდ კარგად ვიცნობდი თანამედროვე პოეზიას, ავისა და კარგის გარჩევასაც, ასე თუ ისე, ვახერხებდი და იმასაც ვხვდებოდი, რომ უნდა მეწერა ისე, როგორც შემეძლო და როგორც მეწერებოდა". გამოხატვის ფორმად რომ პოეზია არჩია და არა პროზა, ამას თემურ ჩხეტიანი თავისი იმპულსური ხასიათით ხსნის.

წერის რიტუალი კი ასეთია:

მარტო და სიჩუმეში. კალამს მაშინ იღებს ხელში, როცა ლექსი თითქმის დასრულებულია: „ერთი ჩვევა მეც მაქვს: კალამს დიდ ყურადღებას არ ვაქცევ და უბრალო პასტითაც კარგად მეწერება, მაგრამ ქაღალდი? გაგეცინება: ე. წ. „საკანცელარიო წიგნის" ცალხაზიანი ფურცლები!.. რატომ? ალბათ, იმიტომ რომ, დასახევადაც ადვილი გასამეტებელია".

ასეთი ახირებული ხალხია ეს პოეტები.

ამ ბოლო დროს ჰაიკუმ გაიტაცა. სამ სტრიქონში ჩატეულმა დიდმა ამბებმა. ქართული რომ არ იყოს ჩემი მშობლიურ ენა, ალბათ, იაპონურად დავწერდიო, ამბობს.

## თემური – თემურ ჩხეტიანზე

„მე ჩუმი პოეტი ვარ – ხმადაბლა ვსაუბრობ. წერისას მთქმელიც მე ვარ და გამგონიც. ასეთ დროს სხვაზე ვერ ვიფიქრებ და არც ვფიქრობ ხოლმე.

მკითხველი ლექსის დასრულების შემდეგღა მახსენდება, რადგან ჩემი დაწერილიც გულისხმობს წამკითხველს. ეს მკითხველი რაღაცნაირად მგავს მე, ანუ მე – გამგონს წერის პროცესიდან. მკითხველს ვგულისხმობ ჩემთან ახლოს – მე ხომ ხმადაბლა ველაპარაკობ და შორს

მყოფ ადამიანს ალბათ გაუჭირდება ჩემი ჩუმად ნათქვამი სიტყვების გაგონება. ჩემსა და მკითხველს შორის დისტანცია დიდი არ უნდა იყოს. სხვა ბევრ რამესთან ერთად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ იგრძნობა ლექსში დრო და სივრცე, რამდენად ვიზუალური და სმენადია ტექსტი. ლექსი უნდა სუნთქავდეს და მოძრაობდეს. ანუ ლექსი ცოცხალი უნდა იყოს".

## მთავარი შემფასებლები

თემურ ჩხეტიანის ლექსების პირველი მკითხველები მისი და-ძმა იყვნენ.

უფრო მათი სახის გამომეტყველებით ვხვდებოდი რა მოსწონდათ და რა არა. მერე ამ შემფასებლებს მეგობრები შეემატნენ. ისეთებიც, ვის აზრსაც მუდამ ითვალისწინებს. ყველაზე „სტაჟიანი" მათ შორის ზვიად რატიანი ყოფილა: „ზვიადის შეფასება ჩემთვის ერთგვარი ვერდიქტია – ის თუ იტყვის, რომ ლექსი კარგია, მე მაშინღა ვმშვიდდები ხოლმე, რადგან მჯერა მისი და უკვე ვიცი, რომ ლექსმა გამიმართლა. ზვიადს არაერთი ლექსი დაუწუნებია ჩემთვის და ამის გამო გული არ დამწყვეტია. ამასთან ერთად მას „გადაურჩენია" კიდეც ჩემი ლექსები. გადაურჩენია იმ თვალსაზრისით, რომ იმ ლექსებს მე ეჭვის თვალით ვუყურებდი და გადაგდებას ვუპირებდი. ახლაც სიხარულით ვიხსენებ ხოლმე ერთ შემთხვევას, როცა რაღაცაზე ძალიან ვორჭოფობდი და მან პირდაპირ მომახალა: „– შენ გიჟი ხომ არა ხარ? იცი, ეს რა არის!.." მქონია შემთხვევა, როცა ჩემი ლექსი სრულიად სხვაგვარად წაუკითხავთ და ისეთი აზრი გამოუთქვამთ, მე რომ არც მიფიქრია. გამკვირვებია, მაგრამ რას ვიზამთ? – ჩვენს საქმეში ხომ „მთესველი სხვაა და მომკელი – სხვა!.." მთავარია „მომკელ-მკითხველი" გულწრფელი იყოს და ჩვენს ნათესს რაიმე წინასწარგანზრახული ქვენა მიზნით არ უყურებდეს".

მეგობარ მკითხველებსა და თემურ ჩხეტიანს შორის ახლა მთავარი დამაკავშირებელი ვირტუალური სივრცეა. სივრცე, სადაც მეც ვაგროვებდი თემურზე ამბებს. მისთვის კი, როგორც სოფლად მცხოვრები ადამიანისთვის, ინტერნეტი და სოციალური ქსელი „ფეისბუქი" თურმე ლამის ახალი ცხოვრებისა და ახალ რეალობაში შესვლის საშუალება აღმოჩნდა.

„ჩემთვის მთავარი ადამიანების გაცნობა და მათთან დაახლოებაა. „კი, დაახლოება" პირობითად, მაგრამ მე მაინც და რეალურადაც მეგულებიან ეს ადამიანები: მანჰეტენზე, ვერონაში თუ ლონდონში. აღარაფერს ვამბობ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში თუ საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებზე. ბევრი, ასე, ვირტუალურ სივრცეში გაცნობილი ადამიანი ლამის რეალურ მეგობრად მიმაჩნია: ურთიერთსიმპათიის, საერთო ინტერესების, რაიმე ტკივილის თუ სიხარულის გამო და ასე განსაჯეთ, ზოგი მათგანისათვის უკვე ლექსიც მაქვს მიძღვნილი. პირადად მე ეს მჭირდება და ამგვარი ურთიერთობანი თუ უბრალო ილუზიაა, რა გაეწყობა?.. არადა, ადამიანები, ვინც ჯერ ვირტუალურ ქსელში გავიცანი და მერე რეალურადაც ვნახე, თითქმის ერთი და იგივენი იყვნენ და მათზე ჩემი აზრის შეცვლის აუცილებლობის წინაშე არ აღმოვჩენილვარ".

* * *

– არის რამე ისეთი, რაც ვერ ან არ გააკეთე შენს ცხოვრებაში?

– გაჯახო ამის პასუხი? თავი არ (ვერ) მოვიკალი!

ამ პასუხის შემდეგ იყო პაუზა.

მაგრამ მერე მიხვდი, რომ ეს კარგიც იყო, რომ სწორედ ასეთი პასუხი გამცა. არ თუ ვერ, ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

P.S:

თემურ ჩხეტიანის პოეტური კრებულების ჩამონათვალს გწერდი, ახალი ამბავი რომ წამოწებნია – ახალი წიგნის გამოსვლის კარგი ამბავი. ჰოდა, სიაც უკვე ასეთია:

„საღამოს ფოსტა", „მერანი", 1987 წ;
„ალიბი ყველასათვის", „მერანი", 1997 წ;
„ბუდე", „მერანი", 2002 წ;
„ფოთლების პასიანსი", „დიოგენე", 2006 წ;
„უადრესატოდ", „დიოგენე", 2010 წ;
„მსუბუქი საუზმე", „საუნჯე", 2013 წ.

* * *

რა საჭიროა ვინმე სხვა? –
მხოლოდ შენშია საშველი.
მით უფრო – ბავშვივითა ხარ
და არავინ გყავს დამშლელი.
გული გაქვს – დაშლი, ააწყობ
და სულ გულს ეთამაშები...
გარეთ მზიანი დღე არის
თბილი და ნაღვლის წამშლელი.
ხურმაზე შემჭკნარ ნაყოფებს
ისევ კენკავენ შაშვები.

# თემურ ჩხეტიანის

# სუნთქვა



**ზვიად რატიანი**

ერთი საათიც არ იქნება გასული, რაც შოთა იათაშვილმა დამირეკა და შემახსენა, ნომრის მზადება დავიწყე და თემურ ჩხეტიანზე რომ წერილს დამპირდი, უკვე ველოდებიო.

ამ წერილს გულისხმობს.

დაახლოებით ერთი კვირის წინ დამითანხმა, იცის, როგორ მაშინებს პროზაული რამეების წერა, მაგრამ დამანამუსა: სხვაზე არც გეტყოდი, ჩხეტიანზე კი ნაღდად უნდა დაწეროო.

არც ტყუის. თემურ ჩხეტიანი, გარდა იმისა, რომ ძალიან კარგი პოეტია, ჩემი უახლოესი მეგობარიცაა. ან პირიქით: გარდა იმისა, რომ ჩემი უახლოესი მეგობარია, ძალიან კარგი პოეტია. სხვა რა გზა იყო, დავთანხმდი.

შოთა-რედაქტორმა იჭვნარევი ინტონაციით დააზუსტა, ორი-სამი დღე ხო გეყოფაო? ორი-სამი დღე ჩვენებურად ერთ კვირას მაინც ნიშნავს, და მეც შევიცხადე, მაგდენი არც დამჭირდება-მეთქი.

გავიდა ეს ერთი კვირა, მეტიც გავიდოდა, მაგრამ პუნქტუ-ალური კაცია შოთა, გამობრძმედილი რედაქტორი, დამირეკა და მოიკითხა თავისი „მასალა".

ვუხსნი, რომ აუცილებლად დავწერ, ოღონდ ჯერ სრულიად დანგრეული ვარ და იარებს ვიმუშებ, თითქმის ერთკვირიანი, მრავალეპიზოდიანი სმის იარებს. ეს რამდენიმედღიანი სმის ციკლი თბილისში დაიწყო (სხვათაშორის, საწყის ეპიზოდებში თვითონ შოთაც აქტიურად მონაწილეობდა), თელავში გაგრძელ-და და ბოლოს სოფელ ვაჩნაძიანში, თემურ ჩხეტიანთან დაგ-ვირგვინდა, საიდანაც გუშინღა დავბრუნდი და ახლა ვკვდები — ვუხსნი შოთას — გადავრჩები და დავწერ, რამდენიმე დღეც უნდა მაცადო. რას ვიფიქრებდი, რომ ერთი საათიც არ იქნე-ბოდა გასული, ამის წერას რომ დავიწყებდი.

ძალა, რომელმაც საწოლიდან წელი ამათრევინა, კომპიუ-ტერთან დამსვა, ზიზღით გამაბოლებინა პირველი ღერი სიგა-რეტი და წერა დამაწყებინა, თემურ ჩხეტიანის ძალაა, მისგან გადმომედო გუშინ.

სულ ასე ხდებოდა. მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის შემდეგ ყოველთვის ვგრძნობდი ამ უცნაურ, თითქმის თავს-მოხვეულ ძალას, რომლითაც ეს კაცი მისდაუნებურად მუხტავს ადამიანებს. მის ერთი შეხედვით სუსტ სხეულში, მფეთქავ ხმა-ში, ერთდროულად დაძაბულ და ლბილ მზერაში, მის არცთუ დალხენილ, უამრავ სიამეს მოკლებულ ცხოვრებაში ჩაბუდებუ-ლია უზარმაზარი ძალა, რომელიც გამხნევებს და გაჯერებს, რომ შეუძლებელი არაფერია, რომ, აი, არსებობს ასეთი ადამი-ანი, ასეთი თემურ ჩხეტიანი, რომელიც მართლა პოეზიით ამაღლდა საკუთარ იღბალზე. ცოტა მაღალფარდოვნად გამომივიდა, არა? ზოგადად —კი, მაგრამ თემურთან მიმართებაში — არა. უკლებლივ ყველა პოეტი, რომელსაც პირადად ვიცნობ და პატივს ვცემ, წერს იმას, რასაც ცხოვრობს, — რაც თავისთავად დიდებულია! — მაგრამ თემურ ჩხეტიანი ერთადერთია, რომე-ლიც — პირიქით — ცხოვრობს თავისივე პოეზიას.

ჩვენ ჩვიდმეტი წლის წინ დავმეგობრდით. ორი-სამი თვის დაოჯახებული ვიყავი, როცა ჩემზე გივი ალხაზიშვილმა იზრუნა და გამომ-ცემლობა „მერანში" რედაქტორად დამაწყებინა მუშაობა. მანვე შემირჩია პირველი საქმე — თემურ ჩხეტიანის ლექსების კრებული. მანამდე თემურის მხოლოდ ერთი, მინიმუმ ათი წლის წინანდელი პუბლიკაცია მქონდა წაკითხული, რომელიც ბუნ-დოვნად მახსოვდა. გივიმ მითხრა, რომ ავტორი კახეთის რომელიღაც სოფელში ცხოვრობდა და თბილისში იშვიათად ახერხებდა ჩამოსვლას. საქაღალდე შინ წავიღე და ჩავუჯექი. ლექსიდან ლექსამდე ვგრძნობდი, რომ რაღაც სრულიად განსხვავებულს ვკითხულობდი, სრულიად სხვა კუთხიდან დანახულ პოეზიას, სადას, გამჭვირ-ვალეს და დამაბნევლობამდე გულწრფელს. ეს ლექსები, „ალიბი ყველასათვის", „ერთი სარკმე-ლი", „თვალები", „დავიწყებული სამოთხე", „სატ-ვირთო ავტომანქანები", რენტგენის ფირფიტებს ჰგავდნენ, ეს იყო ლექსები — შიგნიდან.

რამდენიმე დღის შემდეგ „მერანში" თემურის დამ, ნინომ შემოიარა, რათა წიგნის მოსალოდ-ნელი გამოცემა-არგამოცემის ამბავი გაერკვია. გაიხარა, რომ საქმე დაძრულა და მითხრა, როცა მეტყვი, თემურს თბილისში ჩამოვიყვანო. მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა, თვითონ ჩავსული-ყავი მასთან, ვაჩნაძიანში, და იქ ნაგვემუშავა. შევათანხმე ჩემი სტუმრობის დღე, დავაზუსტე მისამართი და განვაგრძე წიგნის რედაქტირება, თუმცა ბევრიც არაფერი იყო სარედაქტირო.

მოკლედ, 1996 წლის 16 ნოემბერს კითხვა-კითხვით მივადექი თემურის ჭიშკარს. თვალწინ მიდგას, როგორ გადმოდგა თემური მეორე სართულის აივნიდან, წვერმოშვებული და მოცინარი, და როგორ დაეშვა კიბეზე გადასახვევად გაშლილი ხელებით. არ ვიცი, რა წინათგრძნობა თუ ამჩატება იყო ეს, მაგრამ, გადავეხვიეთ თუ არა ერთმანეთს, ვიგრძენი, რომ დავმეგობრდით.

მაშინ ცოცხლები იყვნენ მისი მშობლები, თაფლივით მოხუცები, რუსუდან დეიდა და ძია ვარლამი, იქ იყო მისი და-ძმა, ნინო და ზურა, და ყველანი ისეთი ტკბილები, მგელიც რომ ყოფილიყავი, თავს შინ იგრძნობდი.

ქვემოთ გაჩაღდა სუფრის სამზადისი, მე და თემურმა კი ზემოთ, მის ოთახში ჩავიბუდეთ და საქაღალდე გადავშალეთ. თავიდან თემური საკმაოდ დამყოლ ავტორად მეჩვენა, ჩემს შენიშვნებს უცებ ეთანხმებოდა, ხშირად არც მაცდიდა ახსნას, ღიმილით ამბობა, „მასე იყოსო". ოღონდ ეს – თავიდან. შემდეგ მივადექით რომელიღაც სტრიქონს, რომელიც, ჩემი სმენით, თითქოს ოდნავ აფერხებდა ლექსის რიტმს. თემურს ვუთხარი, ამ ორ სიტყვას რომ ადგილები გავუცვალოთ, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება-მეთქი. ეჭვიც არ შემპარვია, რომ დამთანხმდებოდა, მან კი მოულოდნელად იუარა, არა, ეს სუნთქვააო. აღარ შევკამათებივარ და ყურადღებაც დიდად არ მიმიქცევია მისი სიტყვებისთვის, ჩავთვალე, რომ უბრალოდ სხვადასხვა ინტონაციით აღვიქვამდით ამ კონკრეტულ რიტმს. ასეთი რამ ხშირად ხდება. მალევე ისევ წავაწყდით მსგავს სტრიქონს. ისევ ვუჩვენე იმავე ფურცელზე ფანქრით მიწერილი ჩემეული ვარიანტი, და მან ისევ გამიმეორა ეს სიტყვა: სუნთქვა. მაშინ კი ვიგრძენი, რომ თემური სულ სხვა რაღაცას გულისხმობდა, გაცილებით იდუმალსა და მნიშვნელოვანს, ვიდრე არის რიტმი, საზომი, ერთი-ორი-სამი...

სწორედ ეს სიტყვა, სუნთქვა, რომლის თემურისეულ მნიშვნელობას დღემდე მხოლოდ ინტუიტურად ვხვდები და ახსნას ვერც გავბედავ, იმ დღიდან მისი პოეზიის გასაღებად იქცა ჩემთვის, თითოეული ლექსის კითხვისას მახსენდება და მათ სულ სხვანაირი ყურადღებითა და მოწიწებით მაკითხებს.

როგორც მახსოვს, იმ დღეს კარგად და პატიოსნად ვიმუშავეთ, მიუხედავად თემურის და-ძმის მოწოდებებისა – ჩამოდით, გაცივდა ყველაფერიო, არ ავჩქარებულვართ. იმხანად „არილშიც" ვმუშაობდი და რამდენიმე ლექსი საგაზეთო პუბლიკაციისთვისაც ერთად შევარჩიეთ. და მხოლოდ შემდეგ მივუსხედით სუფრას. უკვე ბინდდებოდა. ლამფა გვენთო, იქვე ღუმელი გიზგიზებდა. მართლა ზღაპრის გმირებს ჰგავდნენ თემური და მისიანები. მოგვიანებით სტუმრები შემოგვემატნენ. იმ დღეს თელავში ლადო მრელაშვილი აღნიშნავდა თავის იუბილეს და „მერანელებიც" იქ ბრძანდებოდნენ. უკანგზობაზე შემოგვიარეს გივი ალხაზიშვილმა, გურამ გვერდწითელმა და მერი ლებანიძემ. არ იყო პატარა ამბავი: არამხოლოდ ახალბედა რედაქტორი, არამედ გამომცემლობის თავკაცობაც, ჭიქით ხელში, საზეიმოდ ადასტურებდა, რომ თემურ ჩხეტიანის წიგნი აუცილებლად და რაც შეიძლება სწრაფად იხილავდა დღის სინათლეს. ეს „დღის სინათლე" გურამ გვერდწითელმა ახსენა და ნათლად დამამახსოვრდა, ალბათ იმიტომ, რომ ოთახში გვარიანად ბნელოდა და ლამფის შუქიც ამდენი მომხვდურ-დამხვდურის ბედნიერი სახის განათებას ველარ აუდიოდა.

თბილისში დაბრუნებისთანავე „არილისთვის" შერჩეული ლექსები შადიმან შამანაძეს მივუტანე. გაიხარა, სად იპოვე ეს კაცი, რამდენი წელია, ვეძებო. ოთხმოციანებში მაგარ ლექსებს აქვეყნებდა და სულ ვფიქრობდი, სად დაიკარგაო. სიხარული თემურის გენახათ, როცა მოგვიანებით შადიმანის სიტყვები გადავეცი. „მეგონა, აღარავის ვეხსომებოდიო".

მართლაც, რაღაცნაირად ხელჩაქნეული ყოფილა მანამდე, თითქმის ათი წლის განმავლობაში აღარაფერი დაებეჭდა, თუმცა წერდა, მუდმივად და ჯიუტად წერდა, მოსვენებას არ აძლევდა ის ძალა, რომლის ხსენებაზეც დღემდე უხერხულად ელიმება.

„დიდ ავიაციაში ვბრუნდებიო", ასე იხუმრა პირველივე წერილში, რომელიც ჩემი სტუმრობის შემდეგ მომწერა. დაბრუნდა კიდეც: მალევე გამოიცა „ალიბი ყველასათვის", ერთ-ერთი საუკეთესო და ნათელი ლირიკული კრებული იმ ჩაბნელებულ ათწლეულში. წიგნს „არილის" პუბლიკაციამ დაასწრო, რომელსაც შემდეგი პუბლიკაციები მოყვა, წიგნს – სხვა წიგნები, და ასე გრძელდება დღემდე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ხუთიოდე წლის წინ „დიოგენეს" მიერ გამოცემული შემაჯამებელი კრებული „ფოთლების პასიანსი", რომელიც მანამდე გამოქვეყნებული ლექსების უმეტესობას მოიცავდა. გამოსაცემად გამზადებული კიდევ ერთი, ახალი კრებული, სულ მალე იხილავს „დღის სინათლეს".

რაც მთავარია, თემურმა მოუხშირა თბილისში სტუმრობებს, ვიკრიბებოდით ხან შინ, ხან „არილის" რედაქციაში, ან ჩვენ ჩავდიოდით ვაჩნაძიანში, და ყველას, ჩვენს საერთო მეგობრებს, რომლებიც ამ თავყრილობებს შესწრებიან, განსაკუთრებული სითბოთი ახსოვთ ის დღეები.

აქვს თემურს ასეთი თვისება – ძალიან ადვილად მოხიბლოს და, ხშირ შემთხვევაში, დაიმეგობროს ადამიანები.

აი, შოთა იათაშვილმაც, რომელიც ახლა ამ წერილს ელოდება და მაჩქარებს, გაცნობისთანავე შეიყვარა მისი მომავალი ჟურნალის მომავალი ნომრის მომავალი „საპატიო ავტორი".

ვულოცავ ამ მართლაც საპატიო პოეტს მისი ნიჭის კიდევ ერთ აღიარებას „ახალი საუნჯის" ფურცლებზე და ბოდიშს ვუხდი რედაქტორს შეპირებული წერილის დაგვიანებისათვის, რისი მიზეზიც, ნაწილობრივ მაინც, თავად ამ წერილის გმირი გახლდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „უნგრული რაფსოდია“



გვიან დავწექი, მაგრამ მაინც არ დამეძინა
და სიბნელეში ვწრიალებდი –
სიბნელეში იწელებოდა დრო.
ვფიქრობდი:
შუქი ავანთო და წიგნი ვიკითხო?
რომ მეზარება?..
ავდგე და დავლიო? –
არა, არ მინდა!..

ასე, სამს იყო გადაცდენილი,
ხელი გავიწოდე და რადიოს გადავწვდი.
ჩავრთე, სიბნელეში გაისმა მუსიკა –
ის დრო იყო, როცა რადიოარხები
კლასიკას ან ჯაზს ატრიალებენ,
...დასრულდა მოცარტის რომელიღაც სიმფონია,
შემდეგ კი ფ. ლისტის „უნგრული რაფსოდია“ დაიწყო.

მუსიკა, რომელიც მეც მიყვარს
და რომელსაც ყოველთვის ხალისით ვუსმენ.
ახლაც გავიბადრე – ვწევარ და ვუსმენ;
ვუსმენ, მაგრამ ვერ ვხვდები, ვინ უკრავს,
ანუ ვინაა შემსრულებელი...
და უცებ გამახსენდა სიმპათიური ტანდემი
მულტფილმების სერიალიდან:
ტომი – როიალთან, ჯერი – როიალში!..
და ასე, სიბნელეში ვუსმენ და ვუყურებ;
ვუყურებ და ისევ ბავშვივით ვიცინი:
ვიცინი ჯერის ცელქობაზე,
და კატა ტომის ვირტუოზულ შესრულებაზე.
ვიცინი ამ არსებების შემხედვარე
და ბოლო კადრებსაც ცხადად წარმოვიდგენ:
დაღლილ-გასავათებული ტომი
და რამპის შუქით განათებულ-გაბრწყინებული,
აპლოდისმენტების თავდაკვრით მიმღები
ეშმაკი თაგუნა – ჯერი მაუსი!..

დასრულდა რაფსოდია.
გამოვრთე რადიო.
ჩამიქრა სიცილი...
სიგარეტს მოვუკიდე
და, ისევ ფიქრს დაბრუნებულმა
თვალი გავუსწორე მდუმარე სიბნელეს:
კატა არ მყავს,
სამზარეულოს და სარდაფის კედლების ძირას კი –
კუთხეებში,
სწორედ გუშინ მიმოვაბნიე
თაგვის წამალი.

„თემურ ჩხეტიანი ლექსებში თავს არიდებს მაღალფარდოვან საუბარს. მისი ენა სადაა, ამავე დროს მეტყველი და ძალიან ახლობელი. მკითხველი თითქოს თავადაა მონაწილე ამა თუ იმ ლექსში გადმოცემული სათქმელის, იმდენად განთავისუფლებულია ლექსიკა გადაჭარბებული მეტაფორული ხედვისგან თუ მოდერნული სინონიმებისგან.“

„...ის ყოველ ლექსში სიტყვის უდიდესი მომჭირნეობით აღწევს ლაკონურობას. ლექსის ნებისმიერი ფრაგმენტი მხოლოდ აზრის, სათქმელის მთლიანობისთვისაა დაწერილი და არცერთი დეტალი არ ტოვებს უკმარისობის გრძნობას. პირიქით, პირველივე სიტყვიდან ბოლო წერტილამდე ეს არის ლექსი-აღსარება, ლექსი-სურათი, ლექსი-ტკივილი, მაგრამ პოეტისეული აზრი მზით გაკამკამებული მყვირალა სურათივით როდი გვჭრის თვალს, პირიქით, ვენდობით და სიღრმემდე მივყვებით. პოეტის და მკითხველის სასურველი ჩაღრმავება იმდენად ორგანულია, რომ არანაირი შელამაზება არ ჭირდება.“

*ბორენა ჯაჭვლიანი,*
*„ჩვენი მწერლობა“,*
*2 - 9 მარტი, 2001 წელი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქოხი

ქოხში შევასწარით წვიმას...
მანამდე ერთად დავდიოდით ტყის ბილიკებით;
ვუყურებდით, ვუსმენდით და ერთად ვხარობდით:
ვუყურებდით ხეებს და ყვავილებს;
ვუსმენდით ჩიტების ხმას და ფოთლემის შრიალს;
გვიხაროდა ბევრი ჰაერი, კამკამა წყალი და ერთმანეთი...

ქოხში შევასწარით წვიმას,
რომელიც ფეხდაფეხ მოგვყვა და კიდევაც დაგვასველა,
მაგრამ ქოხის კართან დარჩა
და შინ აღარ შემოგვყოლია,
შინ, სადაც უკვე ქოხის კედლებს
ანყდებოდა ჩვენი სიცილი.

მერე ჩვენ ერთი პირსახოცით
ვუმშრალებდით ერთმანეთს თმებს, თვალებს – სახეებს...
წვიმა კი გრძელდებოდა და ხმაურობდა ქოხის სახურავზე,
და ქოხის კართან ატყაპუნებდა.
მერე ბინდდებოდა და მაინც კარგად ვხედავდით ერთმანეთს.
ბოლოს სულაც ბნელოდა, მაგრამ
ანათებდნენ შენი მხრები, ძუძუები და თეძოები;
გრილოდა, მაგრამ თბილი იყო შენი მკლავები
და მხურვალე იყო შენი ბაგეები;
და რბილი და ვრცელი იყო
ქოხში ფიცრებისგან შეკრული ვიწრო საწოლი...

თანდათან მიწყდა წვიმის ხმაური –
გაგვერიდა წვიმა და წავიდა.
და ჩვენ სიჩუმეში ვუსმენდით ერთმანეთის სუნთქვას
და ვგრძნობდით ერთმანეთის გულისცემას.
და მერე ნელ-ნელა განათდა –
იმ ქოხის პატარა სარკმლიდან მთვარემ დაგვხედა
და ჩურჩულით ესეც გაგვანდო:
ამაზე კარგი და მნიშვნელოვანი
ქვეყანაზე არც რამე ხდებაო...

......

გველვიძება სხვადასხვა ქალაქში,
ერთმანეთისგან ასობით კილომეტრით დაშორებულ
ორ სხვადასხვა ქალაქში.
გველვიძება ერთდროულად, თუმცა – ცალ-ცალკე:
უხალისოდ ვახელთ თვალს,
უხალისოდ ვწევთ თავს ბალიშიდან,
უხალისოდ ვდგებით საწოლიდან
და ვიცვამთ ტანსაცმელს.



პროვინციული პატარა ქალაქის თუ სოფლის სურათები თემურ ჩხეტიანის პოეზიაში თითქოს ფილოსოფიურ, განზოგადებულ ასპექტს იძენს. ეს ის სივრცეა, ანუ ის ადგილსამყოფელი, სადაც გლობალური ქარტეხილები ვერ აღწევს, მაგრამ სიცოცხლის იდუმალი კანონები ხორციელდება და ამიტომ არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს პოეტის დაკვირვებულ თვალს. ამ ნიშნით მეტად მიმზიდველი და საინტერესო ლექსია „ბუდე". ვრცელ ლექსში ვარიაციულად გაშლილმა და მხატვრულად არაერთგზის განხორციელებულმა ე.წ. პროვინციის თემამ კიდევ ერთხელ შეისხა ხორცი, თუმცა, ამჯერად, ჩემი აზრით, გაცილებით უფრო სრულყოფილად, ვიდრე სხვა დროს. საგანთა და მოვლენათა დეტალურმა დანაწევრებამ, ზუსტად მიგნებულმა ინტონაციამ (ამგვარი ინტონაცია სხვა ლექსებშიც იყო, მაგრამ აქ უფრო ძლიერად გამჟღავნდა), გამჭვირვალე ფაბულამ, ზომიერმა პროზაულ-თხრობითმა კილომ, რომელმაც საუბრის განწყობილება შექმნა, და საერთოდ, ყველაფერმა ერთად წარმოქმნა ბედნიერი სიმბიოზი და დაბადა ეს შესანიშნავი ლექსი. ამ ლექსში არაჩვეულებრივად ხელშესახებად ირეკლება პოეტის პიროვნება, მისი ზნეობრივი სინათლე და სისუფთავე, სიწრფელის ჭარბი ხარისხი და მარტოობა, ურომლისოდაც პოეზია არ იქმნება.

*ანდრო ბუაჩიძე,*

*„წიგნები – 24 საათი", 2003 წელი*



ერთდროულად, თუმცა ცალ-ცალკე
ვაღებთ სარკმელს სხვადასხვა ქალაქში –
ორივეგან მზიანი დღეა!..
ვიყურებით გარეთ – სხვადასხვა ქალაქში.
ჩვენ ვხედავთ სხვადასხვა სურათს
ორ,
ერთმანეთისგან ასობით კილომეტრით დაშორებულ ქალაქში;
სხვადასხვა რამეებს ვხედავთ,
თუმცა ერთსა და იმავეს ვფიქრობთ,
ერთსა და იმავეს განვიცდით
და ერთსა და იმავეს ვიხსენებთ:

ქოხში შევასწარით წვიმას...

### ზავი

სადღაც ისევ მზადდება სიტყვათა შეთქმულება:
ჩვევისამებრ, ისევ ჩუმად იკრიბებიან,
ერთმანეთში ირევიან, ლაგდებიან, ირაზმებიან
და შესაფერის დროს უცდიან,
რომ ერთბაშად დამატყდნენ თავზე.

ემზადებიან და ნიშანს უცდიან,
რათა დამაფეთონ და ამაფორიაქონ;
რათა გამომიყვანონ წონასწორობიდან;
რათა მაწრიალონ აქეთ-იქით;
რათა დამავიწყონ ლუკმა და გამიკრთონ ძილი;
რათა გამაწამონ და ცრემლიც მომადინონ,
რომ მერე, უკვე არაქათგამოცლილი
და მათი ნების უსიტყვოდ დამყოლი,
დამსვან და მათგანვე ნაკარნახევ
ზავზე ხელი მომაწერინონ.

ზავი კი გულისხმობს აღიარებას
მათი გამარჯვების და მათი უფლებების.
რომ მათ ეკუთვნით ადგილი ცის ქვეშ –
ადგილი ფურცელზე!..

იქნებ ეჭვით, იქნებ შიშითაც,
მაგრამ უფრო თავდაჯერებით
იკავებენ ფურცელზე სივრცეს –
ეუფლებიან ახალ-ახალ ტერიტორიას.
და მე ისღა დამრჩენია, რომ ვაღიარო
და ხელმოწერით დავადასტურო
დროებითი დასასრული ჩვენი ჭიდილის,
შევურიგდე დროებითი ზავის პირობებს –
ჩვენი ზავი ხომ ამჯერადაც დროებითია!..

* * *

ჩაიარა მტრედისფერმა „მერსედესმა"
და გული დამწყდა:
რა ხანია, მტრედი
არ დამინახავს.

### წყურვილი

რადგან ღამეა,
სიბნელეა
და ცაზე მხოლოდ ვარსკვლავები ჩანან,
მზე გაქრა?

რადგან ვერ გხედავ,
ვერ გეხვევი,
ვერ გეფერები,
აღარ მიყვარხარ?..

გრაფინიდან ჭიქაში ვისხამ
წყალს და ვენაფები,
ნაკადული კი
სადღაც სხვაგან მიედინება.

### ასე იტყოდნენ ძველი ჩინელები

მადლობა ვუთხარ,
რადგან მან მე შთაგონების წუთი მაჩუქა;
მადლობა მითხრა,
რადგან მე მას ერთადერთი ლექსი ვაჩუქე.
მერე ღიმილით დავშორდით და ვიხსენებ ახლა,
სარკმელი ჩემი ახლა მხოლოდ ნაღველს აშუქებს.

# კარის სახე-მეტაფორა თემურ ჩხეტიანის პოეზიაში



ნუციკო დეკანოზიშვილი

თემურ ჩხეტიანი თანამედროვე ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ერთ-ერთი თვალსაჩინო და საინტერესო სახეა. წარმოდგენილ სამეცნიერო ნაშრომში ჩვენ ვისაუბრებთ მისი პოეზიის ტროპული მეტყველების ზოგიერთ თავისებურებაზე. კერძოდ, „კარის" სახე-მეტაფორის რელევანტურობასა და ინდივიდუალურ აღქმაზე. კარის მეტაფორული სემანტიკა ძალიან საინტერესო დატვირთვას ატარებს ქართულ კომპოზიტებსა და ფრაზეოლოგიზმებში (სახლ-კარი, კარ-მიდამო და ა.შ.). პოეტი ეფექტურად სარგებლობს გამონათქვამების მზა კონსტრუქციებით, შლის მათ და აწყობს ახალს და განსხვავებულს, ან, ზუსტი ფრაზებითა და სტრიქონებით ამყარებს და ნათელს ჰფენს მის სახეობრივ დეფინიციას. ხანდახან მის შემოქმედებაში კარის მეტაფორა სრულიად ინოვაციურ და არაშაბლონურ დატვირთვას იძენს. პოეტის გამჭვირვალე და მოულოდნელი პლასტების პალიტრა კიდევ უფრო სხვაგვარ ელფერს სძენს „კარის" აქამდე ნაცნობ და აღიარებულ მეტაფორულ სახესხვაობებს. უჩვეულო და მაგიურ ხასიათს ატარებს თემურ ჩხეტიანთან ეს მეტაფორა, თუმცა ალუზიების ფესვები და პირველწყარო ქართულ ფოლკლორსა და მითო-რიტუალურ წეს-ჩვეულებებში უნდა ვეძებოთ.

სახლ-კარის მიტოვება არ უნდა ლექსის „კარი" ლირიკულ გმირს, მაგრამ უნდა წავიდეს... ამიტომ, ხსნის კარს და თან მიაქვს ის. ერთი შეხედვით, შესაძლებელია, ლოკოკინას სახე-მეტაფორა ამოტივტივდეს ლოგიკის სიღრმიდან და ზურგზე სახლნამოკიდებული კაცის აჩრდილი დავინახოთ, რომელიც მიემართება სხვა ადგილისაკენ, თუმცა, თუ უფრო ღრმა ანალიზს გავაკეთებთ, თვალშისაცემი გახდება „კარის", როგორც „შინ დასაბრუნებელი" აქტის აუცილებელი ატრიბუტის ხატი. კარი, ამ შემთხვევაში, მინიშნებაა თავთან, მე-ში, საკუთარ არსთან დაბრუნების საშუალებისა, – კარი ის ლიობი და შესასვლელია, საიდანაც ხდება ზღვრის გადალახვა და გამოსვლა თავიდან ან შესვლა მასში. ლირიკული გმირი არ ტოვებს ამ მიჯნას (თუ გნებავთ, საშუალება დავარქვათ) და ისე მიდის საკუთარი სახლიდან. ის მოგზაურობს კართან ერთად და ამიტომ თავს იზღვევს, არ დაკარგოს კონტაქტი საკუთარ თავთან, – ფრაზეოლოგიზმით რომ გადმოვცეთ – „თავის დაკარგვის" პრეცედენტის პრევენციას ახდენს. ხალხურ სიბრძნესთან ერთად, გვახსენდება რუსთაველის ღრმა და შესანიშნავი აფორიზმი: „თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები". საქართველოს მთაში, გზაკვალარეულ, გზასაცდენილ ადამიანზე ასე ამბობენ – „ჟამ-კარი აქვს არეული". სწორედ ეს თქმები და აფორიზმებია ლექსის იდეის ოქროს გასაღები. კარი ხან მაგიდად გამოადგა ლირიკულ გმირს, ხან – საწოლად, ხანაც კი – ტივად, მდინარეზე. „ბევრი ვიარე, კარი არსად არ მივატოვე და დიდი ხნის მერე მასთან ერთად უკან გამოვბრუნდი", – წერს პოეტი. შინ დაბრუნებულს, ეშმაკები დახვდნენ. ამ მომენტში იკითხება კიდევ ერთი ფოლკლორის ნიმუში – ანდაზა: „უპატრონო სახლს ეშმაკები დაეპატრონენო". პატრონის დანახვისას ეშმაკები გარბიან, ლირიკული გმირი სახლს საგულდაგულოდ ალაგებს, კარს ისევ თავის ადგილზე აბამს და ისვენებს. კართან ერთად მოგზაურობა სულიერი დინამიკის ამსახველი მთამბეჭდავი მეტაფორაა. თავად ამ ლექსსაც, შეგვიძლია, ლექსი-მეტაფორა ვუწოდოთ. გამომსახველობის ეს ხერხი დამახასიათებელია თემურ ჩხეტიანის პოეზიისათვის.

ლექსი „ღია კარი და დახურული კარი" ორი პირობითი თავისგან შედგება: 1. ღია კარი; 2. დახურული კარი. ამ ლექსში ავტორი გვთავაზობს „კარის" განსხვავებულ კონცეპტს: „სტუმართმოყვარე ქალაქია, თუ სახლი კეთილი, სულერთია – ორივეს კარი უნდა ებას და ეს კარი კიდეც უნდა იხურებოდეს". გავრცელებული სიტყვათშეთანხმებების, როგორებიცაა: გულის კარი, სახლის კარი, ქალაქის კარი, ქავის კარი და ა.შ. თარგი საფუძვლად უდევს ლექსის პოეტურ რესენტიმენტს და „კარის" მეტ-ნაკლებად ტრივიალურ მეტაფორას შეგვახსენებს; კარი, როგორც ზღუდე, ზღურბლი, გამყოფი, მიჯნა, შესასვლელი და საშუალება, ასევე – სიმტკიცე, დაცულობა, უსაფრთხოების გარანტი. „დახურე გული, დაასვენე და დაალაგე – ამდენი ხნის აწეწილია", – წერს პოეტი. ამ შემთხვევაში, თემურ ჩხეტიანი თავისებურად აწყობს ნაცნობ კომპოზიტს – „გულდახურული", რომელიც თავის თაეში ჩაკეტილ, არაკომუნიკაბელურ, სევდი-

ან ადამიანზე ითქმის, რომელიც ვერ ახდენს საზოგადოებასთან ინტეგრაციას. ლექსს თუ კვალდაკვალ მივყვებით, მასში ამოვიკითხავთ: გულის ღია კარს, გარედან შემოტანილ ჭუჭყთან და ნაგავთან ერთად, ბევრი ძვირფასი ვინმე და რამეც გაჰყვა, ან „გაიტანეს და აღარ დააბრუნეს"... „დახურე გული – ჭიშკარიც ხომ იკეტება, მიცვალებულს რომ გაასვენებენ"; წასული, დასრულებული ან გამქრალი გრძნობაც ხომ მიცვალებულივითაა, – ბოლოს და ბოლოს უნდა დამარხო და კარი კი კვლავ მჭიდროდ მიხურო! თვალთვალიც სჭირდება დახურულ კარს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, – „ყოველმხრივ ღიაა, თითქოს კარი არც ჰქონდეს", – ღიაა ისევ გული და მისი ვირტუალური კარიც ვირტუალური სივრცის კუთვნილებაა. გულის კარის გახსნა-დახურვაც მხოლოდ „გულის კარნახითა" და „გულისთქმით" ხდება... ლექსის მეორე თავს – „დახურული კარი" – ნამძღვარებული აქვს ხალხური ლექსის სტრიქონი: „...ჯავრი შავაბი კარადა". რა აჯავრებს პოეტს? რატომ დაეჯაბნინა ჯავრსა და ბოლმას? „რა ხანია, ამ კართან ვგდივარ. ვგდივარ არაქათგამოცლილი, სასომიხდილი, ვგდივარ ჩემივე სისხლითა და ცრემლით მოსვრილი", – წერს პოეტი. ვფიქრობთ, ეს „კარი" უკვე დაკარგული სამოთხის კარი უნდა იყოს, პოეტის ჯავრი და სევდაც სამოთხიდან გამოძევების და მასში ვერშესვლის სევდაა, სულ თან რომ სდევს მოაზროვნე ადამიანს და ჭიასავით ულრღნის გულ-მუცელს შიგნიდან. არც კონკრეტული გეზი აქვს ლირიკულ გმირს და არც ის იცის, ამ კარით, უნდა შევიდეს სადმე, თუ საიდანმე უნდა გამოვიდეს. „არ მიფიქრია, რა მინდოდა, ოღონდ ეს კარი უნდა გამევლო!.." კარი, ამ ლექსშიც და ზოგადადაც, რაღაცის მიჯნაა, ზღურბლი ან საშუალება. თუმცა კარი არ იღება და ომგადახდილი, უკვე უძლური და ფარხმალდაყრილი ლირიკული გმირი ბედს ემორჩილება – არაქათგამოცლილი გდია გადაულახავ მიჯნასთან. მხოლოდ ერთი იმედი კიაფობს, ვინმეს თანაგრძნობა და ხმა: „დააკაკუნეთ და გაგიღებენ"... ეს ბოლო სტრიქონები უკვე სახარებისეული პარადიგმების რემინისცენცია კი არა, მკვეთრი პერიფრაზია, რაც კიდევ ერთხელ გვიმყარებს მოსაზრებას – ლექსის მეორე – დახურული კარი, სასუფევლის კარია, ადამიანთათვის ასე ძნელად გასაღები და თან მუდმივად სანდომი, – დაკარგული სამოთხის კარი.

კარის გაღების სურვილი მაშინაც მოდის, როდესაც იდეები და არსებული მოცემულობის განსჯა-განხილვა აღარ გინდა:

„მე ვაღებ კარს და თვალი ნაჩვევს ხელახლა ზვერავს;
ოთახში ვტოვებ – მეყო ჩხრეკა თეთრის და შავის"...

თემურ ჩხეტიანის ლექსებში „კარი" ხანდახან „ჭიშკრით" იცვლება. ლექსში „ორეპიგრაფიანი ტექსტი" წერს: „იქნებ სახლში შევსულიყავი? ...ვუახლოვდები ჭიშკარს და ვიძახი, არავინ მპასუხობს. ჭიშკარი კი ღიაა – უნდა შევიდე". ჭიშკრის ან კარის გაღება ქართულ საწესჩვეულებო სამგლოვიარო რიტუალში სახლში მიცვალებულის არსებობაზე მიანიშნებს. ადამიანებიც კვდებიან, გრძნობებიც, მოვლენებიც... რადგან კარი ღიაა, რაღაცის ან ვიღაცის ადგილი თავისუფლდება და სწორედ ამიტომ ამბობს ლირიკული გმირი, რომ უნდა შევიდეს. შესაძლებელია, აქ ვიღაცის მიერ მტვრიან ზედაპირზე მიწერილი დაგიხვდეს: „აღარ დავბრუნდები", და ეს ნიშნავდეს სამუდამოდ გაქცეულ „მე"-ს, სიცოცხლის ქრონოტოპის ჭრელ შრეებში ჩაკარგულს, გაურკვევლობის გადაკვეთებში მოყოლილს, რუხი რუტინის ფრთებდამტვრეული მსხვერპლის უკანასკნელ ზარათს.

ბედის გარდაუვალობა და ფატალისტური ხედვაც, ხანდახან, კართან ან ქუჩაში ლოდინით ფიქსირდება. ადამიანი, რომელიც გარკვეულ კოსმოსურ წესრიგს ემორჩილება (რაც „ლურჯა ცხენებში" გალაკტიონთან გამოიხატა მეტად საინტერესო და უცნაური სტრიქონით, – „მშრალ რიცხვების ამარა"), სიცოცხლის გზაზე მიმავალი, ხანდახან ხვდება გამოუცნობი ვნებების, ძალების, აფეთქებების ტყვეობაში, რასაც ის გარდაუვალობას არქმევს და ამით ქმედებაზე ყველა პასუხისმგებლობას იხსნის. თემურ ჩხეტიანის ლირიკული გმირიც ვიღაცას – ბედისგან გამოგზავნილს – კართან ელოდება. ამ შემთხვევაში, კარი მაგიური, ზებუნებრივი მოვლენების მყარი ატრიბუტი ხდება. სხვათა შემოქმედებაშიც ხშირია ლოდინი სარკმელთან და კართან, ანუ ზღურბლთან და ბარიერთან.

ლექსში „გამოცდა" პოეტი მზა იდიომებით სარგებლობს: „რომელი დავცემთ მუშტს მაგიდაზე; რომელი გავიჯახუნებთ





საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა



კარს?" მუშტის მაგიდაზე დაცემა, განრისხებას ნიშნავს, კარის გაჯახუნება კი – გაბრაზებული ადამიანის გაქცევას. ავტორის თვალშისაცემი სტილისტური ნიშნულია, გამოიყენოს ენის ულევი საბადო – ფრაზეოლოგიზმები, თქმები, იდიომები, ანდაზები, და სალექსო მეტყველებას მოარგოს. ეს, ერთი შეხედვით, მარტივი და ტრივიალური გამოთქმები, თემურ ჩხეტიანთან განსაკუთრებულ ხიბლს იძენს: აფერადებს სივრცეს ხალხურობიდან მაღალ ლიტერატურამდე, დებს უხილავ ხიდს ყოფიერებიდან ცნობიერებამდე, ავსებს ყბადაღებულ ვაკუუმს უბრალოებიდან თვალშისაცემამდე.

მცირეტანიანი ლექსების ციკლის (რომელიც თემურ ჩხეტიანთან დასათაურებულია შემდეგნაირად – „ორიოდე სიტყვით") ერთ-ერთი მინიმა გვთავაზობს კარის კონტექსტის კიდევ უფრო განსხვავებულ სემანტიკას:

„მსურდა, რომ კარი გამომეღო,
მაგრამ მე ხელში
სახელური შემრჩა მარტოდენ.
იქვე დავტოვე –
ეგებ ვინმემ გამოიყენოს".

კარი, რომელიც სახელურის გარეშე ვერ გაიღება, ლირიკული გმირისთვის უხმარია. თუმცა, არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ ამით სხვა ისარგებლებს, ამიტომ არ აგდებს მოტეხილ სახელურს და იქვე ტოვებს: მას არ გამოუვიდა, ეგება, სხვას გამოუვიდეს? ეგზისტენციალისტურ ხილვებში ჩაძირული პოეტის გამოსავალი სიკეთე და სიხალასეა; სიკეთე, რომელიც ყოველთვის გამართლებულია, და სიხალასე და ინფანტილურობა, რომელიც მისი თანდაყოლილი ბუნებაა და შესისხლორცებული მსოფლხედვის განსაკუთრებული ფორმა. ყოველი „დაბრუნებაც", თუნდაც პირობითი (რადგან, ავტორის თქმით, ყველა დაბრუნება პირობითია), კარის, როგორც მიჯნის გადალახვით ხდება („დაბრუნება"), გარეთ გასვლაც („წასვლა") კარის ბარიერის გადალახვას მოითხოვს და სხვისი მიპატიჟების სურვილიც კარის ღიად დატოვებით გამოიხატება (ხალხ. „კარს დავტოვე ღიაო"...): „გავალ და ღიას დაგიტოვებთ სარკმელსაც, კარსაც"... განცდილი უარყოფიდან მოსული თუ მოყვანილი ლირიკული გმირიც კარის ღიობს მიშტერებია, როგორც ხსნისა და სხვაგან გახედვის საშუალებას: „მახსოვს, ჩემივე დაღლილი მზერა, მიჩერებული კარის ღიობზე".

„ხის ფიცრულ კარზე მიჭედებულ ნალს მზე მიადგა", – წერს თემურ ჩხეტიანი ლექსში „ნაშუადღევი". სახლის კარზე მიჭედებული ნალი, ხალხური რწმენით, იღბლისა და ბედნიერების მომტანია, ნალზე მიმდგარი მზე, მეტაფორულად, კარგ, გაბრწყინებულ იღბალს უნდა ნიშნავდეს. თუმცა, ავტორი სინანულით ამბობს, რომ ეს ქარაფშუტა გაზაფხულის მოჩვენებითობაა, საცთურია და თვითონვე ზურგს აქცევს ილუზორულ ბედნიერებას, ვიდრე ხახამშრალი დარჩებოდეს. „ჩემს კარს საღამოც არ აჭრიალებს, მეგონა, ვინმე მომაკითხავდა", – აჭრიალებული კარი სტუმრის მოსვლის ნიშანია, და თუ არავინ მოვა, საღამოს ნიავით აჭრიალებული კარიც წუთიერ სიამოვნებას ბადებს – უეცარი მოლოდინით სავსეს. ლირიკული გმირი სრულიად მარტოა და მისი სახლის კარიც საბედისწეროდ დუმს. შემაძრწუნებელია სიმარტოვე და ასმაგად მძიმეა მიტოვებული სახლების, ეზოების, ადამიანების ხვედრი... ლექსში „სახლი ქუჩის გადაღმა" ვკითხულობთ: „შავად ჩანან უკარფანჯრო ღიობები, მართკუთხედები. შიგნით კი რაა? – სიბნელეა, სიცივეა და დიდი დუმილი"... უპატრონო სახლის აღსაწერად პოეტი, პირველ რიგში, კარისა და ფანჯრების არარსებობაზე პედალირებს – ასეთ სახლში არავინ ცხოვრობს, ასეთი სახლი ჰგავს „თავის ქალას – ვერცხლის ლანგარზე".

პოეტის გამჭვირვალე ლექსებში, ხანდახან, „ნოემბრის მერე ზამთრისათვის ილება კარი", ხანდახან კი, როცა ზიხარ, კარს გაჰყურებ და მას ელოდები, შემოდის, მაგრამ „ის იყო, მაგრამ... ის არ იყო! – სულ ერთ წამში გაუცხოვდა, სხვად გადაიქცა"... ხანდახან ისეც ხდება, რომ კითხულობ ასეთ ლექსებს და ფიქრობ: რა საჭირო იყო ამდენი ტკივილი, რა საჭირო იყო ამდენი სევდა? არ შეიძლებოდა, რომ ერთი მყარი და შეუვალი გულის კარი ჰქონოდა პოეტს და ამდენი კარი არ გაეღო და გაეფრიალებინა? მაშინ რა გვეშველებოდა ჩვენ, – რითი დავარწყულებდით მოშიებულ სულს?

# წარმატებული „ფიგურა“



დავით გურგენიძე

(მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო კომპოზიციაში)

დღეისათვის აღარავინ კამათობს, თუ რა არის ჭადრაკი – მეცნიერება, ხელოვნება თუ სპორტი. რა თქმა უნდა, მასში საკმაოდაა მეცნიერების და ხელოვნების ელემენტები, მაგრამ ჭადრაკი მაინც სპორტის განუყოფელი ნაწილია. საჭადრაკო კომპოზიცია კი, რომელსაც „ჭადრაკის პოეზიას“ უწოდებენ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ხელოვნებაა... მასში უხვად არის წარმოდგენილი კომბინაციათა ჯადოსნური სამყარო. ჩანაფიქრის გონებამახვილობა და კომპოზიციის სიუჟეტის დრამატიზმი, რამაც ჭადრაკი – ბრძენთა თამაში, უკვდავი გახადა.

თუ ყველა ქართველი პოეტია, მაშინ გასაკვირი არ უნდა იყოს, „ჭადრაკის პოეტების“ პოეზიით გატაცება. თემურ ჩხეტიანი, რომელსაც პოეზიის მოყვარულნი საქართველოში კარგად იცნობენ, ჩემი კოლეგაა. მისი საჭადრაკო ამოცანები მსოფლიოს მრავალ საჭადრაკო გამოცემაში იბეჭდება. ის სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია.

აქვე მინდა ის ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორები გავიხსენო, რომლებიც თავისი განცდების გადატანას ქაღალდზე ისევე ცდილობენ, როგორც ფიგურებით ჭადრაკის დაფაზე რაიმე ლამაზი მანევრის განხორციელებას. პირველ რიგში, ეს გორელი დრამატურგი ვაჟა დადიანიძეა, რომლის საჭადრაკო კომპოზიციები განსაკუთრებულად დახვეწილი ფორმით გამოირჩევა.

ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი ელგუჯა კვეზერელიც ორი მუზის ტყვეობაში იყო.

„არწივი ყივის, არ წივის“, ასე დაასათაურა რუზველტ მარცვალაშვილმა თავისი ლექსების პირველი კრებული. ჩარგალში მცხოვრებ რუზველტს „ლექსების ჭია“ რომ აწუხებს, ბუნებრივია, მაგრამ სანაქებოა მისი საჭადრაკო ამოცანებიც.

ლექსების წერის ცდუნებას ვერც ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორი შერგილ სუხიტაშვილი გაექცა.

მე ვერ გეტყვით, და ეს ალბათ არც თვითონ თემურიმ იცის, რომელი უფრო მძლავრობს მასში, პოეტი თუ საჭადრაკო კომპოზიტორი. ამ ორ ჟანრში მისი მოღვაწეობის არეალი განსხვავებულია და შედარებაც, ალბათ უადგილო, თუმცა ერთი რამ საერთოა და შეიძლება ყველაზე ფასეულიც. თემურის პიროვნებას გამორჩეულად აფასებენ როგორც პოეზიის, ასევე საჭადრაკო კომპოზიციის სამყაროში. პატივს მიაგებენ მის შემოქმედებას, როგორც ფურცელზე გადატანილს, ასევე ჭადრაკის დაფაზე წარმოსახულს.

თემურის ლექსი „პაიკი a2“-დან საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებულ სახელმძღვანელოში – „ჭადრაკი“ II დონე – შევიტანე. ნაწარმოებში საჭადრაკო ბატალიების ფონზე a2 პაიკის განცდებია გამოხატული. ეს პაიკი ჭადრაკის დაფაზე, სხვა ფიგურებთან და პაიკებთან შედარებით, ყველაზე „დაჩაგრულია“. ამას თვითონაც გრძნობს: „უიღბლო ვარ, ისევ უბრად უნდა ვიდგე“ და იმაზე ოცნებობს, „როცა მეც რამედ ჩამაგდებენ“.

ვინც გაიაზრებს a2 პაიკის ბედს, მიხვდება, რამდენად ცხოვრებისეულია ნაწარმოების სიუჟეტი. ჩვენს შემთხვევაში პაიკმა მერვე ჰორიზონტალს მიაღწია, მაგრამ ლაზიერი მაინც ვერ გახდა. მხედარში გაცოცხლებული პაიკი ნირწამხდარი დარჩა. იმ „პაიკების“ საშველი რაღაა, ვინც ჭადრაკის დაფაზე და ცხოვრებაში მხოლოდ სტატისტის როლში გვევლინება? ძალაუნებურად გახსენდება აკაკის სიტყვები: „ქვეყანა ჭადრაკის ფიცარია და მასზე მსვლელობა და ცხოვრება კი ჭადრაკის თამაში“.

საჭადრაკო სიუჟეტის ფონზე, ამ ლექსით, თემურმა შეიძლება ბევრი ადამიანი ჩააფიქროს, „კუთხეში მდგარი პაიკის“ ბედზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ თავის დროზე ყველანი პაიკები ვიყავით.

დღეს თემურ ჩხეტიანი წარმატებული „ფიგურაა“ პოეზიაშიც და საჭადრაკო კომპოზიციაშიც. მიხარია მისი წინსვლა და წარმატება ორივე სფეროში. და კარგად ვიცი, რომ გამონაკლისი არა ვარ. მას თაყვანისმცემელთა და გულშემატკივართა დიდი არმია უდგას უკან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პაიკი a2-დან



ისევ ნაპირში მომაქციეს...
უილბლო ვარ – ისევ უბრად უნდა ვიდგე და ველოდო.
შორიდან უნდა ვუყურო სხვების განევა-გამოწევას და ურთიერთჯახს.
უნდა ველოდო ჩემს დროს, როცა მეც ჩამრთავენ ბრძოლაში;
როცა მეც რამედ ჩამაგდებენ...

უკან ჩემივე ბანაკის ეტლი და მხედარი მიდგას,
გვერდით კი ჩემნაირი პაიკი.
ეტლი და მხედარი თავს არ მიყადრებენ
და როგორც კი დრო დაუდგებათ, თავის გზას ენევიან.
თანაც ისე, რომ ჩემი არსებობა ალბათ აღარც გაახსენდებათ.
გვერდით მყოფ პაიკთან კი ადვილად გამოვნახე საერთო ენა
და ადვილად დავმეგობრდით;
ერთად ვადევნებთ თვალს შორიახლო დატრიალებულ მოვლენებს
და განსაცდელსაც ერთად განვიცდით.

თითქმის ყველგან დიდი შეხლა-შემოხლაა.
გვესმის ყიჟინა და კვნესა;
ვხედავთ როგორ ილუპებიან ჩვენიანებიც და მტრის მებრძოლებიც;
ვხედავთ, გვესმის, განვიცდით და ბრძოლაში ჩართვას ველოდებით.

როგორც იქნა, პირველი დავალება მივიღე –
მეტოქის წამოყელყელავებული კუ უნდა გავაძევო.
ჩემმა პირველმა ნაბიჯმა გაამართლა – კუმ უკან დაიხია.
მალე ჩემი მეგობარი პაიკი გათამამდა
და ერთბაშად ორი ნაბიჯის მანძილზე გადახტა წინ.
მე ზურგს ვუმაგრებდი ჩემს მეგობარს...
ბრძოლა გრძელდებოდა და მებრძოლთა რიგები თანდათან თხელდებოდა.

ჩვენი მეფე სადღაც იყო შეყუჟული და გარეთ თავის გამოყოფას ვერ ბედავდა.
გული მეტკინა – ჩემი მეგობარი პაიკი მოკლეს!..
ერთხანს გავოგნდი და ხმაც ვერ ამოვიღე,
მერე კი შური ვიძიე:
მეგობრის მკვლელი პაიკი შუბზე ავაგე და სიცოცხლეს გამოვასალმე...

ბრძოლა გრძელდებოდა და დასასრულს უახლოვდებოდა.
უკვე მეფეებიც გამოვიდნენ სამალავებიდან და ბრძოლაში ჩაერთვნენ.
მეგობარი პაიკის დაღუპვის მერე ჩემს ახლო-მახლო ჩემიანები იშვიათად ჩანდნენ,
მაგრამ მე უკვე შორიდანაც ვგრძნობდი მათ მხარდაჭერას;
ვგრძნობდი, რომ უკვე ყურადღების ღირსი ვიყავი;
რომ მეც რაღაც მნიშვნელოვანი მისია მქონდა შესასრულებელი
და ამ შეგნებით გულმოცემული წინ მივიწევდი!..

შორს აღარ იყო ბოლო ნაბიჯი. მე ლაზიერად გადაქცევა მელოდებოდა!..
უკვე წინასწარ მიხაროდა ჩემი მომავალი აღზევება.
გულის სიღრმეში ხომ სულ ამას ვნატრობდი –
როგორ მინდოდა ლაზიერი ვყოფილიყავი!..
ბოლო ნაბიჯი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუნთქვა შემეკრა – მე ხომ მეგობრის გამოსავლელი გზა გამოვიარე
და ისე გაველი!..

გაველი და უნდა გავიდე – ბრძოლის ველი უნდა დავტოვო.
მაგრამ რა ხდება?!..
ჩემს ნაცვლად და ლაზიერის ნაცვლად დაფაზე
მხედარი დასვეს!..
აღვშფოთდი... მერე ავქვითინდი...
შემომეხვივნენ, მამშვიდებდნენ, მეუბნებოდნენ:
ლაზიერად რომ ქცეულიყავ,
დავმარცხდებოდით;
მხედარი იყო აქ საჭირო
და იმ მხედარმა ისე ჩაარტყა მეტოქის მეფეს,
რომ სანამ ის გონს მოვიდოდა, ეტლი მოვიგეთ
და ბრძოლაც ჩვენი გამარჯვებით ამის მერე მორჩა და დასრულდაო...

ჩვენ გავიმარჯვეთ.
გამარჯვებას ულოცავენ ჩვენს პატრონს და მათამაშებელს.
ჩვენ გავიმარჯვეთ,
მაგრამ დავრჩით უჩინონი და ნირწამხდარნი;
მეც ნირწამხდარი –
როგორ მინდოდა ლაზიერი ვყოფილიყავი...



# თემურ ჩხეტიანის პოეტური სამყარო

*ხელოვნებაში ემოცია იმპერსონალურია...*
**ტ. ს. ელიოტი**

ეს მრავალფეროვანი, მრავალწახნაგოვანი, ცოცხალი მხატვრული სამყაროა: აქ იგრძნობა ქართული პოეტური
ტრადიციის ღრმა ცოდნაც და ამ ტრადიციის ინდივიდუალური „გადახარშვის", მისთვის ახალი „სულის შთაბერვის"
ტრადიციის ღრმა ცოდნაც და ამ ტრადიციის ინდივიდუალური „გადახარშვის", მისთვის ახალი „სულის შთაბერვის"
უნარიც; ამ სამყაროს შემოქმედს ერცელი სალექსო ფორმებიც ემარჯვება და მინიმალისტური პოეზიაც (იგი ნაზი-
არებია აღმოსავლური – ჩინური და იაპონური – მინიატურული პოეზიის ფორმებს და ტრადიციას); პოეტი ახლოსაა
ბუნებასთან, მიწასთან, მთელი არსებით შეიგრძნობს მას და იმავდროულად სიმბოლურად, ფილოსოფიურად გაიაზ-
რებს ბუნების ფენომენებს („ბალახის სიმაღლე", „ქვად რომ ვიქცევი"); თემურ ჩხეტიანის პოეტური აზროვნები-
სათვის არც პოსტმოდერნული პაროდირება თუ ინტელექტუალური თამაშებია უცხო („პობი, ანუ ინგლისურად
სათარგმნელი წერილი") და არც სხვადასხვა ასოციაციისა თუ მეხსიერებაში ამოტივტივებული სურათხატისაგან
„რაფსოდიის" „შეკოწიწება" ერთიანი განცდითი შინაარსით თუ ემოციით გამსჭვალულ და „შეკრულ" პოეტურ
ქსოვილად („უნგრული რაფსოდია"). ამ ესთეტიკურ სამყაროში ვერსად შეხვდებით პოეტური სამკაულებით თვით-
მიზნურ გატაცებას თუ „კეკლუცობას", გაცვეთილ მეტაფორებს; თემურ ჩხეტიანის პოეტური სახეები პარადოქსუ-
ლობამდე მოულოდნელი და „ცინცხალია" (მაგალითისათვის, ასეთია „მარადმწვანე სიკვდილის ტოტები", „მარადმ-
წვანე სიკვდილი" და სხვ.), საკუთარი მხატვრული ფუნქცია გააჩნიათ და ლექსის მთლიანი მხატვრული ქსოვილის
ორგანულ ნაწილებად გვევლინებიან.

თემურ ჩხეტიანის ლექსებისათვის ნიშანდობლივია პოეტური მეტყველების მაღალი კულტურა, რაც ზომიერ-
ებასა და თავშეკავებულობაში, ზუსტ და ლაკონურ პოეტურ სახეებში, ძლიერი ტრაგიკული განცდის ობიექტივი-
ზაციაში (მისი პოეტური განცდები არასდროს არაა გულისამაჩუყებლად თუ „მომაყირჭებლად" სენტიმენტალური),
ინტიმურ-პერსონალური ემოციის ერთგვარ იმპერსონალიზაციაში გამოიხატება.

ასეთია, ჩემი წარმოდგენით, თემურ ჩხეტიანის პოეტური სამყარო ზოგად შტრიხებში.

***ირაკლი ცხვედიანი***

## შვიდი მინიმა

* * *

ბევრი არაფერი,
სულ სამი რამ გამიტყდა
მთელი წლის მანძილზე:
ჭიქა, საფერფლე, გული.

* * *

მეც ვცადე
სინამდვილისთვის თვალის გასწორება,
მაგრამ უმალ
თვალები დამთხარეს.

* * *

"Nescafe Gold"-ის მწვანე გემო,
ფანჯრის მიღმა კი
ნირწამხდარი ვარდი...
შემოდგომაა.

* * *

ჩემი ფანჯრები
აღმოსავლეთს გაჰყურებენ,
მე ისევ
დასავლეთისკენ ვფიქრობ.

* * *

ორიოდე ლუკმა
და ორი ყლუპი –
შიმშილი და წყურვილია
სიცოცხლის განცდა.

* * *

მამები აღარ,
შვილები კი სულ იზრდებიან
და მამები იცვამენ უკვე
შვილებისეულ
შარვლებს თუ პერანგებს.

* * *

ბალახის ღეროზე
ნიჟარა-სახლი
და ლოკოკინას
მიწისძვრისაც არ ეშინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თემურ ჩხეტიანი**

„ლაზიერი“ 1997



შამათი 6 სვლაში 8+11

**თემურ ჩხეტიანი**

ზღაპრული საჭადრაკო კომპოზიცია

WCCT - 9



HS#3 b). VAOh8 ->a6

a). 1. PAOb1 LEOc8. 2. PAOf1 NAOc7 3. VAOc1+ PAOxf1#;

b) 1. VAOb2 LEOa7. 2. VAOf6 NAOb6 3. PAOc3+ PAOxf6#.

LEO, PAOS, VAOS, NAO




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოიარს ვაციეტისი (1933-1983)

*ლატვიის სახალხო პოეტი (1977), მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც მეხუთე კურსზე მიატოვა (1957). პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1950 წელს. ლექსთა პირველი კრებული „შორეულ გზათა ქარი" – 1956 წელს. მას შემდეგ კიდევ გამოსცა ლექსების 16 და პროზის ორი წიგნი. თარგმნა მ. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა", ვ. შუკშინის პროზა. იყო ლატვიის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.*

*რაულ ჩილაჩავა*

## ნიურნბერგის პროცესზე გამარჯვებული

„ჩვენ ძალიან ვუყვარდით... ოიარსი უყვარდათ ასჯერ უფრო მეტად – როგორც თავისიანი, როგორც წინამძღოლი, როგორც ტრიბუნი, როგორც მესიტყვე, როგორც მესაყვირე, როგორც წინასწარმეტყველი, როგორც ერეტიკოსი და უბრალოდ გულბრძენი ადამიანი... ჩემი თაობა საკუთარ თავს ოიარსით ზომავდა" – წერს იმანტ ზიედონისი. და თუმცა მშვენივრად მესმის, რომ გარდაცვლილ მეგობარზე გაცილებით ადვილია ასეთი რამის თქმა, ვიდრე ცოცხალზე, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ლატვიის სახალხო პოეტის ეს სიტყვები მართლაც ალალადაა თქმული.

თანამემამულეები ოიარს ვაციეტისს დღესაც ისეთივე სიყვარულითა და სითბოთი ახსენებენ, როგორც ოცდაათი წლის წინათ. მის ლექსებს წარმოთქვამენ ზეპირად, მის აზრებს იშველიებენ საუბრებსა თუ გამოთქმებში. მას ძველებურად აღმერთებენ. დინჯი, თავშეკავებული, აუღელვებელი ლატვიელების თვალებში ვაციეტისის ხსენებაზე სიხარულის ნაპერწკალი იელვებს ხოლმე და ისინი მზად არიან თავიანთ დიდ პოეტზე დაუსრულებლად გელაპარაკონ.

ოიარს ვაციეტისმა სულ ორი კვირით გადააბიჯა ნახევარსაუკუნოვან მიჯნას (დაიბადა 1933 წლის 13 ნოემბერს ხოლო გარდაიცვალა 1983 წლის 28 ნოემბერს), მაგრამ ამ შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მშობლიურ მწერლობაში მთელი ეპოქის შექმნა მოასწრო. იგი იყო სულით ხორცამდე პროფესიონალი ლიტერატორი, რომლის პარნასიც, პაოლო იაშვილისა არ იყოს, საწერი მაგიდა გახლდათ.

როგორც თვითონვე მოწმობს და თანამედროვენიც ადასტურებენ, პოეტი განუწყვეტლივ სიახლის ძიებაში იყო, ელტვოდა ლექსის ახალ გამომსახველობით ფორმებს, აზრობრივ და მეტაფორულ სიმკვეთრეს, მუშაობდა ყოველდღე შეუსვენებლად, წერდა, თარგმნიდა, კითხულობდა.

ლექსების პირველმა კრებულმა – „შორეულ მოგზაურობათა ქარი" (1956) – ოიარს ვაციეტისს საყოველთაო სიყვარულის ნიაღვარი დაატეხა თავს. მოზღვავებულ პოპულარობასთან გამკლავება საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა და მას დიდძალი ნებისყოფის მოხმობა დასჭირდა, რათა არ აჰყოლოდა ცთუნებას და პირველი დიდი წარ-

მატების ჩრდილში არ დაესამარებინა თავისი პოეტური ნიჭი. მან სულ რაღაც ერთი წლით მეტი დაჰყო ამ სოფლად, ვიდრე მისმა სათაყვანო ალექსანდრე ჩაკმა, რომლის პოეზიასთან სულიერ ნათესაობას გამუდმებით უსვამდა ხაზს.

ამჩნევდნენ და ხაზს უსვამდნენ მათ სულიერ ნათესაობას მისი კოლეგებიც. ივან დრაჩი ოიარს ვაციეტისის ლექსთა საკუთარი თარგმანებისადმი („ქარვის ნაპირი", კიევი, 1981) დართულ წინასიტყვაობაში წერს: „დამეთანხმებით, თუ ჩვენს თანამედროვესა და თანატოლს" ყველა დროის ლატვიური პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე „კაშკაშა მნათობს" უწოდებენ, თქვენ უნებურად შეკრთებით, რადგან ხსოვნაში მაშინვე იელვებენ იანის რაინისისა და ალექსანდრე ჩაკის სახელები. იმ ყველაზე კაშკაშა მნათობთა შორის ხომ ისინი არიან!.."

ხანდისხან მართლაც დიდია ცდუნება ვაციეტისის ჩაკთან შედარებისა, რადგან ამ ორ პოეტს საკმაოდ ბევრი რამ აქვს საერთო, თუმცა ერთიც და მეორეც მკვეთრი შემოქმედებითი ხელწერით გამოირჩევა. ვაციეტისი თავისი სახელოვანი წინამორბედისგან განსხვავებით ემოციურად უფრო თავშეკავებულია. თვალშისაცემ გამომწვევ ფერებსა და კონტრასტულ შედარებებს იგი ნახევარტონებსა და ფაქიზ მინიშნებებს ამჯობინებს, ყოველთვის ტოვებს ერთგვარ გონებრივ სავარჯიშოს მკითხველისთვის, რათა ამ უკანასკნელმა თავად გასცეს პასუხი შეკითხვას: „რისი თქმა სურდა მას ამით,ნეტავ?" ცხადია ეს არ გულისხმობს პოეტის აზრთა ან სახეთა რაღაც განსაკუთრებულ ბუნდოვანებას, პირიქით, მიუთითებს მკითხველისადმი, როგორც თანამოაზრისა და თანაშემოქმედისადმი პატივისცემაზე.

ოიარსს ვაციეტისის პოეზიაში სათუთი ლირიზმი მოულოდნელად გადადის მწარე ირონიასა და სარკაზმში, ისევე, როგორც თავისუფალი ლექსი რითმიანში, მედიტაციას ენაცვლება პეიზაჟი, ინტიმურ ალსარებებს – სამოქალაქო პათოსი.

ოიარს ვაციეტისმა, რომელსაც სამწუხაროდ ბევრი რამ არ დასცალდა ამქვეყნად, მოასწრო უმთავრესის თქმა, მოასწრო თავისი ქვეყნის ისტორიულ სიღრმეებში ჩახედვაც და თანამედროვე ყოფის მთელი სისავსით აღქმაც. მართალია, იგი ვერ მოესწრო ლატვიის ნამდვილ „ატმოდას" – აღორძინებას, თუმცა უეჭველია, მანამდე რომ ეცოცხლა, მის უპირველეს მესიტყვეთა შორის იქნებოდა.

ძლიერთა ამა ქვეყნისათა, მიუხედავად ოსტატის ბასრი კალმისადმი რიდისა, მას მიანიჭეს ლატვიის სახალხო პოეტის, რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის წოდებები. ასეთი აღიარება, როგორც ან უკვე ჩავლილ წელთა გადასახედიდან ჩანს, ოსტატმა პატიოსნად დაიმსახურა.

ოიარს ვაციეტისი შინაგანად დამოუკიდებელი იყო ხელისუფლების მიერ ხელოვანისთვის შეთხზული დოგმებისგან და მართალი ნათელი სტრიქონებით ადასტურებდა, რომ შეიძლება ცხოვრობდე ტოტალიტარულ ქვეყანაში, მაგრამ არ გრძნობდე მონის უღელს, წერდე, ხატავდე, ძერწავდე საკუთარი გულის კარნახით. შემოქმედებით პროცესს იგი ნიურნბერგის პროცესთან აიგივებდა და თავს ნიადაგ ამ უმკაცრეს სამსჯავროზე გრძნობდა. ამჟამად ყველასთვის ცხადია, რომ მან იქ პირწმინდად გაიმარჯვა.

როგორც ოიარს ვაციეტისის მთარგმნელს, მე გამიმართლა, რადგან კლასიკური მოთხოვნის შესაბამისად, არამარტო ვიხილე მისი სამშობლო, არამედ არაერთხელ ვიყავი იმ სახლშიც, სადაც იგი ცხოვრობდა და ქმნიდა. ეს სახლი რიგის ერთ-ერთ ულამაზეს რაიონში ფერწერული ტბის განაპირა პატარა ბორცვზეა წამომართული და გარშემო ხეხილის ბაღი აკრავს. იგი სავსეა წიგნებით, ხელნაწერებით, ნახატებით. ირგვლივ ყველაფერი თითქმის ისეა, როგორც ოცდაათი წლის წინათ. გეგონება მასპინძელი რომელიღაც შორეულ მოგზაურობაშია წასული და მალე დაბრუნდება. შესასვლელთან სტელაზე ამოკვეთილი პოეტის ორეული თითქოს ერთგვარი მადლიერებით შეჰყურებს ყველას, ვინც ამ ეზოში შემოდის მისი ხსოვნისა და პოეზიისთვის პატივის მისაგებად.

ოიარს ვაციეტისის ცხოვრების მეგზური და თვითონაც შესანიშნავი პოეტი ლუდმილა აზაროვა იყო ჩემი გიდი ყოფილ საკუთარ სახლში, სადაც ამჟამად მუზეუმია და ყოველი ნივთი ცოლ-ქმრის მიერ აქ ერთად გატარებულ ბედნიერ წლებზე ღაღადებს. ნორჩედ ქალბატონმა ლუდმილამ მომამარაგა სათანადო ლიტერატურით, ურომლისოდაც ვაციეტისის პოეტურ სამყაროში მოგზაურობა გამიჭირდებოდა.

სხვათაშორის, ამ სამყაროში ქართველმა მკითხველმა პირველად ჯერ კიდევ 1960 წელს შეაბიჯა, როცა ახალგაზრდა ლატვიელი პოეტის კრებული „გაზაფხულის ქარები" გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა". მთარგმნელთა შორის იყვნენ ვაციეტისის თანატოლები თ. ჭილაძე, ზ. ბოლქვაძე, მ. ფოცხიშვილი, ზ. კუხიანიძე და სხვები. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში ვერლიბრსა და თეთრ ლექსს ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდნენ, ამიტომ პოეტის ამ ფორმებით დაწერილი ლექსები მთარგმნელებს ყოველი შემთხვევისთვის გაურითმავთ. მოგვიანებით ვაციეტისის ლექსები თარგმნა რენე კალანდიამაც.

ლექსები, რომლებსაც ახლა გთავაზობთ, ავტორის ერთგვარი სადარბაზო ბარათებია. მათში წარმოჩენილია უმთავრესი მოტივები და განცდები, გაცხადებულია ის ძირითადი ინტონაციები, რომელთა მეოხებითაც მიუმცდარად ხვდებიან დამწერის ვინაობას.

ოიარს ვაციეტისის თავანკარა პოეზიის მძლავრი მდინარე ლატვიელთა სულებში ისევე ლაღად მოედინება, როგორც მისი საყვარელი გაუია სიგულდის თვალწარმტაც ხეობაში. ეს თარგმანები მე წარმომიდგენია ამ მდინარის პატარა ტოტად, რომელიც მტკვრის დაუდგრომელ ტალღებთან შერწყმის მერეც დამოუკიდებლად გააგრძელებს გზას ახალი მკითხველისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია სიტყვიერი მუსიკაა...

## (ოიარს ვაციეტისის ინტერვიუდან)

* * *

მეშჩანობასთან ბრძოლა ძნელი საქმეა: თუ მიზანში ზუსტად არ მოარტყი, შეიძლება მასვე წაეშველო. რა ძლიერად უტევდა ამ მოვლენას ვასილ შუკშინი! მე ვერ მოვითმინე და ვთარგმნე მისი ორი მოთხრობა „მამლის მესამე ყივილამდე" და „ენერგიული ადამიანები". აი, ასეთი შხამით უნდა მოვწამლოთ ის შავმიწა, რომელიც მეშჩანობას კვებავს.

* * *

ალბათ, მართლები არიან ის კრიტიკოსები, რომლებიც ბრალს მდებდნენ შეუთავსებელი რამეების ნიადაგ ერთმანეთთან არევაში. დავამატებ: თითქოს შეუთავსებელი რამეებისა. მე ხშირად ვმუშაობ რამდენიმე ჟანრის მიჯნაზე და დარწმუნებული ვარ, რომ ამას მოითხოვს ჩვენი დრო. შემთხვევითი როდი ხდება მნიშვნელოვანი აღმოჩენები სხვადასხვა მეცნიერებათა მიჯნაზე! ლიტერატურაშიც ასეა. სულ ახლახან ბულგაკოვის „ოსტატისა და მარგარიტას" თარგმნისას ჩემთვის გავიფიქრე, რომ ამ შესანიშნავ რომანში შერწყმულია ჭეშმარიტი პოეზიის, დრამატურგიისა და პროზის ღირსებები.

* * *

ზოგიერთები „სისუსტეებისგან" ფიზიკურად იღუპებიან, მეორენი წვრილმანი, არაიშვიათად კი სოციალურად საშიში ადამიანები ხდებიან. ერთი სიტყვით, მე როგორც მწერალი, ღრმადა ვარ შეშფოთებული აქედან გამომდინარე პრობლემებით. შეიძლება მრეწველობაში რამდენიმე თვის მანძილზე დანერგო ყველაზე გასაშტერებელი სამეცნიერო აღმოჩენა. მაგრამ ადამიანის ფსიქიკა ძნელად გადის ევოლუციას. და ადამიანის სულში ჩვენი ზნეობრივი ღირებულებების დანერგვაც ნელ-ნელა ხდება. ოღონდ დაჟინებით და ჯიუტად...

* * *

ჩემთვის მუსიკა სრულიად აუცილებელი რამაა. მუსიკალური ცნებებიც ზოგჯერ, ღმერთმანი, უფრო ტევადია, ვიდრე ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინები. მიყვარს სხვადასხვა კომპოზიტორები და ყველა მუსიკალური ჟანრი, გარდა ოპერეტისა. მე აქ, შესაძლოა, არ გამიმართლა. ჩემი სიყმაწვილის წლებში ოპერეტის ჟანრში ბევრი ვულგარული სისულელე ინერგებოდა... უმუსიკოდ მე გამიჭირდებოდა მუშაობა და, უბრალოდ, სიცოცხლეც.

* * *

მესმის მიზნის მკრეხელობა, მაგრამ მინდა შევეცადო ავხსნა შემოქმედებითი პროცესის უმთავრესი არსი. ეს ისევე ძნელია, როგორც სიზმრის ჩაწერა. შეიძლება იგი ჩაიწერო მიახლობით, ისე, რომ მკითხველმა დაგიჯეროს კიდეც. მაგრამ გარდათქმული სიზმრისგან არაფერი დარჩება. სიზმარი იყენებს რეალური სამყაროს „ჯადოსნურად" შეფარდებულ დეტალებს. გარდათქმისას კი სწორედ ის ჯადოსნური იკარგება. სიზმარი რეალურიცაა და ირეალურიც, ცნობიერიცა და ქვეცნობიერიც. მე მეწადა ოდნავ გამეღო სხვა მხატვრის შემოქმედებითი ლაბორატორიის კარი, გამომესახა მისი შემოქმედება, მეჩვენებინა მისი რეალური სარჩული და იმავდროულად შემენარჩუნებინა იმ ჯადოქრობის შეგრძნება, რომელიც მას ისევე, როგორც სიზმარს, ახასიათებს. ვფიქრობ, რომ ლიტერატურის ყველა ჟანრთაგან მსგავსი რამ მეტ-ნაკლებად მხოლოდ პოეზიას ხელეწიფება. ერთი სიტყვით, „საფორტეპიანო კონცერტის" შექმნისას მე მინდოდა სიტყვიერად გამომეხატა შემოქმედებით ექსტაზში ყოფნა.

* * *

პოლიფონია... ჩემს ლექსებში „ორი-სამი" ხმაა, რომლებიც სახეს „გვერდითი" მიმართულებით აღრმავებენ და ამავე დროს მიჰყავთ მთავარი პარტია. ეს „ხმები" ხშირად მხოლოდ მინიშნებულია, ისინი გათვლილია მკითხველის ინტუიციაზე, თანაშემოქმედებაზე... ერთი სიტყვით, ისევე როგორც არსებობს მრავალპლანიანი სიმფონიური მუსიკა, ასევე პოეზიაშიც ადამიანის სულის რთული მოძრაობა ითხოვს სიტყვიერ პოლიფონიას, სახეების პოლიფონიას, სუფთა ფონეტიკურ პოლიფონიას და თანაც რამდენიმე სხვადასხვა პლანში. პოლიფონიას მოითხოვს მთელი თანამედროვე ხელოვნება.

* * *

ჩემთვის დიდად მნიშვნელოვანია, როცა წიგნს დავამთავრებ, მას შეძლებისდაგვარად გავემიჯნო, ზურგი კი არ ვაქციო, არამედ სწორედ გავემიჯნო. სხვანაირად შემოქმედებითი ადამიანიდან მე ვიქცევი მრეწველად და წინა თემატიკისა და ტექნიკის ვარირებას დავიწყებ.

* * *

ჩვენს დროში ყველაფერს უნდა სწავლობდე, ყველაფერში მუდმივად სრულყოფილებას უნდა ელტვოდე. მათ შორის ლექსების კითხვაშიც. ხელოვნების ნებისმიერ დარგში გარკვევაზე,წვდომაზე უარის თქმა მკითხველის თავისებურ თვითგაძარცვად იქცევა. უკვე სავსებით ნათელია, რომ ევროპულ პოეზიაში მიდის ახალი ფორმების დაძაბული ძიება...

* * *

არაფერია კარგი ღვლარჭნილ, ყოველგვარი ზიზილპიპილებით დამშვენებულ ფსევდოსირთულეებში. მაგრამ არანაკლებ ცუდია საპირისპირო რამეც, – როცა ხელოვნურად ამარტივებენ ჩვენს რთულ, მრავალწახნაგოვან დროს. თანაც ერზაცი შეგვიძლია გამოვიცნოთ. აი, რთულის გამარტივებას კი ადვილად მივეჩვევით. ეს კი ნამდვილად საშიშია, – როცა მრავლისმომცველ და მრავალფეროვან თანამედროვეობას უფხო, უფერულ პრიმიტივად წამოგვიდგენენ. მოკლედ, არ შეიძლება რთულად ასახულ სირთულეს დავუპირისპიროთ უბრალოდ ასახული უბრალოება.

* * *

კლასიკა არასოდეს ყოფილა გასაგები და ნათელი ყველასთვის. მივესალმები იმ თვითდაჯერებულ ადამიანს, რომელსაც აზრად მოუვა ჩემი დარწმუნება, რომ იგი კლასიკას გაურჯელად იგებს! უფრო მოკრძალებულ ადამიანებს დღესაც შეგნებული აქვთ: დოსტოევსკი, მაგალითად, აქამდე არ გვესმის. ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ მასში წვდომას.

* * *

ვერლიბრი ჩვენში ოცდაათიან წლებში გამოჩნდა. მის გამოჩენას მე ვუკავშირებ პოეზიის ფარულ ინსტინქტურ ლტოლვას სათავეებისკენ, ლატვიური ფოლკლორის გაურითმავი დაინებისკენ. იყო დაინის ფორმის სწორხაზოვნად სტილიზების მცდელობა: სურდათ ამ ფორმაში უბრალოდ ჩაედოთ ახალი სიტყვები, თვით „ტრაქტორიზებამდე" და „ბრიგადებამდე". გამოვიდა ხალხური პოეზიის საშინელი პაროდია, სტილიზაციამ ვერ იხარა. ვერლიბრი კი მტკიცედ დამკვიდრდა და, მე ვიტყოდი, ამ ყველაზე თანამედროვე სალექსო ფორმამ გაამდიდრა ჩვენი პოეზია. თუ რითმიანი ლექსის მწირი შინაარსი შეიძლება შეინიღბოს პიროზითი ატრიბუტებით, – ზომებით, რითმებით, – ვერლიბრში ამას ვერ გააკეთებ, იგი შიშველი ლექსია. მასში ბოლომდე შიშვლდება ემოცია და აზრი. თუ მათ სიღრმე და დაძაბულობა აკლიათ, არანაირი ვერლიბრი არ გამოვა. ვერლიბრი რკინისებურ დისციპლინას მოითხოვს. მასში დასაშვებია შინაგანი რითმები, მაგრამ აუცილებლად არარეგულარული. თუმცა ვერლიბრს ყველა თავისებურად წერს. მე რაც შემეხება, ვერლიბრს იმიტომ მივმართავ, რომ კლასიკური სალექსო ფორმა, იდეალურიც რომ იყოს იგი, ზოგჯერ ვერ იტევს ჩემს სათქმელს. საჭირო სათქმელის გამოხატვის ორგანულმა აუცილებლობამ მიმიყვანა მე ვერლიბრამდე. ვერლიბრი საშუალებას იძლევა ერთი ლექსის ფარგლებში გამოვთქვათ იმდენი აზრი თავისი ემოციებით, რომ კლასიკურ ლექსში საამისოდ მთელი პოემა დაგვჭირდებოდა. ყველაზე რთულ სიტუაციებში მე ერთგულად მემსახურება სახელდობრ ვერლიბრი, თუმცა უარს როდი ვამბობ კლასიკურ ფორმებზეც. მინდა მკაფიოდ განვაცხადო: ჭეშმარიტად თანამედროვე პოეტს იმდენადვე მრავალმხრივი შემოქმედებითი არსენალი უნდა გააჩნდეს, რამდენადაც მრავალფეროვანია, თვით კონტრასტულიც კი, ჩვენი თანამედროვეობა.



* * *

იქნებ ეს ცუდიცაა, მაგრამ ზუსტი კლასიკური რითმა არ მაღიზიანებს მხოლოდ საბავშვო ლექსებში. მოზრდილთათვის განკუთვნილ ლექსებში კი იგი ყურით მოთრეული მგონია. ამიტომაც უმეტეს შემთხვევებში ასონანსით ვსარგებლობ. ხანდისხან ასეც ვიქცევი: ავილებ ერთმარცვლიან სიტყვას და სამმარცვლიანს

გავურითმავ... ჩემი წყვეტილი რიტმი სწორედ ასეთ რითმებს მოითხოვს, რათა სტრიქონი ზამბარასავით შეიკუმშოს. ეს ბეთჰოვენის ოთხ დარტყმასავითაა...

* * *

რამდენიმე სიტყვა მხოლოდ პოეტურ თარგმანზე (პროზის თარგმანი სხვა კანონებს ექვემდებარება). მაშ ასე, პირველი, რისი თქმაც მსურს, ისაა რომ უთარგმნელი ნაწარმოები არ არსებობს. მაგალითად, არსებობდა მოსაზრება, რომ შეუძლებელია მარინა ცვეტაევას რამდენიმე ლექსის ლატვიურად თარგმნა. ცხადია, რუსული ენის ლექსიკური მარაგი ლატვიურზე გაცილებით მდიდარია, მაგრამ ეს არაა საბედისწერო წინაღობა და, მგონი, მე პრაქტიკულად შევძელი დამემტკიცებინა, რომ ცვეტაევას პოეზია შეიძლება აჟღერდეს ლატვიელი მკითხველისთვის. პირადად ჩემთვის კი აღმოვაჩინე, რომ იგი სულიერად ჩემთან ძალიან ახლოს დგას. მეორეც, – მთარგმნელს შინაგანი თავისუფლება უნდა ჰქონდეს. სწორედ ამან შეიძლება ამოავსოს ხარვეზი დედნისა და თარგმანის არათანაბარ ლექსიკურ ფონდებს შორის. ...თუმცა საკუთარ პრაქტიკაში ჩვეულებისამებრ ვღალატობ საკუთარ თავს და ვთარგმნი შეძლებისდაგვარად მიახლოებულად, ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვებითაც. საერთოდ კი მიმაჩნია, რომ თარგმანში შესაძლებელია საკმაოდ დავშორდეთ დედანს. ვთქვათ, ზოგიერთი პოეტური ფორმულა ან სახე შევცვალოთ რაღაც ეკვივალენტურით... ოღონდ მასაც ასეთივე მძლავრი მუხტი უნდა გააჩნდეს. ასეთ შემთხვევებში მე არც კი მიმაჩნია, რომ თარგმანი „თავისუფალია". თუ ლექსის ზოგადი ზემოქმედება შენარჩუნებულია, არა აქვს მნიშვნელობა თუ რა ხერხითაა იგი მიღწეული. მთავარია შედეგი. ...თუკი პწკარედიდან ვთარგმნი, ვცდილობ ამ ენის სრულყოფილად მცოდნე მოვძებნო, რათა მოვუსმინო რეალურ ჟღერადობას, გამოვიკითხო ნიუანსები, ასოციაციები... ზოგიერთი სახის უზუსტობა, თუ ეს საკვანძო სახე არაა, მთარგმნელს უნდა ვაპატიოთ, ვალდებულიც ვართ ასე მოვიქცეთ. უზადო არც მისი ნახელავია... არ მიყვარს, როცა გარეგნულ ასლს ამზადებენ. იგი მუდამ ყალბია. მეორე პოეტში ჩვენი შინაგანი ორეული უნდა ვეძებოთ. ასეთ მიდგომას, ჩემი აზრით, არსებობის სრული უფლება აქვს.

* * *

მე ხშირად ვწერ სხვა ადამიანების სახელით, თუმცა ამაზე ყოველთვის არ ვუთითებ. მაგალითად, მეშჩანის სახელით. ამავე დროს ვამბობ ყოველგვარ საზიზღრობებს და ისეთი რამეებისკენ მოვუწოდებ, რომ კრიტიკოსს, რომელსაც ლირიკული გმირი პოეტში ერევა (ასეთი რამ კი კრიტიკოსებს ხშირად მოსდით!), თმა ყალყზე უდგება. უსაზღვროა მისი აღშფოთება: რა მოგვივა თუ მას მივბაძავთო. მაგალითისთვის ავიღოთ ჩემი ლექსი „ტარაკანის მონოლოგი". მე აქ მართლაც ნამდვილი ტარაკანივით ისე გულისამრევად ვმსჯელობ, რომ მეტი არ შეიძლება. ტარაკანი გადმოგვცემს თავის ფილოსოფიას, მაგრამ მიაწერეთ ეს აზრები თვით პოეტს და შეგიძლიათ იგი რაშიც გნებავთ დაადანაშაულოთ. ივან დრაჩმა, რომელმაც „მონოლოგი" უკრაინულად თარგმნა, საყვედურების „შესაბამისი" პორცია მიიღო...

აქ პრობლემა ობიექტურია: ირონია ყველას როდი ესმის. ყველას როდი აქვს იუმორის გრძნობა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მწერალსაც აქვს უფლება, მკითხველს ზოგი რამ მოსთხოვოს! ძაგების კეთილმოსურნეობის სურვილი. რამდენადაც სრულიად სერიოზული სტრიქონებიდან მე ხშირად ყოველგვარი მომზადების გარეშე გადავდივარ კრიტიკულზე, გაუგებრობები საკმარისად ხდება.

* * *

ლექსი შეიძლება სრულიად მოულოდნელ მომენტში იშვას. თუ არ ჩაიწერე, დაიკარგება. ამიტომ მაგნიტოფონს გვერდიდან არ ვიშორებ. ღამით, მაგალითად... ათი დაწერილი ლექსიდან ცხრა ჩემი მაგიდის უჯრაში რჩება და მხოლოდ ერთი იბეჭდება. არა იმიტომ, რომ დანარჩენი ლექსები ცუდია. ხშირად ისინი მხატვრის ესკიზებს უფრო ჰგვანან. მომზადებულ მასალებს ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობი მომავალი ნაწარმოებისთვის. ზოგჯერ ეს ჩემს მიერ ადრე დაწერილის პარაფრაზია, სადაც მე რაღაც ვერ ვთქვი ბოლომდე. თვითგანმეორების თავიდან ასაცილებლად ასეთი ნაწარმოებების „არქივში" ჩატოვება მიწევს. თანაც დიდი სამუშაო განუსაზღვრელ თავისუფალ დროს და განმარტოებას მოითხოვს.

* * *

პირველი ლექსი ექვსი წლისამ დავწერე. მიზეზი დედა გახლდათ და არა შთაგონება ან დროის მოთხოვნა. მე ბევრი ლექსი ვიცოდი და მათ ზეპირად ვკითხულობდი. ბოლოს და ბოლოს დედამ მითხრა, თვითონ დაწერე რამე და მაშინ მოგისმენო. აქამდე გაოცებული ვარ, მსგავსი „ტერორის" პირობებში როგორ შეიძლებოდა დაბადებულიყო ასეთი სტრიქონები: „ადამიანი, რომელიც გარეჯაში გაიზარდა, თანაუგრძნობს ახლობლებს. ადამიანი, რომელიც გარეჯაში არ გაზრდილა, ახლობლებს არ თანაუგრძნობს". აი, სულ ესაა პწკარედულ თარგმანში. თუ უფრო სერიოზულად ვიტყვი, პირველი ლექსები იშვა გაცილებით გვიან და ისინი რაღაცით დღიურებს ჰგავდნენ, რომ-

ლებსაც ფარისევლურად, მაგრამ ამავე დროს ბეჯითად ვუმალავდი თვით ყველაზე ახლობელ მეგობარსაც, იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს მათ ვიღაც მაინც ნახავდა და წაიკითხავდა... ყურადღების ღირსი პირველი ლექსები 1953 წელს დავწერე, უკვე უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მანამდე უბრალო შეგირდობა იყო.

* * *

ჯერ კიდევ ლიტერატურული შეგირდობის დროს წავაწყდი ასეთ მოვლენას, რომელიც დღემდე გრძელდება: მაგალითად, ჩვენი კლასიკოსი პოეტი რაინისი სასკოლო პროგრამებში ისეა წარმოდგენილი, რომ თუ გულახდილად ვიტყვით, მოსწავლეს მისი შემოქმედებისადმი მხოლოდ ზიზღი შეიძლება გაუჩნდეს... რაინისი მე ჩემთვის ხელმეორედ აღმოვაჩინე იმ კარებიდან, რომლებიც სასკოლო პროგრამებში დახშულია.

* * *

ჩემი თაობიდან ლიტვაში ჩემთვის ახლობელია ალგიმანტას ბალტაკისი. ხშირად ვყოფილვარ „შეშფოთებული", რომ რუსეთში ევგენი ევტუშენკოს ან უკრაინაში დმიტრო პავლიჩკოს ზუსტად ისეთივე ლექსი არ დაეწერა, როგორიც მე დავწერე... სწორედ ამის გამო ოთხჯერ გავანადგურე უკვე მზა ლექსი. და ამაში ორჯერ „დამნაშავე" იყო ევტუშენკო.

* * *

არა მგონია, რომ ჩემი ლექსები რაციონალური იყოს. მე ვფიქრობ, რომ ერთმანეთში ურევენ ორ რამეს: ეკონომიურობას და რაციონალიზმს. რაციონალიზმი მშრალია. მე, უბრალოდ, სახეებში ძალიან ძუნწი და ხელმომჭირნე ვარ. რაციონალიზმი ხელოვნურია. მე ზოგჯერ მსაყვედურობენ, რომ ჩემი ლექსი თვალშისაცემია, მაგრამ ეს არაა გაპირობებული ხელოვნური მკაფიოობისკენ ლტოლვით. ესაა უკიდურესი ტევადობისა და შინაარსობრივი დატვირთულობისკენ სწრაფვა. ამიტომაც ჩემი ყველა პოემა მოკლეა.

* * *

თუ ხელოვანი დარწმუნებულია საკუთარ სიმართლეში, ვალდებული არაა ყური უგდოს რჩევებსა და დარიგებებს. ხელოვანმა საკუთარი გზით უნდა იაროს – თვით იქამდე, რომ ზევრ საკუთარ მკითხველთან კონფლიქტი მოუვიდეს.

* * *

პირველი. თუ რიგით ადამიანს გარკვეულ ვითარებებში დუმილი შეიძლება ეპატიოს, პოეტი, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ხალხის სულის სარკეა. მას აქვს დაეჭვების, შეცდომის უფლება, მაგრამ დუმილის უფლება არა აქვს. როცა დრო მოითხოვს, მან ხმამაღლა და პირდაპირ უნდა თქვას თავისი სიტყვა.

მეორე. მე მიყვარს ფანატიკოსი ხელოვანები. ვპატიობ მათ ყოველგვარ ახირებას, ყოველგვარ უკიდურესობას, ყოველგვარ „გადაჭარბებას", თუ ეს ხელოვნებისადმი ერთგულებითაა ნაკარნახევი. არსებობს პროფესიული „ახირებანი". ერთნი ვერ ძლებენ თავიანთი მკითხველების გარეშე, მეორეთ კი მარტოობა სჭირდებათ. გარდა ამისა, არსებობს ბოჰემა, რომელიც ცდილობს ჩაითრიოს მწერალი იმიტირებულ „ლიტერატურულ ცხოვრებაში". მათ ხომ აქვთ არამარტო თავიანთი წრე, არამედ საკუთარი „ლიტერატურაც". იქ მოქმედებს ასეთი პრინციპი: რად გინდა წერის ცოდნა, გაერთე მწერლობანით!..

ყველაზე მეტად მახარებს ლატვიის ლიტერატურული ახალგაზრდობის დაუცხრომელი ლტოლვა ზნეობრივი სრულყოფილებისკენ. იგი ჩემი თაობის მსგავსად ომში არ გამობრძმედილა. ძნელია მათი მხატვრული ძიებები. და მაინც ისინი იპოვიან საკუთარი თაობის კრედოს.

*ლატვიურიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ*



ეროვნული ბიბლიოთეკა

## შემოქმედებითი პროცესი

შემოქმედებითი პროცესი. ნიურნბერგის.
მე მასამართლებენ დღეს.
ვინც ეშმაკობს, აქაოდა, ბრძანებას ასრულებდაო,
მხედრის ბრალს
ჰკიდებს ცხენს.

პროცესი. დაცვის სკამზე – არავინაა.
მაგრამ რა აუვა პროკურორს ამდენს.
მხოლოდ როცა საბოლოოდ გამოიფიტე –
მართალი ხარ ცამდე.

დამნაშავე. მართალი. დამნაშავე. მართალი.
შენ უკვე ჩაუსტვინე. ნუ გელის ნურავინ შინ.
თავზე სათლით ცივი წყალი გადაისხი –
და დაიძვრება პროცესი წინ.

* * *

განა მართლა ხისგულად იზრდებიან ხეები...
თეთრი ღინლლი გუნდებად მიჰქრის ალუბლებიდან,
მოჩანს თეთრ კუტიკართან თეთრი ბერიკაცი და
ის თეთრ მზერას აყოლებს ყველა გამვლელ-გამომვლელს –
ყველას ვინც კი გულღრძოა და ვინც გულკეთილია
და არსაით მიმავალ ქუჩაზე მიაბიჯებს,
კიდევ ასი ნაბიჯიც, რომ დარწმუნდნენ თვალნათლივ:
აქ მთავრდება ქუჩების ნომრებიც, სახელებიც.
მერე – მარადისობა, მინა და ხეებია,
ის ხეები, პირში რომ მიახლიან სიმართლეს
ლაჟვარდს, უსასრულობის სიღრმეში მაცქერალნი;
ცის სილურჯეს ერთხელაც ხე შეკითხვით მიმართავს:
თქვი, მუდამ ეკუთვნოდი ყველას, უდიადესო,
ამიტომაც ყოველთვისხარ ალერსის ლოდინში?

განა მართლა ხისგულად იზრდებიან ხეები...

* * *

იარე, ბრმაო,
შენ ამ გზაზე მე გადაგიყვან.

მანქანები, მგონი, მიმოიფანტნენ,
მეეზოვენი, მგონი, გამცონარდნენ,
ასფალტი ვერაგულად მოლიპულია.

ოჰ, როგორ ვსტყუი!

ეს ხომ მე თვითონ მჭირდება –
ეს პაწია სიამოვნება:
ბრმა გზის გადაღმა გადავიყვანე!

ოჰ, როგორ ვსტყუი!

მეც ხომ თვითონ
იქით მივალ,საითაც ის ბრმა,
მე ხომ თვითონაც არ ვიცი კარგად,
საით მივდივარ...

ვეძებ წინამძღოლს.
აჯობებს თუ ის ბრმა იქნება.
ბრმები არასდროს მოჰყვებიან
უქმად ხეტიალს.

## ყვითელბუშტიანი სილვია

როგორ აღმოჩნდი, გოგო სილვია,
ყვითელი ბუშტით ხელში
ჩემს გზაზე,
დღეს აგრერიგად შავად რომ ელავს?

გამომეცხადე, თითქოს ვინმემ გამოგაგზავნა.
შემინდე, ეს ხომ ჟღერს სულელურად...

მე შემიძლია სიშავეზე მოგითხრო ბევრი,
შავად ჰყვავიან ახლა ჩემი ვაშლის ხეები.
შემინდე, მე კვლავ სიბრიყვეს ვჩმახავ...

გოგონავ,
ხელში ყვითელი ბუშტით,
შემინდე-მეთქი მე, ტანმძიმეს –
დაბლა დაშვებული
მზის სხეულივით
ჰაეროვანო.

შავ შარაგზაზე,
თითქოს შავ გველზე,
მე მოვაბიჯებ შენს შესახვედრად.



## ჩაკი I

ნუ გადათელავთ –
ტროტუარზე ჩაკის გული დევს.

სხვა ტროტუარზეც,
ზეპნიეკალნით ვიდრე სარკანდაუგავამდე,
და კენგარაგსშიც, აშენდება როდესაც იგი –
ნუ გადათელავთ ტროტუარებს –
იქ მისი გული ასვენია.

მას ბევრნი ისეც ხშირად თელაედნენ.
მათთვის დიახაც სულ ერთია, სად ითელაონ –
ყვავილთა ნოხზე,
ტრიბუნათა საფეხურებზე,
ნაიარევზე
თუ ადამის ძეთა გრძნობებზე.

ახლა ისინი ყვავილებს რწყავენ
და თავის თავში იქექებიან.

რაც ჩაკმა ნახა – მათ ველარ ნახონ.
რაც ჩაკმა მოდგმას დაუტოვა, – მათი როდია.

და ეს იმიტომ, რომ დიდი და სნეული გული
ამ ცისქვეშეთის ან გაცვეთილ ტროტუარებზე
დატოვა ჩუმად თვითონ პოეტმა,
შუბლი რომლისაც მოგვაგონებს პლანეტარიუმს.

და როცა შენი საკუთარი გულით მოდიხარ,
ის კი მდუმარებს,
და როცა რიგა გულუხვად აფრქვევს
საკუთარ ქვათა ნაღვლიან ღიმილს,
შენ შეანელებ ნაბიჯებს, აკი
ქუჩა ქარბუქით შეთეთრებულა –
– ჩაკი.

ელავს რეკლამა, ჯადოქრულად წკრიალებს ჩანგი:
– ჩაკი.

ასფალტს მარმაში დაჰფერია, გამოჩნდა რაკი:
– ჩაკი.

მოგჩერებია ქალიშვილი ვნებიან მზერით,
ყვირის თვალებით, რაც ვერ უთქვამს დაშაშრულ ბაგით,
რომ ეს შენა ხარ, ბოლოს და ბოლოს –
ჩაკი.

შენში თანდათან მაღლა იწევს სინაზე შმაგი,
როგორც სინდიყი, თერმომეტრს რომ გახეთქავს:
– ჩაკი.

სარკმელში გიტარის ხმა ისმის.

მართლაც, რად უნდა წაიწყმიდო ამქვეყნად სული,
თუკი თვითონაც გყვარებია?

ტყუილად როდი უკიდებენ ტროტუარები
ხანძარს ფეხსაცმლის ლანჩებს ისე, რომ მართლაც გჯერა:
ყოველ მათგანში –
გულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩაკი II

რისი თქმა სურდა მას ამით ნეტავ?

მისი, რაც გვითხრა.

იგი მოკვდა და არ დაგვიტოვა
მცნებები,სულის ცივ ბეტონში
ჩატანებული.
სამაგიეროდ დაგვიტოვა
ცივი ხელებით
რომანტიკოსთა და შფოთისთავთა
გაოცებული ფართო თვალები,
ჩვენ მათი გზნება დაგვიტოვა,
მინის ბოჭკოზე
უსათუთესმა,
საკუთარ თავში მსხმოიარემ, მოეჭვიანემ,
როგორც გოლიათ მუხაზე კვირტმა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

როდესაც დგება ძველ ქალაქში
ჩაის საღამო,
რომელსაც ენით ველარ გამოთქვამ,
რომლის ტრფობით და ხოტბა-ქებით ველარ გაძღები,
ზენა ფიქრები, ისე როგორც ოწინარები,
იძირებიან პოეზიის დიდ საგანძურში,
მის მთრთოლვარე და ნათელ სივრცეში,
რათა ბოლომდე ამოხაპონ.

სიძველეებთან
შერეულია
ფორშტადტის კვნესა საფაბრიკო
და ყრუ ტკივილი წელის არეში,
ბიჭი ცხენია გახვითქული,
ხოლო გოგონა კი ორქიდეა,
და მათ თავს ზემოთ ბროლის ჭაღივით
კიდია მთვარე,
საბოლოოდ, მზის ამოსვლამდე – ახ! –
თვით მეფეებსაც ამნაირად არ ჰყვარებიათ.

და დამსხვრეული შუშის წკრიალი...

სხვადასხვა ჯურის გოროდოვოები
იქექებოდნენ მისი სულის ნაზ სათბურებში,
აყოლილები საკუთარ ბოდვას.
ულვთოდ ლეწავდნენ სათბურის მინებს,
როგორც ქუსლებით ცინცხალ ყინულს უბირთა მოდგმა.

და მაინც ჩაის სათბურებში ჰყვაოდნენ უხვად
ყველასთვის, ვინც კი მიმოფანტა ექვის ჩრდილები,
ენით უთქმელი სურნელის მქონე
აუწერელი სილამაზის ვარდ-ყვავილები.

აგერ, სულ აგერ, თქვენ გრძნობთ კიდევაც, –
გადაღმა წლების ომების და სიკვდილის შავის,
ის უჩვეულოდ ფაქიზი და ნარნარი სული
ამო სურნელად იფრქვევა,
ჰყვავის.

რისი თქმა სურდა მას ამით,ნეტავ?
მისი, რომ გვმართებს ჩვენ სიემმაკე.

გოროდოვოებს რომ არ შერჩეთ ჩვენი სადავე,
რომ ავიშოროთ სიფათი ავი,
მოეიკატუნოთ ჩვენ უნდა თავი,
ვიყოთ ცოცხლები, მაშასადამე.

განვიბნეთ ირგვლივ იასამნის ამო სურნელად,
გარდავისახოთ უცებ კაცად და
დავრჩეთ კაცადვე
სამარადისოდ.

**ტარაკანის მონოლოგი**

კაცნი სიბრიყვეს როშავენ ხშირად.

თუ ვინმე ცდილობს შეკამათებას
და არ იჯერებს რომ ნამდვილი ვარ –
ბოდიშს მოვითხოვ! –
მამაჩემიც, ბაბუაჩემიც
და ჩემი ყველა ორასი ძმაც
ვართ წმინდა სისხლის ტარაკანები.

და ამიტომაც მე ვიმეორებ:
კაცნი სიბრიყვეს როშავენ ხშირად,
თუ გნებავთ სულაც აგერ, ა, ჩემზე.

რატომ აქ ცხოვრობს და
არა იქო.

წესრიგი სახლში?
კედლებს შიგან მყუდრო ხვრელები?
სამზარეულოს მაგიდაზე მუქთი ხორაგი?

ჩმახია! მეტიც, სულელური საბაბი გახლავთ.
მე ვაკვირდები,
როგორია თვით მასპინძელი!
ჩემთვის მთავარი მაინც კაცია.
ავიღოთ თუნდაც მეზობლის ბინა.
მე არასოდეს იქ არ გადავალ.
იქ დღენიადაგ სალებავის სუნი ტრიალებს
და მეზობელი ხატავს ტილოზე
მიწყივ მავანთა უშნო სიფათებს.
არც მათთან წავალ,
ვისაც ის ხატავს.
თუმც იქ კედლებში ხვრელებია ისეთი – ოჰო!
იქ იმდენია ჭუჭყიც – ოჰო-ჰო!
მთელი სახეთქი ტაბურეტზე იქ ისე ყრია,
უნდა იძახო სულ: ოჰო-ჰო-ჰო!

მე, სულ ერთია, იმ ბინაში ცხვირსაც არ შევყოფ,
თუნდაც იქ მთელი კვირეობით
არავინ იყოს.

ველარ შემათრევთ
ძალით მე სხვა მეზობლებთანაც,
თუმცა ისინი შინ მარტოდენ
ღამეს ათევენ,
თანაც კვირაში მხოლოდ ერთხელ,
ისიც კვირა დღით.

იქ კვირაობით საქმე მგონი მთლად ცუდადაა:
ხანაც ლოთობენ,
ხანაც მღერიან,
ხანაც ყველაფერს აყირავებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ, რა თქმა უნდა, შეიძლება კარგად ცხოვრება,
ნოხს უკან ჭუჭყსაც იპოვი ბლომად,
განსაკუთრებით ორშაბათობით,
და არც სათქვლეფი დაგაკლდება,
მაგრამ იქ ი ს ე თ რ ა მ ე ს ფიქრობენ,
ი ქ ი ს ე თ რ ა მ ე ს ლაპარაკობენ,
შინაურულად თავს ნამდვილად ვერ ვიგრძნობ, ვერა.

არას დიდებით იქ არ გადავალ.
და საერთოდაც,
გულახდილი თუკი ვიქნები,
იქ, სადაც ახლა მე მიდევს ბინა,
არცთუ ბრწყინვალე საცხოვრისია.
ხვრელებს კედელში
მიწყივ გლისავენ –
თუნდ ადექი და სხვა ფართობი ეძებე სადმე.

ოთახებს ისე გულდაგულ ჰგვიან,
რომ ბეწო მტვერსაც ველარ იპოვი,
სანოვაგესაც ისე მალავენ,
თუნდ შიმშილობა გამოაცხადე.

მე მაინც ვითმენ.

რადგან მთავარი
კაცია, კაცი!
როცა ისინი ლაპარაკობენ,
შენ მათ ყურს უგდებ, როგორც მუსიკას,
თითქოს ისინი კაცნი კი არა,
არიან ნაღდი ტარაკანები.

აი, რა ხდება.
ხოლო ბრიყვნი ასე ლაყბობენ:
ჩვენთვის მთავარი
ხვრელი, ჭუჭყი და სათქვლეფია!
ეს სიბრიყვეა! ტარაკანი,
ჭეშმარიტი ტარაკანი,
რკინისებურად პრინციპულია!

### გველოდება წყალდიდობა

დავიტბორებით,
ჩვენ – უნავოებს
წყალი ყელამდე მოგვწვდება
და მოგვიწევს
ფრენა.

რაკი უკეთესს ველარ ვიშოვით –
ჩვენ ნაღდად ფრთების მოწვნა მოგვიწევს
შარშანდელ რუხ
ლაქაშისაგან.

შენ გაბედულად მოიზომე
ლაქაშის ფრთები,
ის ლაქაშიც ხომ იმ მიწაზე ამოიწვერა,
სადაც შენ იშვი.

ლაქაშს მრავალი რამ შეუძლია –
ნავის მოთოკვა,
შეჩერება მრისხანე ტანკის,
და სალამურად გადაქცევაც,
დე, მის ჰანგებზე
უწმინდურმა წრე დაუაროს.

მალე იხუვლებს ეს წყალდიდობა –
და ჩვენც ამიტომ გვჭირდება
ფრთები.

### სიმღერა გონშეშლილ ლიზაზე

*(ციკლიდან: „დასასტვენი სიმღერები")*

თუ გსმენია: ამ ღამით დაიწყება გრგვინვა,
გონშეშლილო ლიზა, გონშეშლილო ლიზა,
მოდი შემოგიკედლო, დაგავიწყო გმინვა,
გონშეშლილო ლიზა.

საქორწილო ალაპზე, გონშეშლილო ლიზა,
გონშეშლილო ლიზა, გონშეშლილო ლიზა,
დუმფარების თაიგულს დაგიწნავენ ჭინკები,
გონშეშლილო ლიზა.

მოკვდები და ჩემს გვერდით, გონშეშლილო ლიზა,
გონშეშლილო ლიზა, გონშეშლილო ლიზა,
დაგმარხავენ ჭაობის ანცი ეშმაკუნები,
გონშეშლილო ლიზა!

მერე განგვსჯის ორთავეს გულმოწყალე უფალი,
გონშეშლილო ლიზა, გონშეშლილო ლიზა,
ოღონდ ჩვენ არ ვიქნებით, მაშინ ჩვენ არ ვიქნებით,
გონშეშლილო ლიზა.

გარეკავენ ბავშვები, გონშეშლილო ლიზა,
გონშეშლილო ლიზა, გონშეშლილო ლიზა,
ნახირს ჩვენს საფლავებზე ბედთან შეთამაშებით,
გონშეშლილო ლიზა.

### ლანდი

მიწისქვეშეთში
აღარაა ლანდი საჭირო:
იქ ყველაფერი
მხოლოდ ლანდია.

და შენც ლანდები
აჩუქე სულდგმულს:
საფარნე ბოძებს,
ოქროსფერ ხეებს...

რაც კი ანათებს,
ის ცოცხალია
და შეუძლია გაჩენა ლანდის.

ო, შენ იყავი ისე ნათელი,
რომ თვით ყველაზე პირქუშ დღესაც კი
ტრფიალი შენი
ლანდებს აჩენდა.

**დაფიცება**

შესდექ ჰაერში, მალო ისარო,
ნუ დაეწევი ჩიტს მოჟღურტულეს,
დაბრუნდი ისევ ოქროს კაპარჭში,
ხე გახდი, როგორც აქამდე იყავ,
მოისხი ხშირი მწვანე ფოთლები
და ყვავილები აივსე ნექტრით,
ნუ დაეწევი ჩიტს მოჟღურტულეს
მას ხომ ბუდეში ბარტყები უზის, –
შეუბუმბლავნი, პანაწინები...

**ადამიანი**

მრცხვენია,
რომ ვარ ადამიანი
ამ აურაცხელ სულდგმულთა შორის
და სალანძღავი მეტსახელი ვხდები, მგონია.

ვირი აგინებს ვირს ამგვარად:
– კაცო,
ქუჩაში რატომ დგახარო!

ხე ხეს აგინებს:
– რად იქცევი მართლაც კაცივით,
ფესვებში ხელს რად მიფათურებო!

და ნაგვის ხოჭოც ეუბნება მეორე ხოჭოს:
– ჰეი, კაცუნავ,
ველარ ნახე ძროხის სხვა ფუნა?..

ეს ნაღვლიანი ხუმრობა გახლავთ.
იგინებოდნენ მაინც ნამდვილად!..

მაგრამ ამქვეყნად სულდგმულთაგან
ადამიანის
გარდა არავინ არ იგინება.

* * *

შენ ჩემს ხელებზე წევხარ, როგორც თოვლი გულმშვიდად,
წევხარ მსუბუქად, როგორც თოვლი ნაძვის ტოტებზე,
ტყის განაპირას ისვენებენ თეთრი ქარები,
რადგან მათ შენი გაღვიძება არ ბრძანებიათ.
დუმს გზა-სავალი – დღეს აქ მგზავრი არ გამოჩნდება,
დუმს იატაკი – მას არავინ ფეხს არ დაადგამს,
დუმს თვით დარბაზი საკონცერტო, ვით ფუქი ფიჭა
და როიალთან მუსიკოსი თვლემს თმაჭაღარა,
ზის გენერალი და აბოლებს ჩუმად ყალიონს,
ეჰ, არც კი იცის, ვის ან რისთვის უნდა ესროლოს,
და როგორც ნაძვზე, მის მიმნდობლად გაშლილ ტოტებზე,
შენ ჩემს ხელებში განაბული წევხარ თოვლივით.

**რიგაში ქარბუქია**

საღამოს ბინდბუნდს,
საორღანო კონცერტის მსგავსად,
მოჰყვა ქარბუქი საზეიმოდ.

ჯერ მოფარფატე ფიფქების გროვად,
მერე ერთიან ქათქათა ფარდად
დაეშვა თოვლი ცის საცავიდან.

თოვლსაწმენდები
ხარბი თათებით
მყის იტაცებდნენ ზეციურ ნაყინს,

იტაცებდნენ და ყრიდნენ ძარაზე.
მაგრამ ამაყად მორთხმული თოვლი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მედიდურობდა: „მე მანქანით მოვემართები,
შენ კი ფეხით!“

შეხე ამ თავხედს! მე აქ თოვლი დავაგუნდავე
და მოვისროლე უმალ ძარაზე.
მაგრამ გაქროლდა იქედნურად პირმოლიმარი
ის თეთრი გუნდა მანქანით შორეთს.
მე სულ არ მსურდა მანქანაში ჩაჯდომა იმ დღეს –
გარშემო რაც კი ფარანი იყო,
თოვლის ფუმფულა წარაოთი კოპწიაობდა,
ხოლო ბულვარის ყველა მერხი თეთრ სავარძლად
იყო ქცეული.
ასეთ ამინდში რა სჯობს მართლა ფეხით სიარულს,
როცა ტრამვაის ერთიანად თოვლდასეული
ჩვეულებრივი ზარი გაისმის
მტრედის უწყინარ ღუღუნივით.



ო, რა მძვინვარე ქარბუქი იყო!
თვით ერთი ჩემი ახლობელი,
საკუთარ თავის
გარდა არავის რომ არ აფასებს,
და გინებაში არცერთ ბოცმანს ტოლს არ დაუდებს,
ჩემს შესახვედრად მოდიოდა,
სიმპათიური,
ვით ზღარბი თოვლით გადაფიფქული...




**ფოთლების დაწვა**

*ხელნაწერები არ იწვის.*
***მ. ბულგაკოვი***

ო, რა კლავირი ელავს ნაბლქვეშ!
ო, რა თითები!

ჰოი, როგორი რომანებია
დაკირძილ ცაცხვქვეშ!

შუქის მართლაცდა რა სახოტბო სიმღერებია
მუხის ლამპარქვეშ!

ლექსთა მართლაც რა ცეცხლოვანი საბავშვო გუნდი
ჩანს არყის ხის ქვეშ.

დაიწვებიან. დარჩება – ფერფლი. შენ კი ხნიერო დედაკაცო, შავ სამუშაოს თუმც არ ასრულებ, მაინც არ ხარ თავისუფალი. შენ შეელიე გაწელილი შენი ცხოვრების სულ ერთ წელიწადს, ერთ წელიწადს, მაგრამ დიდად პატივცემულო, მარადისობას არაფერი არ ეკარგება, არც წელიწადი, არც მცირედი ნამცეცი წამის. და უნდა გითხრა საყვარელო, როდესაც იწვის ეს გაზაფხული, ეს ზაფხული და შემოდგომა, სინამდვილეში ყველაფერი იწვის გაისად, მხოლოდ გაისი ფერფლავს ყველაფერს, მე კი თითქოსდა შენმა კვამლმა დამაბალზამა, და შენც, – გრძნეულო, ჩვენ ორივე ამ წამს ჩავწვდებით არსს, გულისგულს, ყოველივეს, რაც ჩვენამდე უკვე მომხდარა, და მასაც, ჩვენი წასვლის მერე რომ უნდა მოხდეს.

***ლატვიურიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ***

# პოეტური გარჯის შესახებ

*ოიარს ვაციეტისი*

* * *

...ყველა მწერალი თავისებურად მუშაობს: რამდენი პოეტიცაა ამქვეყნად, გალექსვის ხერხიც იმდენია, თუმცა შორიდან, ალბათ, ისე ჩანს, რომ ეს ხალხი ერთსა და იმავე საქმეს აკეთებს. მე ისე გამომდის, რომ ლექსებს, კაცმა რომ თქვას, კი არ ვწერ, არამედ ვიწერ. ლექსები განუწყვეტლივ მებადება და ხეირიანად არც ვიცი, ეს ქვეცნობიერად თუ ხდება. შესაძლოა, ახლაც ამ მომენტშიც ლექსი ითხზვებოდეს... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ უკანასკნელი წვეთის დაცემისას ვგრძნობ ლექსის უკანასკნელ შეხებას, როცა ის მზადაა. მაშინ დაუყოვნებლივ უნდა დავჯდე და ჩავიწერო იგი. ეს უდიდეს ძალთა მოკრებას მოითხოვს, რადგან დაუშვებელია გამოგეპაროს რაიმე არსებითი, რათა რაიმე გონისმიერმა და გარეშე მოსაზრებებმა ან რაღაც მათმა მსგავსმა არ შეაღწიოს მის არსში. ლექსი ისეთად უნდა ჩაიწერო, როგორიც არის. მეორეც, და ეს ჩემი უბედურებაა, მე არ შემიძლია რაიმე არსებითი შევცვალო უკვე დაწერილში. სამუშაო დღის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი რამე დაგროვდა ჩემში. შემიძლია ვიმუშაო ორი საათი, შემიძლია ვიმუშაო საათი თუ თორმეტი საათი, თუმცა მქონია შემთხვევა, როცა ოცდაოთხ საათზე მეტიც მიმუშავია. მოკლედ იმდენი, რამდენიც საჭიროა, რადგან სამუშაოს შეწყვეტა, მასთან კვლავ დაბრუნება და დაწყებულის გაგრძელება შეუძლებელია. მაგალითად, როცა ვწერდი პროზაულ წიგნს „იმ დღეთა თვალით", დღე და ღამეს ვასწორებდი და ვიტოვებდი მხოლოდ იმდენ დროს, რაც ფიზიკურ ძალთა შესანახად მჭირდებოდა.

* * *

ორმოცდაათი წელიწადია დავეხეტები საწუთროს გზებზე, აქედან თითქმის ოცდაათი წელი – ლიტერატურის სამზარეულოებსა და სამეჯლისო დარბაზებში და ამ ხნის მანძილზე ათი ათასჯერ შევკითხივარ საკუთარ თავს: რას ნიშნავს შენთვის პოეზია? და პასუხი ყოველთვის კატეგორიულად მიუღებელი ყოფილა. ჯუჯა მცენარესავით მახინჯი, წამიერად უტილიტარული და უნამუსო – პირდაპირ საჩინოდ უნამუსო. იმიტომ რომ ჭეშმარიტი პასუხი სხვადასხვა დროს საკუთარი თავისადმი მიცემულ პასუხთა ჯამშია საძებნი. ამ ჯამის კვადრატულ ფესვში. მაშინ კი გამოვა, რომ პოეზია სიცოცხლე ყოფილა. მარიეტა შაგინიანმა კიდევ უფრო მკაცრი განსაზღვრება მოგვცა: ხელოვნება ხელობა კი არა, არსობის წესია, ყოფის წესი. ეს ფორმულა იდეალია, რომელსაც მხოლოდ ცოტანი აღწევენ, იმიტომ რომ მათი უმრავლესობა, ვინც ხელოვნებას ემსახურება, ხელოვნებისთვის თავგანწირვას კეთროვანებად მიიჩნევს, სიტყვა „მსხვერპლშეწირვა" მათ ლექსიკონში არ არსებობს და თვით ასეთი ცნება მათთვის უცნობია.

პოეზიის ცხოვრებად აღქმა მხოლოდ ასპროცენტიან პროფესიონალებს ძალუძთ, რომლებიც მაშინ მუშაობენ, როცა სურთ. შემოქმედისთვის, რომლისთვისაც ხელოვნება ყოფის წესია, არ არსებობს არც სადაგი დღეები, არც თავისუფალი დრო. არც შეიძლება არსებობდეს. მისი სულიერი სამყარო უწყვეტ შემოქმედებით პროცესშია, ისევე როგორც უწყვეტია მისი ფიზიკური სიცოცხლე. სქოლასტიკოსები იტყვიან, ასე არ შეიძლება იყოსო. მედიკოსები განაცხადებენ, ეს აბსურდიაო. ცხოვრებისეულ სიკეთეთა გულითადი მომხმარებლები და შინაური მუქთამჭამელები იკითხავენ: მაშ, როდისღა იცხოვრებო?

შევეცდები უბრალოდ და გასაგებად ავხსნა უმთავრესი, რაც შემოქმედებით მდგომარეობაში მუდმივად ყოფნის არსს წარმოადგენს. შემოქმედებითი მდგომარეობა გახლავთ სამყაროს შესრუტვა და ამ შესრუტულის პიროვნების პრიზმაში გავლით უკან დაბრუნება. პრინციპში ეს პროცესები ერთსახოვანი და უწყვეტია და ერთდროულად მიმდინარეობს. ჩვენი სუსტად შესწავლილი ცნობიერების მიერ სამყაროს შესრუტვა ხდება ყოველთვის და ყველა შესაძლო ფორმით და წყდება მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი გონებას კარგავს. ხელოვანები არ ისვენებენ? ისვენებენ. მაგრამ მათი სულიერი მტვერსასრუტი? თუ შეიძლება ასე ითქვას, მსოფლიო სიკეთისა და ბოროტების მტვერსასრუტი, ყოფითი გაგებით არ ისვენებს, რადგან დასვენება მათთვის აქტიურობაა და არა ნირვანაში ჩაძირვა. პოეტი არ დადის კინოთეატრებში? როგორ შეძლებს იგი რაიმეს დანახვას, თუკი მარტო ზის და რითმავს? პოეტი დადის თეატრში. სამყაროს შეწოვა სრულიად თავისუფლად შეიძლება ხდებოდეს სხვა ხელოვნების მეშვეობით. კი მაგრამ ძილში? მე უკვე ვთქვი, რომ ჩვენს ქვეცნობიერზე არაფერი ვიცით ან არაფერზე ცოტაც და მას არარსებულად

ვაცხადებთ. მაგრამ რამდენია ამქვეყნად დიდი ადამიანი, რომლებმაც კონკრეტულ ნაწარმოებებში და რეალურ ეპიზოდებში გვიჩვენეს ის, რაც ცნობიერისა და ქვეცნობიერის ერთიანი მოქმედების შედეგად შექმნილა. მე თვითონ ვიცი, ეს როგორ ხდება, როცა ქაღალდზე გადატანა ჭიანურდება, მასალა კი მზადაა, რათა გარკვეულ ფორმაში განსხეულდეს და მაშინ იძულებული ხარ, ღამით წამოხტე და ჩაიწერო მზამზარეული, რომლის გამოჩენასაც ხელს უშლიდნენ ცრურწმენის თავისთავად დაგებული ხაფანგები თუ გისოსები.

ყველაფერი, რასაც ვამბობ, გაცილებით რთული, სასიხარულო, ნაღდი და საშინელია. ოღონდაც არის თუ არა ასეთი ცხოვრება მართლაც ცხოვრება? დიახ, თუკი მისით ნამდვილად ცხოვრობ, არ ტყუი საკუთარი თავის წინაშე, წირავ საკუთარ თავს და მზადა ხარ სამსხვერპლოდ. ამრიგად, ჩემი აზრით, პოეზია ყოფის წესია, ხატია პიროვნების არსებობისა და სიცოცხლისა.

* * *

თუ ზედმეტად უჩვეულო რამ არ ხდება (ახლობლების ან საკუთარ თავზე დამტყდარი უბედურება, ავადმყოფობა), ყოველდღიურად ვწერ. გრაფომანი ვარ? თუ ეს ნამდვილად ასეა, რა გაეწყობა, ვიყო! ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში ვალდის ლუკსი ჯიუტად ჩაგვჩიჩინებდა ჩვენ, ახალგაზრდებს, ყოველდღე უნდა წეროთ, არა აქვს მნიშვნელობა, წერთ ქაღალდზე თუ გონებაში, ლექსს თუ წერილს ან რაიმე წვრილმანებს. მთავარია, ყოველდღე წეროთო.

თუ დღე ჩვეულებრივია, ესე იგი, არც მატარებელში ვარ, არც ქორწილში, არც კლინიკაში, დღის პირველი ნახევარი მე მეკუთვნის და ამ სტატუსს არა მარტო ვითხოვ, არამედ დაჟინებით მოვითხოვ, როგორც საკუთარ დაზგასთან მდგარი ნებისმიერი მუშა. სხვაგვარად არანაირი სამუშაო არ გამოვა. თუ დღე უჩვეულოა, არა ისეთი, როგორც ყოველთვის, არამედ ანეწილი, მაშინ იაუნსუდრაბინის არ იყოს, „როგორც შემიძლია, ისე ვბუბუნებ", შეძლებისდაგვარად ვპოულობ მცირე დროს მაინც, რათა უცვილობელი წესრიგი არ დავარღვიო, – ყოველდღიურად! მაგრამ თუ საგანგებო მდგომარეობა მაინც მაიძულებს სხვაგვარად მოქცევას? მაშინ სავსებით სამწუხაროა და ცუდი, რადგან ყოველი გაცდენილი დღე (ღმერთმა ნუ ქნას დაკვირვა!) აუტანლად ახანგრძლივებს და მტანჯველად აქცევს ფორმის აღსადგენ დროს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მჭირს.

რა არის ფორმა? სრული, უკიდეგანო თავისუფლება ხელობის წვრილმანებზე ფიქრისგან, არაბუნებრივი სახეების შექმნისგან... ესაა ისეთი შინაგანი აღმაფრენა და ისეთი სილაღე, რომლებიც ავსებენ შემოქმედების ნამს სინათლითა და ბედნიერებით.

* * *

როცა მთხოვეს, განმესაზღვრა, თუ რა არის პოეზია, ვუპასუხე სიტყვიერი მუსიკაა-მეთქი. რატომ არ მიწერია დღიური პროზა? იმიტომ, რომ არ შემეძლო ან კიდევ... ვწერდი პატარ-პატარა მოთხრობებს და ათასნაირ წვრილმანებს, მაგრამ როგორც კი პროზაული ჩანაწერების გაკეთებას დავაპირებდი, მეჩვენებოდა – და არა მარტო მეჩვენებოდა, ეს სრულიად ასეც იყო, – რომ არსებობენ ლიტერატურული ნაწარმოებები, რომელთა კითხვისას სიძულვილით ან სიხარულით ვთრთი ან მინდა ვიტირო ტკივილისა და უმწეობისგანან იმის გამო, რომ აგერ ავტორმა შეძლო ისეთი სიტყვების მოძებნა, რომელთა გამოც ეს ყველაფერი მომდის, მე კი პროზად ასე დაწერა არ შემიძლია.

თანდათანობით, ინსტინქტურად მე ვხვდებოდი, რომ პოეზიის წყალობით შემეძლო გაცილებით მივახლოვებოდი მას, რაც ჩემში ცოცხლობდა, შემეძლო გაცილებით უკეთ გამომეხატა წამის დიდი მნიშვნელობა ან მისი საშინელება ან კიდევ რაღაც სხვა რამ და გავაკეთებდი ამას გაცილებით ზუსტად, ვიდრე გარდავთქვამდი პროზით. უკეთუ პოეზიაში არსებობს ტრამ-ტამ-ტრამ-ტამიც და ელეგიურად გაწელილი ჰეგამეტრული რიტმებიც, რომლებიც თხრობას ფართო მდინარებას ანიჭებენ, როცა გსურს რამეზე აუჩქარებლად და გამოწელილვით მოყვე. ეს შეგრძნება მქონდა და მაქვს არა მარტო პოეზიისგან, არამედ მუსიკისგანაც, რადგან პოეზია მუსიკის ელემენტებსაც შეიცავს. ეს იყო მიახლოება მასთან, რაც ჩემში ხდებოდა, ქაღალდზე ჩემი ემოციების არეკლვასთან. მერე ვკითხულობდი და მიკვირდა: მაშინ ხომ სულ სხვანაირად იყო, მაშინ ხომ ასე იყო – მე მეგონა ცა და მიწა შეირყეოდა – ვკითხულობ ახლა და ყველაფერი ისე სადაა, ყველაფერი ისე მარტივია, ისე უღიმღამოა ყველაფერი, რას უნდა გამოეწვია მღელვარება, რას უნდა გამოეწვია შიში, რას უნდა გამოეწვია შეძრწუნება! სხვა რამეა დაწერილი... უბრალოდ, პირველად ვიგრძენი, რომ ეს-ესაა რაღაცას მივაღწიე და ყოფიერება მსუბუქი ბიძგებით პასუხობს შენში განივთულ რაღაცაზე... ასე შეიძლებოდა ყოფილიყო ორმოცდაათიან წლებში, არა უადრეს.

* * *

„ჩასწორების გარეშე წერა ნიშნავს, რომ ლექსი ცოცხლობს „ქვეცნობიერში". ქვეცნობიერად მე საშრობივით ყოველთვის ვისრუტავ რაღაცას. ან ცხოვრება წვეთ-წვეთობით მავსებს, როგორც ერთგვარ ჭურჭელს და მე დაახლოებით ვიცი, სიხარულით თუ მწუხარებით, მაგრამ ყველაფერი მხოლოდ დაახლოებით, მერე კი იწყება ჩამოყალიბება. მერე კი თითქოს ნისლიდან ამოყვინთავენ უკვე მოქმედი პერსონაჟები, უკვე მოქმედი ცნებები. ჭეშმარიტი პოეზია პოლიფონიურია, ამიტომაც აქ არასოდეს შეიძლება არსებობდეს რამენაირი დეფინიცია. არსებობს მხოლოდ ერთადერთი მომენტი: უცებ რომელიღაც ერთი

ან რამდენიმე სტრიქონი დამარტყამს ნერვებზე და იმავე წამს უნდა მივვარდე ქაღალდს და ვწერო, და მაშინ სხვა ყველაფერი ჩემთვის აღარ არსებობს, რადგანაც ვიცი: წამს ხელიდან თუ გავუშვებ, ლექსი შეიძლება დაბრუნდეს ან არ დაბრუნდეს. მეტწილად არც ბრუნდება. ეს წამი უდიდეს ძალთა მოკრებას ითხოვს. იმ დროს ჩემთვის ქრება კედლები, ქრება შენობა, ქრება სივრცე. ასე ხდება ხოლმე... მახსოვს ერთი შემთხვევა საშუალო სკოლაში, საერთო საცხოვრებელში, როცა დერეფნის ჭერიდან მთელ სიგრძეზე ბათქაში ჩამოცვივდა. იმ წუთას მე რაღაცას ვიწერდი რვეულში. ყველა სადღაც უთავბოლოდ გარბოდა და მიმორბოდა, მე კი ყოველივე ამას ვერ ვამჩნევდი. ეტყობა, უკვე მაშინ მჭირდებოდა მსგავსი გულისყური, თუმცა, რა თქმა უნდა, ასე ყოველთვის როდი გამომდის, მაგრამ მაშინ უდავოდ გამომივიდა. ამჟამად ჩვეულებრივ გამომდის, მე ვერც კი ვამჩნევ, არის თუ არა ვინმე შორიახლო, მაგრამ იმ პირველ წამს, – დასაწყისის წამს, – ხელს მიშლის ყოველი წვრილმანი. ღმერთმა ნუ ქნას, გამოჩნდეს მუზა ან რაღაც მისი მსგავსი – ამან შეიძლება კალაპოტიდან ამომაგდოს. დაძაბულობა იმხელაა, რომ ყველა სიტყვა თავის ადგილას ჯდება, ისეთ მდგომარეობაში ვარ, მოჭადრაკეები ნახევრადტრანსს რომ ეძახიან. და ძალიან ცუდია, თუ მას გამაწყვეტინებენ, – აი, რატომ მიჭირს ხოლმე საკუთარი ლექსების სწორება. ზოგჯერ რომელიმე ლექსს მცირეოდენი ნაკლი აქვს და მისი გასწორება შეიძლება წმინდა ტექნიკური საშუალებებით. მაგრამ მე არ ძალმიძს ერთსა და იმავე წყალში ორჯერ შესვლა, რადგან როცა ამას ვცდილობ, უმალ ვხედავ თეთრ საკერებელს, – ლექსს რაღაც აკლდება. განსაკუთრებით მაშინ, როცა ვერლიბრსა ვწერ. აქ არანაირი ჩასწორება არ ვარგა, რადგან მეორედაც შეგიძლია მიაღწიო ძლიერ დაძაბულობას, მაგრამ არა უწინდელს, – ის განუმეორებელია. ხანდისხან მთხოვენ ზოგი რამ ჩავასწორო: აგერ აქ ასე და ასე ხომ შეგეძლოო... დიახ, შემეძლო, მაგრამ ახლა უკვე აღარ შემიძლია. გაუია განზე მიედინება, მე შევედი მის წყალში და გამოვედი, ახლა კი მიბრძანებენ, ისევ შედიო, ეს წყალი კი... მე არ შემიძლია მისი შეჩერება.

• • • • • • * * *

რთულ ღრმა პოეზიას რთული ღრმა მუსიკა სჭირდება. ჩემი აზრით, ჩვენს რთულ დროში არაფერი შეიძლება იყოს უბრალო. ეს წინააღმდეგობრივი რამ იქნებოდა. რაც შეეხება პოლიფონიას, ეს ჩემთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეა. ზოგჯერ აუცილებელია სუფთა მუსიკალური აზროვნება, იმიტომ რომ ვერლიბრი თავისუფალი ლექსია, რომელიც ვერ დაემყარება მკაფიო მეტრონომით განსაზღვრულ რიტმს, დამაკავშირებელ რითმებს: ვერლიბრი გაშიშვლებულია და იგი ძლიერია იმდენად, რამდენადაც ძლიერია პოლიფონია, რამდენადაც სიმფონიურია იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას.

• • • • • • * * *

პოეტის ბედნიერება შემოქმედების მომენტი გახლავთ. როცა პოეტი საკუთარ თავთან, ქალალდთან მარტო რჩება, იგი ირიბად ხალხის პირისპირაც რჩება. ეს ბედნიერი წამია. არ მინდა ვიყო სულელი, რომელიც რაღაცნაირი ჭკვიანული სიტყვების მეოხებით აცხადებს, ეს ბედნიერებას ნიშნავსო. ეს პოეტის პასუხისმგებლობაა. მოხდა ისე, რომ ჩემი ცხოვრების ორმოცდაათი წლის განმავლობაში ოცდაათ ენაზე მთარგმნეს, ხოლო წიგნების საერთო რაოდენობამ დაახლოებით ორი მილიონი შეადგინა. ეს ორი მილიონი დამოკლეს მახვილივით ჰკიდია ჩემს თავზე და მიბრძანებს, უსასრულოდ, უკიდურესად უმოწყალო ვიყო საკუთარი თავის მიმართ: სხვა გამოსავალი არაა, სხვაგვარად ვერ გავამართლებ იმას, რომ ამისთანა უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე ვარ წარმომდგარი. ეს ძნელია, ზოგჯერ ტრაგიკულიც, რადგან ჩვენს შორის არავინაა ფოლადისგან ჩამოსხმული! ძნელია ამ მარადი, უწყვეტი გამოცდის ჩაბარება აუდიტორიისთვის, რომელიც სულ უფრო ივრცობა და ფართოვდება: დიახ, ეს ძნელია, ეს მძიმეა, მაგრამ ამას შეიძლება ვუწოდოთ ბედნიერებაც და პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობაც. უუმაღლესი! უუმაღლესი პრეტენზიაც, – არაფერში დავზოგო საკუთარი თავი, არ დავზოგო არაფერი, რაც გამოდის ჩემგან, რადგან თუ საკუთარი თავის შეცოდებასა და შენახვას დავიწყებ, ამით გაგძარცვავთ თქვენ, რაც მე არასოდეს შემეძლო და რაზეც არც არასოდეს წავალ.

* * * • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • •

სახელ-დიდება რაღაც საშინლად მძიმე და ძალიან მწარე რამაა. უფრო მეტიც, ეს მეტისმეტად ჭირვეული რამეა, რომელთანაც ურთიერთობა უნდა შეგეძლოს. საბედნიეროდ, ამ მოკეთეს, დავარქვათ მას ასე, პირველი წიგნის გამოსვლისთანავე შევეჯახე. პატიოსნად ვიტყვი: ერთხნობას თრობამორეული ვიყავი, როგორც მამლაყინწა. ავადმყოფობა მეტად რთულ ფორმებში ვითარდებოდა. ავადმყოფობა სახელწოდებით „თვითდაჯერებულობა და მეტიჩრობა". მაგრამ რამდენადაც იგი მეტად რთულ ფორმებში ვითარდებოდა, მისგან ძალიან ადრეც განვიკურნე, სამუდამოდ.

* * * • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • • •

მკითხველებისადმი ჩემი დამოკიდებულების გაერთმნიშვნელიანება შეუძლებელია. ჩემი დამოკიდებულებისა ჩემი მკითხველებისადმი. მათზე, ვინც ლექსებს არ კითხულობს, ვისაც მე არ გამოვადგები და არ ვჭირდები, – არ ვილაპარაკებთ. ეს სხვა საქმეა... მაგრამ მათთან, ჩემებთან, თითოეულ მათგანთან, სხვადასხვაგვარი, განსაკუთრებული კონტაქტი მაქვს. და მათთან შეხვედრები, – ეს ალალი რამ არის, ასე მგონია... მე არ ვამბობ პოეზიის საღამოებსა და მსგავს ღონისძიებებზე: ჩვენ იქ

მხოლოდ იმისთვის ვხვდებით, რომ ერთმანეთს შევხედოთ, დავაკვირდეთ, როგორები ვართ ცხოვრებაში, როგორ ვლაპარაკობთ, როგორ დავდივართ ან დავინახოთ, როგორ ვახერხებთ საკუთარი თავის ხელში აყვანას და ცრემლების შეკავებას იმ წამს, როცა სიხარული გვეწვევა... ნამდვილი შეხვედრა მაშინ ხდება, როცა მკითხველი ხელში იღებს ჩემს წიგნს. და, აჰა, ერთ მხარეს მე ვარ, მეორე მხარეს – იგი. ჩვენ შორის კი წიგნია. რაღაც ამოუხსნელი, რაღაც დიდი და ახალი. მე ხომ ზოგჯერ მონახაზის, დასაყრდენი წერტილის მსგავს რაღაცას ვიძლევი, ვუჩვენებ მხოლოდ მიმართულებას, ოღონდ სრულებით ზუსტ მიმართულებას. და ყოველი მკითხველი ამ მონახაზში რაღაც საკუთარს ჩადებს. ზოგჯერ კი სრულიად საპირისპირო რამესაც. მაგრამ საკუთარს, ნებისმიერ შემთხვევაში. და აქ წარმოიშვება ის, რასაც მე ხელოვანისა და მკითხველის თანაშემოქმედებას ვეძახი. ეს კი ყველაზე წმიდათა-წმიდა რამ არის. ყველაზე საჭირო რამ... ეს კონტაქტია. ხოლო ყველა ამ ორმხრივი კონტაქტიდან წარმოჩნდება, თუ ვის და რამდენად ვჭირდები.

* * *

გასაგები და გაუგებარი პოეზიის შესახებ... მიყვარს ის ადამიანები, რომლებსაც გაეგებათ. მძულს ისინი, ვისაც არ გაეგება და მაინც საქვეყნოდ გაჰყვირის, ამგვარად თავს ალიგზნებს და თანაც იკვეხნის. და რამდენადაც ძალა შემწევს, ღრმა თანაგრძნობითა და ინტერესით ვეკიდები იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ ესმოდეთ ჩემი და არ ესმით. აკი არსებობენ მწერლები, – თანაც დიდი მწერლები! – რომლებმაც ცხოვრება ისე გალიეს, რომ საკუთარი ეპოქისთვის გაუგებარნი დარჩნენ, მწერლები, რომლებიც ხალხმა მოგვიანებით შეიცნო, – იმდენად გადაასწრეს მათ საკუთარ დროს.

მაგრამ ეპოქის გასწრება აუცილებელია. და თუ შენი არ გაეგებათ ეს სრულიად ნორმალური რამ არის, მე ასე მიმაჩნია. უფრო მეტიც, არანორმალურად მიმაჩნია, როცა ახალი წინააღმდეგობას არ აწყდება. თუ წინააღმდეგობა არაა, ეს „ახალი" სულაც არ ყოფილა ახალი. ოდესღაც მეც მომსვლია ასე, – ყველა მკითხველი მიგებდა. და მე აქ მეტი გულისყური გამოვიჩინე. თუ ყველას ყველაფერი ესმის, ვერ ყოფილა საქმე კარგად. სისულელეა ის, რასაც მაიაკოვსკიზე ამბობდნენ: თითქოს იგი კითხულობდა ლექსებს ყველასთვის, მიყოლებით და მათი რეაქციის მიხედვით განსაზღვრავდა, კარგია თუ არა მისი ლექსები. ეს მართლაც სისულელეა. თუ შენი ლექსი ყველა გამვლელ-გამომვლელს ესმის, იგი არც უნდა დაგეწერა. განა რა აზრი იქვს ისეთ რამეებზე წერას, რაც ყველასთვის ცნობილია?! ახალი კი... ახალი ყოველთვის აწყდება წინააღმდეგობას.

ბიბლიოთეკა

* * *

მოდერნული პოეზიის ერთ-ერთი ელემენტი, ვერლიბრის ერთ-ერთი ელემენტი, – ეს ჩემი მთავარი „ყალიბი" გახლავთ, – რომლითაც ვსარგებლობ, როცა ყველაზე მეტად მიჭირს ან ყველაზე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, – არის პაუზა, ცეზურა... სწორად გამოყენებულ ცეზურას არამარტო სიტყვის მნიშვნელობა გააჩნია... იგი აუცილებელია, როგორც მისი ხატი. სიტყვა ჩვენ გვიტაცებს ასოციაციებით, ცეზურის სიდიადე, მისი მნიშვნელობა კი განისაზღვრება მისი პოზიციით. ეს როგორც მუსიკაშია, ზუსტად, როგორც მუსიკაში. დროზე გაჩუმება დიდი საქმეა. ამიტომაც ზოგჯერ „...ისინი უხმოდ ლაპარაკობდნენ და ეს იყო მათი ყველაზე მნიშვნელოვანი საუბარი". მართლაც და, როცა ადამიანები საუბრობენ რაღაც არაჩვეულებრივად დიადზე, რაღაც ისეთზე, რაც მათ პირდაპირ მსჭვალავს და უსაზღვროდ აღელვებს, მაშინ სიტყვები უძლურია... მაშინ აღმოჩნდება, რომ სიტყვები ცოტაა, რომ ისინი არ ყოფნით. რაც არ უნდა უსაშველოდ დავახვავოთ სიტყვები, თუნდაც მთელი მსოფლიოს ენები რომ შევკრიბოთ, ისინი მაინც არ გვეყოფა. მაშ რაღა დაგვრჩენია? ვილაპარაკოთ უხმოდ. რჩება პაუზა. ცეზურა.

*ლატვიურიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ*



# მეგობრები ოიარს ვაციეტისის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

**იმანტს ზიედონისი, ლატვიის სახალხო პოეტი:** „იგი ძალიან მორცხვი იყო, ნერვიულობდა ფოტოაპარატის ან ტელეკამერის წინ, თითქოს უნდომლად უახლოვდებოდა ტრიბუნას ან სცენას. მაგრამ როგორც კი იქ აღმოჩნდებოდა, წამიერად იცვლებოდა და ენერგიის ერთ მეკრულ გუნდად იქცეოდა. და იწყებდა ადამიანებისა და სამყაროს მართვას. ადამიანთა ჭკუა-გონების გარდაქმნას. მის სიტყვას უსათუოდ ახლდა განსაკუთრებული მგზნებარება. და სნაიპერული სიზუსტეც.

პრეზიდიუმებში ჯდომა ოიარსს არ უყვარდა, კრებებიდან პირდაპირ გარბოდა, თავს არიდებდა დელეგაციებთან ერთად სადმე წასვლას. უყვარდა მოგზაურობა მარტოს. ოიარსი ფართო ნაბიჯებით დადიოდა. გადალახული ჰქონდა ჭორომები (წიგნი „ჭორომთა გვერდის ასაქცევი დრო არაა") ტაიგა, ციმბირი (რომანტიკა!), კედელზე ეკიდა უზარმაზარი რუკა, თაროებზე ელაგა ნაირნაირი ატლასები, მაგიდაზე ედგა გლობუსი. ოიარსი ასწრებდა ყველგან, სადაც პოლიტიკურ მოვლენათა ვულკანის ამოფრქვევა ხდებოდა. ოსვენციმი, კუბა, პოტიომკინის სოფელი, – გეოგრაფიული და ისტორიული პარალელები ზუსტად იყო მოძებნილი, აღბეჭდილი გონიერული ბრაზით, ამაღლებული ან გამასხრებული. არცერთი მწერლის მაგიდაზე არ მინახავს იმდენი წვერწამახული და მუდამ საბრძოლოდ მზადმყოფი ფანქარი, როგორც ოიარსთან. ალბათ, წერის დამთავრების შემდეგ იგი ხელახლა თლიდა მათ. შეტევა იწყებოდა მაშინვე, მყისიერად, მომზადების გარეშე. მხოლოდ ასე შეიძლებოდა გამარჯვება. და ოიარსიც იმარჯვებდა. იმიტომ, რომ იგი არასოდეს ყოვნდებოდა სტარტზე.

ოიარსს კედელზე ეკიდა მოკრივის ხელთათმანები. არამარტო სპორტით ყმანვილური გატაცების მოსაგონებლად. იგი სტარტისთვის მზადყოფნასაც ადასტურებდა. დარტყმა, ასხლეტა, ისევ დარტყმა, ისევ ასხლეტა. სერია. მარცხენით! მარცხენით, – ამაში იყო მთელი ოიარსი. აი ასეთი „მარცხენა" ბიჭი იყო იგი."

* * *

**იანის პეტერსი, პოეტი და დიპლომატი:** „...ლატვიელი პოეტი ფრიცის ბარდა დღეებს თავისებური კალენდრით ითვლიდა: გაზაფხული-ზაფხული-შემოდგომა-სიკვდილი. მაგრამ განა არ არსებობს წელიწადის მეხუთე დრო – ხსოვნა? გაზაფხული-ზაფხული-შემოდგომა-სიკვდილი-ხსოვნა. ოიარს ვაციეტისის ხსოვნა აქტიურად მოქმედი სულიერი საწყისია. ჩვენთვის, ჩვენი კულტურისთვის მეტისმეტად მნიშვნელოვანია მისი მოთაგონება, მისი აზრები, დასტური, იმედები. ჩვენ გვჭირდება მის შემოქმედებაში წამოყენებული მაღალი იდეალები, მისი სიმტკიცე და შეურიგებლობა.

...ოიარს ვაციეტისის შემოქმედება არაა გადატვირთული პოეტური სამკაულებით. მთავარი მასში სულია, დაელექტროზებულობაა, ძაბვაა. პოეტი ყოველდღიური, ადვილად ხელმისაწვდომი, სრულიად ჩვეულებრივი მასალისგან ქმნის გასაოცარ ატმოსფეროს: მასში სტიქიაცაა, გულითადობაცა და ენერგიაც. მისი სიზუსტე და დაუმთავრებლობა, ყველა ქარისთვის მკერდმიშვერილობა, მისი უბრალოება და სამართლიანობა მაგიურად მოქმედებს ყველაზე.

...ოიარს ვაციეტისის ლექსები პროტესტია ძალადობისა და სიკვდილის, გულგრილობისა და გულმავიწყობის წინააღმდეგ. ესაა ხმა მიწიერი მშვენიერების დასაცავად. ესაა ბრძოლა ადამიანისთვის, რომელიც კარგავს საკუთარ თავს „ჯოჯოხეთური სიჩქარეების" ხანაში...

ოიარს ვაციეტისის პოეზიამ ბევრი რამე გაიგო და იგრძნო ჩვენზე ადრე. იგი ფრთებშესხმულია კეთილშობილი იდეალებით, გაჟღენთილია სითბოთი და სინრფელით, ამიტომ გვიხსნის არა მარტო დღეს, არამედ მომავალშიც. იგი იხსნის ჩვენს შვილებსაც...



ოიარს ვაციეტისი მეუღლე ლუდმილა აზაროვასთან ერთად

* * *

**მარის ჩაკლაისი, პოეტი:** „ოიარსის სიდიადე იყო და არის განზომილებებში, ამპლიტუდაში.

ოიარსის მაქსიმალიზმს გახევების ნატამალიც არ ეტყობა. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ მას გამუდმებით თან ახლავს ბავშვობა და სიყმაწვილე, იმჟამინდელი შეგრძნებები და ინტონაციები?

ტემპი, ენერგია, მთლიანობა, – ის რაც სიყმაწვილეში ჰქონდა, – ბოლო ამოსუნთქვამდე.

და აქვე: მოსწავლური გულუბრყვილობით აღბეჭდილი მისი ყველაზე ადრეული ლექსებიდან მონაბერი ადამიანური სითბო, აქვე: განუმეორებელი ჯამბაზობა და ონავრობა, რომელიც დუღს, ფეთქდება ლექსებშიც და წერილებშიც. სიყვარულისა და სიცოცხლის უზარმაზარი მარაგი, ელვისებური რეაქცია და ჩაუქრობელი ცეცხლი.

ბუნებრივი ინტონაცია, დინამიური ატმოსფერო, სოციალური აზროვნება, მკაფიო სახეობრიობა, სითბო, ლირიულობა – სიმი, სიმართლე, ამპლიტუდა, სიმჭიდე, ტემპი.

ერთი სულის მოთქმით, თათარიახნად დაწერილი მისი ლექსები თანმიმდევრობით რომ წავიკითხოთ, შევნიშნავთ თუ როგორ იყენებს იგი ერთსა და იმავე ხერხს, ხან ასე, ხან ისე, სანამ არ მობეზრდება, მერე კი იქვე გადაერთვება ხოლმე სულ სხვა რიტმულ სტრუქტურასა და სტროფულ სქემაზე.

თავისუფალ ლექსში მას ამოქმედებული აქვს ყველა იარაღი: იგი კაფავს, ჩნავს, ფარცხავს, აჭედებს, ადგენს, ეზიდება. ოღონდაც მის სამშენებლო მოედანზე მტვრის ნამცეცსაც ვერ იპოვით.

მე ყოველთვის მაოცებდა ის, თუ რა მცირე შესწორებებია ოიარსის რვეულებში... რა თქმა უნდა, ეს პროფესიონალიზმია, ხანგრძლივი გამოცდილების შედეგი. მაგრამ არის აქ სხვა რამეც – ფანტასტიკური კონცენტრაცია, შეგრძნების სიზუსტე, საღი ნებისყოფა და სულიერი გაცისკროვნება."

* * *

**ივან დრაჩი, უკრაინელი პოეტი და კინოდრამატურგი:** „შეხვედრა კარგა ხანია დამთავრდა. პოეზიის მოყვარულებმა ავტოგრაფები მიიღეს და დაიშალნენ, პოეტები ავტობუსში ჩასხდნენ, გზა ტყისკენ მიდიოდა – ჩვენ იქ მეტყევეები გველოდნენ. თურმე ლატვიაში მუზის მსახურთა და მეტყევეთა შორის უმჭიდროესი ურთიერთობები არსებობს. მუხის მწვანე ხელისგულზე, ცაცხვის მწვანე ხელისგულზე, ლატვიელ პოეტებს შეუძლიათ მკითხაობა. მხოლოდ ხისა და ადამიანის ბედთა ერთობაში წვდებიან ისინი ჩვენს მერმისს. მეტყევის სახლში მოგროვდნენ სატყეო მეურნეობის მუშაკები, აგრონომები, მასწავლებლები. ცხოველი საუბარი აშოლტილ ნაძვთა კენწეროებს სწვდებოდა. კიდევ რამდენიმე მანქანა მოვიდა. მათში ექიმები აღმოჩნდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა დამსწრეებს თვალი შეგვავლო და მისალმების ნაცვლად გაოცებული ხმით იკითხა:

– ყველანი ადგილზე ხართ. მაშ ოიარსი სადღაა?

ის, რომ იგი პირველი არ იყო, ვინც ოიარსს კითხულობდა, რომელიც ამჯერად რიგაში დარჩა და პროვინციაში არ წამოსულა, ყველანი ერთხმად გაგვაცინა. მე გავიფიქრე, რამდენად შეუცვლელი უნდა იყოს პოეტი, რომ მისი დასწრება მაშინვე გავლენას ახდენს ნებისმიერ კულტურულ სიტუაციაზე რესპუბლიკაში, და არა მარტო რესპუბლიკაში...

როდესაც ვცდილობ ლატვიის სხვა ძლიერ ხმათა შორის მისი ხმა გამოვარჩიო, ყოველთვის ვფიქრობ იმ საღამოზე, როცა რიგაში დარჩენილ ოიარსს მისი მეგობარი ექიმები ეკაბპილსის შემოგარენში ეძებდნენ და როცა მათ მისი ლექსების კითხვა დაიწყეს, მე მთვარის შუქზე ცადატყორცნილ საანძე ნაძვებს ვაკვირდებოდი. ნაძვები ჰგავდნენ დიდი ორღანის მილებს, ცხადია უფრო დიდისა, ვიდრე დომის ტაძარში დგას. ეს უზარმარი და მეტად მინიერი ორღანი ჟღერდა. საანძე ნაძვები ჩემს შედარებაში, ალბათ, ძლიერ რაციონალური იქნებოდნენ, რომ არა ეს, ირონიულად რომ ვთქვათ, „ემოციური ძალდატანება", რომ არა ეს ჯადოსნური მთვარის ნათელი, რომელიც მათ ისე ჭირვეულად დაციაგებდა, ისე უბიწოდ და ეშმაკეულად აბზინვარებდა. ჰოდა, კრიტიკოსის მტკიცებისა არ იყოს, „რაციონალურისა და ემოციონალურის" ურღვევი მთლიანობა ჟღერდა ლატვიური ტყის ამ მთვარის ორღანში ოიარს ვაციეტისის ლექსებით..."

***ლატვიურიდან თარგმნა რაულ ჩილაჩავამ***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 2

# პოეზია



კალენდარი არ გაქვს, კონცერტი არ გაქვს,
ძაღლი არ გყავს, რომ არ შეგიყვარდეს,
ანუ ახალი შიში არ გაგიჩნდეს – კაუჭი თავში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლია სტურუა



## როგორ ცხოვრობ წვიმაში ანუ ანაქრონიზმი

წვიმს. წვიმაში უფრო ადვილია ტყუილი.
თავს თუ იტყუებ,
ე.ი. ძალიან მარტოხელა ხარ...
სად არის ხელის ატავისტური წანაზარდი – ფანქარი?
რა წერა იცის!
გრამატიკა მისი რელიგიაა.
აქ პატარა სულის მოთქმა,
თუ შიში გაგრძელების წინაშე?
შიშმა იცის, რომელ კაუჭს გამოედოს.
კაუჭი – არარსებული, შენ – დაკარგული,
შემთხვევითობაზე თავს ვერ მიიჭედებ,
რამდენი კოლოფი ლურსმანიც მოაქეთ,
ყველა სისხლიანი...
ტრადიცია ისე ახლოს დაგიჯდება,
მის სითბოს იგრძნობ.
აჯობე ცნობისმოყვარეობას!
ასაკს თავისი სიმართლე აქვს –
სწორი ხაზი ორ წერტილს შორის.
ტყუილებით გატენილი ელიფსი
მეხსიერებაში ჩაიტოვე, ტკბილი მსხალივით!
მიმზიდველობა რომ დაკარგო ამის გამო?
შეუთავსებელი გახდე გარემოსთან?
რა რიცხვია დღეს?
კალენდარი არ გაქვს, კონცერტი არ გაქვს,
ძაღლი არ გყავს, რომ არ შეგიყვარდეს,
ანუ ახალი შიში არ გაგიჩნდეს – კაუჭი თავში.
ფანტაზია თუ გამოედო,
ჭორებით გატენილ ყურებში ვერ გაჟონავს,
პირიდან რომ გამოაღწიოს, სახელი უნდა დაარქვა.
ეს დაზუსტება მოკლავს,
არ არსებობს სიზუსტე წვიმაში,
როცა უფრო ადვილია მარტოობა,
თუ მატყუარა ხარ
და თუ გაქვს ფანქარი,
რომლის რელიგია გრამატიკაა –
ორჯერ მატყუარა...

* * *

ჩვენი შესაბამისობა,
როგორც საკუთარ მეებს შორის
ექსტაზი ამის გამო...
მაგრამ ექსტაზზე ვერ ააწყობ ცხოვრებას,
ის ნორმალურია და მორჩა. წერტილი.
გადახრებიც კი ნაცრისფერი,
მარტო დოქის ღვინო,
წითლად შეღებილივით...
ჭიქებში ჩაასხამ, მუსიკას შეუცვლი...
ეს მუსიკა ხომ მაინც გეძლევა,
კიდევ წყლის, წვიმის, დენადი,
სოლ და სი მზიანი ბგერებია,
დანარჩენი ხუთი – სტრესამდელი სევდა,
ჯერ ბუნდოვანი, უდიაგნოზო,
რომელიმე მათგანზე ააწყე რეფრენი,
რაც გაძლევს უფლებას
ცხოვრებაში ლექსის ელემენტები შეუშვა,
ანუ ექსტაზი –
ხანძრის თემა გააძლიერო, ფერფლისაც,
რომელიც უნაპერწკლოა.
თავიდან რომ დაიწყო, შესაბამისობას დაუბრუნდე?
მაგიდაზე ღვინო დგას,
წითლად შეღებილივით
და აბსოლუტური სმენა აქვს.

* * *

– გაითვალისწინე, მითხრეს, როცა წახვალ,
შთაბეჭდილება დაგრჩება ჭერზე,
აქედან რომ უყურებდი,
როგორ გაგლეჯენ სკოტჩით მოწებებულები
საკუთარ თავს...
სანამ შინაგანი ორგანოებით შეგეძლო
მათი მოძლიერება: გულით, სისხლით, ფილტვებით,
სანტიმენტებს ვალივით გიხდიდნენ,
რასაც ანაქრონიზმს ეძახდნენ, გაითვალისწინე!
და უთხარი: – სკოტჩი ორმაგად მტკივნეულია,
მითუმეტეს, როცა გაგლეჯენ
ისედაც, მანქანაში გატარებული ხორციდან!
რაღა დარჩი? წყალი და ძვალი
და შთაბეჭდილება ჭერზე
გვიანი ბუზებივით, ბზარებივით
გულისგამაწყალებელი.

ხელშეკრულება საწერ მაგიდასთან –
გამოხედვების მეშინია, სხივით რომ იწყებიან
და ძირში სიმწარე აქვთ,
ამ სხივით გათბობას ვასწრებდი,
სანამ სიღრმეზე ფიქრი ვისწავლე.
სხვა სხივებიც მეწეოდნენ,
ნათელი და თბილი ზედაპირი მქონდა,
საწერი მაგიდასავით, რომელზეც
არ მუშაობენ.
მუშაობა – უკვე, არა არტისტული შაკიკი,
რენტგენი თავში,
დედა-ქვემდებარე კრიტიკას ვერ უძლებს,
ირიბი დამატებების მასაში გადადის
შემაფერხებელია მისი თანაგრძნობა –
ბალიშს მიდებს თავში, რომ
უძილობის პროჟექტორებმა არ ამაფეთქონ.
რატომ?
ტყუილად გავდიოდი რეპეტიციებს მზესთან?
ის უფრო არ მჭამდა?
ნახევარი თავი, ანალგინის აბებით სავსე,
17 წლიდან გამითეთრა,
შეილიც აქედან გამაჩენინა,
თუმცა ისეთი რეალისტი,
ჭიპლარის თოკი ერჩივნა ყელზე
ამ ნაძალადევ მითოლოგიას.
არც ის იცოდა, ერთხელ თუ არ ავფეთქდი
გახამებულ, ტრადიციულ ლოგინიანად,
საწერი მაგიდიანად, რომელსაც
გაშეშებული ზედაპირი თუ არ აეხორკლა,
შეიძლება, ელეგიების და ბალადების
ხასიათზე დადგეს.
და არ მიმიშვას თავისთან
ჩემი ბარბაროსული სურვილებით,
მათი შენაკადებით
ლიტერატურის თეორია რომ წავლეკო?
არ იძირება, მსუბუქია, ქვეტექსტი არ აქვს,
ორი თანაგრძნობა, – წიგნის და დედაჩემის,
საწვავად არ გამოდგება, მხოლოდ სტიმულად –
თავიდან შვილს ველარ
(ნაყოფიერება დაქვეითებულია)
ალისფერ ფრინველებს გამოვუშვებ,
ცეცხლს ითამაშებენ,
პროჟექტორების თეატრთან დამაქორწინებენ,
კი არ მიყვარს, ქორწინებაც ფიქტიურია,
ტრაგედიის მოქალაქე მინდა გავხდე,
თვალებში წითელმა ბორბლებმა იტრიალონ!
ჩემი ნერვები მთხოვენ ამას,
ყოფაში ისე უადგილოდ ანათებენ,
ზედმეტ ყურადღებას იწვევენ,
გულისწყრომასაც...

* * *

ასაკი...
ორგანიზმში იკლებს წყალი
და იმატებს ბავშვი,
ოღონდ, გატყავებული საქონელივით შიშველი
და ტანსაცმელი გტკივა,
ტანზე ლაპარაკი არაა
პირობითობა თუ არ გეტკინა,
ვერ მიხვდები,
რომ ასეთ ბავშვებს არ ეკამათებიან
აბა, სცადე, შეეკამათე!
როცა გუნდური სიჭრელიდან
სპილენძის ნარინჯისფერი სოლო ამოყავთ
თავისთვის, არ უნდათ კონცერტობა,
საჯაროობა,
თანმიმდევრული სვლა ფინალამდე,
როცა პირდაპირ კულმინაცია!
პირდაპირ ნარინჯისფერი!
თავიდანვე ზვავები
და არა ფორთოხალი ანტრაქტებში,
ანალიზი, თავისი უფსკრულებით,
ზვავების მულიაჟი,
შენამდე რომ მკვლელია, მერე ძეგლი.
პირობითობა გაყიდე, მარმარილო იყიდე,
განზოგადდი, კაპიტალიზმში გადახტი!
მერე უკვე – გრამობით და კილოგრამობით,
როგორც ადამიანს ორგანოებად ანაწევრებენ –
რა უფრო ძვირია: ღვიძლი თუ თირკმელი?
კულმინაცია – უფასო დამატება, მაინც არ უნდათ
ბავშვი რომ ამოაჭრევინო ონკოლოგებს?
აზრი აღარ აქვს, მეტასტაზები წასულია...

## ფსალმუნი 113

მთები აცეკვდნენ ერკემლებივით
და ბორცვები კრავებივით
და ზღვა მიიქცა ისე, რომ ფსკერი გამოუჩნდა
და ამ  ფსკერზე მივაბიჯებ მე – მლოცველი და მგალობელი.
შენ იხსენი, უფალო, თვალი ჩემი ცრემლისაგან,
ფეხი ჩემი ნაბორძიკებისაგან!
მიხსენი მე მკვდართა ქვეყნისგან
და ცოცხალთა ქვეყანაში დამამკვიდრე
და შენს წინაშე ხელაპყრობილი
გადიდებ, უფალო!
გადიდებ, უფალო, როცა მზე თავზე დამადგება,
ჩემი ზედამხედველი სააქაოში!
გადიდებ, უფალო, როცა მთვარე მომესალმება
და ვარსკვლავები ცის ფსკერზე კენჭებად განიბნევიან!
გადიდებ, უფალო, როცა მინიდან ბალახივით ამოხეთქავს
ჩემი სიტყვები და გამახარებს,
რადგან მძიმე სათქმელისგან გავთავისუფლდი!
გადიდებ, უფალო, როცა დედამიწაზე დავთესავ
ნაკურთხი წყლის წვეთებს, რათა სიცოცხლის მდინარემ იჩუხჩუხოს!
მთები აცეკვდნენ ერკემლებივით
და ბორცვები – კრავებივით!
შენს გზას ვადგავარ, უფალო,
და გამიძეხი წინ, საუკუნო ცხოვრებისაკენ!

* * *

მკვდარი ფოთოლი მიჭირავს ხელში –
თითქოს სიკვდილს ხელს ვართმევდე დამწუხრებული.
ამ ფოთოლს ვიცნობ, კარგად ვიცნობ
ჩემი ფანჯრის წინ შრიალებდა და ირეოდა
და ყოველ დილით ალერსიანად მესალმებოდა
და მასზე ეწერა სიცოცხლის საგალობელი.
ვკითხულობ მკვდარ ფოთოლს,
რომელზეც ახლა სიკვდილის საგალობელი წერია.
ის აღარ მწვანობს, არამედ ყვითლობს,
სიშავეში გადასული ფერით ყვითლობს.
მე ვეკითხები: – გტკიოდა, როცა ხეს წყდებოდი?
ის დუმს. მკვდარია და მისი დუმილიც
თანხმობის ნიშანია.
მკვდარი ფოთოლი მიჭირავს ხელში.
ისევ გაზაფხულდება. ახალი ფოთლები დაიბადებიან,
მაგრამ ამას – რა? ეს აღარ გაცოცხლდება.
ზედ ნამი შერჩენია,
თითქოს თავის თავს დასტიროდეს.
მეც დამცდა ცრემლი – ერთხელ იქნება, მეც რომ მოვკვდები
და მკვდარი ფოთოლივით წამივა ხმა და ფერი.
სიკვდილს უკვე ვუთხარი გამარჯობა
და ის, რომ ჯერ არ ვარ მკვდარი,
უკვე ჩემი გამარჯვებაა.



დალილა ბედიანიძე

ვდგავარ ფანჯარასთან,
როგორც მთავარსარდალი ტრიბუნაზე
და მარშით მიმავალ დღეებს ვაცილებ.



* * *

ხმელი ფოთლები ჩარჩა ჩემში შემოდგომიდან,
საბრალო ხმელი ფოთლები,
როგორც ტრაგიკული ნილბები მკვდარი დღეების,
რომ დასცვივდა სიცოცხლის ხეს.
ვდგავარ ფანჯარასთან,
როგორც მთავარსარდალი ტრიბუნაზე
და მარშით მიმავალ დღეებს ვაცილებ.
მალე აცივდება
და ხმელი ფოთლების ნილბებს
თოვლის დიდი ნიღაბი შეცვლის,
ზამთრის თეატრის დიდი ნიღაბი.
ჩამოეშვება ბნელი ფარდა,
რომელსაც კუთხეში მარჯვენივ მზე ახატია.
სწორება მარჯვენივ! სწორება მზისკენ!
მე დამავიწყდა,
თუ რას ფარავს ხმელი ფოთლები
ან მომავალი თოვლის ფიფქები
რას დაფარავენ.

* * *

შარშანდელი ჩალის ღერი ვარ,
ქარი რომ ათამაშებს თავის ნებაზე.
ნებიერი ბალახიდან ხმელ ღეროდ ვიქეცი.
ხან ცაში ვარ, ხან მიწას ვერთხმი,
ხან მანვიმს, ხან მათოვს,
ხან სიცხე მწვავს.
მე ვარ ბეჭედი მინის გულზე
ნიშნად იმისა,
რომ ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია
და იმ ქვეყნად კი რა მოგველის,
არავინ ვიცით.
ჩავლილი ბევრი  გვინახავს და
ამოვლილი – აღარავინ.
და მაინც, როცა ქარი ცაში ამიყვანს,
მე მაგონდება ჩემი სინორჩე,
ჩემი ბავშვობა.
როცა ვნატრობდი ფრენას და ქარს ვეჭიდებოდი,
როგორც საშველად გამონვდილ ხელს
დასახრჩობად განწირული ჩაეჭიდება.
შარშანდელი ჩალის ღერი ვარ
და გაისად სად ვიქნები, ეს ქარმა უწყის,
მოვწყდი ფესვებს და ქარია ჩემი პატრონი.

**დამალობანა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთელი სიცოცხლე დამალობანას თამაშია.
მზეს დამალობანას ვეთამაშები,
მთვარეს დამალობანას ვეთამაშები,
წვიმას დამალობანას ვეთამაშები.
და აი ქარი... ქარი მთავაზობს დაჭერობანას,
ქარსაც ვემალები
ფიქრების ტყის გადაღმა,
სადაც სიჩუმეს ქარი ვერ აპობს
და ქარის ტალღები ვერ წამლეკავენ.
მთელი სიცოცხლე თამაშია
და ბავშვობა ისევ გრძელდება
და ჩვენში ბავშვს ვერ ჩაკლავს
დრო, როგორც დანა, მკვლელის დანა,
რომელიც მოჰკვეთავს
ღამეს დღისაგან და დღისგან ღამეს.
ბედნიერი ვარ, სანამ თამაში შემიძლია,
შემიძლია, ავყვე მზის ოინებს,
რომელიც იხუჭება,
სანამ სამუდამოდ დავიხუჭებოდე.

* * *

დატრიალდა ქარი, როგორც რამე ჯარა,
ქარი თავნება და ქარი მეტიჩარა.
დაერია ხეებს, დაერია ღრუბლებს
და აივსო თოვლით შემოდგომის უბე.
დაქრის და ხარხარებს გიჟმაჟი და შლეგი
და დაჰხარის მიწას, თავის გადაჯეგილს.
მე მივდივარ ქარში, ქარი მხარში მიდგას,
ცდილობს, ამაფრინოს მაღლა, ცათა შიგან.
გამომასხა ფრთები, ძალით გამაოცა,
ვნებდები და ვკრთები, აღმომხდება ლოცვა.
რადგან ჩვენი გზები ბოლოს ცაში მიდის,
მეც ვხსნი ღრუბლის კარებს შიშითა და რიდით.
რადგან მიწას ვტოვებთ არა ჩვენი ნებით
და ვით თოვლის ფიფქი, მივფრინავთ და ვდნებით,
მე მოგყვები, ქარო, მაშ გამიძეხ წინა,
მომაპოვებინე სამუდამო ბინა!

# სათამაშო

*„...არქეოლოგებმა ასევე აღმოაჩინეს 1 800 წლის წინანდელი სათამაშო ნიღბიანი კაცის გამოსახულებით.“*



ბექა ახალაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

I

რომ არ გაგვეშვი, აქ დარჩენით რას მოიგებდი?!
ცრემლების გარდა,
რომ არ გაგვეშვი, აქ დარჩენით რას მოიგებდი?!
მაინც დაიდგამ მოსაწყენ ულელს.
შენი გაგზავნა მომივიდა მხოლოდ სიკეთით,
ბევრი ვიფიქრე ამაზე წუხელ.

მაგრამ მე ვინ ვარ? – ერთი ვილაც ათასთაგანი,
მაძღარი შვილი,
დიახ, მე ვინ ვარ, – ერთი ვილაც ათასთაგანი, –
ამდენს რომ ვილებ საკუთარ თავზე?!..
მითოკილია სადღაც სხვენში ჩემი აკვანი,
მკვდარი ვირთხებით პირთამდე სავსე.

ის შენი უნდა ყოფილიყო მემკვიდრეობით,
არ მოხდა ასე,
შენ გეკუთვნოდა, შენ იყო მემკვიდრეობით,
მწარე ფიქრები ვირთხებზე წვანან,
ძველი შიფერის ნალურსმნალში მე იქ ვმზეობდი
და წაბლის ბოძზე ვასობდი დანას.

სხვანაირად რომ მომხდარიყო, წასვლა რომ არა,
რა მოხდებოდა,
შენი გაფრენა, შენი ასე წასვლა რომ არა,
ვინ იქნებოდა იქ ჩემი შვილი?!
წარსულიდანაც მე თვალნათლივ ვხედავ მომავალს,
მაშრიალებენ ტყეები ხშირი.

II

მოსახდენია უხერხული, ხოლო მოხდენა,
რაც თავი მახსოვს,
მოსახდენია უხერხული, ხოლო მოხდენა
ჩვეულებრივი არის ყოველთვის,
ვერ შევეგუე, მას რაც მოხდა, მარტო ვიჯექი
და თამაშობდნენ მინიფეხბურთს, იქვე, ბიჭები,
ეს ერთი მხარე იყო მონეტის.

მეორე მხარეს ტივტივებდა ჩემი, ხმაურით,
და მაგიჟებდა,
ზუსტად შუაზე გახერხილი ტვინი ხმაურით,
მეხეთქებოდნენ შუბლზე ტალღები,
მე ვინც გავწირე, ამისათვის იმან გამწირა,
და მერამდენედ გულს ვიხსნიდი – ტყვიის საძირავს,
არავინ ჩანდა მსხვერპლის გამღები.

პირველ მხარეს კი: მოხუცები, დილა, ბავშვები
და შემოდგომა,
ის ფერმიხდილი მოხუცები, დილა, ბავშვები,
ერთი შეხედვით – მე – ძლიერ მშვიდი,
თოკიდან ახლად ჩამოვარდნილს ვგავდი აკრობატს,
ყველასაგან და ყველაფრიდან მსურდა გაქრობა
და საკუთარ ჩრდილს ვერაფრით ვშლიდი.

მე ჩავიფუშე, ძელსკამებიც, ბურთიც, ხეებიც
და შემოდგომაც,
ხო, ჩავიფუშე, ძელსკამებიც, ბურთიც, ხეებიც
და ის მუცელიც, შენ რომ ებარე.
თავიდან სადაც მოგიაზრე, მე იქ ზღვა მინდა,
არც კი მოსულხარ და წახვედი ნათელ ამინდად
და გადაწვერილ მზეს მიეფარე!

III

ზეპირად ვიცი ღრიჭოები რასაც მღერიან,
და შენც გასნავლი,
ზეპირად ვიცი ღრიჭოები რასაც მღერიან,
ამოვსებული ქარის წვეთებით.
შენი ძილი კი სამოთხეში გასასვლელია,
მაგრამ მე მასში ვერ გავეტევი.

ჩემს ძილს, ყოველთვის, ნესტიანი ლაბირინთებით,
სიზმრის ჩირაღდნით,
სისხამ დილაში თუ გავყავარ ლაბირინთებით,
ყოველთვის ასე ხდება, მარტივად,
სიზმრის ჩირაღდანს ჩაეაქრობ და მე ავინთები,
დაძინებამდე მუდამ ვანთივარ.

მე და ძველ გუთანს მიმათრევენ ჩემი ხარები,
ოფლი მდის ღვარად,
მე და ჩემს გუთანს მიგათრევენ ჩემი ხარები,
ირგვლივ სურნელი ტრიალებს მიწის,
– „რას ვიფიქრებდით, თუ შრომასაც შეიყვარებდი!"–
ციდან ყვავები მაყრიან სიცილს.

ერთხელაც მივხვდი, რომ ჩემს ღმერთებს გაუჩნდათ ბზარი,
ხმა მესმა ციდან,
და მაშინ მივხვდი, რომ ჩემს ღმერთებს გაუჩნდათ ბზარი,
სხვებისთვის უცხო წმინდანებს ვგავდი,
და სწორედ მაშინ მე შევკარი ვაზისგან ჯვარი, –
სათამაშოსთან დაგიდე, თავთით.

IV

ვის რა ხელი აქვს განზრახულთან, ის უნდა მოხდეს,
დე, იყოს ასე,
ვის რა ხელი აქვს განზრახულთან, ის უნდა მოხდეს,
და მე გავყევი ნაწვიმარ შუკას,
არა, არ იყო ნაადრევი ჩემი სურვილი,
შემოუსვლელი ალუჩების გაზაფხულივით,
და სწორედ მაშინ დავბრუნდი უკან.

საუკუნეთა მთაგრეხილებს ებურა ნისლი,
და იყო ღამე,
თვრამეტ მთაგრეხილს კვამლისფერი ებურა ნისლი,
დროს გავუყევი – დამტვერილ ეტრატს,
მკლავებგაშლილი მივფრინავდი სივრცის ხახაში,
ციდან მაცრიდა თეთრი წვიმა – მთვარის ნახარში,
თავით ფეხამდე დავსველდი თეთრად...

მომდევნო ღამეს შევიკრიბეთ ხეხილის ბაღში,
გვემოსა თეთრი,
მომდევნო ღამეს შევიკრიბეთ ხეხილის ბაღში,
ჩვენთაგან ერთი კუბოში იწვა,
ამოგვჩურჩულეს ნეტარებით ვაზის მორჩებმა,
რომ ამალამაც მარიამი ყრმაზე მორჩება
და ჩვენ ტირილით ვემთხვიეთ მიწას.

ქვებზე ფრჩხილებით ამოვკაწრეთ ჩვენი ანდერძი,
დავაწყვეთ მწკრივად,
ქვებზე ფრჩხილებით ამოვკაწრეთ ჩვენი ანდერძი,
სადღაც, ვერხვებში, იქუხა მეხმა,
და მერე ქარის მოტანილი სუნით გავბრუვდით,
შენ, სწორედ მაშინ, დედის გაელით უკან დაბრუნდი.
ტიდა-ელენა დავარქვით ერთხმად.



იმ გამოჩორკნილ სათამაშოს მას ვაპოვნინებ,
ალბათ, მოიხდენს თოჯინის ნიღაბს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

მე გეტყვი: სული აიყოლე, მკლავი შენია,
და ჩემი მკერდიც,
მე გეტყვი: სული აიყოლე, მკლავი შენია,
წმინდა ღიმილი ტივტივებს ძილზე,
ამ ბნელ ოთახში ვარსკვლავებიც გაგვიჩენია,
ჭერზე, ახლა რომ სიბნელით გვიმზერს.

უკვე დაიწყო გაზაფხული გულში დარჩენის,
მე ვრაზავ კარებს,
დაწყებულია ყვავილობა გულში დარჩენის,
და უჩვეულო სიტყვების დროა.
სახლში, ცალ ფეხზე, წეროსავით დადგა სიჩუმე,
შენს სუნთქვას ზღვების სურნელი მოაქვს.

ჩამქრალ თვალებზე დავიფარებ შენს ციცქნა პეშვებს,
მონეტებივით,
ჩამქრალ თვალებზე დავიფარებ შენს ციცქნა პეშვებს,
ვხედავ რა ხდება სიკვდილის შემდეგ,
ვხედავ, ჩემსავით რომ დარჩები ბოლომდე ბავშვად
და ეს არც ისე ცუდია, მენდე.

მე გეტყვი: სული აიყოლე, მკლავი შენია,
და ჩემი მკერდიც,
მე გეტყვი: სული აიყოლე, მკლავი შენია,
ჩემი ფიქრი კი ზღვებისკენ მიდის,
ამ ბნელ ოთახში სავსე მთვარეც გაგვიჩენია,
მიცვალებულის გულივით მშვიდი.

VI

შენი სიტყვები არი ლექსი და ლექსის ზევით
ღვთის სიტყვა თუა,
მხოლოდ ის არი პოეზიის და ლექსის ზევით,
და შენს სიტყვებზე მტრედები სხედან,
რადგანაც მათი მოსახმობი ლექსი გამოთქვი,
ჩამოფინდნენ და მოიყოლეს სხვდა სამოთხის,
და პეშვებს ვუშვერთ მე, შენ და დედა.

ჩვენ რა ვილონოთ, ყველა გზა თუ ცაში არ მიდის?!
ანდა თუ წყდება?!
ჩვენ რა ვილონოთ, ყველა გზა თუ ცაში არ მიდის?!
თავის ტვირთს ყველა წინდაწინ ირჩევს,
ისიც არ ვიცი, რომ დავფიქრდე, რას დავაბრალებ
ღმერთს და კაცს შორის ამ უძირო ალპურ ნაპრალებს,
გულებს – ზამთარში გამომშრალ გირჩებს.

შენ ღვთის სიტყვა ხარ და არასდროს განმეორდები,
შენ ერთხელ ითქვი,
ხო, ღვთის სიტყვა ხარ და არასდროს განმეორდები,
ანგელოზები გაფრენენ ცაში,

და რომც ვეძებო, სად ვიპოვი მე შენს შესატყვისს...
ღამის ქარს მოაქვს ბეთჰოვენის „ელიზესათვის“
და ელავს ძაფი ღვთისმშობლის თავშლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადულს უჭირს კალაპოტში გაჭრა პირველად,
და ფრთხილად მიდის,
რადგანაც უჭირს კალაპოტში გაჭრა პირველად,
მეორედ, იცის, ადვილად წავა,
და მენც აქამდე უჩვეულო ილეთს ასრულებ:
პირველი პირჯვრით დააფეთებ მომსკდარ ავსულებს
და გზას ადგები, ტაძრისკენ მავალს.

VII

კბილი დამედგას მამის ძვალზე, ცა ჩამომექცეს,
ზღვამ პირი მიყოს,
კბილი დამედგას დედის ძვალზე, მზე ჩამომექცეს,
საკუთარ ძვალზეც დამედგას კბილი, –
არ მიფიქრია გადასატან მძიმე ომებზე,
რომ დავადექი, ერთხელაც, ბილიკს.

ფქვილი დამქონდა გასაყიდად ცხენის ურიკით,
მეძინა მინდვარდ,
მინაც დამქონდა გასაყიდად ცხენის ურიკით,
და წლების ასე გავიდა წყება,
ახლა, ნეკნებში ჩალექილი ჩემი სული კი,
მარტის თოვლივით, შენს მუქზე დნება.

რაში გეჭირდება სიყვარული, თუ ის მარტოა, —
დაიმახსოვრე, —
რაში გეჭირდება სიყვარული, თუ ის მარტოა,
თუ მის მოქცევას არ მოყვა ვინმე?!
თუ მოვიდა და ცოტა ხანში ისევ დაგვტოვა,
თუ გაეკიდა სეზონურ წვიმებს?!

ან წარსულიდან ამოხეთქილს, ვინღა მოარჩენს, —
დააფენს ღრუბელს, —
ვულკანს, წარსულში ლავაგადგმულს, ვინღა მოარჩენს?!
ქარს ვინ მიაწვდენს სამყაროს კიდეს?!
მთვარეში ყინულს, მზეში ნახშირს ვინ გამოარჩევს
და სიტყვებს შორის ვინ გადებს ხიდებს?!

ჩემს გამოჩორკნილ სათამაშოს მას ვაპოვნინებ,
შენ რომ გაჩუქე,
იმ გამოჩორკნილ სათამაშოს მას ვაპოვნინებ,
ალბათ, მოიხდენს თოჯინის ნიღაბს,
და თვალებს, როგორც მოკაშკაშე მცირე ცთომილებს,
ამჯერად ვუშვებ მომავლის მიღმა.



*მანანა მათიაშვილი*

**მრავალძარღვები**

მრავალძარღვების მოსაგროვებლად როცა მიდიხარ,
უნდა მოკრიფო ნედლი ფოთლები, მერე გარეცხო
და სხვენის ჩრდილში კარგად გააშრო... – ასე წერია
წიგნში „სამკურნალო მცენარეები", გვ. 34.

მივდივარ, მაგრამ ვერსად ვპოულობ დაფოთლილ ბალახს.
მერე უეცრად ჩნდება თანდათან
ერთი, მეორე, ქვასთან, ღობესთან.
მოვკრიფე. წყალში იბადება უკვე მეორედ
ზურმუხტისფერი ქოლგის თეთრი, თეთრი ხაზები...

თითით ავზომავ უხილავი მთების სიმაღლეს,
ჩემი გოგონა მწვანე ბურთით რომ ითამაშებს.

**არიადნე**

ჩემ სამსახოვან ლაბირინთში
მოულოდნელად შეიძლება გაიხსნას კარი,
თეთრი პეპლებით ალტაცების უნარს დავკარგავ
და ვხდები წყნარი.
არაფერია იმ სურვილში ცუდი, როდესაც
არ გინდა იყო ნახევარი და ხდები მთელი,
და მოჰყავს იგი ჩემგამძლე მზის სხივს, რომელიც იყო,
მაგრამ ვერ მიხვდა, გადმოევლო ცხრა მთა და ბარი,
რადგან მე ვიყავ ერთადერთი ის არიადნე
და ერთადერთი ის გორგალი მეჭირა ხელში,
იმ ერთადერთის, მიუხვედრელის, სამყოფელამდე,
იჭიმებოდა საიდანაც ცალპირი ძაფი.

და ერთადერთი ის გორგალი მეჭირა ხელში,
იმ ერთადერთის, მიუხვედრელის, სამყოფელამდე,
იჭიმებოდა საიდანაც ცალპირი ძაფი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# პროზა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ან ქუჩაში  საწყალი გვერდმობრეცილი ქალი გადაგიდგება, გაკრიალებული, გადაკეცილი ფურცლებით: – „შეიძლება გაგესაუბროთ? გწამთ სიკვდილის შემდეგ აღდგომის და საუკუნო ცხოვრების? სადაც ლომი და კრავი ერთად სძოვენ?..

ბიჭო, კი იფიქრებდა კაცი მაგაზე, გწამს თუ არა საიქიო ცხოვრების, მაგრამ ეს მობალახე ლომი რა უბედურებაა?

რა დააშავა საწყალმა ლომმა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველთვის როცა



ბექა ქურხული

*„შეიძლება – თქვა კიროგამ – მაგრამ მე ვიცხოვრე და მოვკვდი ისე, რომ დღემდე არ ვიცი რა არის შიში. ახლა კი მივდივარ იმ ადგილას, სადაც ახალ სახეს და ახალ ბედისწერას გადავეყრები, რადგან ისტორია დაიღალა ძლიერი ადამიანებისაგან"*

**ხორხე ლუის ბორხესი**

სიცარიელეს გრძნობდა.

მურტალ, ნათელ, ცივ სიცარიელეს.

გასრილილი თოფივით იყო შიგნიდან დაცარიელებული.

ადრეც ხშირად ჰქონია ასეთი შეგრძნება, სიცარიელის და დასასრულის.

ასეთ დროს ყოველთვის ფეთდებოდა, თითქოს წყალქვეშ ჩაყვინთა, წყალმცენარეებში გაიხლართა და ამოყვინთვას, თავის დაღწევას ველარ ახერხებდა, მაგრამ მაინც გლეჯდა ყველაფერს და ერთ-ორ დღეში ისევ ივსებოდა ძალით, ენერგიით და სილაღით, როგორც უდაბნოს ოაზისში, ღრმად, მიწისქვეშა, წყალუხვ დინებამდე ამოთხრილი ჭა ივსება ანკარა წყლით.

ახლა კი, ჭა ძალიან იგვიანებდა გავსებას. ერთი-ორი დღეც გავიდა და ერთი-ორი კვირაც. ჭის კედლები ნელ-ნელა მაგრამ უკან მოუხედავად შრებოდა და ნაცრისფერდებოდა.

სიცარიელე მას შემდეგ მობრუნდა, რაც თავისი უკანასკნელი წიგნი დაამთავრა. ამ წიგნის წერის დროს განსაკუთრებულად იყო დაძაბული და ძარღვებდაჭიმული, კვადრატულად დანალმულ მინდორზე ვარაუდით მიმავალივით გრძნობდა თავს. ადრე ყოველთვის ეცინებოდა, როდესაც მოცარტის, მოდილიანის ან გოგოლის ისტორიებს კითხულობდა. ვერ წარმოედგინა, არ სჯეროდა რომ მუსიკის შექმნის, ხატვის ან წერის დროს, ადამიანმა მართლა შეიძლება გააფრინოს.

პირველად მაშინ მიხვდა თვითონაც ცუდად რომ ჰქონდა საქმე, როდესაც არა მარტო დღისით, როდესაც შეპყრობილივით წერდა, არამედ ღამითაც, ძილში, ბურანში, სიზმარში თუ ზმანებებში, ცალკეულმა ფრაგმენტებმა, ფრაზებმა და სახეებმა მოჩვენებებიეით დაიწყეს ბორიალი.

„ოპაა!" – იფიქრა – „ე, ე!.."

მოდიოდნენ, ჩნდებოდნენ, ქრებოდნენ, აბსოლუტურად რეალური ავტომატიანი ბიჭები, სრულიად ფანტასმაგორიულ არეალში, ზღაპრულ არსებებთან იწყებდნენ მოძრაობას. შედიოდნენ, გამოდიოდნენ, ირეოდნენ... თითქოს თავისი არ ჰყოფნიდათ, თითქოს შარი აკლდათ.

შინდისფერი, ყვითლად დაშპაკლული, დაბურულმინებიანი „09", ჩრდილოეთ ოსეთის ინგუშური სოფელი ჩერმენი – „გერაინნავაია რესპუბლიკა", ოსეთ-ინგუშეთის შეიარაღებული შეტაკება, 1992 წელს, ჩერმენში, ბეტონის ფილებით გადაღობილი ბლოკპოსტები, აქეთ ოსები, იქით ინგუშები, შუაში, ნეიტრალურ ზონაზე კი შინდისფერი დაშპაკლული „09" ქართული ნომრებითა და ნაშლის ასაღებად წამოსული ოთხი ბიჭი – „ნი სტრელაიწე რებიატა მი ტბილისსკიე ნარკამანი"...

ისედაც მთელი სიცოცხლე ომში და ხათაბალაში იყვნენ და ახლა ამისი ნაწერები, ზმანებები და უბედურობა. მით უმეტეს რომ, ამათგან თითქმის ყველა უკვე სამშვიდობოს იყო გასული!

ყოველთვის როცა!..

წიგნი. წერდა და მაგრად ნერვიულობდა. მერე ეს წიგნი ყველაზე მაგარი აღმოჩნდა და დამთავრდა. აღარაფერი გამოსდიოდა.

„ვნახოთ" – ფიქრობდა – „ადრეც წამსვლია საქმე ცუდად, ძალიან ცუდადაც, მაგრამ რამდენიმე დღეში ყველაფერი დალაგებულა."

კი, ყველაფერს ალაგებდა და თავის ადგილზე აბრუნებდა როგორც კარიბის ყურეში, იამაი-

კისკენ დაძრული და შტორმში მოყოლილი მეკობრეების კაპიტანი თავისი კარაველის საჭეს.

აბრუნებდა, მაგრამ თვითონ ყველაზე კარგად იცოდა, რომ თავად ვერაფერსაც ვერ წყვეტდა, უბრალოდ სასწაულად უმართლებდა, ახლა კი როგორც ჩანს მისმა განთქმულმა იღბლიანობამაც თავს უშველა.

არა, თავიდან დიდად არ უნაღვლია.

წიგნის დასრულების შემდეგ თვითონაც აღარაფერი უნდოდა, ხოშიანად გრძნობდა თავს ამ სიცარიელეში, იდგა არხეინად, ჯიბეში ხელებჩაწყობილი, დაცარიელებული და დამსუბუქებული. რამდენჯერმე მაგრად დალია და გაუტია. იცოდა რომ არასოდეს გალოთდებოდა. გალოთებასაც თავი და მოხერხება უნდა. ისევე როგორც არასოდეს შეჯდებოდა წამალზე. იმ უბრალო მიზეზით, გაცილებით უარესი რამ სჭირდა. ეგ ისეთი ამბავი იყო, აი გიჟები რომ არ გიჟდებიან.

დალევა უარესად აცოფებდა!

იჯდა მერე, გამოფხიზლებული, საკუთარ თავზე, საკუთარ უმწეობზე და სიმთვრალეზე გაბრაზებული და იმ დღეს ელოდა, როცა სადღაც წასული საკუთარი თავი დაუბრუნდებოდა, იარაღის მჭიდივით დატენიდა და წინ გაიგდებდა. ყოველთვის ასე ხდებოდა. მიეჩვია, მაგრამ ზუსტად იცოდა, რომ ასე დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა. თუმცა არც ის იცოდა როდის დადგებოდა ეს დღე, ეს ღამე, ეს დრო.

და აი ახლა, ეს მხსნელი დილა საეჭვოდ იგვიანებდა.

ნერვიულობით არ ნერვიულობდა, არც წუწუნებდა, თუნდაც იმიტომ, რომ არც წუწუნს და არც ნერვიულობას აზრი არ ჰქონდა. ერთ მშვენიერ წუთსა და წამს ეს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო და მთავრდებოდა კიდევაც. ყველაფერი სწორად და სამართლიანად ხდებოდა.

იცოდა, მაგრამ მაინც მაგრად დაიბნა და დაფეთდა. უცებ დაბზრიალდა, გამოსავალის ძებნა დაიწყო.

დასასრული ყოველთვის მაგარი გოთვერნული რამეა. ვერ ეგუებოდა. გამწარებული იბრძოდა, მაგრამ ვერა, ვერაფერი...

90-ე ფსალმუნი გაახსენდა. თავისი საყვარელი, ქრისტიანი მეომრების მფარველი 90-ე ფსალმუნი, რომლის გარეშეც არც ერთ საშარო ადგილას არ მიდიოდა, არც თბილისში, არც ცხინვალში, არც ავღანეთში, არც აფხაზეთში და არც ჩეჩნეთში.

„რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მაღლისათა"... „ჰრქუას უფალსა: – ხელის ამპყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი"... „ბეჭთ-საშუალითა მისითა გფარვიდეს შენ"... „ღვაწლისაგან რომელი ვალნ ბნელსა შინა, შემთხვევისაგან და ეშმაკისა შუა დღისა"...

არ უშველა. აღარ შველოდა. მაშინ 50-ე ფსალმუნი მოიშველია.

„მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა"... „რამეთუ უშჯულოებაი ჩემი მე უწყი, და ცოდვაი ჩემი, წინაშე ჩემსა არს"... და „მამაო ჩვენო" სამჯერ!

არა! არაა! აღარაფერი შველოდა!

დილა კი აღარ ბრუნდებოდა. აღარ ბრუნდებოდა და მორჩა. იღბალთან ერთად გაიქცა. მოხიეს და წავიდნენ. ატყდნენ. იყვნენ, ითმინეს, ითმინეს, მერე „ერთი შენი გიჟი კეთილებიცო!"... გადაახტნენ მაღალი დენით დატენილ მავთულხლართებშემოვლებულ „ზონის" ღობეს და პლეტი.

ცა დახაზეს პროჟექტორებმა, აღავღავდნენ ძაღლები.

წავიდნენ. წავიდნენ და გაიქცნენ. გააღწიეს...

მირბოდნენ ახლა ერთად, ტაიგაში თუ ჯუნგლებში.

უყურე და გაიგე ახლა, რომელი გახდება დასაკლავი „ძროხა", დილა თუ იღბალი? რომელი რომელს შეჭამს, დილა იღბალს თუ იღბალი დილას? თუ „ვეფხვი და მოყმესავით" ერთმანეთს ამოხოცავენ? მისგან კი დააღწიეს თავი.

გაშპნენ.

გაშპნენ და ერთი მაგათი დედაც...

ყოველთვის როცა...

მაინც მაგრად იყო დაფეთებული და დაბნეული. აღარ იცოდა რა ექეთებინა, რას მისკდომოდა, რა აეფეთქებინა. გარეთ კიდევ უფრო მეტი სიცარიელე იყო. თანაც იქ გარეთ წიგნიც არ დაუმთავრებიათ – წიგნი არა დედისმაგათისა – გარეთ რაღაცნაირი, ჭყეტელა ყბედი სიცარიელე იყო, სიცარიელის სიცარიელე.

სახლიდან გასვლამაც ისევე დაკარგა აზრი, როგორც სახლში შემოსვლამ.

იწრიალა. კარგა ხანს იწრიალა. მერე წიგნების კარადიდან „დათვი" გადმოიღო. შეეცადა წიგნიდან მაინც ეგრძნო ნამდვილი რაღაცეების გემო, მუღამი და სურნელი: – ზანგური დალიანდაგებული საბნის, დედა ფამატის წინ გაგლეჯილი, ბარკალახლეჩილი კვიცის, ბებერი ჯადოქრის – უზარმაზარი კოჭლი დათვის, სახელად ბენის, რომელიც ვეებერთელა ორკაპა კვალს ტოვებდა, მასზე მონადირე ბიჭის, მაიორის, სემ ფადერსის, ცალთვალა ჯორის, ბუნ ჰოგენბეკის რომელიც ყოველთვის აცილებდა თოფს მიზანს და ბოლოს მხეცზე დიდი სანადირო დანის ანაბარა მიდიოდა და დათვზე არანაკლებად საშიში, უზარმაზარი ნაგაზი ლომასი, რომელსაც ტყის მეფემ – უზარმაზარმა კოჭლმა დათვმა, თავის უკანასკნელ, სასიკვდილო ბრძოლაში ნაწლავები დააყრევინა.

– „არხეინად იყავი" – თქვა დე სპეინმა – „არცერთი ძაღლი მაგასთან არ დააცემინებს და არც გაეკარება, თუ გინდაც ეძინოს.

– იგი ადგილზევე მოკლავს პირველსავე ძაღლს რომელიც დააცემინებს, დაამთქნარებს ან შემთხვევით გაეკარება".

თითქოს უშველა. მერე ისევ დალია. დალევა უფრო შველოდა, ოღონდ მხოლოდ იმ მომენტში როდესაც სვამდა. მეორე დღეს, ნამთვრალევზე გაცილებით უარესი იყო. არა, ფიზიკურად არ გრძნობდა თავს ცუდად, არაფერი სტკიოდა, მაგრამ იმ უძლურების, საკუთარი თავისადმი ზიზღის და უცნაური გაცვეთილობის ნაზავს, ცუდად ყოფნა კი არა, ხელ-ფეხის მოხვრხვა სჯობდა.

აქედან კი მხოლოდ ერთი გამოსავალი არსებობდა. ისევ დალევა მეორე დილით. მერე ისევ. ვიდრე წართლა ცუდად არ გახდებოდა, ან ისე არ მობეზრდებოდა და შეზიზღდებოდა საკუთარი თავი, რომ მერე მთელი დღე ეძინა და თუ შემთხვევით გაეღვიძებოდა ისევ გამწარებული ასწრებდა საკუთარ თავს ძილში.

როდემდე იძინებ?..

სმის დროს „დათეიც" მიატოვა, ისევე როგორც მანამდე 90-ე ფსალმუნი, 50-ე ფსალმუნი და „მამაო ჩვენო".

როგორც გადმოიღო, ისევ ისე შეაგდო უკან კარადაში, კუსტარულად გაკეთებული „ნოვი მირ"-იდან ამოკრეფილი, მწვანე, მაგარ მუყაოს ყდაში შეკრული, ბადრი ქოხონელიძის ნაქონი წიგნი, რომელშიც „დათვის" გარდა თომას ვულფიც იყო – „პაუწინა ზემლი". 1988 წელს, ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატის დროს ათხოვა ბადრი ქოხონელიძემ ეს წიგნი, ზუსტად იმ დღეს, როდესაც ჰოლანდიის ნაკრებმა, თავისი რონალდ კუმანით, რუუდ გულიტით და მარკო ვან ბასტენით 3:1 მოუგო ჰარი ლინეკერიან და დევიდ პლატიან ინგლისის ნაკრებს. ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში ტარდებოდა, წიგნი კი მემკვიდრეობით დარჩა ბადრი ქოხონელიძისგან.

ამ წიგნში დარჩნენ ბენიც, სემიც, მაიორიც, ირემიც, ქოფაკიც, ცალთვალა ჯორიც და კოჭლი დათვიც, თვითონ კი ისევ უმიზნო და უაზრო წანწალი დაიწყო შიდა სიცარიელედან გარე სიცარიელეში და უკან, იმის მიუხედავად რომ ზუსტად იცოდა, სიცარიელედან სიცარიელეში მოგზაურობა იმავე უაზრო რამეა, როგორც სხვა ყველანაირი მოგზაურობა, ომი, ბრძოლა, ლოცვა, წერა, სმა და კითხვა.

მაგარი გარეკილი ჰქონდა, მაგრამ არც ისე რომ ერთდროულად დაელია და სამხრეთული გიჟური და დაუსრულებელი აბზაცები ეკითხა. მოგზაურობა ხომ საერთოდ. ჯერ სადაც არ უნდა ჩახვიდე, ბონში, ბაზელში, სტამბულში თუ გალში, ყველგან ტუალეტში რომ უნდა შეხვიდე, ამის ატანა არ გინდა?

ჰო, ვიღაცეებს მოსწონთ და იმდენად მოსწონთ რომ უცხოეთში, ტუალეტში საკუთარ თავს სარკეში ფოტოებს უღებენ და მერე ინტერნეტში დებენ, აი, რა მაგარ „უბორნიაში" ვიყავიო, არის თმის ვარცხნა და ზედ თეთრი კოსტუმი, მაგრამ ვისაც ეს ამბავი, რომ საზღვარგარეთ და თან ტუალეტში იყო, საერთოდ, ვერ აგდებს და არ შველის, იმას მაგრად ცუდადა აქვს საქმე ხო?

ვინ იცის რა არის ამქვეყნად მნიშვნელოვანი და რა უმნიშვნელო? იქნებ, იმ დღეს, დოლიძის ქუჩაზე მომავალი, ტანდაბალი, წითელ ნაჭრის კურტკაში ჩაცმული მოხუცი კაცია, რომელსაც თეთრი ნაქსოვი ქუდი ჩამოეფხატა ქალარა თავზე, პატარა, ხელისგულისოდენა, ჭუჭყიან, ნაცრისფერ რადიოში, ნიაზ დიასამიძეს უსმენდა და გაცხარებული ებუტბუტებოდა საკუთარ თავს. რადიოს გრძელი ვერცხლისფერი ანტენა ჰქონდა. „ლიიიიბელტაააად!" – უბერავდა ნიაზა. იქნებ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი? თუ არადა აბა რა? რა არის მთავარი და მნიშვნელოვანი? არც არაფერი ხო?

Nothing!

მოგზაურობა, ტუალეტი და კიდევ ისა – „კონფლიქტური რეგიონები" და „ცხელი წერტილები"...

სინამდვილეში არანაირი ცხელი წერტილები არ არსებობს. და არც არასოდეს არსებობდა. ყველა ეს ყბადაღებული „ცხელი წერტილები" და „კონფლიქტური რეგიონები" ისეთივე სიაფანდი, ძალად მოგონილი და ხელოვნურად შექმნილი ამბავი იყო, როგორც საკიდზე პალტოს დაკიდება, ლიფტის ღილაკზე ხელის დაჭერა, ვიღაც ტიპისთვის, რომელიც ზუსტად იცი რომ ახვარია, გამარჯობის თქმა, ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებაზე დგომა.

აფხაზეთი, ცხინვალი, ჩეჩნეთი, კოდორის ხეობა, ინგუშეთი, პანკისი, ვლადიკავკაზის წინასწარ დაკავების იზოლატორი ე.წ. „КПЗ" – „აკტიაბრსკის" რაიონში, კარცას უბანში, გაცილებით ჩვეულებრივი და ნორმალური ამბავი იყო, ვიდრე ყოველდღიური ყოფითი რუტინა და ორომტრიალი.

დილით გაღვიძება, ადგომა, ჩაცმა, ნებისმიერი განვლილი დღე დაღამებამდე, გაცილებით უფრო დაუნდობლად გაგისწორდება, გაცილებით უფრო მაგრად გაგითეთრებს სისხლს და ჩაგაძაღლებს, ვიდრე ნებისმიერი იარაღის ჯერი სადმე „საშიშ" და „სახიფათო" ადგილას. იქ უბრალოდ ისვრიან. ადამიანები კი გაცილებით ნორმალურები, ჯანმრთელები, საღები არიან. გაცილებით უფრო ნაღდები. არავინ იცის რატომ და როგორ, შეიძლება ძალიან უცნაურია, მაგრამ ასეა. რაც უნდა სამწუხარო იყოს, ფაქტია რომ ადამიანები სასიკვდილო საფრთხის წინაშე გაცილებით უკეთესები ხდებიან და გაცილებით მეტად უყვართ ერთმანეთი, ვიდრე რომელიმე ფეშენებელურ, რესპექტაბელურ და გაპრიალებულ, კონდიციონერებიან ოფისში. გაცილებით ნაკლებად სასტიკები და დაუნ-

დობლები არიან. გალში, ხაიშში, ნიქოზში, დუის-ში, ითუმ-ყალეში თუ მაზარ-ი-შარიფში, ჯერ კიდევ ახსოვთ სიტყვები, რომლებიც აქ „ცივი-ლიზებულ სამყაროში," დაცინვისთვის დავი-წყებისთვის და მამონტებივით და კბილხანჯალა ვეფხვებივით გასაქრობად და გადასაშენებლად არიან განწირულები.

სიტყვები: – „სიმამაცე", „ღირსება", „კეთილ-შობილება!"

ასეთი საქციელი, ასე მოქცევის მცდელო-ბაც კი უკვე ძალიან ცუდ ტონად, მიუღებელ და სულელურ საქციელად ითვლება, ამ ჩვენს „გა-ნათლებულ" და „პროგრესულ" საზოგადოებაში – სპეციალური სიტყვებიც მოიგონეს იმ ადა-მიანებისათვის რომლებიც ასე სამარცხვინოდ ჩამორჩნენ „პროგრესსა" და „მოწინავე იდეებს:"

– „წარუმატებელი", „ლუზერი"...

და ისა...

21-ე საუკუნე!

21-ე საუკუნე არა ფეხები! ძალიან სულელი უნდა იყოს ადამიანი, რომ დროს გაეკიდოს და კიდევ უფრო მეტად სულელი, რომ გაუჩნდეს ილუზია, თითქოს ამ დროს დაეწია! ასეთი „მარა-თონის" გარბენისას ჩნდება აბსოლუტურად, მი-რაჟული და აბსურდული განცდა, თითქოს დრო, ციფრებთან ერთად იცვლება, რომ 1899 წლიდან 1905 წლამდე, ან 1997 წლიდან 2013 წლამდე მართლა შეიძლება რაიმე ახალი მოხდეს, რაც აქამდე არ მომხდარა. რომ დროს და ამ ცი-ფრებს, მართლაც რაიმე კავშირი აქვთ ერთმან-ეთთან.

დრო! ერთხელ მეიდანზე, კლორთალში, რეზო შავიშვილთან ერთად, ოღონდ პოლიტოლოგ რეზო შავიშვილთან კი არა, ლამაზ გოგიას შვილიშვილ, ბანდიტ რეზო შავიშვილთან ერ-თად, რომელიც თუმანიანის 10-ში ცხოვრობდა, მერე კი გაგიჟდა და უგზოუკვლოდ გადაიკარგა, მეიდნელ მესაათე იცხაკას მიადგნენ. რეზოზას თავისი კუთვნილი ფული უნდა გამოერთმია. ციხიდან ახლად გამოსული გაჩერებული განა-ბი იყო, თვითონ ამბობდა „ვორ ვ კანფლიქტე" ვარო, მაგრამ უბანში მაგრად უყვარდათ და ქუჩასაც ეკითხებოდნენ, მგონი უფრო წარსუ-ლი საგმირო საქმეების, სამართლიანობისა და ერთგულების გამო. ძველი ყაიდის განგსტერი გახლდათ, ფილოსოფიაში და ლიტერატურაში რომ ერკვეოდნენ და კეთილშობილ ყაჩაღობას რომ აწევბოდნენ – „არისტოკრატ!" მგონი მაგი-ტომაც გარეკა ბოლოს და დიდი, მაჯისმსხო, ჟანგიანი ჯაჭვის ტრიალით გავიდა მშობლიური არკიდან, ვიდრე საბოლოოდ გაქრებოდა! მამამისი გარი ბაბუ ამბობდა: – რაღაც ჩაუყარეს, მოწამლესო. რავი შეიძლება. მოკლედ, ამ რეზოსთან ერთად მიადგნენ იცხაკას. იცხაკამ, მაგიდის ლურჯი მაუდის გადას-ფარებელს ქვეშიდან, თეთრი კონვერტი გამოიღო, რატომღაც ფეხზე წამოდგა, ეგრე, ხელი ხელში გადსცა რევაზას და ისევ დაჯდა. საქმე მორჩა და ახლა, ალალად, თბილად და შინაურუ-ლად მოიკითხეს ერთმანეთი: – „ჰა რას შვრები იცხაკა, ვხედავ ისევ ძველებურად საათებს ასწორებო?" იცხაკა მოულოდნელად ძალიან განაწყენდა: – „არ გეკადრება, რეზოს შემოვევლე მე გარშემო, შენ მასეთი ლაპარაკი. მაგ ჰარიფებს ჰგონიათ, რომ მე საათებს ვასწორებ, გოიმებისთვის ასწორებს იცხაკა საათებს, ხალხისთვის კი, წესიერი, პატიოსანი ბიჭებისთვის დროს ვას-წორებ დაგენაცვლე, დროს ასწორებს იცხაკა დროსო!" – მოე-წონა რევაზას იცხაკას პასუხი, ჩუმად ცალყბად გაიღიმა, უხმოდ ადგა და ლიტრიანი „ფინლანდია" მოიტანა, თავისი მისაყოლე-ბლებით და მთელი დღე სვეს იცხაკასთან ერთად, გაფუჭებული საათებით ამოტენილ ბუდრუგანაში! თავისი ჭკუით დროს ას-წორებდნენ.

დრო!

21-ე საუკუნე!

22-ე საუკუნეც მოვა! მერე რა რო?

30-ე საუკუნეშიც გამოჩნდებიან „ხელმოცარული" და „წარუ-მატებელი" ტიპები, რომლებიც შეეცდებიან!

კენ კიზის „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა"-ში, მაქმერფი რომ ქვის მძიმე წყლის ნიჟარას დაეჯაჯგურება, ვერ დაძრავს და ამბობს – „მე შევეცადე მაინც!"

მერე გამოჩნდება დამუნჯებული ადამიანი – ორმეტრი-ანი, სპილენძისფერი ინდიელების ბელადი, რომელიც, იმ ბიჭის სიკვდილის შემდეგ, ვინც ჯეკ ნიკოლსონის სხეულში ჩასახლ-და, სცადა, ბოლომდე მიაწვა, მაგრამ არ გამოუვიდა, მოგლეჯს, მილებიანად ამოთხრის იმ ქვის ნიჟარას, გაანგრევს, გავარდება და წავა და წავა!!!

და უყურონ მერე შორიდან იმ იდიოტური ტერმინების ანა-ბარა დარჩენილებმა და უთვალონ სამშვიდობოს გასულს: „21-ე, 22-ე, თუ მე-15" და მერე ეს ყველაფერი დაახვიონ და საკუთარ უფლებებში გაიკეთონ!

ისე, მაგ ფილმის გამო კენ კიზიმ მაგრად იბუზღუნა, კინაღამ მიაბრიდა მილოშ ფორმანი, ეტყობა სხვა მხრიდან უნდოდა კედ-ლის განგრევა, მაგრამ მთავარი მაინც კედლის განგრევაა და გაანგრიეს კიდეგაც.

და გავარდნენ, გავიდნენ სამშვიდობოს!

სადაც დრო და საზღვრები აღარ არსებობს!

და არც არიფები არ არსებობენ, რომლებიც ცდილობენ მო-გატყუონ, რომ მერე უფრო ადვილად შესძლონ საკუთარი თავის მოტყუება და საკუთარ არიფობასაც უფრო ადვილად შეეგუონ.



უფრო ასატანი რომ გაუძლეთ საკუთარი უმწეობის და საცოდაობის ყოველდღიურად ტარება!

და თუ ვერ მოგატყუეს და ვერ დაგაბოლეს, მერე იბოღმებიან, ველარ გიტანენ და ცდილობენ რამე დაგიშავონ, ოღონდ ისე უმწეოდ, უსაფრთხო ადგილიდან!

ვაან ტო!..

რა უნდა უშველო? შენ, შენი გაგჭირვებია ხო?..

უნდა გავარდე! უნდა გააღწიო!

მანამდე კი თავად გიწევს საკუთარ სიცარიელესთან, დაღლილობასთან, საკუთარ სიგიჟეებთან და საბედისწერო შეცდომებთან დაუსრულებელი და დაუნდობელი ბრძოლა!

საკუთარ თავთან!

ყოველთვის როცა...

და ვერც ის განუგეშებს, რომ ნამდვილად არავის ატყუებ, იმდენად მაინც არ გაბოზებულხარ, რომ ამტკიცო – ყველა ის შარი და უბედურება, კომბარები და ლამე ლოგინიდან წამოხტომა, გაბმული სმა და ღამის ჩხუბები, ვილაც ქალებთან თრევა და ზევით-ქვევით უაზრო წანწალი და საკუთარი სულის საკუთარი ხელებით გლეჯა, კარგია და საინტერესო. რომ ეს მნიშვნელოვანია და ასეთი ცხოვრებით შეიძლება რაიმეს მიაღწიო, რაიმე გაანყო, რაიმე გაანგრიო და სადმე მაინც მიხვიდე!

„ჰრქუა მათ იესუ: მცირედ ჟამ ნათელი თქუენ თანა არს. ვიდოდეთ, ვიდრე ნათელი გაქუსლა, რაიათა არ გეწიოს თქუენ ბნელი, რამეთუ რომელი ვალნ ბნელსა, არა უწყინ ვიდრე ვალნ".

სადმე მაინც, რალაც ადგილამდე, რომელიღაც ოაზისამდე ან ჯურღმულამდე მაინც რომ მიაღწიოს, მიეთრიოს, მიფორთხდეს, მაგის დედაც!..

ან ეშმაკამდე ან ღმერთამდე!

არა! ვერა!..

და არც ის არის რაიმე შეღავათი, რომ საკუთარი მურტალი და დაცარიელებული თავისთვის თვალის გასწორებასაც არ გაურბიხარ. რაც არ უნდა ძნელი იყოს ეს. გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე „სვარკისთვის" ან აფეთქებული მზისთვის თვალის გასწორება.

არანაირი შეწყალება და ამნისტია არ გეკუთვნის და არ გერგება, შე ბებერო ჩათლახო!

ვერანაირ შეღავათს ვერ ეღირსები!

ვერასოდეს!..

„ცხელი წერტილები", „ცივი წერტილები", „გრილი წერტილები"...

არავინ იცის, ვისთვის სად დაასტუკებს და როდის დაესმება წერტილი ამ უცნაურ სპექტაკლს. სად და როდის შეიძლება დადგეს ცხელი, ძალიან ცხელი წერტილი, რომელიც ძალიან სწრაფად ცივდება. თუნდაც შხაპის ქვეშ, კარგად, გემრიელად გასაპნულს, „ოვ სირუნ, სირუნ"-ის სიმღერის დროს, სრულიად მოულოდნელად შეიძლება ფეხი აგისხლტეს და ასე დაბანილმა და გაკრიალებულმა თავი დაჰკრა ვარდისფერ ან იისფერ დაორთქლილ კაფელს და სული განუტევო. დაგიდგება ეგრევე „ცხელი წერტილიცა" და „კონფლიქტური რეგიონიც" ერთად, გაბაძგავ საკუთარ აბაზანაში ფეხებს, როდესაც სრულიადაც არ ელოდი, რომ უკანასკნელად... ეგ ყოველთვის ეგრე ხდება. წერტილი მაშინ ისმება, როცა ანუშკა ზეთს დაღვრის და არა მაშინ, როცა შენ გგონია და გეშინია. „ვის რა მოელოდება, ვის გაასახლებენ, ვინ იცის?" შოთა ჩანტლაძისა არ იყოს. გახსოვთ? „გენერალი ქალაქიდან დამპირდა გასახლებას, გენერალი მილიციის"... ვინ იცის? ვინ იცის, ვის სადა აქვს ცხელი წერტილი? ხალხია, საკუთარ სახლში ისეთი ცხელი წერტილები და კონფლიქტური რეგიონები აქვთ – მიეცით ლაოსის და ჩრდილოეთ ვიეტნამის ჯუნგლები თავისი ვითკონგელებით, ან კლდეებზე ჩამომსხდარი, ნაღმსატყორცნიანი ტაჯიკებით სავსე პენჯშარის ხეობაში შეუშვი და იქნებიან კოხტად. აი, საკუთარ კორიდორში კი ძალიან უძნელდებათ! ძალიან უჭირთ! მართლა...

ვინ იცის? შეიძლება მთელი სამყარო მოიბოდიალო, საფრანგეთიდან სინგაპურამდე, ჰონოლულუდან ესპანეთამდე, გუამიდან იტალიამდე და ჰონკონგიდან აფრიკამდე, ბოლოს კი ძალიან და მართლა წარმატებულმა, დაბრმავებულმა, გაგიჟებულმა და მობეზრებულმა, სადღაც სოფელ ქეთჩემში თავში კარტეჩი დაიხალო, საკუთარი ხელით ამოიძრო სული და საბოლოოდ აიდაპოს მტვერაშლილ მიწას შეაფარო თავი – ის, რაც შენი სხეულიდან დარჩა, ამდენი ომის, ბრძოლისა და ჩხუბის შემდეგ, მაინც დამარცხებულმა და განადგურებულმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ იცის? ამასვე კითხულობდა იმპერატორის სასახლის მარცხენა ფლიგელის მცველი ტაირო კიეიმორი, რომელმაც თავისი გაქცეული მოსისხლე მტრის, იმპერატორის მეჯინიბეთუხუცესის, მინამოტო იოსიტომოს ცოლის სილამაზით მოხიბლულმა, ხელი აიღო თავის კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტილებაზე – ყელები გამოეჭრა თავისი მტრის ვაჟებისათვის – „ჩემს სასახლეში ჩემი მოსისხლე მტრის ბიჭს ვზრდი და რა მოჰყვება ამას? ვინ იცის, ამის გამო რა საფრთხე დაემუქრებათ ჩემს შვილებს და შვილიშვილებს? ვინ იცის როგორ შემოუბრუნდებათ ჩემი სისუსტე ჩემს შთამომავლებს?"

ვინ იცის?

ამიტომ ხანდახან გაცილებით ადვილია, პერსევსივით ფრთიანი სანდლები, ცელი და ფარი გამოართვა განაბების მფარველ ჰერმესს და გირგონებთან და მამაძაღლებთან წახვიდე საბრძოლველად, ვიდრე ფარზე არეკლილ საკუთარ თავს ებრძოლო გამუდმებით, რომელიც გაცილებით უარესად გაქვავებს, ვიდრე მედუზა პოლიდექტეს თავისი სამეფო კარიანად.

„გულანშარო, გულანშარო, სამეფოო ვაჭართა"... აი, კიდევ ვის უჭირდა და ვის თოშავდა მურტალი, თეთრი, ცივი სიცარიელე. შოთა ჩანტლაძეს და ტერენტი გრანელს. გალაკტიონ ტაბიძესაც; – „ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის"... „სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა" – მაგრამ გალაკტიონი კიდევ სხვა ვინმე იყო, სულ სხვა რამეები უწეწავდა ნვერს. ესენი კიდევ სხვა ვილაცეები იყვნენ. სხვაგან უბერავდნენ. სხვანაირად. „ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი, ახლა მიგონებს ალბათ ზოზია, გალაკტიონში არის დემონი და ჩემში უფრო ანგელოზია". რა სახელები ერქვათ ტო, ტერენტი, გალაკტიონი, ზოზია. ზედ შოთა ჩანტლაძის მონღოლურად აჭრილი, სიგიჟით აკრიალებული თვალები. „მამაშენი ბითურიაო" გადაუკიდა ერთი ცნობილი მწერლის შვილს. „თუ კარგია, ბითური მამაშენი ანანიააო". გაბრაზდა ცნობილი მწერლის შვილი. „ბიჭო მამაჩემი ანანია რომ ბითურია, მარტო მე და შენ ვიცით, მამაშენი რომ ბითურია ეგ ყველამ იცისო".

არ იყო მართალი. ბითური ბითურია, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენმა იცის? ბევრი თუ ცოტა ძალიან პირობითი რამეა. მაგაზე არ იწვალა, მაგის დამტკიცებაზე ალბერტ აინშტაინმა? „ფარდობითობის თეორია" დაამტკიცა და მერე ენაც გამოუყო მთელ ბითურ სამყაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საკუთარ ბითურობასაც.

ხო, მაგრამ სანამ საკუთარ ბითურობას ენას გამოუყოფდე, რატომღაც რაღაცეები უნდა გქონდეს გაკეთებული, მაგარი რაღაცეები. მარტო ენის გამოყოფას არაფრით სჯერდება ეს გოთვერანი.

არაფრით!

მაგარი უსამართლობაა ეგა, როდესაც ამ სიცარიელეში, სიცივეში და ჯოჯოხეთში მაგარი რაღაცეების გაკეთებას გთხოვენ, გაძალებენ და მანამდე გიკრძალავენ ენის გამოყოფას, თვითმკვლელობას, გინებას, რწყევას, ჩხუბს, ფურთხებას. თან იმასაც არავინ და არასოდეს გეუბნება, გააკეთე თუ არა, იქნებ უკვე მოარტყი და დაიმსახურე ეს ყველაფერი, მაგრამ არ იცი და ისევ უბერავ, ვიდრე არ დაიწვები „აჩკოს" მოთამაშესავით. ან რამდენი დაგრჩა, ან იქნებ სულაც ვერაფერს ახერხებ და ვერც ვერასოდეს მოახერხებ. ვინ გეტყვის, თვითონ რა იციან, ყველა თავის ბითურობას ურბენს გარშემო, ამ ღმერთმა კიდევ ლაპარაკი არ იცის, არაფერს არ გეუბნება, ზის, გელოდება, უყურებს სერიებს.

ხომ შეიძლება ის მაინც გაიგოს კაცმა, რომ ტყუილად ომობს, ტყუილად მიაგორებს ამ წყეულ სიზიფეს ლოდს, რომ გაუშვას ხელი, სადაც უნდა, იქ ჩაგორებულა ერთი მაგის დედაც!.. რომ დაჯდე მერე ფერდობზე, წელში განწყვეტილი, დამარცხებული და დალეწილი მტვრიანი ხელები დაიფერთხო და ფურთხებით და გინებით ერთი კარგად იჯერო გული.

ან ენა გამოუყო ქვევით დარჩენილ სივრცეს. ვისაც რა ურჩევნია.

არა! არავინ არ...

მაგარი გოთვერნობა და უსამართლობაა! მეტი სისასტიკე გაგონილა?.. კიდევ სროლას გიშლიან აქა. ამ ყველაფერთან შედარებით სროლა და დანის ტრიალი დედა ტერეზას ბრინჯის ფაფაა, მთელი მსოფლიოს კეთროვანებს რომ აჭმევდა დღეში სამჯერ, სუფრის კოვზით, დაუზარებლად, უშურველად და დაუნანებლად.

„ძალმომრეობაა ამ ქვეყნის ალლაჰი და უსამართლობა მისი მოციქული" – ეგრე ამბობდა არა, მამლუქების ტანსაცმელში გადაცმული მეგრელი ბიჭი, რომელმაც დამასკური, დაღუნული ხმლით ვენეციელი გრენადერის ფორმა და ბეჭი გადაუხსნა თავის ბავშვობის ძმაკაცს?

ყოველთვის როცა...

უსამართლობა. აი კიდევ ერთი სისულელე. ყველაზე დიდი სისულელე მსოფლიოში. სამართლისა და ჭეშმარიტების ძიება. მერე მაგ ჭეშმარიტების სახელით ტოკიოს მეტროში გაზს უშვებენ, ან ბენზინს ისხამენ და თავს იწვავენ, ან ნიუ-იორკის სავაჭრო ცენტრს – „თვიქსებს" ასკდებიან ხალხით სავსე თვითმფრინავით და ასე პოულობენ ჭეშმარიტებას – საიქიოში კი ჭეშმარიტების და სამოთხის მაგივრად ამხანაგი ლუციფერი



ხვდებათ, საწკაპითა და გადაღლილი, მაგრამ მაინც ხალისიანი სიფათით – „ჰა, ბიჭო როგორი რეკლამა მქონდაო!" ან ქუჩაში საწყალი გვერდმობრეცილი ქალი გადაგიდგება, გაკრიალებული, გადაკეცილი ფურცლებით: – „შეიძლება გაგესაუბროთ? გწამთ სიკვდილის შემდეგ აღდგომის და საუკუნო ცხოვრების? სადაც ლომი და კრავი ერთად სძოვენ?..

ბიჭო, კი იფიქრებდა კაცი მაგაზე, გნამს თუ არა საიქიო ცხოვრების, მაგრამ ეს მობალახე ლომი რა უბედურებაა?

რა დააშავა საწყალმა ლომმა?

და თუ ვერა ხარ და ამ ღრმააზროვან და დედაგადებულ სიცარიელესა აქვს თავისი შუშასავით ცივი და გლუვი საცეცები შემოხვეული, მაშინ კი შეიძლება, ველარ გაქაჩო თეოლოგიური დისპუტი და ალალად უთხრა, ბედნიერ და საუკუნო ცხოვრების იმედით აღსავსე, სააქაოში კი მაინც ჯიუტად გვერდმობრეცილ ქალს: – „სიკვდილის შემდეგ ცხოვრების კი არა ქალბატონო, ცოცხალი რომ ცოცხალი ვარ ეს ამხელა ახმახი, მაგისაც არ მჯერა და თუ მჯერა, აღარ მინდა, გამეშვი რა და ეგ ჭრელი და წმინდა ფურცელიც სხვას მიანიჭე – სადაც ლომი და კრავი ერთად სძოვენ"...

არა, ლომმა რა დააშავა?..

არა რა, სიკვდილის შემდეგ, საიქიოში, საუკუნო ცხოვრებისას, ჯოჯოხეთში რომ უკრავენ თავს და იქ ფანჯარასთან კოიკას დაითრევს, ეგ ლომიც თან უნდა წაიყვანოს, თორემ მოკლავენ აქ, გახეთქავენ მუცელზე ბალახისა და თივის ჭამით.

„ონ ნი ზასლუჟილ სვეტა, ონ ზასლუჟილ პაკოია"...

სტოპ!.. ეს უნდა ითარგმნოს, თორემ თავის უკანასკნელ წიგნში ერთი ამერიკელი მწერლის ციტატა არ თარგმნა რუსულიდან ქართულად, რუსულად უფრო ხოშიანად გამოდიოდა, უფრო მოსწონდა და ეწყინათ ძალიან!..

როგორ გამოვა ეგ ფრაზა, წყეული გურჯების ენაზედ? დედაენაზედ ანუ?

„მას არ დაუმსახურებია სინათლე, მან სიმშვიდე დაიმსახურა"...

და ვინ ეტყვის, სიმშვიდე მაინც თუ დაიმსახურა? სიწყნარე, სიჩუმე, ნირვანა – ვინ ეტყვის? მოძღვარი? ეპისკოპოსი? მოლა? ყადი? რაბინი? ხახამი? აბატი? პასტორი? მორმონი? ტერტერა? ლამა? დალაი-ლამა? კრიშნა? ინდუსების ღმერთი, ხან ძროხა როა, ხან თაგვი, ხან თხუთმეტფეხიანი სპილო?.. თუ ლომი, რომელიც ისე გამოქლიავდა, რომ გვერდზე მყოფი კრავიც ველარ შეუჭამია და სამყურათი, გვირილებით და კენკროვანით იფარავს მუცელს.

თუ იქაც შარი, ტკივილი, შხამი, დახრჩობა, პახმელია, ტკივილი, ღალატი, ტყვია, დანა, საწამლავი, შავი ქვა და სიკვდილი ელოდება?.. მართლა ვინ იცის? „ჩვენ ვამბობთ კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვშობენ დედანი"... „მინდა სიკვდილი, ვერ ვკვდები, მომკალო, მითხრა ხვეწნითა, თქვენდ იყოს წუთისოფელი, მე კი წავიდე ქვეყნითა"...

რამ დააწერინა 25 წლის ნახევრად ჭკუიდან შეშლილ ფშავლის ბიჭს ეგეთი რამეები? რა დრო იყო ეგეთი, რა დღე, ამის წერა რომ დაიწყო?..

და ნეტავ ეხლა სად არის? კი წერდა: – „ცხვრადვე მამყოფა ისევა, ოღონდ ამშორდეს მგელობა"-ო, მაგრამ მაინც არა მგონია, მაგას ბალახის მჭამელ ლომთან დიდხანს გაეძლო. მოსცხებდა ქალამნიანი ფეხით ჭიტლაყს, როგორც კაზაკების ერთ ატამანს ამოაპანღურა, რომელმაც ორი იმერელი – სერგეი მესხი და აკაკი წერეთელი მაგრად შეაშინა. ისედაც ვერ იყო ხასიათზე და დაუშვა კიბეზე რიახით. ნაწყენი იქნებოდა. შეიძლება იმავე აკაკი წერეთელზე. ან იქნება მასაც სიცარიელე სჭირდა, ცივი ნათელი, მურტალი სიცარიელე. მართლა ძალიან ცუდი რამეა ეგა. გამოუვალი. ვერც „მთის მწვანე ბალახს" დაიფენ, ვერც დეკას, ვერც ჩოხიდან ამოგლეჯილ ბამბას ჰაჯი-მურატივით.

„არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო"...

არა, ეგ სიცარიელე, კაჟიანი თოფით გულში დახლილი ტყვიასავით იოლი რამე არ არის. არაფერი არ შველის, არაფრის დაფენა არ შველის წყლულზე. მწვანე ბალახი და დეკა კი არა, 90-ე ფსალმუნი, 50-ე ფსალმუნი, „მამაო ჩვენო" და ბებერი, მძვინვარე კოჭლი დათვის, სახელად ბენის მკვლელობის ამბავის კითხვაც კი არ სჭრის. და ვერც უკანასკნელ გასროლასა და მოსისხლე მტრისათვის თოფის გადაგდებას მოასწრებ.

სიცარიელეს გრძნობდა. მურტალ, ნათელ, ცივ სიცარიელეს და ჯაჯღანებდა.

"Но пока он был ещё живой, и его Walter грел его тело!"...

და თან ჯერ კიდევ ყველაფერი წინ იყო!

ყოველთვის როცა...

გაშლიან დანებს!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა



*გივი ჩილვინაძე*

# შობა-ახალწლის მოთხრობები

## ლაბაშას ახალი წელი

ჩვენი დათია რაიონის ცენტრში ანუ ქალაქში მუშაობს. ცოლ-შვილიც იქა ჰყავს უმეტესად. ბინაც კარგი აქვთ, მაგრამ სოფელს, მამაპაპისეულ კარ-მიდამოს და თანამეზრდილ მეზობლებს ვერ ელევიან. ვენახსაც გულიანად ამუშავებენ და მოსავალსაც იღებენ ყოველ წელიწადს. ახალ წელსაც აქ ხვდება მთელი სახლობა, ან ქალაქში ხვდებიან და საღამოთი ამოდიან სოფლად. თვითონ ოჯახის უფროსი თითქმის ყოველ ღამე აქაა, – დილით მიდის, სამსახურის შემდეგ იქვე ოჯახს დახედავს და საღამოთი ისევ ბრუნდება თავისი მანქანით სოფელში. ბავშვები დიდი ჰყავთ და ზოგჯერ ცოლსაც გამოიყოლებს ხოლმე. შაბათ-კვირას კი თითქმის ყველანი აქ არიან.

მაგრამ არის ისეთი დღეებიც, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ღამეებიც, როცა ვერ ახერხებენ სოფელში ამოსვლას. ეს უმეტესად ზამთრის დიდთოვლობის დროს ხდება. მაშინ მარტო რჩება მათი ლაბაშა – დიდი ჭკვიანი ნაგაზი და სევდიანად იყურება გზისაკენ. ძაღლის ამარა დარჩენილ ეზოში ორი ჩხიკვი ჩამოფრინდება ხოლმე ტყიანი ფერდობიდან, კაკლის ტოტზე ჩამოსხდებიან და უხმობენ ოჯახის მცველს, ერთი ყეფასაც დაიწყებს, თითქოს აჯავრებს. ლაბაშა დიდ ყურადღებას არ აქცევს მათ, სასიმინდის ქვეშ შეძვრება და ზის დაფიქრებული. ჩხიკვები ბეღლის წინ ნამცეცებს აკენკავენ და ისევ ტყიან ფერდობს მიაშურებენ.

ჰოდა, დიდთოვლობისას თუ დათია გაუწმენდავ გზას მოერიდა და სოფლად არ ამოვიდა, ძალიან მოწყენილია ლაბაშა. იქ კიდევ, ქალაქში მისი პატრონები არიან უხერხულ მდგომარეობაში, – ძაღლი მიტოვებული გვყავს და არ მოშივდესო. ატეხავენ სოფლის მეზობლებში რეკვას, შედით ჩვენს ეზოში, ამა და ამ ადგილას საჭმელია შენახული და ძაღლს გვიჭმიეთო. ერთი მეზობლის შეწუხებას არ სჯერდებიან, რამდენიმეს ურეკავენ, რომ ოჯახის მცველი მშიერი არ დაურჩეთ. ლაბაშაც შერიგებულია ასეთ ბედს, მარტო ყოფნის დღეებში უხალისოდ, მაგრამ მაინც ჭამს მეზობლების მინოდებულ ლუკმას.

ამ ახალი წლის წინ სამი თუ ოთხი დღე ვერ მოაკითხეს სოფლის სახლ-კარს და მოიწყინა ძაღლმა. თვით ახალი წლის შემოლოცვის დროს ვინღა ამოვიდოდა, ოჯახის წევრები ერთად ხომ უნდა ყოფილიყვნენ? ჰოდა, იმდენად დადარდიანდა ლაბაშა, რომ საჭმელს პირი აღარ დააკარა.

– რა ვქნათო? – ერთმანეთს გადახედეს დათიას ეზოში დამდგარმა, ფიფქებში გახვეულმა მეზობლებმა ზაზამ და ლუკამ.

– მოვიცადოთ ცოტა ხანს, იქნებ შეჭამოსო, – თქვეს მერე. არც მათ უნდოდათ, მშიერი დარჩენილიყო ეს ჭკვიანი ძაღლი. ბინასთან უფრო ახლოს მიუწიეს საჭმელი და თვითონ სახლის შესასვლელს შეეფარნენ.

ამასობაში, თითქოს გულმა უგრძნოო, დარეკა დათიამ ქალაქიდან:

– რა ქნა ძაღლმა, ჭამა საჭმელიო?

– ვერ დაგიმალავთ, ჩემო კეთილო და არ ჭამსო, – უპასუხა ზაზამ.

შეშფოთდა ქალაქში მთელი ოჯახი, ნეტავ რატომ არ ჭამს, რა მოუვიდაო? ბიჭები წამოხტნენ ფეხზე. წავიდეთ, მამა, ვნახოთ, რა უჭირს ჩვენს ლაბაშასო. მაგრამ ასე უცებ წამოსვლა არ ეგებოდა დიდთოვლიან გზაზე, თანაც საახალწლო სუფრა უკვე იქ იშლებოდა და როგორ წამოვიდოდნენ?

ისევ დარეკა დათიამ:

– აბა, ზაზა, ყურთან მიუტანე ტელეფონი ლაბაშას და ჩემი ხმა გააგონეო.

მოგეხსენებათ, ძაღლებს საოცარი სმენა აქვთ და მგონი, ყურთან მიტანაც არ უნდოდა, ისედაც გაფაციცებული აკვირდებოდა ლაბაშა მობილური ტელეფონით მოლაპარაკე მეზობელს. მერე მან მართლა ყურთან რომ მიუტანა პატრონის მიერ შორიდან მოღწეული ხმა, გამოცოცხლდა ძაღლი, ატეხა წკმუტუნი და კუდის ქიცინი. კარგა ხანს ელაპარაკა დათია და ტელეფონის გათიშვის შემდეგ მოკიდა საჭმელს ლაბაშამ პირი.

ცოტა ხანში ისევ დარეკეს ქალაქიდან და იკითხეს.

– ჭამა თუ არა ძაღლმა საჭმელიო?

– კი მიირთვაო, – მოახსენა ლუკამ და წავიდნენ მეზობლები თავიანთი სახლებისკენ.

მაგრამ ქალაქში მყოფები მაინც ვერ ისვენებდნენ. ერთ საათში ისევ დაურეკეს ზაზას, უფრო ახლო მეზობელს.

– იმ საწყალ ძაღლს მარტო პურზე ნუ გადავატარებთ, იმასაც ვაგრძნობინოთ ახალი წლის მოსვლა, შეინუხე თავი ჩვენთვის, კიდევ ერთხელ გადადი ლაბაშასთან, ერთ-ორი ხორცის ნაჭერიც წაიყოლე და აჭამე, იქნებ უფრო გახალისდეს და უჩვენობა ადვილად აიტანოსო.

– კი ბატონოო, – უპასუხა ზაზამ, – მხოლოდ ის მითხარით, რისი ხორცი წავუღო – ძროხის, ღორის, ქათმისა თუ ინდაურისო?

– სულ ერთია, თუმცა ღორის აჯობებს ძაღლისთვის, უფრო ნოყიერია, თან ინდაურის ერთი ბარკალი წაუმატე და ჩვენზე იყოს შენი პატივისცემაო, – ურჩიეს ისევ ქალაქიდან.

– ინდაურის ხორცი მშრალად მივართვა, თუ საცივითო? – ჩაიცინა ზაზამ.

– არა, საცივზე ნულარ შეწუხდებიო, – უპასუხეს.

– კი ბატონო, წავუღებ ინდაურის ბარკალსაც... და უკეთ რომ იგრძნოს ახალი წლის მოსვლა, პატარა ნაძვის ხეც ხომ არ მოვურთო იქვე, ეზოშიო?..

– ოჰ, მაგდენზე როგორ შეგაწუხებთ, მეზობელოო? – სიცილით გამოეხმაურნენ ქალაქიდან.

ზაზა გადავიდა ძაღლთან, ხორციც მიუტანა და მოეფერა კიდეც, მაგრამ ლაბაშას დიდი ხალისი არ ეტყობოდა. აშკარა იყო, რომ პატრონის ხმა უფრო სიამოვნებდა.

– შევასრულე თქვენი დავალებაო, – დაურეკა ზაზამ მეზობლებს, – მაგრამ სიმართლე თუ გინდათ, ლაბაშა ხორცზე მეტად თქვენმა ხმამ გაახალისაო.

– კარგი, რას ვიზამთო? – უპასუხეს. მაგრამ ძაღლზე ფიქრი მაინც აწუხებდათ პატრონებს და სამი საათის შემდეგ, თორმეტის ნახევარზე მობოდიშებით ისევ დარეკეს ქალაქიდან:

– დიდ ბოდიშს კი მოგიხდით, მაგრამ აიღე ტელეფონი და გადადი ერთხელაც ჩვენს ეზოში, შევეხმიანებით ცოდვა ძაღლს, ისევ მოიწყენდაო, – ახლა პატარა ბიჭმა მოინდომა თავის მეგობართან ლაპარაკი.

ზაზა ტახტზე იყო წამოწოლილი, ცალი თვალით ტელევიზორს უყურებდა, მეორე კი უკვე გაშლილი საახალწლო სუფრისკენ გაურბოდა. აღარ ესიამოვნა ძაღლის გამო ამდენი სიარული იქით-აქეთ და შეუძახა მის პატრონებს:

– უყიდეთ იმ ძაღლს ერთი მობილური ტელეფონი, ჩამოჰკიდეთ ყელზე და ელაპარაკეთ რამდენიც გინდათ, დაგვასვენეთ ეს მეზობლებიო...

ასე კი უთხრა, მაგრამ მაინც წამოდგა, გადავიდა ლაბაშასთან და მოასმენინა პატრონების საუბარი.

მეორე დღეს ანუ ახალი წლის ნაშუადღევს თოვლიანი გზა გაწმინდეს და დათიას მთელმა სახლობამ აახმიანა სოფელში თავისი კარ-მიდამო. ლაბაშაც გახალისდა და მეზობლებმაც კარგად იქეიფეს ქალაქიდან ამოსულებთან. ყველას უხაროდა, ჩხიკვებიც კი მხიარულად ჩხაოდნენ სახლის ახლოს ტყიან ფერდობზე.

მობილური ტელეფონიც მოეტანათ თითქოს ძაღლისთვის, დაჰკიდეს კიდევაც ყელზე მეზობლების გასამხიარულებლად, მაგრამ თვითონ ხომ არ მოიხმარდა მას ოჯახის ოთხფეხა დარაჯი? ამიტომ ისევ მოხსნეს და კარგად შემთვრალ ზაზას ჩაუდეს ჯიბეში საჩუქრად, – თუ რომელიმე დღეს ვერ ამოვალთ, ისევ შენ უნდა იმეგობრო ჩვენს ლაბაშასთანო...

ჰო, მართლა, თქვენ თუ გილაპარაკნიათ ძაღლთან ტელეფონით?..



## მუხა გზის პირას

ახალი წლის წინა კვირას სამუშაოდან მოდიოდა ბიჩინა, სადურგლო იარაღებით სავსე ჩანთა ჰქონია გადაკიდებული მხარზე. დიდი თოვლი ყოფილა ირგვლივ და კვლავ თოვდა თურმე. ვასილა უნახავს ქალაში, გაჩერებულიყო, ნაჯახი ამოეჩარა იღლიაში და მუშტრის თვალით შესცქეროდა გზის პირას ბუჩქნარში აღმართულ დათოვლილ მუხას... გახსენებია ბიჩინას, ვიღაცას ეთქვა, ბიძაშვილთან აქვს ცოტა ნაწყენობა, ორივეს უნდა შერიგება, მაგრამ არ თმობენ, არ იმდაბლებენ თავს, არცერთი არ აპირებს პირველმა გადადგას შესარიგებლად ნაბიჯიო. მიახლოებია, მისალმებიან და მოუკითხავთ ერთმანეთი.

– რას აკეთებ აქ ამ თოვაში, ვასილოო?

– რა ვქნა, ჩემო კეთილო, მოსავლის აღების მერე საშოვარზე ვიყავი წასული, ცოტა ფული შემოვაგდე ოჯახში, მარა შეშა დამირჩა მოსატანი, ერთი ღერი არა მაქვს ეზოში, სიცივით მიწყდება ბოვშები. აგერ ჩამოვედი, კი ხედავ, იმხელა თოვლია, გზიდან გადასვლა გაგიჭირდება კაცს, ჰოდა, ეს მუხა უნდა გავიმეტო, იქნება დავაპო, როგორმე ცოტა-ცოტა ავათრიო სოფლამდე და ახალ წელს მაინც გავათბო კარგად სახლიო, – უპასუხნია ვასილას.

მისი მომდურავი ბიძაშვილის სახლზე მრავლად მიყუდებული, დაპობილი და მზეზე გაფიცხებული შეშა გახსენებია ბიჩინას. ისიც წარმოუდგენია, თუ რამდენი უნდა ეწვალა ამ ნაშრომ კაცს, თოვაში შეშა რომ მოეჭრა და მერე მხარზე გადებული წვალებით აეტანა გრძელ აღმართზე. ჩაუცინია ერთი და უთქვამს:

– შეშა არ ვიცი მე, შენთან უნდა ვიქეიფო დღესო!..

შეცბუნებულა ვასილა, მაგრამ მასპინძლობაზე როგორ უნდა ეთქვა უარი სოფელში სამართლიან, მშრომელ და კარგ ხელოსნად მიჩნეული კაცისათვის?



– კი, წამობრძანდი, ჩემო კეთილო, მარა ერთ-ორ ფიჩხს მაინც მოვძებნი სადმე და წამოვიღებო, – უთქვამს მორიდებით.

– შეშის დარდი ნუ გაქვს, გამიძეხი წინო, – ისევ მოუთხოვია ბიჩინას.

– კარგი, ჩემო კეთილო, არ დავეძებ შეშას, წამოდიო, – გაუღიმია ვასილას ნაძალადევად, შემობრუნებულა და გამოძღოლია სტუმარს წინ.

გამოჰყოლიან ლაპარაკით თოვლიან გზას. შეშა აღარ უხსენებია არცერთს. კარგა ხნის შემდეგ ამოსულან სოფელში და მიდგომიან ვასილას ეზოს.

– მობრძანდი, ჩემო კეთილოო, – გაუღია ჭიშკარი მასპინძელს.

– შედი შენ სახლში და მეც მალე მოვალო, – უთქვამს ბიჩინას.

შესულა ვასილა შინ. ბიჩინას კი დაუძახნია მასპინძლის მომდურავი ბიძაშვილისთვის, მეზობლადვე რომ ცხოვრობდა თურმე, ერთი ღობე რომ ჰყოფდათ, გამოუხმია გარეთ და უთქვამს:

– აიღე ახლა ოთხი-ხუთი კარგი შეშის ნაპობი, გადმოაწყვე ამ შენი ბიძაშვილის ეზოში და შენც აქ გადმოდიო!

ჩაღიმებია ვასილას ბიძაშვილს, მიმხვდარა ბიჩინას ჩანაფიქრს.

– კაი, ჩემო ბატონოო, – უპასუხნია, – ოთხი კი არა, შვიდი იყოსო, – და მართლაც შვიდი თუ რვა კარგი დიდი წიფლის ნაპობი გადაუწყვია ბიძაშვილის ეზოში.

რვა ნაპობი უკვე ერთი ურემი შეშაა, რასაც ვასილა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, სამი დღე ვერ ამოიტანდა ქალის ტყიდან.

შესულა ბიჩინა ვასილას ბიძაშვილთან ერთად ეზოში და დაუძახნია მასპინძლისათვის, გამოდი გარეთო.

გამოსულა გარეთ ვასილა, გაკვირვებით შეუხედავს ბიძაშვილისა და იქვე დაყრილი ნაპობებისთვის.

– ჯერ ბიძაშვილს მიესალმე, მერე ხერხი და ნაჯახი მოიტანე და შეშა დავჩეხოთო! – უთქვამს ბიჩინას.

მიმხვდარა ყველაფერს ვასილაც, გახარებია, გადახვევია ჯერ ბიძაშვილს, მერე ბიჩინას.

– შენ აგაშენა ღმერთმა, ეს რა საქმე გამიკეთე, ბიძაშვილიც შემარიგე, ტყეში წვალება-

საც ამარიდე ამ სიცივეში და შეშაც გამიჩინე ეზოშიო!..

– კარგი, ახლა საქმეს მივხედოთო, – უთქვამს სტუმარს.

დაუწყიათ სამივეს შეშის დახერხვა და დაპობა. ცოტა რომ დაუჩეხავთ, ბიჩინას უთქვამს მასპინძლისთვის:

– შეუტანე ეგ შეშა ქალებს სახლში და მარანში ნადი, დანარჩენს ჩვენ მივხედავთო.

ქალები უკვე ემზადებოდნენ სტუმრების დასახვედრად, მაგრამ ამდენი ხმელი შეშა რომ დაუნახავთ, უფრო ხალისიანად დატრიალებულან. ვასილას საუკეთესო ღვინო ამოუღია, ხოლო მის შემორიგებულ ბიძაშვილს და ბიჩინას ამ ხნის განმავლობაში მთლიანად დაუხერხავთ და დაუპიათ შეშა. მერე ბავშვებიც გამოუხმიათ გარეთ, ამ დაჩეხილ შეშას თოვაში ხომ არ დავტოვებთო და ფარდულში შეუტანიათ.

დამსხდარან გახურებულ ღუმელთან, გაშლილა სუფრა. თამადად, როგორც შეხვედრის მოთავე, ბიჩინა დაუნიშნავთ ახლადშერიგებულ ბიძაშვილებს და დაუწყიათ ქეიფი. რაც იქ ითქვა, ყველაფრით არ შეგაწყენთ თავს. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ საუკეთესო ღვინით იქებდა თურმე ვასილა  თავს და გულით სთავაზობდა სტუმრებს:

– დალიეთ, დალიეთ, ჩემი ვენახის ცრემლია, წვეთი წყალი არა აქვს გარეულიო...

რა პატარა ბიძგი ჰყოფნის ზოგჯერ ადამიანს სიკეთის, სიყვარულისა და სათნოებისაკენ მოსაბრუნებლად! – სამი თვის დამდურებული ბიძაშვილები თურმე ისე შეხმატკბილებულან, თვალში რომ ჩავარდნოდნენ ერთმანეთს, ხელს არ ამოისვამდნენ...

მერე, ამინდი რომ გამოსულა, ისევ ბიჩინას რჩევით, ხარიანი კაცები მოუხმარებია ვასილას, ზეხმელი წიფელი მოუჭრიათ მთის ძირას და ახალი წლის წინა დღეს მთელი ზამთრის სამყოფი შეშა მიუტანიათ...

დღეს აღარც ვასილაა ამ ქვეყანაზე, აღარც მისი ბიძაშვილი და აღარც ბიჩინა. არც ამ ამბავს იხსენებს ვინმე. ჭალაში, გზის პირას, სადაც იმ თოვლიან დღეს სტუმარ-მასპინძელი შეხვდა ერთმანეთს, ისევ დგას უკვე ხანში შესული მუხა და მშვიდად გასცქერის ხევის აქეთ-იქით აღმართულ ტყიან ქედებს.

## თოვს, ცა ერად ჩამოდის

თოვს, თოვს, ისე თოვს, რომ ცა ერად ჩამოდის. გზები თითქმის შეუკრია სქლად დადებულ თოვლს.

სოფლის განაპირას, ტყიანი სერის ახლოს მცხოვრებნი საფქვავს მოშორებით დაატარებენ – მთის პატარა, ანკარა მდინარე რომ მოჩქეფს ხევში, იქა აქეთ პატარა წისქვილი. მეზობლები მას რიგ-რიგობით იყენებენ. წინა დღეებში მახნიას რიგი იყო, მაგრამ ყინულით დაფარული ბორბლის განთავისუფლება დაეზარა. ახლა ლაზარეს რიგია. მან შემოამსხვრია ყინულები ბორბალს, წყალი მიუშვა და აამუშავა. ამინდიც ცოტა დატკბა, ყინვამ იკლო და თოვა დაიწყო. მახნიას და დედამისს ამასობაში ფქვილი გამოელიათ, არადა მათი რიგის დადგომამდე კიდევ ერთი კვირაა გასასვლელი. მეზობლებთანაც პირშერცხვენილია მახნია, ალმაცერად უყურებენ, რადგან წისქვილი მისი რიგის დროს მისივე უმოქმედობით ყინულებით გაიჭედა. შობის დღესასწაული მოდის და ყველას უამრავი საფქვავი გამოუჩნდა, ვინაა ახლა მისთვის რიგის დამთმობი? ეს გვიქნა, შვილო, შენმა სიზარმაცემო, ეუბნება მახნიას დედამისი, იქნებ სხვა წისქვილზე მაინც წაიღო ეს საფქვავი და შობას მშივრები არ დავრჩეთო. მაგრამ მახნია ამბობს, სხვა როგორ დამითმობს რიგს, როცა ჩვენი წისქვილის მეწილეები არ მითმობენო?

ასეა თუ ისე, ფქვილი გამოლეული აქვთ, თან ისე თოვს, ისე თოვს, რომ ცა ერად ჩამოდის და რამე უნდა მოიფიქროს მახნიამ. გადაატარა დიდი გუდით სიმინდი წისქვილზე მიმავალმა მეზობელმა, მოხუცმა ლაზარემ. უკვე მეორე გზას აკეთებს, წუხელ ჭრაქით მიდიოდა, დაინახა მახნიამ. წუხელვე იფიქრა, ღამით მოვპარავ ფქვილის ნაწილსო, მაგრამ დაკეტილი წისქვილის კარი უნდა გაეტეხა ამისთვის, ეს კი თვითონაც დააზარალებდა, რადგან წისქვილი მისიც იყო და თან მთელი ამბავი მოჰყვებოდა მის გატეხვას. ფქვილი მაშინ უნდა მოვიპარო, როცა წისქვილის კარი ღია და ალა კი სავსე იქნება, ისე რომ დანაკარგი მაინცდამაინც არ გამოჩნდესო, ფიქრობდა მახნია და ჩუმად აედევნა უკან ლაზარეს.

თოვს, ისე თოვს, რომ ცა ერად ჩამოდის. წისქვილთან მისულმა ლაზარემ ბოქლომი გახსნა და კარში შეაბიჯა. კმაყოფილმა დახედა ფქვილით ავსებულ ალას, კარგად უმუშავნია მთელი ღამე ჩვენს წისქვილსო, ჩაილაპარაკა. ამასობაში მახნია წისქვილის ლარისკენ მიმავალ პატარა არხს მიადგა ჩუმად, მისი სათავე მოანგრია და წყალი მდინარის მთავარ კალაპოტში გადაუშვა. ცოტა ხანში ლარში წყალმა იკლო, ბორბალმა ტრიალი შეანელა, მერე კი სულ გაჩერდა. გაკვირვებული ლაზარე გარეთ გამოვიდა და წყალი დაკლებული რომ ნახა, პატარა არხის სათავისკენ წავიდა. წისქვილის კარი ღია დარჩა. მორღვეულმა სათავემ და თოვლზე დარჩენილმა კვალმა ლაზარე კიდევ უფრო გააკვირვა, მაგრამ გაკვირვება რას უშველიდა? მისი შეკეთება დაიწყო და წყალს ისევ წისქვილისაკენ მისცა გზა. ამასობაში მახნიამ,

ლაზარეს რომ არ დაენახა, თოვლიან ბუჩქებს შემოუარა და ღიად დარჩენილ წისქვილში დურთა თავი, ლაფარას ხელი დაავლო, პატარა ჩანთა ამოაძვრინა უბიდან და ფქვილის ჩაყრა დაიწყო. როცა გაავსო, ზურგზე კი არ მოიკიდა, იღლიაში ამოიჩარა და გარეთ გამოიძურწა. ხევიდან ამოსული ერთ დათოვლილ ხეს მოეფარა და დაბლა, მდინარისკენ გააპარა მზერა. ლაზარეს ისევ გადაეშვა წყლის ნაწილი წისქვილისკენ და ახლა თვითონაც იქით მიდიოდა. დროზე გამოვასწარიო, გაიფიქრა მახნიამ, შემობრუნდა და თოვლიან ბილიკს დაადგა. მერე იქვე მდინარის შენაკად ღელეში ჩავიდა და კარგა ხანს წყალდაწყალ იარა, თავისი კვალი სხვისთვის რომ დაეკარგა. ბოლოს დათოვლილ ტყისპირს გაჰყვა შინისაკენ. მიდიოდა და ფიქრობდა, რა კარგად მოვიფიქრე ყველაფერიო. თავისი მოხერხებითა და ნადავლით გახარებული წისქვილს კარგა მანძილზე რომ გამოცდა აღიღინდა:

გამიშვი, თოვლიანო გზა,
მოშიებული ვარ მგზავრი,
შენს გარდა ვერვინ მიხვდება,
გუდით რომ მიმაქვს საგზალი...
იმ ჩვენს ლაზარეს რა უჭირს,
უკან მიუზღავ ზარალსა,
როცა მე დავფქვავ ჩემ წილსა,
ისევ ავუვსებ ალასა...

მართლაც ასე ფიქრობდა მახნია, მეც დავფქვავ სიმინდს და ლაზარეს მოპარულ ფქვილს ისევ ჩუმად ჩავუყრი ალაშიო. ამასობაში სახლს მიუახლოვდა და დედას დაუძახა, კეცები გაახურე, ფქვილი მომაქვსო.

მოხუცმა ლაზარემ, რა თქმა უნდა, გაიგო ფქვილის მოპარვა. იმასაც მიხვდა, წყალი მომპარავმა რომ დაუწრიტა წისქვილს, მაგრამ დიდად არ მიუტანია გულთან ეს ამბავი. თან რა ოსტატურად მომატყუაო, მოწონებით აქნევდა თავს მოხუცი. ეთხოვა და მივცემდი, ფქვილს როგორ დავუჭერდი. ვინ იყო ნეტავ, ეს ჩვენი მახნია ხომ არ იყო, მგონი ფქვილი აქვთ შემოლეული, თუ გაღმა სოფლიდან გამოვიდა ვინმე? ეჰ, ვინც იყო, ღმერთმა შეარგოს, კარზე შობაა მომდგარი, მისი მადლი შეგვეწიოს, ნახევარ ბათმან ფქვილს როგორ დავამადლი, ღმერთმა გაახაროს, ტვირთი მაინც შემიმსუბუქაო.

ის კი აღარ ვიცი, დედა როგორ შეხვდა მახნიას, ან ჩაუყარა თუ არა როდესმე მან ლაზარეს მოპარული ფქვილის სამაგიერო ალაში.

ასეა, ზოგი თავისი შრომის ნაყოფით ეგებება უფალს და ზოგიც ნაპარავით. ჰოდა, მერე ის განსჯის, ვის როგორ მიუზღას.

საღამოს თოვამ გადაიღო, ცა მოიწმინდა, შუაღამისას ტყიანი გორის თავზე მთვარე გადმოდგა და ვერცხლისფერი სხივებით მიულოცა თოვლში გატრუნულ მთებსა და სოფელს ქრისტეს შობის დადგომა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



# კრიტიკა

**ფარმაცევტული კომპანია GPC და ელექტრონული წიგნების ინტერნეტმაღაზია Lit.ge**

**კონკურსის მხარდამჭერი: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო**




*„წერო 2013"-ის გამარჯვებული ნათია როსტიაშვილი*

I ადგილი – 3000 ლარი – **ნათია როსტიაშვილი**

II ადგილი – 2000 ლარი – **ტარიელ ნამორაძე**

III ადგილი – 1000 ლარი – **რუსუდან რუხაძე**

ჟიურის რჩეული – **ლია ლიქოკელი**

კულტურის სამინისტროს რჩეულები – **ბაჩო კვირტია, ლია ლიქოკელი, ნათია როსტიაშვილი**

„სანტა ესპერანსას" რჩეული – **რუსუდან რუხაძე**

*ჟიური: თეონა დოლენჯაშვილი, ირმა ტაველიძე, შოთა იათაშვილი, ზაალ ჩხეიძე, ზვიად კვარაცხელია, ალექს ჩიღვინაძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წერო 2013



ლელა კოდალაშვილი

როცა ლიტერატურული კონკურსის, „წეროს" თხუთმეტ ფინალისტს შორის სამ-ოთხ კარგ მოთხრობას აღმოაჩენ, ჩემი აზრით, თავისუფლად შეიძლება თქვა, რომ კონკურსი შედგა. სხვა საქმეა, იმ ორასორმოცდარვა ტექსტიდან, რომელიც თავდაპირველად გაიგზავნა ჟიურის წევრებთან, რამდენად იყო ღირსეული მაინდამაინც ეს თხუთმეტი მოთხრობა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მომიწია ფინალს გარეთ დარჩენილი ორი ტექსტის გაცნობა (კერძოდ კი ჯაბა ზარქუას და ლელა ცუცქირიძის მოთხრობების) და აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეს ორი მოთხრობა, თავისუფლად შეიძლებოდა ჩანაცვლებოდა ერთ-ორ ფინალისტს. სამართლიანობისთვის იმასაც აღვნიშნავ, რომ ზარქუას მოთხრობაც საკმაოდ სუსტი იყო. მაგრამ ფინალში გასული ერთი ტექსტი, რომელზეც მოგვიანებით ვისაუბრებ, ჩემი აზრით, იმდენად სუსტი იყო, ვფიქრობ, თავისუფლად ჩაანაცვლებდა მას. როცა ამის შესახებ ჟიურის რამდენიმე წევრს ვესაუბრე, გაირკვა, რომ სამუშაოდ ძალიან ცოტა დრო ჰქონდათ. ბოლო ღამეს კი დაახლოებით ოთხმოცდაათამდე ტექსტის წაკითხვა მოუწიათ. მათი აზრით, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ზოგი უკეთესი ტექსტი კონკურსის გარეთ დარჩა... რა გაეწყობა, შევეცადეთ, „გაგებით მოვკიდებოდით" ამ დასახელებულ მიზეზს. თუმცა კი, კარგი იქნება, თუკი სამომავლოდ ჟიურის წევრებს მეტი დრო ექნებათ, რათა საფუძვლიანად გაეცნონ ამ ზღვა მასალას და თავიანთი საუკეთესო არჩევანი გააკეთონ.

ქვემოთ გთავაზობთ ერთგვარ მინიმალისტურ „რეცენზიებს", რომელსაც ფინალში გასული თხუთმეტი ტექსტისთვის კონკურსის მიმდინარეობისას ვწერდი. ვინც „წეროს" თვალს ადევნებს, იცის, რომ ეს ღონისძიება ცოცხალი, დინამიკური პროცესია. კომენტარები და რეცენზიებიც სახელდახელო და გულწრფელია. შესაბამისად, აქ არაა ტექსტის განხილვისთვის საკმარისი აკადემიზმი და ანალიზი. ავტორთა გულშემატკივრების პროტესტიც, თუ რატომ არაა ვრცელი, გამოწვლილვითი მსჯელობა, და რომ „ეს რა რეცენზიაა", უსაფუძვლოა, რადგან აკადემიურ ესეს და სახელდახელო შთაბეჭდილებას – ორივეს თავისი ადგილი აქვს. იმასაც დავძენ, რომ შეიძლება, ეს მეორე, თავისი სპონტანური ხასიათით, იქნებ სჯობდეს კიდეც პირველს.

## ბებერი გოგოებისა

ცხადია, ეს ტექსტი არ შეიძლება ჩაითვალოს ნოვაციად ლიტერატურულ სამყაროში, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესოა ნლევანდელი „წეროს" ფინალისტებს შორის. აშკარად იგრძნობა წერის კულტურა. აქ ვერ წააწყდებით ზედმეტად პათეტიკურ ფრაზებს, პასაჟებს ან სიუჟეტურ გადახვევებს, რომელიც გულზე სიტკბოსავით დაგადგებათ და წყლის დაყოლებას მოგანდომებთ. არსადაა სენტიმენტები – და ეს მაშინ, როცა მთლიანად სენტიმენტალური, პოეტური ტექსტია. არსადაა გულის აჩუყების მცდელობა – თუმცა, ცრემლი თავისუფლად შეიძლება მოგადგეთ კითხვისას. ავტორი არც გაცვეთილი თემებით სპეკულირებს. პირიქით, მოთხრობა ვიღაც არც თუ ისე ახლო ოჯახის წევრზე, ნათესავ მოხუცზე დაწერილი „საგალობელივით", უფრო სწორად, მისი სულის მოსახსენიებელივითაა. აი, რას უნდა ვაკეთებდეთ გარდაცვლილი საყვარელი ადამიანების მიმართ და არა ეკლესიებში დავრბოდეთ ერთჯერად კონტეინერებში ჩაწყობილი, მღვდლების სატრაპეზოდ მომზადებული გემრიელი საჭმელებით, მამაო, შენი ჭირიმე, ჩემი ამა და ამის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეო. ესაა მოთხრობა შეუმჩნეველ ამბებზე, შეუმჩნეველ ადამიანებზე, იმ შეგრძნებებზე, რომელსაც, როგორც წესი, აღნიშვნის ღირსადაც არ ვთვლით ხოლმე. ასეთი მომენტების დანახვა მარტო ბავშვებს შეუძლიათ და უკვე დიდად ქცეული ავტორიც ბავშვობის შთაბეჭდილებებით წერს. ენა ზერელეა, მაგრამ ავტორი ახერხებს, სტილისტურად შეფუთოს, გამოპრანჭოს და საგანგებოდ მოგვაწოდოს. თუმცა, იმდენად ბუნებრივად სვამს ფრაზებს კონტექსტში, სათქმელებში, რომ უარყოფით შეგრძნებას არ გიტოვებს. კი, ცოტა ძველმოდური ტექსტია, ანუ ეთნოსის სურნელი ასდის, მაგრამ განა ყველგან, სადაც ეთნოსს ეხებიან, სიყალბე და არქაულობა უნდა დავინახოთ... თუმცა კი, არის მომენტები, როცა ავტორს ზედმეტი მოსდის. მაგალითად, ცოტა არ იყოს, კეკლუცობს გაუხდელად ძილით და ამ ერთგვარი ნაივურობით. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ავტორს გულუბრყვილობით თავის მოწონებას მთელი ტექსტის მანძილზე შეამჩნევთ. მართალია, ეს თვისება მას ბუნებრივად აქვს, მაგრამ აშკარაა, რომ დიდი დოზით თამაშობს კიდეც.. უფრო გასაგებად რომ ვთქვა – მას თავისი გულუბრყვილობები აღმოუჩენია, კარგად შეუსწავლია, მოსწონებია და ხელიდან არ გაუშვია, გვაჩეჩებს და გვაჩეჩებს. აი, სადაც გვაჩეჩებს, სწორედ იქ ლალატობს ზომიერების განცდა. და კიდევ – ნაწარმოების ფინალში გასალების წყალში გადაგდების ფაქტი კეკლუცი, ყალბი საქციელია. ჩემი აზრით, ეს პასაჟი ზედმეტი იყო. აღარ იყო საჭირო სიუჟეტის ასეთი დრამატიზირება. პერსონაჟი უბრალოდ წასულიყო, გაევლო და მორჩა, როგორც ევროპული ფილმების დასასრულში ხდება ხოლმე – უბრალოდ რომ წყვეტს თხრობას რეჟისორი რომელიმე ჩვეულებრივ მომენტში.



## კვირაში სამჯერ

ავტორს ძალიან უნდა, დაგვანახოს ცოლქმრული ღალატის სიმძიმე, ქალი პერსონაჟის სასოწარკვეთა, სულიერი ჭიდილი, გამოსავლის ძიება. ძალიან უნდა, განვითარებული იყოს მამაოსთან შედარებით, ვისთანაც თავიდან გარბის საშველად. ირონიული იყოს ფსიქოთერაპევტის თუ მის მკერდზე დაკიდებული ჯვრის მიმართაც. უნდა, მაღლა დადგეს და თავი როგორც განყენებული, სხვანაირი, ორიგინალური არსება – ასე წარმოგვიდგინოს. მაგრამ ამ ყველაფრის მოსაწოდებლად ალბათ მეტი მწერლური უნარ-ჩვევებია საჭირო. ის უმალ პოზირებს, ვიდრე წერს. თითქოს პოდიუმზე დადის, რომ ყველგან საინტერესო დარჩეს, სინამდვილეში კი ამბავიც, ავტორის მიდგომა და პოზიციაც – ცოტა არ იყოს, სუსტი ხერხებითაა შემოთავაზებული, ტრივიალურობის სურნელიც იგრძნობა, რადგან როდესაც გაცვეთილ თემას ეხები ავტორი, მნიშვნელოვანია, ოდნავ მაინც გამორჩეული იყო. სხვაგვარად აზრს კარგავს ამ ყველაფრის ხელახლა წინ წამოწევა.

## სიზუსტე

მოთხრობა თითქოს აკმაყოფილებს მხატვრული ტექსტისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს და წერის კულტურას. ცხადია, ელემენტარულ ორთოგრაფიულ შეცდომებზე არ დაეწვრილმანდები. მაგრამ ის, რომ ავტორი სიტყვას სიტყვაზე აბამს, ან წინადადებას წინადადებაზე, ამით აღფრთოვანება იგივეა, რაც აღვფრთოვანება იმ მსახიობით, რომელიც საჭირო დროს შემოდის სცენაზე და პარტნიორთან დიალოგისას ტე-

ქსტი არ ავიწყდება... ანუ ეს ელემენტარულია და არაა მთავარი. ცუდი ისაა, რომ მწერლური სისუსტის დასაფარავად ავტორს შემოაქვს 2008 წლის ომის თემა და თან საკმაოდ ბანალური ხერხებით. ერთადერი, რასაც აღწევს, მიზანდასახულად გული აუჩუყოს მკითხველს. ის აღწერს ომის მსხვერპლი და-ძმის ცხოვრების მონაკვეთს, რასაც, მე ვიტყოდი, რომ არადამაჯერებლად აკეთებს. ეს წააგავს ქრონიკას, სატელევიზიო სიუჟეტის ფრაგმენტებს, რომელიც ჟურნალისტმა მოამზადა სახელდახელოდ, ორ საათში. ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი „ბომბი" ააფეთქოს ერთმანეთზე უფრო მძიმე ფაქტების შემოტანით, რათა მკითხველს თვალები ცრემლით აევსოს და სხვა მომენტებზე ველარ დაფიქრდეს. გულის აჩუყებით მანიპულირება ძველი ხერხია და თუ სათანადო მხატვრულობა არ ახლავს, დამოუკიდებლად ის ფასს კარგავს ხოლმე. თუმცა კი მოთხრობაში არის ერთი პასაჟი, ერთგვარი სავიზიტო ფრაზა, რომელსაც სოციალური აგენტი ამბობს: „სახელმწიფოს უყვარს სიზუსტე", და შემდეგ ყველაფერი, რაც სიუჟეტშია, ამ ფრაზის ირგვლივ არსებული და შესაძლო მარაზმის გაგრძელებაა. ამ ფრაზით კარგადაა დაფიქსირებული ის ცინიზმი, რომელიც ჩნდება ბიუროკრატიასა და რეალობას შორის და რაც იწვევს განხეთქილებას.

## პატაგონია

ტექსტი პროფესიონალის დაწერილია. ეს უდავოა – იცის, როგორ გადავიდეს დიალოგიდან ლირიკაში, ლირიკიდან კიდევ სხვაგან და ა.შ. ანუ ავტორი ტექნიკურ მანიპულაციებს ზუსტად ფლობს. მაგრამ ეს ის სკოლაა, რომელიც ნებისმიერ მწერალს უნდა გააჩნდეს და პირველკურსელი თუ არ არის, ამ მონაცემებში ნიშანი არ იწერება. ახლა, რაც შეეხება სიუჟეტს. ავტორს იმდენად უნდა, რომ მკითხველს გული აერიოს, ნემსის ყუნწში ძვრება და, ცხადია, ზომა-წონის პრინციპებს ვერ იცავს. სიბინძურე, რომელსაც ავტორი აღწერს, ყურით მოთრეულია. ბომჟიც კი, რომელიც მუყაოს ფარდულში ცხოვრობს, არ დაიძინებს განავლიან ლოგინში. უფრო სწორად, ეს შეიძლება მთვრალს მოუვიდეს, მაგრამ არ გახდება მისთვის ნორმა. გარდა ამისა, მთავარი პერსონაჟი ვერო საცხობში მუშაობს და რა უბადრუკი საცხობიც არ უნდა იყოს, ნეხვის სუნად აყროლებული თანამშრომელი არ ეყოლება. მით უფრო, გამყიდველი, რომელიც, თუ ყარს, მისგან ლევზელს არავინ იყიდის. მოკლედ, ჩემი აზრით, ავტორი ცოტ-ცოტას „გვატყუებს". ალბათ არ არის საჭირო ასეთი მიზანდასახული უტრირება. ეს არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს. ვურჩიოთ მას, „გამოვიდეს" იმ ოთახიდან, დამშვიდდეს და ხელახლა შევიდეს. შესაძლოა, თავადვე გაუჩნდეს განცდა, რომ გადააჭარბა. რაც შეეხება პერსონაჟებს – გივია ბოროტების განსახიერება, ხოლო ვერო – მსხვერპლი. ასეთი სტანდარტული დაპირისპირება, ვფიქრობ, ამ პროფესიონალური ილეთების მქონე მწერალს, ამჯერად როგორც სუსტ ფსიქოლოგს, ასე ახასიათებს. ის იგავ-არაკს არ წერს, რომ ცუდი მგელი და კეთილი კურდღელი დაგვიხატოს... ასე მარტივად, ცალსახად, მარტო სიბინძურეზე და ბედნიერება-უბედურებაზე პერსონაჟი ალბათ ძნელად იხატება.

## კალია

მოთხრობას აშკარად ეტყობა გაწაფული ავტორის ხელი, კერძოდ კი, თავისუფლება თხრობისას. ავტორი არ გართმევს დროს ლირიკული პასაჟებით და საკუთარ აზრებს თავს არ გახვევს განსხვავებით ზოგიერთი ჩემ მიერ უკვე წაკითხული ნომინანტისგან. ის ცდილობს, რაც შეიძლება თავბრუდამხვევი ტემპით განავითაროს მოქმედება, რომ მკითხველს არ მიეცეს საშუალება დაფიქრდეს მის უბრალო, ღარიბ, ნაკლებად ეფექტურ ლიტერატურულ ენაზე. კაცმა რომ თქვას, აქ მთავარი უფრო მოთხრობაში აღწერილი მოვლენების განვითარებაა და საბოლოოდ ეს ტექსტი გახლავთ არც თუ ურიგო ფანტასმაგორია (ცხადია, იგულისხმება კონკურსის ფონი, თორემ ამ მიმართულების სხვა ტექსტებთან „კალია" აშკარად უკანა, შორ რიგებში გადაინაცვლებდა). მინდა აღვნიშნო ავტორის იუმორი, რომელიც მომენტებში სარკაზმში გადაიზრდება ხოლმე. ფაქტობრივად, მცირე რაოდენობის ინსტრუმენტებით რაღაც დონეზე მაინცაა დახატული მთავარი პერსონაჟი, როგორც ფსიქოტიპი. მისი სახე იკვეთება ძირითადად მის ფიქრებსა და ცოცხალ დიალოგში. მიუხედავად იმისა, რომ „სურვილების სააგენტოს" იდეა ახალი არ არის და ეს იდეა გადაღეჭილ-გადმოღეჭილია ფანტასტიკური ჟანრის ლიტერატურაში, მოთხრობაში მაინც საუკეთესოდ ამ სააგენტოს სცენა შეიძლება ჩაითვალოს, რაკი სხვა უკეთესი ადგილების შემჩნევა გამიჭირდა... მთხოვნელი, რომელსაც „მატეო ფალკონეს" ფინალის გადაკეთება მოსდომებია... ეს პასაჟი მკითხველშიც კი თხოვნების მთელ კასკადს აღძრავს. ჩემი აზრით, ასე მალე არ უნდა მოსულიყო მთავარი პერსონაჟის რიგი და კიდევ უნდა მოგვესმინა სხვა მთხოვნელთა სურვილები... ეს კიდევ უფრო ცოცხალს და სახალისოს გახდიდა ტექსტს... მოთხრობის დასასრული თავგაურთმეველი მგონია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი უბრალოდ ჩიხში მოექცა და აღარ იცოდა, როგორ დაესრულებინა ტექსტი. არადა, დასაწყისიდანვე დინამიური და ამბებით მდიდარი თხრობა ბოლოს გაურკვევლობის განწყობას აჩენს, ტემპიც ვარდება და მთელი პათოსი სადღაც ქრება.

## პლასტმასის ბოთლი

ეს ტექსტი რა კრიტერიუმებით გავიდა ფინალში, არ მესმის. ჯერ ერთი, წყდება ისე, რომ გგონია, დაკოპირებისას შემთხვევით მოაჭრეს ბოლო ნაწილი. და რაც დარჩენილა, ისიც თავგაურთმეველია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ვიღაცამ თავისი ძველი, უგერგილოდ დაწერილი დღიური ამოქექა... ვფიქრობ, მკითხველებს ამ ტექსტით მიღებული მავნე ზემოქმედების გამო რძე თუ არა, ბორჯომი მაინც უნდა დაგვირიგონ და ჟიურის წევრებს კი დისკვალიფიკაცია მისცენ ორგანიზატორებმა. :)

## Make My Demons Run

სოფლიდან ქალაქში ჩამოსული გოგოს ამბავი, „გარყვნილებაში" მოხვედრა, სოფლისა და ქალაქის მენტალობაზე საუბარი და შედარებითი დახასიათება, ამის საილუსტრაციოდ პერსონაჟი ტიპების ცვეტრება და ნაფტალინიანი ანდაზა-აფორიზმები „ქალს ორი რამე რყვნის, წიგნი და დიდი ქალაქიო", „ქალი ადვილად ფუჭდება აქ" და ა.შ. – რბილად რომ ვთქვა, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის არცოდნაა. მძაფრად – თავს შევიკავებ. არის სოციალური თემები, რომლებზეც მწერლობამ კალამი მიუსვ-მოუსვა და გაიარა. აღარ შეიძლება ამაზე ჩაციკვლა. ეს ხომ არაა მარადიული თემა. ესაა სოციალური მარაზმატიკული კონტექსტი, რომელიც სოფელ საქართველოშიც კი უკვე დიდი ხანია, არააქტუალურია და ავტორი რატომ გვახსენებს წამდაუწუმ, ვერ გამიგია. უკვე ეჭვი მიჩნდება, თავადაც ხომ არ თვლის, რომ ამ ქალაქში ხალხს იჭერენ და რყვნიან. კეთილი რჩევა ავტორს, თუ, ცხადია, ამ კრიტიკის კითხვას კიდევ მოინდომებს, მომისმინოს. გამომგონებლობის, კოკეტობის, „ესთემამომგებიანიას" გარეშე, გულწრფელად, გულიდან ამოღებულ ამბებზე რომ წეროთ, შესაძლოა, უკეთესი შედეგი მივიღოთ. სუიციდი... ოჰ, ეს მოდური სუიციდი... ეს ეგზისტენციალური სუიციდი... ეს ყალბი, გამოგონილი სუიციდი... თავისთავად სუიციდი, ქალაქში სოფლელის გარყვნასთან შედარებით მარადიული თემაა და მასზე შეიძლება უსასრულოდ წერონ კაცმა და ქალმა, მაგრამ როგორც ეს ამ მოთხრობაში ხდება, ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულია. მოუტანეთ ფსიქოლოგს, იურისტს, ვისაც გინდათ... ასეთი თვითმკვლელობა დაუჯერებელია. ამას სჯობია, საერთოდ არ ჩანდეს მოტივი და ყველაფერი დარჩეს ბუნდოვნად. რამდენი თვითმკვლელობა დარჩენილა ოჯახისთვისაც კი გაუგებრად... მაგრამ როცა ასეთ თითიდან გამონოვილ კონტექსტში იკლავს თავს პერსონაჟი, სიცილის მეტი არაფერი გინდება. არც დასაწყისში ყულფისა და ძაფების თემა არ მეწიშნა კარგად. უკვე გამიჩნდა შთაბეჭდილება, რომ ავტორი ამ თემით სიმულანტობს და ყულფის რხევით წინასწარ გვზაფრავს... მოკლედ, ჩემი მოკრძალებული აზრით, მოთხრობა [illegible] თავგართმეული, მაგრამ სიუჟეტურად და ფსიქოლოგიურად საკმაოდ მოუმზადებელია.

## ჩვენ ვმარხავთ მკვდარ სატელიტებს ედემის ბაღებში

კონკურსის ფინალისტთა უმრავლესობის ფონზე აშკარად ნამუშევარი მასალაა. ავტორი ფანტაზიის უქონლობას არ უჩივის. თუმცა კი, საკმარისზე უხვადაა ნასაზრდოები ამ ჟანრის კლასიკოსებით... ესაა მცდელობა, ნახევრად სამეცნიერო ფანტასტიკა შექმნას ავტორმა. თუმცა კი, ამბის განვითარება ჩიხში ექცევა, უფრო სწორად, უნებურად თავკომბალას პრინციპს ატარებს – ალწერითი ხასიათის ტექსტი გაცილებით მეტია, ვიდრე დინამიკა. ფენტეზი კი დინამიკის გარეშე ფენტეზი არ არის. იდუმალი სამყაროს, იდუმალი გარემოს შექმნა ავტორს კარგად გამოსდის, თუმცა კი, მოუქნელი და შეცდომებით სავსე ენის გამო ფასეულობებს აუფასურებს. რჩება შთაბეჭდილება, *რომ ავტორმა უბრალოდ არ იცის წინადადებების* გამართვა. ავტორს აქვს სურვილი, თავისი ცოდნა, უნარი, შესაძლებლობები – ყველაფერი ამ ტექსტში ჩატიოს. ცხადია, ნაძალადევი ქმედების კვალი სახეზეა და შესაბამისად – ტექსტის სხეულიც – დაბრეცილი. ვფიქრობ, ამ მოთხრობიდან მაინც შეიძლება დახვეწილი პროდუქტის მიღება, თუ, რა თქმა უნდა, ავტორს ამის სურვილი ექნება.

## Теимураз Оврагов

ვფიქრობ, ცოტა მოუქნელად დაწერილი ტექსტია. მესმის, რომ ძნელია, შეეჭიდო კლასიკოსს, მაგრამ რაკი შეეჭიდე, ბუნებრივია, მკითხველი მკაცრი იქნება, უკვე აღარავინ დაგინდობს. ავტორი ცდილობს, შეინარჩუნოს ის ბალანსი, რომ როგორმე არ დაშორდეს ჯავახიშვილს. ამის გამო, ლამისაა, სუნთქვა შეიკრას, ფრთხილობს, ზედმეტმა ემოციამ არ გამოჟონოს, ზედმეტი ხაზი არ გაავლოს... სწორედ ამ სიფრთხილის გამოა, რომ მოუქნელობა და სიმშრალე სდევს თან მთელ ნაწარმოებს. არსად მხატვრული სიტყვა, არსად სიცოცხლის ნიშან-წყალი, რაც ტექსტს ალაგ-ალაგ მაინც მოუმატებს ტემპერატურას. ის, რითიც სავსეა ჯავახიშვილის წინადადებები, ის ემოციები, აღწერები, ის ფსიქოლოგიური პასაჟები, რაც დამახასიათებელია საერთოდ ამ მწერლისთვის – აქ ერთ ტბად გადაქცეულა. ისევ ხაზს ვუსვამ – იმის შიშით, რომ რამე სხვა მიმართულება არ გაჩენილიყო და არ აცდენოდა პირვანდელი ტექსტის სულისკვეთებას. ისეთივე



მეორე პრემიის ლაურეატი ტარიელ ჭანტურია

ჩამკვდარია ამ მოთხრობაში ყველა და ყველაფერი, როგორც თავად ამ გმირების ცხოვრება.

მიუხედავად მთელი იმ ხარვეზებისა, რაზეც ზემოთ აღვნიშნე, თავისთავად იდეა – გააგრძელონ ცხოვრება ძველმა პერსონაჟებმა, ცუდი არ არის. შესრულების ხარისხზე ზემოთ ვილაპარაკე, მაგრამ ეს ის ნეგატივი არაა, რაც კრიტიკას ვერ უძლებს. ანუ შესაძლებლად მიმაჩნია ამ ტექსტზე კამათი, მინუსების დალაგება და ავტორისთვისაც, თუ მომავალში ამ მოთხრობის დახვეწას გადაწყვეტს, ალბათ ძნელი არ უნდა იყოს, ის უფრო უკეთეს მოთხრობად აქციოს.

## ქალის ანგელოზი

სხვა ფინალისტების ფონზე გამოკვეთილად საყურადღებო ტექსტია. საუკეთესო, რაც ამ ავტორს აქვს, პერსონაჟების ხატვის უნარია. ნატიფია ტიპაჟები, მაგრამ არა ბანალური აღწერის მეშვეობით, არამედ სულ სხვა, მოზარდი გოგოს სევდიანი და მაინც ძალიან ციმციმა თვალთახედვით. ავტორი კარგად აზავებს ერთმანეთთან გმირის ხასიათის აღწერას დინამიკის ფონზე. მას არ სჭირდება ლირიკული პაუზები, რომ როგორმე მოგვაწოდოს პორტრეტები. ის მოქმედებას არ წყვეტს, სულ მოძრაობს და ამ მოძრაობისას ავლებს ძალიან საინტერესო შტრიხებს. ეს უმთავრესი დამახასიათებელი მომენტი მგონია ამ ავტორის და უმთავრესი ღირსებაც, როგორც მწერლის. ცხადია, ნაკლიც ბევრი აქვს ტექსტს. მე პირადად ვთვლი, რომ ეს კალამბურები და „გარითმული" კონტექსტუალური „აფორიზმები" ცოტა ზედმეტია. თუმცა, შეიძლება ეს ბევრმა ღირსებად ჩაუთვალოს. ჩემი აზრით კი ცოტათი „აგოიმურებს" ტექსტს. ხელოვნურობის ელფერს სძენს. თუმცა კი, რიტმი ძლიერია, დინამიკა ისეთ ტემპს კრეფს, რომ ამის ფონზე ჩანართები, ნიკო ლორთქიფანიძისეული „სიბრძნუკები" წამგებიან ფონს ქმნიან.

არ მომეწონა ანგელოზის მეტაფორა და ზოგადად ანგელოზი, მისი ფრთები, დამტვრეული და ვეღარ მინებებადი და ა.შ – უკვე საშინლად გამაღიზიანებელია, ლამისაა ვენესუელური სერიალის სტილის სიმბოლიკაა. ამ შესანიშნავ შიგთავსს კი ბანალურობის და უგემოვნობის სუნს ადენს.

მოკლედ, ავტორი უდავოდ ნიჭიერია. მისი სტიქია გმირების ფსიქოლოგიაა, მათი ახსნა და ვერსიებად დალაგება-დახატვაა. მთავარია, რომ ნიუანსებში არ შეცდეს და არ გააფუჭოს ზედმეტი ზიზილ-პიპილებით ის, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა და არ საჭიროებს ხელის შეშველებას.

## ერთი და ორი

ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება, შორს გადაისროლოს მკითხველი, შორს – დროში, ან უდროობაში, შორს – ამბავში, სადაც არქეტიპებსაც დალანდავს. უნდა ითქვას, რომ ხანდახან ეს გამოსდის. ხანდახან ახერხებს, დაგავიწყოს ყველაფერი და შენც გაგხვიოს იმ ამბავში. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ რაღაც მომენტებში. ძირითადად ავტორი მიმბაძველივით იქცევა, ანუ მონადირესავით ცდილობს, მომენტი, რომელიც „დაიჭირა", მერე ხელიდან არ გაუშვას და კვლავ თავდაპირველ განწყობასთან „მიგვდენოს", თუმცა კი ეს მერე და მერე ნაკლებად გამოსდის.

არასოდეს ვაქცევ ყურადღებას სინტაქსს, ორთოგრაფიას და მით უფრო, პუნქტუაციას. მაგრამ აქ, როცა ტექსტი არის მცდელობა, გადაგვისროლოს სხვა საუკუნეში, სადაც ავტორი ცდილობს, „იტეხნაროს" და ენა ძერწოს, იქ უხეშზე უხეში სინტაქსური დარღვევები უკვე ყველაფერს ანგრევს და აფუჭებს. სტილიზებულ ტექსტში ერთი კორექტურაც კი მთელ აშენებულ ემოციას ანადგურებს. მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ავტორმა ეს ტექსტი ალაგ-ალაგ დამწვარი თუ დახეული იპოვა და შეეცადა, სახელდახელოდ შეევსო ის გამორჩენილი ადგილები. ამიტომაცაა ენობრივად ასეთი შეუკრავი. არადა, აშკარაა, ერთ-ერთი ძლიერი სვლა სწორედ ენობრივი თამაშების მხრიდან ჰქონდა ჩაფიქრებული ავტორს.

## ადა და ევა

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ავტორი ამ მოთხრობით ცდილობს, შეაბიჯოს პროზის დიდ, უშველებელ და ეკლექტიკურ სამყაროში. ის იყენებს სხვადასხვა ფერებს, სხვადასხვა ილეთებს და ყველაფერ ამას აკეთებს შტრიხის, მკრთალად გავლებული კონტურების დონეზე. მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში არის ემოციურად საინტერესო მომენტები, მოთხრობა მაინც სქემატურია და ავტორის ძირითადი ძალებიც

ამ სქემის ხატვაზე, განლაგებაზე, პასაჟური ნაკუწების ერთმანეთში ჩანაცვლებაზე მიდის. ავტორი ცოტა არ იყოს, ზედმეტად ერთობა ამით, მაგრამ ამავდროულად აგებს ფუნდამენტს, რომლითაც, შესაძლოა, სხვა დროს მოცულობით დიდი და მრავალმხრივი ტექსტში ააშენოს.

ყველაზე მეტად რაც მომეწონა, ესაა ავტორის ზომიერების გრძნობა და ბეწვის ხიდზე ჩავარდნების გარეშე სიარული. უფრო კონკრეტულად კი ეს ეხება მის მიერ ე.წ. გაუცვეთავი თემების „შემოგდებას", სადაც ის არ იწყებს სხვა ავტორებივით მანიპულირებას, სიახლეებით მკითხველის წინაშე კოპწიაობას და ტექსტის „სარკეში" პრანჭვას. კომპიუტერული სამყარო, ეროტიკა, ე.წ. ლესბიანკური პასაჟი, ეგზოტიკური გარემო – ეს ყველაფერი იმდენად თითო წვეთით აქვს გაზავებული დანარჩენ სიუჟეტში, იმდენად გრძნობს, რომ ზედმეტმა მოძრაობამ შეიძლება ყველაფერს ფასი დაუკარგოს, რომ შეუძლებელია, არ აღინიშნო ავტორის მწერლური ყნოსვა და უხილავი ნიუანსების მართვის უნარი. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ მიუხედავად ამ პოზიტიური აღწერებისა, რაზედაც ზემოთ ვისაუბრე, მოთხრობა მაინც დაუმთავრებელი ნიმუშივითაა, ბოლომდე გაუმჟღავნებელი ფირივით, ჯერარდაბადებული ემბრიონივით.

## ოთახი

სამწუხაროდ, ცოტა არ იყოს, სუსტი მოთხრობა აღმოჩნდა, არადა, სქემა საინტერესო იყო და ვფიქრობდი, რომ ავტორი გაართმევდა თავს. ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, იდეას რომ ვიღაც მიაწვდის ავტორს, სქემასაც დაუხაზავს და ავტორი ხორცს სათანადო დონეზე ვერ შეასხამს. არ იყო საინტერესო ნინოს ინფანტილური მსჯელობა. მაგალითად: „მათ (ანუ მკვდრებს ლ.კ.) თავად ჭამენ მატლები, თუნდაც „პიერ კარდენის" კოსტიუმით დამარხო, მაინც შეჭამენ. მატლისთვის ბრენდს მნიშვნელობა არა აქვს." ასეთ „გასაოცარ" მიგნებას როგორ და რანაირად „გაარტყა" ან ავტორმა და ან პერსონაჟმა? :) თურმე მატლისთვის სულერთი ყოფილა ბრენდი... არ მითხრას ახლა ვინმემ, რომ ავტორს ეს ნინოს რომელიმე თვისების საჩვენებლად დასჭირდა და ასეთი შტრიხით დაგვიხატა ეს...

ველოდი, ავტორი, ასე ვთქვათ, გაქაჩავდა, აბსურდამდე მივიდოდა, მაგრამ აშკარაა, ამოცანა კარგად ვერ დაძლია. თუმცა, მომეწონა ე.წ. ინდიფერენტული ფინალი, ანუ არაფერი, რასაც მე პირადად ძალიან ვაფასებ ხოლმე ევროპულ ფილმებში... მაგრამ შიგთავსი დაგვიტოვა, ცოტა არ იყოს, უგემური, ერთი კარგი ინგრედიენტი რომ არაა საკმარისი კერძის შესაქმნელად და სხვა ინგრედიენტები ან რომ არ გაქვს და ან ცუდი ხარისხის. საბოლოოდ კი, ასეთ პირობებში, გემრიელი კერძი ვერ შედგება. ჩანს, რომ ავტორს აქვს უნარი, რაც მას სამომავლოდ უკეთეს ტექსტს დააწერინებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სხვისი ხელებით

მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის არც აღმოჩენა, არც რამე კუთხით მაინც „ახალი სისხლი" თანამედროვე ქართული ლიტერატურისთვის, ვფიქრობ, მაინც საკმაოდ გამართული ტექსტია სიუჟეტურად, კომპოზიციურად. ავტორი აშკარად „ძველგაზრდაა" და ჩამოყალიბებული აქვს თხრობის მანერა. უცნაური ემოცია დამიტოვა – ტექსტმა პატივისცემა გამიჩინა ავტორის მიმართ. ეს არაა ტექსტის ხარისხით გამოწვეული პატივისცემის განცდა. ესაა იმ თვისებების გამო, რომელიც ამ ავტორს აქვს და რომელიც მჟღავნდება ნაწარმოებში, სადაც ძალიან კარგად ჩანს ავტორის სამყარო, მისი დაკვირვება მოვლენების მიმართ. მიუხედავად სამედიცინო ლაფსუსებისა, რაც, თავისთავად, ნაკლია, რადგან სერიოზული მწერალი საგანგებოდ სწავლობს იმ საკითხს, რა საკითხზეც უწევს წერა, ეს მაინც კარგი მოთხრობაა. კი არავის ვადარებ, მაგრამ ნიმუშისთვის ვამბობ, ჩემს საყვარელ უელბეკს უამრავი წიგნის წაკითხვა დასჭირდა, რომ კვანტური თეორია და სხვა რამეები შეესწავლა, როცა „ელემენტარულ ნაწილაკებს" წერდა. ისეთ სერიოზულ ავტორს, როგორიც „სხვისი ხელების" ავტორია, სამედიცინო საკითხების დილეტანტურ დონეზე შემოტანა არ შეშვენის. საინტერესოა გმირის ფსიქოლოგია და ავტორისეული ხედვა მთელი რიგი ნიუანსების მიმართ. ნაგრძობია თითოეული ემოცია. თითქოს არსად ჟონავს სიყალბე ან არადამაჯერებლობა. ზოგადად ორგანოების გადანერგვის იდეაზე შექმნილ ტექსტებს მიაქვს ფენტეზის ჟანრის ლიტერატურა. მაგრამ ის, რასაც აქ ავტორი გვაცნობს, სხვა რაკურსია და ამ ჟანრთან საერთო არაფერი აქვს. არის მომენტები, რომელმაც უბრალოდ ალმაფრთოვანა. არის მომენტები, რაც გაუგებარია... გაუგებარია ჩე გევარას „ნამიოკიც". მხატვრულ ტექსტში შემთხვევით არაფერი ხდება. უფრო სწორად, ეს ხომ არაა ფრანგი „ახალი რომანისტების" ტექსტი, სადაც თავგადასავლის წერა კი არ იყო საჭირო, არამედ წერის თავგადასავალი...

მიუხედავად ავტორის სიდარბაისლისა, თხრობის საკმაოდ მშვიდი და მოზომილი სტილისა, რჩება შთაბეჭდილება, რომ ტექსტი გადარბენაზეა. არის ისეთი ჩაღრმავებები რიგ საკითხებთან, რომელსაც მეტი დამაჯერებლობა არ აწყენდა. გაუგებარია ექიმის და მისი განშორება. დასაწყისში ავტორმა ერთგვარად „წაიმისტიკოსა", როცა აღნიშნა ექიმ-პაციენტის სამუდამო განშორების შესახებ. რისთვის იყო ეს მინიშნება, გაუგებარია.

რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს რაღაც ამბის სამზადისია და ამ ამბავს ველით მთავარი ისტორიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარალელურად, მაგრამ ავტორი ამ მომენტს ივიწყებს და მკითხველს პირში ჩალაგამოვლებულებს ტოვებს.



### კაკლის მაშო

ავტორი ახალბედას ნამდვილად არ ჰგავს. მოთხრობის სქემა შემდგარია. სიუჟეტს კლასიკური კარკასი აქვს და ეფექტურადაა გაშლილი სიუჟეტური სივრცე. მეტყველების კულტურა, დიალოგები და სხვა „მანევრები" – ნორმის ფარგლებშია. მაგრამ როგორც საერთოდ მიყვარს ხოლმე თქმა, ეს „პირველკურსელისთვის" არის ღირსება. სრულფასოვან მხატვრულ ტექსტს კი სხვა დატვირთვა მოეთხოვება, რასაც ეს მოთხრობა თავს ნაკლებადართმევს. დავიწყებ „იუმორით", ე.წ. სარკაზმით. ავტორი დასცინის ყველას და ყველაფერს, და, რაც მთავარია, საბრალო ლილიპუტ გოგოსაც. ავტორისთვის სულერთია, დადებითი ან უარყოფითი თვისება. მისთვის ყველაფერი სალაღაო გამხდარა. რაც მთავარია, ეს „იუმორი" არის სუსტი, ალბათ სოფელ კაკლიანშიც ვერ გააცინებს მოსახლეობას. კაკლის სიმბოლიკაც მე-5 კლასელებზე გათვლილი „ზღაპრული" ფანდია. მოკლედ, ავტორს ან ჩვენ ვგონივართ მე-5 კლასში, განვითარების შესაძლებლობით, ან კიდევ...

სიუჟეტში გაუგებარი ნახტომ-ახტომ-შემოხტომები ცალკე გაუგებრობაა... ჭიპზე გადახსნილი ქალი – ეს ჰორორია? მგონი, რომ ვერ ჩავთვლით ჰორორად. პერსონაჟმა ტყუპებს რომ მაშოები დაარქვა, საინტერესოა, აქ უნდა გავიცინოთ? ვერ ვიცინი აშკარად. არადა, ვცდილობდი. გარდა ამისა, ხუთ წელიწადში ერთბაშად დაჩაჩანაკებული „სოფლის თვალი" ბიჭი როგორ გავიგოთ – რამ დააბერა და გამოაშტერა ასე მოკლე დროში, რომ მაშოს თითი თუ უთითობა ვერ იცნო... მოკლედ, იმდენად არასერიოზულია ეს ყველაფერი, შთაბეჭდილება რჩება, რომ ავტორი სადღაც განზე დგას და ჩვენს ამ სერიოზულ მსჯელობაზე ისევე იცინის, როგორც თავის პერსონაჟებზე...

*არ ვიცი, არ მოვინდომე, თუ ფინალისტმა ავტორებმა ჩაიქნიეს ხელი თავიანთი ტექსტების გახმაურებაზე, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მხოლოდ ერთი თუ ორი ტექსტის ავტორის ვინაობა შევიტყვე წინასწარ, ვიდრე ყველა მოთხრობას წავიკითხავდი.*

*არ დავმალავ, მას მერე, რაც ზემოთ წარმოდგენილი შეფასებები გავაკეთე, ზოგიერთი ავტორის ახლობლებისგან სასაყვედურო წერილების გარდა, მუქარაც კი მივიღე პირად შეტყობინებებში. მაშინაც მეგონა და ახლაც მგონია (როცა შევიტყვე, რომ „ბებერი გოგოებისა" ლია ლიქოკელისაა, „სხვისი ხელებით" გია არგანაშვილის, „სიზუსტე" ერეკლე დეისაძის, „ოთახი" თეა თოფურიასი, „პატაგონია" ბაჩო კვირტიასი, „კაკლის მაშო" ბესო ხვედელიძის, „ჭალის ანგელოზი" ნათია როსტიაშვილის, „ადა და ევა" რუსუდან რუხაძის, „ჩვენ ვმარხავთ მკვდარ სატელიტებს ედემის ბაღებში" ზურა ჯიშკარიანის, „კალია" ტარიელ ნამორაძის, „კვირაში სამჯერ" მარი კორინთელის, „Теимураз Овратов" გურამ მეგრელიშვილის, „MAKE MY DEMONS RUN" რუსო გახარიასი, „პლასტმასის ბოთლი" ნინო ბაჯელიძის, „ერთი და ორი" თამარ ფოლადაშვილის), რომ ლიტერატურული კონკურსი და ამასთან დაკავშირებული კომენტარები, კრიტიკა, შეფასება, და საერთოდ, მთელი ეს ვნებათაღელვა დამწყებ თუ პროფესიონალ მწერალს უნდა ზრდიდეს და გამოცდილებით ავსებდეს.*

*ცხადია, თითოეულ დაწუნებულ ავტორს ეჩვენება, რომ ის დაჩაგრეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს მოსაზრება ყოველთვის მართებული არ შეიძლება იყოს. მწერლობის, და საერთოდ, ხელოვნების შეფასება სუბიექტივიზმის გარეშე შეუძლებელია. თუმცა კი, შემფასებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ობიექტური გარემოებები – ლიტერატურული კონტექსტი, ეპოქა და ა.შ. წლევანდელი „წეროც", მე ვფიქრობ, მეტ-ნაკლებად ამ პრინციპების დაცვით ჩატარდა. თუმცა კი მეც, ისევე, როგორც ნებისმიერი თქვენგანი, ალბათ რაღაც კორექციებს აუცილებლად შევიტანდი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახლის გაყიდვა ანუ ჩემი მეგობარი ეკა



თეა თოფურია

ეკაზე წერისას ობიექტური ვერ ვიქნები. თვითონაც აღარ მახსოვს რამდენი წელია ვიცნობ. ერთად ვსწავლობდით ჟურნალისტიკას ჟურნალისტურ სახელოსნოში, ერთად ვმუშობდით „რეზონანსში", „ახალ ვერსიაში", „ადამიანის უფლებათა ცენტრში". ახლა „რადიო თავისუფლებაში" ვმუშაობთ ერთად. მოკლედ, რამდენჯერაც კომპიუტერიდან თავს ავწევდი, ეკას ვხედავდი. ახლაც, ამას რომ ვწერ, მას ვხედავ, შინდისფერი ჯემპრი აცვია და ინტერვიუს შიფრავს.

ეკა ცხოვრობს ჩემი კორპუსის წინა კორპუსში და საღამოობით ასეთი მესიჯი მომდის ხოლმე: „კექსი გამოვაცხე და არ გადმოხვალ?" ხანდახან ვჩხუბობთ კიდეც. ამასწინათ ვიდეოკამერის ჩიპის გამო ისე დავცხეთ ერთმანეთს, მთელი რედაქცია შემოგვყურებდა.

ანუ ეს ყველაფერი იმის საილუსტრაციოდ, თუ რატომ ვერ ვიქნები ობიექტური.

ეკას ახალ წიგნს „სახლის გაყიდვა" ჰქვია. სათაური პირობითია. სახლში ყველაფერი ის იგულისხმება, რასაც მყუდროება, სიმშვიდე, თავშესაფარი, შენი ჭკუის ადამიანი (**„როცა გეხება, გრძნობ ერთი მხარე შენი სხეულის საშოვარზე იყო წასული და დაგიბრუნდა."**) და გარანტირებული ხვალინდელი დღე ქვია.

ეს სახლის გასაყიდი განცხადებაა:

**„დარჩეს ასე – შეცდომა ჩემი,**
**ფასი იგივე".**

და იქვე სხვა ლექსიდან:

**„ამას თურმე რა აწუხებდა,**
**ეს განწირული იქნებოდა დასაწყისშივე.**
**რომ მომეელო, იქნებ გაეძლო.**
**საწყალი, თურმე როგორ წვალობდა.**
**ჩაელილი ამბები ყროლდება.**
**ხანდახან თავი უნდა გამოიგაჰო.**
**ნაგავს თავი მოუკრა და მოისროლო..."**

ეკა ხშირად წერს ადამიანებზე, რომლებიც მის ცხოვრებაში მოდიან და მიდიან. სიყვარულზე, რომელიც არასოდეს არ არის ისეთი, როგორიც გვინდოდა, რომლისაგანაც სახარბიელო შეიძლება მხოლოდ ის დარჩეს, რომ ერთი-ორი კარგი ლექსი დაგაწერინა.

**„ჩემი სეპარატისტი,**
**ტყეში ჩასაფრებული ყაჩაღი სიყვარული ახლა არის**
**დაჭრილი მხარში,**
**დაჭრილი მუხლში,**
**სულ ახლახანს გაჭირვებით გამოვაზამთრე.**
**მუჭანახევარი ქატოა და ორი კბილი ნიორია**
**ეს ჩემი სიყვარული".**

გახსენებაზე, ერთხელ მოვიდა ეკა სამსახურში თვალებგაფართოებული და ყვება, მიტინგის გადასაღებად მტკვრის მოაჯირზე ავძვერი და კინაღამ გადავვარდიო. მე ვუთხარი, კიდევ კარგი, არ გადავარდი, თორემ შენი ლექსების პატრონს ვინ დაგიჯერებდა, თავს რომ არ იკლავდი-მეთქი. ასეთი ლექსები ეკას წინა კრებულებში მართლაც ბლომად იყო, აქ უკვე აღარ. ალბათ, ასაკიც აღარ განებებს ამჩატებას:

**„ჩვენ ახლა დიდზე დიდები ვართ**
**დილაობით სამსახურში გვაგვიანდება"...**

ან

**„რა უნდა მოხდეს, რომ ძველებურად ასე უფულოდ..."**

ეს ლექსი სტუდენტობისას ბირთვისში ექსკურსიაზეა. გაგიკვირდებათ და მე მანდ არ ვყოფილვარ. თუმცა, დაახლოებით წარმომიდგენია, რა იქნებოდა. მაშინ კაპიკი ფული არ გვქონდა და ერთხელ მცხეთობაზე წასულები თბილისში ლამის ფეხით ჩამოვედით.

**„რა უნდა მოხდეს, რომ ძველებურად ასე უფულოდ,**
**ერთი ზურგჩანთით**
**გზას დავადგეთ გაურკვეველი მიმართულებით.**
**არ ვდარდობდეთ,**
**შევძლებთ თუ არა გაყინული წყლით ტანის დაბანას...**

**რა უნდა მოხდეს,**
**რომ დაბრუნდეს ეს შეგრძნება –**
**სიღარიბით ბედნიერების,**
**უსიყვარულოდ თავისუფლების"...**

მე მიყვარს, როცა ეკა ასე წერს. ასეთ დროს რაღაცნაირად კეთილი და ალალია, ცოტათი საწყალიც კი. თორემ ეკა ვიცი, ისე შეჯდება ხოლმე ჯორზე, თითქოს ეს ჯორი იქვე სამზარეულოში ჰყავდა დაბმული და პირველივე დაძახებაზე გამოთოხარიკდა. ძირითადად ეს მაშინ მოსდის, როცა მის ლექსებში პოლიტიკური, სოციალური თუ რელიგიური მოტივები ჩნდება. ამ წიგნშიც საკმაოდაა ასეთები. ზოგადად ეკას ლექსებს ეტყობა, რომ მათ ჟურნალისტი წერს, უფრო სწორედ პროფესიონალი ჟურნალისტი, რომელმაც სიუჟეტის მომზადებისას სტანდარტები დაიცვა, საკუთარი აზრი მსმენელს თავზე არ მოახვია, მაგრამ რისი თქმაც უნდოდა, შემდეგ ლექსში ჩადო და გული მოიოხა.

**„მე, მგონი,**
**კარგი მოადგილე ვიქნებოდი,**
**ყველა სკამს მოვერგებოდი, წუნია არ ვარ"...**

მსგავსი ლექსების შემდეგ ჩვენს შორის, როგორც წესი, ასეთი დიალოგი იმართება.

– რევებს წერ, ადამიანო?

– რა? რა? ტყუილია თუ?

კიდევ ერთი თემა, რომელსაც ეკა ყველა წიგნში ეხება, რაჭაა. პირველად რაჭა რომ ვნახე, მაშინ მივხვდი, რატომ უყვარს ეკას ასეთი ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელი. მის კარადაში და ამბროლაურის გზაზე ზუსტად ერთი და იგივე ფერებია. თვითონაც ასეთია, ყველაფერს აფორმებს, რთავს, მათ შორის პოეზიაშიც. სათქმელსაც უფრო გრძლად ამბობს, ვიდრე თუნდაც მე ვიტყოდი, უფრო მეტი და სხვადასხვანაირი სიტყვები სჭირდება. არც თავისი და არც სხვისი გაკეთებულით არ არის კმაყოფილი, თან ეს ყველაფერს ეხება - ლექსებით დაწყებული, საყოფაცხოვრებო საკითხებით დამთავრებული. ხანდახან სერიოზულად ვბრაზდები: „გადმოდი ბარემ საღამოს და დამიწყვე დილით ჩასაცმელი ტანსაცმელი, იქნებ ამოვიდე შენი ყბიდან". მაგრამ როცა ეკა რაჭაზე წერს, გული მიბრუნდება.

**„რა ბებერია ეს მამალი,**
**რა იღბლიანი,**
**სამ შობას უკვე გადაურჩა"...**

**„შეიძლება ეს არის სამოთხე,**
**ბავშვობის სახლი, ზაფხულია.**
**აბლაბუდებით გავსებულა ფანჯრის რაფები.**
**სახურავიდან წვიმა წვეთავს**
**და ჭერზე ხატავს ჟანგის ფიგურებს"...**

**„პატარა ქალაქების ეზოებში ასეთ დროს შეშას ხერხავენ**

ეს ბოლო წიგნი „სახლის გაყიდვა" გამომცემლო „საუნჯემ" გამოსცა. იასამნისფერი პატარა წიგნი შიგ ბოლო სამი წლის ლექსები შევიდა. წაიკითხავ გაოცდები, ორშაბათიდან პარასკევამდე დღეები ერთ მანეთს ისე გავს, ვერ განასხვავებ. შაბათ-კვირას თანგულს გძინავს, არადა უკან მოიხედავ და რა ალა მოხდა ამ სამ წელიწადში:

**„გზა, რომლითაც შენამდე მოვსულვარ,**
**ერთ დღეს გავილვიძე და გამქრალიყო,**
**თითქოს ორცხობილის იყო**
**და თაგვებმა შემოღრღნეს".**

ან ეს:

**„არაფერი მკითხოთ,**
**უსიტყვოდ მომაწოდეთ ხელსახოცი.**
**ჩემს მკვდარს მე თვითონ მივხედავ.**
**სადაც მინდა იქ წავათრევ და დავმარხავ"...**

P.S. „ფრთხილად იყავი" – მეუბნება ხოლმე ეკა, რო ახლომახლო ვინმე ისეთი გამოჩნდება, ვინც შეიძლებ შემიყვარდეს. მეც გულწრფელად ვამშვიდებ, რომ ძალი ფრთხილად ვიქნები და ჩემთვის ვფიქრობ, სიფრთხილ რომ საქმეს შველოდეს, პოეზია ალარ იარსებებდა.



შინაურულად მოყოლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „იმიტომ, რომ აპატიე"...

## (მარი ბექაურის „მეორე მხარის" გამო)

*ეკა ქევანიშვილი*

ხან ერთ მხარეს ვატრიალებ და ხან მეორე მხარეს მარი ბექაურის მცირე რომანს, რომელსაც ასეც ჰქვია „მეორე მხარე" და რომელიც 2013 წელს დასტამბა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ".

უკანა ყდაზე მიწერილ ანოტაციაში კი აწერია, ემოციებით, განცდებით და მოლოდინით სავსე წიგნია, რომლის გმირიც სხვადასხვა დროისა და ამბის, სხვადასხვა თავგადასავლის პერსონაჟებს ესაუბრებაო და თუ ჩახედავთ, მართლაც გადააწყდებით კორტასარის, ფოლკნერის, კუნდერას, გრასის, ოსტერისა და კრისტოფის გმირების დიალოგებს იმ ექვსი საფეხურის ჩავლისას, რომელიც ამ რომანის საკვანძო ექვსი საფეხურია – საშიში საფეხურები, რომლებიც სულ გახსოვს. გახსოვს იმიტომ, რომ, დაეუშვათ, როგორც მარი იტყოდა, სწორედ ამ ექვსმა საფეხურმა ჩაგიყვანა სარდაფში, სადაც ერთხელ შენზე იძალადეს.

ერთხელ – სრულიად საკმარისია, რომ მთელი ცხოვრება ცდილობდე იმ დღისგან გათავისუფლებას. გათავისუფლება კი შესაძლოა იყოს სხვადასხვაგვარი – შურისძიება, მაგალითად ისე, რომ მოძალადე გემის კაპიტანს კაიუტაში ხელყუმბარა აუფეთქო და ამ შურისძიებას ათასობით სხვა ადამიანიც შესწირო. ისე, როგორც ეს მკვდარი გემის ებრაელმა დედოფალმა, ტულა პოკრიფკემ გააკეთა...

მარი ბექაურმა, ჩემი აზრით, თხრობის, ცოტა არ იყოს დამაბნეველი მანერა აირჩია. მისი გმირი ყვება თავის ამბავს და „ეს ამბავი გრძელდება ასე"...

ასე, ანუ, ექვსი სხვადასხვა გმირით და მათი ამბით, ანაც ერთი გმირის ექვსი სხვადასხვა თავგადასავლით ეს გმირები ხან უცნაურ კომპიუტერულ თამაშს ეწირებიან, ხან ფსიქოლოგის წინ სხედან, ხანაც დილის ხუთ საათზე იმ კაცის გვერდით აღმოჩნდებიან, ვინც ნაგვის ურნიდან ამოღებული ნივთებით ცხოვრობს.

რამდენიმე განსხვავებული ამბის მიუხედავად, რომანს ერთი ხაზი აქვს – ძალადობა. და მცდელობა პატიების, როგორც რაღაცის დავიწყების გარანტი, როგორც დაძინების შესაძლებლობა. ვადარებ მარი ბექაურის რამდენიმე წლის წინანდელ ერთ მოთხრობას, რომელსაც ერქვა „ბავშვობა, როგორც სინამდვილეშია", ასევე არანაკლებ მტკივნეულ ამბებზე დაწერილს და მის ჯერჯერობით ბოლო რომანს და ვხვდები, როგორ შეიცვალა მისი წერის სტილი – და როგორც გამძაფრდა თემები.

მე, როგორც მისი ერთ-ერთი მკითხველი, უფრო მეტს ველოდები. მგონია, რომ ერთ დღეს მარი ბექაური რაღაც განსაკუთრებულს დაწერს. ამის იმედს კი რამდენიმე რამ მაძლევს – მისი გამბედაობა, შეებას ყველაზე მძიმე თემებს, მისი ენა, რომელიც არ არის მისი ასაკის არაერთი მწერლის მსგავსად პათეტიკური და მისი სურვილიც – იყოს მწერალი.

ეს ბოლო დაზუსტებით არ ვიცი, მაგრამ ასე რომ არ იყოს, ალბათ, არც იმ თემას შეეჭიდებოდა, რაზეც ახლა მარის ბოლო წიგნი იწერება.

არ ვიცი რა ეტაპზეა და არც იმას ვიტყვი, რაზეა, მაგრამ ისეთი გატაცებით მიყვებოდა ცოტა ხნის წინ დასაწერ ამბავზე, ასე მხოლოდ მწერალი შეიძლება ყვებოდეს.

თუმცა, რა ვიცი, იქნებ სხვა, მეორე მხარეც არსებობს.

ენახოთ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალი თარგმანები



ეროვნული
ბიბლიოთეკა




ადვილად ცვდება ადამიანი სასტიკ ომებში;
რბილია კაცი ბალახივით;
მის ბაგეს და თითებს სწადია თეთრ მკერდს შეეხოს...

# გიორგოს სეფერისი – ბერძენი ნობელიანტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგოს სეფერისი (1900-1971) – პირველი ბერძენი ნობელიანტი პოეტი – დაიბადა მცირე აზიაში, სმირნაში 1900 წლის 29 თებერვალს. მისი ნამდვილი სახელი იყო გიორგიოს საფერიადისი.

### ოჯახი

პოეტი სმირნის ერთ-ერთი გამორჩეული ოჯახიდან იყო. მამამისი სტილიანოს სეფერისი იყო მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწე, იურისტი და საერთაშორისო სამართლის პროფესორი ათენის უნივერსიტეტში. მას გააჩნდა ლიტერატურული ინტერესებიც: წერდა ლექსებს, ახალბერძნულად თარგმნიდა ძველ ბერძენ ტრაგიკოსებსა და ბაირონის შემოქმედებას.

პოეტის დედა დესპინოც სათნოებითა და განათლებით გამოირჩეოდა. მისი გარდაცვალებით (1926 წ.) გამოწვეული მელანქოლიისა და მარტოობის შესახებ თავად პოეტი გვიამბობს: „საუბარი მჭირდება. არავინაა. თითქოს მე ვარ დამნაშავე. მაგრამ რა ხდება აქ? დღეს საღამოს ასე მეგონა, ჩემი ფიქრები დაცარიელდა და მისი ადგილი ორმა უცნობმა დაიკავა, რომლებიც მსჯელობდნენ და ჩემს ბედს წყვეტდნენ. შეუძლებელია ვწერო. სანამ ფურცელს გადავაბრუნებ, უკვე შევიცვალე, სხვა გავხდი."

გიორგოს სეფერისს სამი და-ძმა ჰყავდა, რომელთაგანაც იოანა ცოლად ჰყავდა კონსტანტინოს ცაცოსს. ეს უკანასკნელი იყო ფილოსოფოსი, ათენის აკადემიის პრეზიდენტი, ათენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ფილოსოფიის პროფესორი, შინაგან საქმეთა მინისტრი, ხოლო 1975-1980 საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

საბერძნეთში გერმანელების შემოჭრიდან რამდენიმე დღეში, 1941 წლის აპრილში სეფერისი ქორწინდება მარია ზანუზე, მაგრამ შვილები არ ჰყოლიათ. პოეტი ხუმრობით ამბობდა, რომ მას ხელისმომკიდედ თავად ჰიტლერი ჰყავდა.

### განათლება

გიორგოს სეფერისმა დაწყებითი განათლება სმირნაში მიიღო, თუმცა პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო მისი ოჯახი იძულებული გახდა საბერძნეთში გადასულიყო. სეფერისი შედის ათენის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელსაც 1917 წელს ამთავრებს. შემდეგ ირიცხება ათენის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და 1921 წელს იღებს დიპლომს. 1918 წელს სეფერისი თავის დედასა და და-ძმასთან ერთად გადადის პარიზში, სადაც მათი მამა ადვოკატად მუშაობდა. იქ ირიცხება სორბონის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც 1924 წელს ამთავრებს.

1924 წელს მიემგზავრება ლონდონში ინგლისური ენის სრულყოფის მიზნით, საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცდების ჩასაბარებლად.

### კარიერა

გიორგოს სეფერისი 1925 წელს ბრუნდება ათენში და ინიშნება საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ სამსახურში საელჩოს ატაშედ.

წლების განმავლობაში მას სხვადასხვა თანამდებობა ეკავა: იყო კონსულის მოადგილე, კონსული, საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის განყოფილების საზღვარგარეთული პრესის სამმართველოს ხელმძღვანელი, შუა აღმოსავლეთის პრესის გენერალურ დირექტორი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის დირექტორი, მდივანი აღმოსავლეთის საკითხებში, საელჩოს მრჩეველი.

დიპლომატიური კარიერის გამო გამუდმებით იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს: ლონდონი, კორიცა, ალექსანდრია, ჩრდილოეთ აფრიკა, ანკარა, ლიბანი და კვლავ ლონდონი.

სხვადასხვა ვიზიტების დროს ახლავს საბერძნეთის მთავრობასა თუ მეფის ნაცვალს.

დიპლომატიურ კორპუსში მისი ბრწყინვალე კარიერა დაგვირგვინდა 1957 წელს, როცა იგი საბერძნეთის ელჩად დაინიშნა დიდ ბრიტანეთში. ლონდონში პოეტი 1962 წლამდე დარჩა.

იგი იყო ელჩი იმ დროს, როცა დამოუკიდებელი კვიპროსის სახელმწიფო ყალიბდებოდა. პოეტი აქტიურად მონაწილეობდა საბერძნეთთან კვიპროსის გაერთიანების საკითხში.

სეფერისი 1962 წელს ტოვებს ლონდონის ბერძნულ საელჩოს და მუშაობას იწყებს საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მონაწილეობს ეროვნული თეატრისა და ეროვნული რადიოს მმართველობით საბჭოში.

### სიყვარული

გიორგოს სეფერისმა 1923 წელს პარიზში გაიცნო ფრანგი პიანისტი ჟაკლინი, რომლითაც მისი გული და გონება ერთ ათწლეულზე მეტი ხნით იყო დაკავებული. სეფერისის სატრფიალო პოეზიის დიდი ნაწილი სწორედ მას ეძღვნება. „არის ზოგიერთი გრძნობა ცხოვრებაში, რომელიც არასოდეს გახუნდება..." – ამბობდა მწერალი ჟაკლინზე.

## პოეზია

სეფერისმა ლექსების წერა 14 წლის ასაკში დაიწყო, თუმცა ბერძნულ მწერლობაში 1931 წელს გამოჩნდა პოეტური კრებულით „შემობრუნება", რომელმაც თავიდანვე ათენის ლიტერატურულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ლექსების კრებულმა დაიმსახურა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასება. ერთნი თვლიდნენ, რომ იგი ახალ ეპოქას უდებდა დასაბამს ბერძნულ პოეზიაში, მეორენი კი მის პოეზიას ნამდვილ გრძნობას მოკლებულად, ბნელად და რაციონალურად მიიჩნევდნენ. მომდევნო ხანის კრიტიკოსების თვალსაზრისით კი ამ კრებულით მოხდა ბერძნული პოეზიის ტრადიციულიდან მოდერნისტულ წერაზე გადასვლა. მეორე ბერძენი ნობელიანტი პოეტის, ოდისეას ელიტისის შეფასებით, სეფერისმა თავისუფალ პოეზიას ჩაუყარა საძირკველი.

სეფერისის პოეზია პესიმისტური და მელანქოლიურია, თუმცა არც ოპტიმიზმსაა მოკლებული. მისი ენა სიმბოლურია, ფორმა კი – ბრწყინვალე.

მისი პოეზიის ძირითადი თემებია ძველი და ახალი ბერძნული ტრადიცია და მათი შეხვედრა თანამედროვე ევროპულ კულტურასთან, ელინიზმის ბედით გამოწვეული მელანქოლია, ემიგრანტებისა და დაკარგული მიწების ნოსტალგია.

სეფერისი არაერთი პოეტური კრებულის ავტორია. ესენია: „შემობრუნება", „ერთ უცნობ ლექსზე", „წყალსაცავი", „ჩანახატები მინდორზე", „მითისტორიმა", „სავარჯიშოების რვეული", „გემბანის დღიური I", „გემბანის დღიური II", „გემბანის დღიური III", „უკანასკნელი გაჩერება", „შაშვი", „სამი დაფარული ლექსი", „ეკლიან ბუჩქებზე."

თუმცა მისი, როგორც დიდი პოეტის, დამკვიდრება მოხდა 1935 წელს პოეტური კრებულით „მითისტორიმა."

სეფერისის კალამს ასევე ეკუთვნის ორი პროზაული ნაწარმოები („ექვსი ღამე აკროპოლისზე" და „ბარნაბას კალოსტეფანოსი") და ნოვატორობით გამორჩეული ესეისტიკა.

პოეტის მთარგმნელობითი შემოქმედება რაოდენობრივად მცირეა, თუმცა მნიშვნელოვანი. მან თარგმნა ტ. ს. ელიოტის ორი ნაწარმოები („უკაცრიელი ქვეყანა" და „მკვლელობა ეკლესიაში"), ახალბერძნულად თარგმნა ბიბლიის ორი წიგნი („ქებათა ქება" და „იოანეს გამოცხადება").

საფრანგეთში გატარებული წლები მეტად მნიშვნელოვანია მისი, როგორც პოეტის, ჩამოყალიბებაში. ეს მოდერნიზმის აყვავების პერიოდია ფრანგულ ლიტერატურაში. სეფერისი თარგმნიდა და კითხულობდა ფრანგ კლასიკოსებს. თუმცა მასზე, როგორც პოეტზე გამორჩეული გავლენა იქონია ტ. ს. ელიოტმა.

50-იანი წლებიდან სეფერისის შემოქმედება მრავალ ენაზე ითარგმნა.

## პრემიები

გ. სეფერისი პოეზიისთვის საბერძნეთში იღებს „პალამასის", ბრიტანეთში კი – „ფოილის" პრემიას.

მას ენიჭება თესალონიკის, ოქსფორდის, პრინსტონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორის წოდება.

1963 წელს დაჯილდოვდა ნობელის პრემიით ლიტერატურაში. დაჯილდოვება გამოცხადდა 24 ოქტომბერს, ხოლო ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა 10 დეკემბერს სტოკჰოლმში.

## საჯარო ლექციები და გამოსვლები

ე. სეფერისი 1968 წლის შემოდგომაზე ჩადის აშშ-ში, სადაც კითხულობს თავის ლექსებს ჰარვარდის, პრინსტონის, რატგერსის, პიტსბურგისა და ვაშინგტონის უნივერსიტეტებში.

1969 წლის 28 მარტს სეფერისი პირველად საჯაროდ საუბრობს საბერძნეთის დიქტატურაზე, რომელმაც გასტანა 1967-დან 1974 წლამდე. „ბი-ბი-სი"-სა და პარიზის რადიოს მიერ გადაიცა. ამ გამოსვლის გამო პოეტს ჩამოერთვა ელჩის წოდება და დიპლომატიური პასპორტით სარგებლობის უფლება. მას ბრალი დასდეს ანტიეროვნულ პროპაგანდაში.

## ცხოვრების ბოლო წლები

1971 წელს უმწვავდება კუჭის წყლული, უკეთდება თორმეტგოჯა ნაწლავის ოპერაცია.

გიორგოს სეფერისი გარდაიცვალა 1971 წლის 20 სექტემბერს.

მისი გასვენება დიქტატურის წინააღმდეგ მდუმარე მსვლელობად გადაიქცა. ხალხმა შეასრულა მის ლექსზე დაწერილი მიკის თეოდორაკისის აკრძალული სიმღერა „უარყოფა."

23 სექტემბერს გაზეთში „ვიმა" დაიბეჭდა მისი უკანასკნელი ლექსი „ეკლიან ბუჩქებზე", რომელიც პოეტმა 1971 წლის 31 მარტს დაწერა და მიმართული იყო დიქტატურის წინააღმდეგ.

ქართულ ენაზე გიორგოს სეფერისის ლექსების პირველი თარგმანები ეკუთვნის იზა ორჯონიკიძეს და დაბეჭდილია კრებულში „გიემაჟი ბრონეული."

# სანობელე სიტყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტოკჰოლმი, 1963 წლის 10 დეკემბერი

ახლა ვგრძნობ, რომ თავად წინააღმდეგობა ვარ.

შვედეთის აკადემიამ მიიჩნია, რომ საუკუნეების განმავლობაში საყოველთაოდ ცნობილ, თუმცა არსებული მდგომარეობით შეზღუდულ ენაზე განხორციელებული ჩემი მცდელობა ამ მაღალ აღიარებას იმსახურებდა. მოისურვა, პატივი მიეგო ჩემი ენისთვის და აგერ, ახლა ჩემს მადლიერებას უცხო ენაზე გამოვთქვამ. გთხოვთ, მომიტევოთ, რასაც პირველ რიგში საკუთარი თავისგან ვითხოვ.

მე ერთ პატარა ქვეყანას ვეკუთვნი. ერთ კლდის კონცხს ხმელთაშუა ზღვაში, რომელსაც თავისი ერის ბრძოლის, ზღვისა და მზის სინათლის გარდა სხვა სიმდიდრე არ გააჩნია. პატარაა ჩვენი მხარე, მაგრამ მისი ტრადიცია არის უზარმაზარი და ჩვენ შევძელით, რომ იგი უწყვეტად შეგვენარჩუნებინა. ბერძნულ ენას არასოდეს დაუკარგავს სამეტყველო ენის ფუნქცია. მან განიცადა ცვლილებები, რასაც ყოველივე ცოცხალი განიცდის, მაგრამ არავითარ ჩავარდნას არ გვიჩვენებს. ამ ტრადიციის კიდევ ერთი მახასიათებელი ჰუმანურობის სიყვარულია, მისი კანონი სამართლიანობაა. ანტიკურ ტრაგედიაში, რომელიც ასეთი სიზუსტით იყო ორგანიზებული, ადამიანი, რომელიც საზღვრებს გადადიოდა, ერინიების მიერ უნდა დასჯილიყო. იგივე კანონი მოქმედებს მაშინაც, როცა საქმე ბუნებრივ მოვლენებს ეხება. „მზე არ გადადის საზღვრებს", – ამბობს ჰერაკლიტოსი, – „თორემ ერინიები, დიკეს შემწენი, მათ აღმოაჩენდნენ."

სრულებით არ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე თანამედროვე მეცნიერმა შესაძლოა ისარგებლოს იონიელი ფილოსოფოსის გამონათქვამით, თუკი მას ჩაუკვირდება. მე რაც შემეხება, ვღელავ, როცა ვამჩნევ, რომ სამართლიანობის შეგნებამ ისე ძლიერ გაჟღინთა ბერძნული სული, რომ ფიზიკური სამყაროს კანონადაც კი აქცია იგი. ერთ-ერთი ჩემი მასწავლებელი, გასული საუკუნის დასაწყისში მოღვაწე, წერს: „...დავიღუპებით, რადგან უსამართლობა ვიგემეთ..." ეს ადამიანი უსწავლელი იყო, წერა ოცდათხუთმეტი წლის ასაკში ისწავლა, მაგრამ ჩვენი დროის საბერძნეთში ზეპირი, ისევე როგორც წერილობითი ტრადიცია შორს მიდის წარსულში. ასევეა პოეტური ტრადიცია. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შვედეთმა მოისურვა დაეფასებინა ეს პოეზიაცა და, ზოგადად, მთელი პოეზია, მაშინაც კი როცა იგი ერთ ერში მოჩუხჩუხებს. რადგან მწამს, რომ ამ თანამედროვე, შიშისა და შფოთისგან ნატანჯ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ, პოეზია სჭირდება. პოეზიას ფესვები ადამიანის სუნთქვაში აქვს გადგმული და რა დაგვემართებოდა, ჩვენი სუნთქვა რომ შემცირებულიყო: ეს არის ნდობის საქმე და ერთმა ღმერთმა უწყის, ჩვენს შიშს ნდობის შოკლებას ხომ არ უნდა ვუმადლოდეთ.

გასულ წელს ამ მაგიდის გარშემო ძალიან დიდი განსხვავება შენიშნეს თანამედროვე მეცნიერების აღმოჩენებსა და ლიტერატურას შორის: შენიშნეს, რომ ძველ ბერძნულსა და თანამედროვე დრამას შორის სხვაობა მცირეა. დიახ, ადამიანის ქმედება, ეტყობა, ძირეულად არ შეცვლილა. ისიც უნდა დავამატო, რომ მუდამ ვგრძნობდი საჭიროებას, იმ ადამიანური ხმისთვის მესმინა, რომელსაც პოეზიას ვუწოდებთ. ხმას, რომელსაც ჩაქრობა ემუქრება ყოველ წამს სიყვარულის მოკლების გამო, თუმცა განუწყვეტლივ უბრუნდება სიცოცხლე. დევნილმა უწყის, სად ჰპოვოს თავშესაფარი. უარყოფილს გააჩნია ინსტინქტი, რომ წავიდეს და ფესვი ყველაზე მოულოდნელ ადგილებში გაიდგას. მისთვის არ არსებობს სამყაროს დიდი და პატარა ადგილები. მისი სამეფო დედამიწის ყველა ადამიანის გულშია. მას აქვს მადლი, მუდამ დააღწიოს თავი ჩვეულებას, კომერციას.

მადლიერი ვარ შვედეთის აკადემიისა, რომელმაც იგრძნო ეს ყოველივე: რომელმაც იგრძნო, რომ ე. წ. შეზღუდული გამოყენების ენები არ უნდა იქცნენ ზღუდედ, სადაც ადამიანის მაჯისცემა მისუსტდება და გაქრება. აკადემია უნარიან არეოპაგად მოგვევლინა: მართლად განსაჯა ცხოვრების უსამართლო ბედი, ხოლო ალფრედ ნობელმა შეძლო გარდუვალი ძალადობა თავისი დიდსულოვნებით გამოესყიდა.

ამ სამყაროში, რომელიც სულ უფრო და უფრო ვიწროვდება, თითოეულ ჩვენგანს ყოველი ჩვენგანი სჭირდება. უნდა ვეძიოთ ადამიანი, სადაც არ უნდა იყოს იგი. როცა თებეს გზაზე ოიდიპოსი სფინქსს გადაეყარა და მისგან გამოცანა მოისმინა, ამგვარი პასუხი გასცა: „ადამიანი". ამ მარტივმა სიტყვამ მოსპო ურჩხული. ბევრი ურჩხული გვყავს გასანადგურებელი. დაე, ჩავუფიქრდეთ ოიდიპოსის პასუხს.

*ახალბერძნულიდან თარგმნა მაია კაკაშვილმა*

* * *

თბილი წყალი ყოველ დილას ისევ მახსენებს,
რომ არავინ მყავს ცოცხალი ახლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ერთი დღის გამომეტყველება

*We plainly saw that not a soul lived in that fated vessel!*

*Edgar Allan Poe*

ერთი დღის სახე, უცხო ადგილას რომ ვიცხოვრეთ
ათი წლის წინათ.
უძველესი წამის ეთერი, ფრთა რომ გაშალა
გადაიკარგა უფლის თეთრი ანგელოზივით
მივიწყებული ხმა ქალისა, ნაჯაფარის, უსაზღვრო კეთილგონიერების
ძალისხმევით მილეული
უნუგეშო დასასრული, გაქვავებულ დაისივით
შემოდგომისა.
რამდენი ახალი სახლი, დამტვერილი კლინიკები
ზედ მუწუკებივით გამოყრილი ფანჯრები და მეკუბოვეთა ფარდულებით...
ვის უფიქრია, რამდენს უძლებს ფარმაცევტის მგრძნობიარე
გული ღამისთევისას?
უწესრიგობა მის ოთახში: კარიც, ფანჯარაც, უჯრაც პირს რომ
ველური მხეცებივით აფჩენენ და აღარ კუმავენ.
მოთმინებადაკარგული ადამიანი კარტს შლის და ეძებს,
ვარსკვლავთმრიცხველობს, ითვლის, ღელავს:

ვაითუ კარზე დააკაკუნონ, ვინ გააღებს?
ვაითუ წიგნი გადაიშალოს, ვის დაინახავს?
ვაითუ სული გადაეხსნას, ვინ დაინახავს? ჯაჭვი.
ან სიყვარული სადღაა არის, დროის გამჭრელი ორად, სწორად, ტოლად,
რომელიც მას გააოგნებს?
მხოლოდ სიტყვები და ჟესტები. ერთგავროვანი მონოლოგი
ერთი სარკის წინ, ერთი მიმიკით.
მელნის ერთი დაცემული წვეთივითაა მოწყენილობა, იდღაბნება ნელა ქსოვილზე.

ყველა რომც მოკვდეს ამ ხომალდში, ის მაინც ივლის, მაინც გაჰყვება თავის ფიქრებს
რომელიც აჰყვა ნავსადგურიდან გასვლისას ხომალდს.
რა ხანია რომ წამოეზარდა კაპიტანს ფრჩხილები... ბოცმანს წვერი გაეზარდა,
მერე რა თუ ყოველ კიბეზე სამ-სამი საყვარელი ელოდა ისევ...
ზღვაც ნელა ღელავს, ამაყად დგანან ანძები და მოაჯირები
დღე დატკბობას აპირებს უკვე.
სამი დელფინი შავად ლაპლაპებს
ილიმის გორგო და მეზღვაური, გაბიაზე ამხედრებული
რას ანიშნებს, არავინ იცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკანასკნელი გაჩერება

ცოტაა. თითზე ჩამოსათვლელი
მთვარიანი ღამეები, კეთილად რომ გამახსენდება.
ვარსკვლავთ ანბანი, ემარცვლავ
განვლილი დღის ძალისხმევით სავაეც, დაცლილიც.
სხვა აზრები, სხვა იმედები
როგორ ცხადად იკითხება ამ ასოებით.
ვზივარ მოცლილი, უსაქმური, ვიხსენებ ჩემთვის
რა ცოტა მთვარე დამრჩენია ძვირფას სახსოვრად
ნაღვლიანი ღვთისმშობლის ფერი კუნძულები,
ნახევარ თუ სავსემთვარეზე, მღელვარე გზებით,
გადავლახავდით ტბებს, მდინარეებს,
მივადგებოდით ქალაქებს და სახელმწიფოებს.
გუშინსაღამოს, კიბის ბოლო საფეხურზე მდგარმა, უეცრად,
მომლოდინემ კეთილ დროთა დაბრუნებისა,
უცებ ვიგრძენი, ძუნწის ქისაში ჩარჩენილი მონეტის მსგავსად,
მეც დამიდგა ჟამი გადახდის.
ისმის ჩხრიალის ხმა, ეცემიან მაგიდაზე ბოლო გროშები.
და ამ სოფელში, სალერნოს ზღვის გადაღმა, უკან,
დაბრუნების ნავსაყუდელში, შემოდგომის
ქარიშხალმა ჩამოიტოვა ღრუბლები უკან.
სახლები თითქოს მოამინანქრა მთვარის სიჩუმემ.

ფიქრი ფიქრს ებმის, გზას იგნებს და იწყებ საუბარს,
გაუგებარს, სწრაფს და აუხსნელს. თითქოს მეგობარს მოაქვს ამბავი
მალულად გიმხელს ცნობებს სახლზე, შინიანებზე,
ჩქარობ შეიტყო ყველაფერი, დაიმახსოვრო
რომ არ შეცვალოს გული ყოფნამ უცხოობაში.
ასე მოვდივართ არაბეთიდან, ეგვიპტიდამ, პალესტინიდან,
ასე მოვდივართ სირიიდან, კომაგენედან,
ჭრაქივით რომ ჩამქრალა ახლა,
ბევრჯერ გვიტრიალებს გონებაში
ასე მოვდივართ ქვეყნებიდან, რომ მძლავრობდნენ საუკუნენი
და კამეჩების საძოვრებად ქცეულან ახლა
ლერწმისა და სიმინდის ყანად.
ასე მოვდივართ უდაბნოდან, პროტევსის ზღვიდან,
სამოქალაქო ცოდვებისგან მქკნარი სულები
დატყვევებული ფრინველები – გალიაში მიყუჩულები.
წვიმიანი შემოდგომის წუმპე-ტალახი
გვიუშნოებს ყველა ქრილობას.
ან უწოდებდა ვინმე ამას სამართლიან ხვედრს
მხოლოდ ცუდ ჩვევებს, ცბიერბას, ფლიდობას, კაცთ კვლას,
მოიმკა უცილობლად სხვათა სისხლის წილ.
ადვილად ცვდება ადამიანი სასტიკ ომებში;
რბილია კაცი ბალახივით;
მის ბაგეს და თითებს სწადია თეთრ მკერდს შეეხოს,
დღის სინათლეზე რა ადვილად ეჭუტება თვალები, ხედავ
ფეხები მუდამ, დაღლილებიც მზადყოფნაში არიან, რომ
პირველივე დასტვენაზე საჭიროდ გაიქცნენ მარდად.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

რბილია კაცი, მოქნილი და მოწყურებული გაუმაძღარი ბალახივით,
ფესვებია მისი ნერვები, გაბნკალული, მოდებული ირგვლივ ყველაფერს
ხარბი ფესვები ზაფხულში რომ ურჩევნიათ
სხვების ყანაში იწუწუნონ და
ისივილონ გრძელმა ცელებმა,
სხვებმა იყვირონ სხვაგან აფრთხონ ეშმაკეულნი,
იმჭევრმეტყველონ, გაიბურდონ სიკეთის მადლში, არ ენაღვლებათ.
თუ შორს არიან ცოცხლები, მაშინ?
ადამიანი თუ სხვა რამ არის?
სიცოცხლეს რომ ვერ მიანიჭებს?
დროა თესვის, დროა მკისა.

ისევ იგივე, ისევ თავიდან, ასე მეტყვი, მეგობარო. ვიცი რომ მეტყვი
მონის აზრი, დევნილის აზრი,
გასაყიდი საქონლის იქით არ მიდის აზრი,
ვერაფერს შეცვლი, ეცადო თუნდაც.
მგონი რომ უჯობს კაციჭამია მეფედ დარჩეს,
ხარჯის ძაღლები, არავინ რომ ყიდულობს მისგან
სიყვარულის ყვავილების ველზე იაროს,
ბამბუკის ტევრში მოისმინოს ხმა კაკუნისა
თითქოს როკავენ მისი კარის მსხურები, უსახურები.
ადგილი, სადაც ამუშავებენ, გამოწვავენ ფიჭვივით ამ ხალხს,
ბნელ ვაგონებში, ჩამსხვრეული ფანჯრების იქით
    დღეებსა და ღამეებში
ცეცხლმოდებულ ჩაძირვისთვის განწირულ გემზე,
    სტატისტიკა როგორც გვარწმუნებს,
გაიდგეს ფესვი გონებაში, არ იცვლებიან
ხეებივით იხარეს თითქოს,
კენწეროებს ქარზე რომ ხრიან გაუკაფავ, უვალ ტყეებში
კვლავ ამოდიან, ამოდიან, იზრდებიან ასე მიწიდან,
ყრიან ტოტებს და კვლავ იზრდებიან
ჩვენი გონებაც დაღუპული მეგობრების უსიერს ტყეს ჰგავს
და თუ ზღაპრებით და იგავებით გესაუბრები
იმიტომ რომ იოლია ამის მოსმენა, შეიტკბობ სიტყვას
კომმარების მოყოლას ეს სჯობს
ცოცხლობს სათქმელი,
გრძელდება ამბად, მოწვეთავს დღე, მოწვეთავს ძილშიც.
გახსოვს ტკივილი.



აბა სხვაგვარად როგორა ვთქვა ამბავი გმირი მიხალისისა,
ღია ჭრილობით მოხატული რომ ნავიდა ჰოსპიტალიდან
ვინ იცის, ისიც ამბავს ყვებოდა საგმირო ამბავს
და ფეხს ჭიმავდა დაბნელებულ სახელმწიფოში
და ღრიალებდა ისიც, ვინ იცის: „სიბნელის გზებით,
სიბნელეში მოვდივართ მაინც“
ასეა, გმირი გზას სიბნელეშიც განაგრძობს მუდამ.

ცოტაა, თითზე ჩამოსათვლელი,
მთვარიანი ღამეები, კეთილად რომ გამახსენდება.

## უცხოობაში მყოფს

– რას ეძებ, ძველო მეგობარო,
დაბრუნებულო უცხოობიდან
აქაურობის სურათებით რომ გაიზარდე
უცხო ზეცის ქვეშ,
შენი მხრიდან ძალიან შორს?

– ჩემს ძველ ბაღს ვეძებ,
ხეები რომ ნელამდე მწვდება
ბორცვები რომ სკამებს მიჰგვანან
თითქოს ბავშვი ვიყავი და
ბალახებში ვთამაშობდი
დიდი ჩრდილის ქვეშ
და დავრბოდი ფერდობებზე
გული მქონდა ამოვარდნაზე.

– დაისვენე, მეგობარო,
შენ თანდათან შეეჩვევი აქაურობას.
ერთადაც ავალთ
ძველი ბილიკით
სვენებ-სვენებით
ჭადრის გუმბათქვეშ ჩამოვსხდებით
და ისევ მოვა შენთან ბავშვობის ბაღჩები
და ჭრელი სერები.

– ვეძებ ჩემ ძველ სახლს
მაღალ ფანჯრებს,
სუროს ხვეულით დაბნელებულებს,
ძველ სვეტებს და კოლონებს ვეძებ,
სანაპიროდან რომ ვუყურებდი.
ან ბაკში როგორ შემოვიდე,
ქერი, ხედავ მხრებამდე მწვდება?
შორს გავხედავ და,
მუხლმოყრილ ხალხს თუ ვხედავ მხოლოდ,
ლოცულობენო თითქოს ისინი.

– მეგობარო, არ გესმის ჩემი?
ხომ გეუბნები შეეჩვევი-მეთქი ნელ-ნელა
აი, შენი მშობლიური სახლი ესაა,
დააკაკუნე,
სულ ცოტა ხანში ახლობლები
ჩაგიკრავენ სლუკუნით გულში.

– რატომ არის შორეული შენი ხმა, მითხარ?
ასწიე თავი, იქნებ უკეთ გავიგონო,
რას მეუბნები
დაგუბულად ისმის
სიტყვები სიდიადეზე,
თითქოს მიწაში საუბრობს ვიღაც.

– მეგობარო, აბა, დაფიქრდი,
ნელ-ნელა უნდა შეეჩვიო აქაურობას.
ეგ ნოსტალგიამ და მონატრებამ
შექმნა მხარე არარსებული, არარსებული კანონებით,
მიწისა და ადამიანთა გარეშე მხარე.

– აღარაფერი მესმის სრულიად.
ხმა არ აღწევს უკვე ჩემამდე.
ჩაყვინა ბოლო მეგობარმა
რატომ დაბლდება ყველაფერი
გამუდმებით გარშემო, რატომ?
ათასობით საბრძოლო ეტლი,
ბასრი ნამგლებით ჩაივლის თითქოს.



## სცენაზე IV

ზღვა როგორ გახდა ზღვა ნეტავი?
დავაგვიანე, მთებში ვიყავი
დამაბრმავეს ციცნათელებმა
ახლა ნაპირზე ვდგავარ და ველი
ჩამოიაროს ეგებ კაცმა
ან ტივმა მაინც ჩამოიაროს.

მაგრამ ვაითუ ცუდი ფორმა მიიღო ამ ზღვამ?
ერთხელ დელფინმა, მახსოვს, გახია.
და თოლიას ფრთის წვერმაც,
ასევე მახსოვს.

მაგრამ როგორი ტკბილი იყო,
ტალღა, რომელშიც ბავშვი ვხტებოდი და ვბანაობდი.
მაშინაც, როცა ჭაბუკობაში,
ფორმებს ვეძებდი ჭრელ კენჭებში,
ვეძებდი ციფრებს,
და ძიებაში ზღვის მოხუცმა აი, რა მითხრა:
„იცოდე, მე ვარ შენი ადგილი,
თუმც შეიძლება არავინ ვიყო,
შემიძლია იმად ვიქცე, რადაც მინდომებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი მოხუცი მდინარის პირას

*პანის პანაიატოპულოსს*

გამოვთვალოთ, ვიანგარიშოთ, მაინც როგორ მოვინიეთ წინ.
განა კმარა გრძნობდე, ფიქრობდე, მოძრაობდე
ან საფრთხეში აგდებდე სხეულს ძველ სათოფურში,
ცხელი ტყვია და მდუღარე ზეთი როცა კვალავს კედლის სიმაგრეს.

აუცილებლად გამოვთვალოთ, თუ საითკენ მივემართებით,
არა იმიტომ რომ ჩვენს ტკივილს სჭირდება ეს ან მშიერ ბავშვებს
ან ნათესავთა მოპატიჟების უფსკრულს გაღმა მხრის
არც იმიტომ, რომ ამას ითხოვს ლილისფერი შუქის სხივი იმ საველე
    საავადმყოფოდან
ან წამლის ლაქა იმ ჭაბუკის ბალიშზე, სულ ახლახან რომ გაუკეთეს ოპერაცია,
სულ სხვანაირად მინდოდა მეთქვა
გრძელი მდინარე, ნავსაყუდელთა სანაპიროდან იღებს სათავეს
ჩაკეტილი ღრმად აფრიკაში
იყო ოდესღაც თავად ღმერთი, მერე გზად იქცა, მოწყალედ, დელტად, მოსამართლედ,
განა ერთიდაიგივე, ბრძენთა სწავლების შესაბამისად,
თუმცა კი მუდამ რჩება უცვლელი სხეული, ტახტი, ადგილი და მიმართულება.

არაფერი მსურს, ოღონდაც კი მომეცეს მადლი, მარტივად თქმის,
სიმღერაც როგორ დავტვირთეთ უკვე უხვი მუსიკით. ნელა, ნელა რომ იძირება
ხელოვნებაც ისე მოვკაზმეთ, ოქრომ
შეჭამა მისი იერი.
დროა უკვე, მოკლედა ვთქვათ მცირე სათქმელი,
თორემ ხვალ, სული აფრებს აშლის.

ადამიანი ხომ იმისაა, ტკიოდეს მხოლოდ
ამის გამოც ვფიქრობ უწყვეტად ეს დღეები დიდ მდინარეზე
აზრი, რომელიც წინ მიიწევს, მიედინება ბალახებში
არსებებში, რომ ძოვენ და წყურვილს უკლავენ ადამიანებს,
მთესველებს, მკელებს,
რომელიც მიდის მკვდართა ფართო საფლავებზე და პატარა საცხოვრისებზე,
რომ მირაკრაკებს და დიდად არც კი განსხვავდება კაცთა სისხლისგან,
თვალებისგან, როცა უმზერენ გამჭოლად
და უშიშრად გულში
და სიღრმეებში, წვრილმანებისთვის არ ფეთდებიან
არც დიდებისთვის,
იყურებიან და გასცქერენ შორეთს მგზავრივით,
ვარსკვლავებით რომ იგნებს გზა-კვალს.
და არა ისე, ჩვენ რომ ვიცით, მეორე დღეს,
ჩაკეტილ ბაღს რომ გავყურებთ ხოლმე ჩაძინებულ არაბულ სახლში,
გისოსებიდან, გრილ ბაღს,
რომელიც იცვლის მუდამ მოახაზულობას, იზრდება და პატარავდება,
ჩვენც რომ ვიცვლებით ამის შემყურე, ვნებისა და გულის ფორმებად
შუადღის წვეთში, მოქნილ ცომის გუნდასავით
სამყაროსი, რომელიც გვქმნის და კიდევაც გვდევნის
დახელთილების ნაქარგებით მორთულ ბადეში

მტვრადქცეული რომ ჩაიძირა ქვიშაში
და თავის უკან მოიტოვა უსასრულო რწევა ფინიკის,
ჩვენ რომ ასე დაგვახვია თავბრუ სუყველას.

## ევრიპიდე, ათენელი

დაბერდა იგი ტროას ცეცხლში
სიცილიის ქვის კარიერებში.

როგორ მოსწონდა მღვიმეები სველ ქვიშიან სანაპირზე, ზღვის
სურათები.
დაინახა ადამიანთა ვნებები
ღმერთების ბადესავით, რომელშიც მასაც ნადირივით იჭყუებდნენ
შეეცადა ბადის დალამბვას.
ხეპრე იყო, მეგობარი ცოტა ჰყავდა;
ერთხელ ძაღლებმა სასიკვდილოდ დაგლიჯეს იგი.

## წმინდა იოანეს კოცონები

ჩვენი ბედი ხომ ჩამოსხმული ტყვიაა და არ შეუძლია,
გადასხვაფერდეს, არაფრად იქცეს.
ჩამოსხმული ტყვიაა წყალში, ვარსკვლავების ქვეშ.
დაე, აენთოს უამრავი კოცონი მისთვის...

შუაღამისას, თუ შიშველი დარჩი სარკის წინ,
სარკის სიღრმე აირეკლავს სხვასაც შენს გარდა,
მას, ვინც შენს ბედში დაიარება,
ვინც განაგებს სხეულსაც, სულსაც...
მარტოობაში და სიჩუმეში იცნობა იგი –
მარტოობის და სიჩუმის ცოცხალი ლანდი.
დაე, აენთოს უამრავი კოცონი მისთვის...

მაშინ, როცა დღე დასრულდა და
არაფერი დაიწყო ნაცვლად,
როცა დრო გაწყდა,
დასაბამიდან რომ  გმართავდა და, უდროობამიც გზას გიკვალავდა,
უნდა მიაგნო,
უნდა ეძიო
სხვას მაინც უნდა აპოვნინო, როცა უკვე მკვდარი იქნები.

ბავშვები კი, კოცონებს რომ ანთებენ და
გაჰყვირიან თბილ ღამეებში,
(ბავშვის გარეშე ან სად გინახავთ, გაჩაღება ქვეყნად კოცონის
ო, ჰეროსტრატოს)
ვინც პეშვებით ცეცხლს მარილს აყრის,
რომ ალის ტკაცანს მიაყურადოს გახარებულმა
(რა უცნაურად მოულოდნელად გეამტერდებიან უცხო სახლები,
ადამიანთა სადნობ ღუმელებს რომ მიჰგვანან
თითქოს მათ კედლებს უსხეულო ანარეკლი ელაციცება).



ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ, რომელმაც შეიცანი მადლი და ძალა
ზღვის ზვირთებით ნალესი კლდისა,
საღამოხანს მზე როცა ჩადის
გესმის შორიდან მარტოობის და სიჩუმის
ხმა ახლობელი,
ადამიანურ ნაცნობ ხმად გესმის შენსავ სხეულში
წმინდა ღამეს, იოანესი,
როცა  ყველა კოცონი ქრება
შენ ნაცრის სული განგიჩხრიკავს ვარსკვლავების ქვეშ.

## დილა

გაახილე ფართოდ თვალები.
გაჭიმე განით შავი აფრა, მაგრად გაჭიმე,
მთელი ძალით. გაახილე
თვალები და მზერა ადევნე, არაფერი გამოგეპაროს.
იცი უკვე, იალქანი როგორ იშლება.
ძილში კი არა, წყალში კი არა.
განა ეშვება ალმაცერად ან ეფლობა ნიჟარასავით,
არც ნაოჭიან ქუთუთოსავით მძიმედ იხრება.
კარგად უყურე, დოლის შავი ტყავივით რომ
იჭიმება ჰორიზონტებზე.
გაუძლოს თვალმა ბუნიობათა შორის მდინარ წყლების სიუხვეს,
რტოთა შორის მოზუზუნე ფუტკრების წკრიალს,
ყრმათა ყურივით ზანზალაკის ხმად მოეჩვენოს.
და აჰა, აგერ, მზეც!
და სამოთხის უთვალავი ჩიტის ფრთის გაშლა
აგერ, დიდი მზე! სინათლეზე უფრო დიდი!

## აღმოსავლეთის შვიდო ქარო

*დ.ი. ანდონიოსს*

საგნებმა, სახე რომ გვიცვალეს
კუთვნილ აზრზე ღრმად
ღვიძლ სისხლზე მეტად
ჩაალრმავეს შუადღის ხვატში
ანძების იქით ჩვენი ფორმები.

ბორკილებსა და ბრძანებებს იქით
ვილას ახსოვს.

სხვა დღეები, სხვა ღამეები
სხეულებით, ტკბობითა და ნეტარებით
გადავსილები
ან სიმწარე ადამიანურ სიშიშვლისა,
გზისპირებზე დამტვერილ და გადამსხვრეულ
წინაკებზე ბევრად ცხარედ რომ გეჩვენება.

ამდენი საცდურისა და სიმბოლოს გადამკიდე
ხსოვნაც ჩრდილი გაგვხდომია
დიდი გემის ვეება ჩრდილი

ხელები კი რომ გვეხება და არც გვეკუთვნის
შორია, ვიდრე მოლუშული ვარდი მთის ჩრდილში,
ჭრიჭინები ღამის სიჩუმეს გვინედლებენ მარტივი რიტმით
და ვეძებთ ზღვის ძილს,
მივსრიალებთ ზღვის სიზმრებისკენ.

იმ დროს, როცა გემის ჩრდილში
ჩასტვენს გუშაგი
ნაზ სიყვარულს ვტოვებ ზარაფთან..

## ბ-ნი სტრატის თალასინოსი აღწერს ერთ ადამიანს

1.

რა გააჩნია ამ ადამიანს?
მთელი საღამო (გუშინ, გუშინწინ, დღესაც ასე) ზის
ცეცხლის ალზე თვალმილულული
ერთხელ, კიბეზე ჩამოსვლისას ფეხიც წამოკრა, წაბორძიკდა
და ასე მითხრა:
„კვდება სხეული, იმღვრევა წყალი, სული კი მაინც ჭოჭმანობს და თავს იკავებს
ქარს ავიწყდება ყველაფერი, ყველაფერი ავიწყდება,
ერთადერთი ალი არის, რომ არ იცვლება."
მერე განაგრძო:
„იცით, არსებობს ერთი ქალი, მე იგი მიყვარს
იქნებ, უკვე საიქიოს მკვიდრიც კი გახლავთ
თუმც ამის გამო როდი ვჩანვარ ასეთი მშვიდი.
ვცდილობ თავი შევიკავო გაცეცხლებისგან,
რადგან ალი არ იცვლის სახეს, არაფერი იცვლება ამით"
და მიამბო თავის თავზე ერთი ამბავი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზაქარია თამირი

# პატარა მზე

*ზაქარია თამირი სირიის ყველაზე ცნობილი ნოველისტია. მისი კრებულები 1960 წლიდან იბეჭდება სირიაში და დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ არაბულ სამყაროში, ითარგმნება ბევრ ენაზე, რადგან როგორც არაბი, ისე უცხოელი მკითხველი სწორედ მის ნოველებში ხედავს ყველაზე უკეთ და შეულამაზებლად სირიის დაბალი ფენების დუხჭირ ცხოვრებას. ზაქარია თამირი 1968 წლიდან სირიის მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ვიცე-პრეზიდენტიც იყო ოთხი წლის მანძილზე, ჟურნალ „ალ-მა'რიფას" მთავარი რედაქტორი, მაგრამ შემდეგში სირიის მმართველ პოლიტიკურ წრეებთან მწერლის დაპირისპირების გამო 1981 წლიდან ის ტოვებს სამშობლოს და გადადის საცხოვრებლად ლონდონში, სადაც ახლაც იმყოფება და აქვეყნებს თავის ლიტერატურულ პროდუქციას. ერთი შეხედვით მისი ნოველები უკიდურესად მარტივი, ცოტა პრიმიტიულიც კია, ბევრია მათში ფანტაზია, ილუზიები და ოცნება, თუმცა ასეთია სირიის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა – უკიდურესად გაჭირვებული, გაუნათლებელი, მეზღაპრე და მეოცნებე. მისი ნოველები ნამდვილი დამასკოური ყოფაა თავისი ტკბილ-მწარე სურათებით. სიკვდილის აქტიც ძალიან ხშირად ფიგურირებს მის ნოველებში სულისშემძვრელი დეტალიზებით და რა უცნაურიც არ უნდა იყოს, – ხშირად დახატულია, როგორც პოზიტიური აქტი, როგორც წუთისოფლის უბედურებებისგან თავის დასაღწევი საშუალება. როგორც მისი მეგობარი, ლიტერატორი მუჰამედ ალ-მალუტი ამბობს: ზაქარია თამირი მჭედლად დარჩა მისი ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ნოველისტად აღიარებისასაც კი! იგი სამყაროს ისევ მჭედლის უროთი უპირისპირდება!*

აბუ ფაჰდი ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით შინ ბრუნდებოდა. ოდნავ მიირწეოდა ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ, შორი-შორ გაბნეული ყვითელი ფარნებით განათებულ პატარა ქუჩებში. გარშემო გამეფებულმა სიჩუმემ თავი მოაწყინა და დაბალ ხმაზე ღიღინით სიმღერა წამოიწყო:

საცოდავი და არარაობა ვარ!

თითქმის შუაღამე დამდგარიყო. აბუ ფაჰდს კი მხიარული განწყობა ემატებოდა. სამი ჭიქა არაყი ჰქონდა გადაკრული. სასმელი მოჰკიდებოდა და ხელმეორედ წაუღიღინა:

საცოდავი და არარაობა ვარ!

თავისი გაურანდავი, უხეში ხმა სიტკბოებით აღსავსედ მოეჩვენა და საკუთარ თავს უთხრა: მომღერალი ვარ!

პირდაღებული ხალხიც წარმოიდგინა, ხელებს რომ უქნევდნენ, გაჰყვიროდნენ და ტაშს უკრავდნენ. კარგა ხანს იცინა, მერე თავისი წითელი ტარბუში ცოტა უკან გადაიწია და მხიარულად გააგრძელა სიმღერა:

საცოდავი და არარაობა ვარ!

ნაცრისფერი განიერი შარვალი ეცვა, ძველ ყვითელ ქამარშემოჭერილი. თაღის ქვეშ რომ მიაღწია, სადაც ბნელი ნათელს ბევრად ჯაბნიდა, უეცრად, პატარა შავი ცხვარი დაინახა, კედელს რომ აჰკვროდა! აბუ ფაჰდმა გაოცებისგან პირი დააღო და თავის თავს უთხრა:

– მე მთვრალი არა ვარ! აბა ერთი კარგად გამოიხედე თვალებში, შენ, ეი, კაცო! რას ხედავ? ეს ცხვარია! და სადაა მისი პატრონი?

გარშემო მიიხედ-მოიხედა. ვერავინ შენიშნა. ქუჩა სრულიად უკაცრიელი იყო. შემდეგ ცხვარს მიაშტერდა. საკუთარ თავს უთხრა:

– ნუთუ მთვრალი ვარ?

ხმადაბლა ჩაიცინა, შემდეგ თავისთვის თქვა: ალაჰი მოწყალეა! გაუგია, რომ აბუ ფაჰდსა და უმმ ფაჰდს ერთი კვირაა, ხორცი არ უჭამიათ. ცხვარს მიუახლოვდა, წინ უბიძგა, რითაც შეეცადა, ეიძულებინა, წამოჰყოლოდა, მაგრამ ცხვარი გაუჯიუტდა და არაფრით არ დაიძრა. აბუ ფაჰდი პატარა რქებში ჩააფრინდა და დაჰქაჩა, მაგრამ კედელს აკრული ცხვარი გაქვავებულიყო. აბუ ფაჰდი განრისხებული დააშტერდა და უთხრა:

– მაინც წაგიყვან! მამაშენსაც წავიყვან და დედაშენსაც!

აბუ ფაჰდი ცხვარს დასწვდა, ასწია და ზურგზე შემოიგდო. წინა თათებში ხელებით ჩასჭიდებოდა. გზა გააგრძელა და სიმღერაც ხელახლა წამოიწყო. მხიარული განწყობა და ზანტუსი გაუნელდა. ცოტა ხანში ღიღინი შეწყვიტა, რადგან იგრძნო, ცხვარი სულ უფრო დამძიმდა, ზომაშიც იმატა. უეცრად რაღაც ხმა გაიგონა, ეუბნებოდა:

– დამტოვე!

აბუ ფაჰდმა შუბლი მოისრისა, თავისთვის თქვა:

– დასწყევლოს ალაჰმა სიმთვრალე!

რამდენიმე წუთში გაიგონა, იგივე ხმა ეუბნებოდა:

– დამსვი! მე ცხვარი არა ვარ!

აბუ ფაჰდს გააკანკალა. შიშისგან ცხვარს კიდევ უფრო ჩაეჭიდა. გაჩერდა. ხმამ ისევ უთხრა:

– მე ჯინთა მეფის შვილი ვარ! დამსვი და რასაც ინდომებ, მოგცემ!

აბუ ფაჰდს ხმა არ გაუცია, აჩქარებული ნაბიჯით გააგრძელა გზა. ხმამ უთხრა:

– ოქროთი სავსე შვიდ ქოთანს მოგცემ!

აბუ ფაჰდს მოეჩვენა, თითქოს სადღაც ახლო ადგილიდან ჩამოცვენილი ოქროს მონეტების ჩხრიალი გაიგონა, მიწაზე რომ მიმოიბნა.

ცხვარს ხელი უშვა, უკან შემობრუნდა და ლამის იყვირა:

– მოიტა!

აღმოაჩინა, ვიწრო, გრძელ ქუჩაზე მარტოკა იყო. ცხვარს აღარ გადაჰყრია. ერთხანს ადგილზე იყო შიშისგან გახევებული, შემდეგ ჩქარი სვლით გააგრძელა გზა. სახლს რომ მიაღწია, ცოლი, უმმ ფაჰდი, გააღვიძა და უამბო, რაც თავს გადახდა. ქალმა უთხრა:

– დაიძინე, მთვრალი ხარ!

– სამ ჭიქაზე მეტი არ დამილევია!

– შენ ერთი ჭიქაც თავგზას გირევს!

აბუ ფაჰდმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და გაცხარებით უპასუხა:

– ერთი კასრი არაყიც კი ვერ ამირევს თავგზას!

უმმ ფაჰდს სიტყვაც აღარ უთქვამს. იმ არაკების გახსენება დაიწყო, ბავშვობაში რომ სმენოდა ჯინებსა და მათ გართობაზე.

აბუ ფაჰდმა ტანსაცმელი გაიხადა, ელექტრონათურა ჩააქრო და ცოლის გვერდით საწოლზე გაიშხლართა. საბანი ნიკაპამდე აიწია.

მოულოდნელად უმმ ფაჰდმა უთხრა:

– არ უნდა დაგესვა, სანამ წინასწარ ოქროს არ მოგცემდა.

აბუ ფაჰდს არ უპასუხია, უმმ ფაჰდმა თავგამოდებით დაამატა:

– ხვალ წადი, დაიჭირე და არ დასვა!

დაღლილმა, დასევდიანებულმა აბუ ფაჰდმა დაამთქნარა და ულონოდ თქვა:

– როგორღა ვიპოვი?

აუცილებლად იპოვი თალის ქვეშ! სახლში მოიყვანე და მხოლოდ მას მერე გავუშვათ, ოქროს რომ მოგვცემს!

– ვერ ვიპოვი!

– ჯინები დღისით მიწისქვეშეთში ცხოვრობენ, ღამე რომ დგება, მიწის ზემოთ ამოდიან და განთიადის მოსვლამდე ერთობიან. თუ რამე ადგილს ამოიჩემებენ, გამუდმებით იქ დაიარებიან. ცხვარს თალის ქვეშ იპოვი!

აბუ ფაჰდმა ხელი ცოლის მკერდისკენ წაიღო, ძუძუებს შორის შეუცურა და ასე დატოვა იქ გაუნძრევლად. უთხრა:

– მდიდრები გავხდებოდით!

– სახლს ვიყიდდით.

– სახლს პატარა ბაღით...

– და რადიოს ვიყიდდით.

– დიდ რადიოს...

– და სარეცხის მანქანას.

– სარეცხის მანქანასაც...

– ღერღილს აღარ ვჭამდით!

– თეთრ პურზე გადავიდოდით!

უმმ ფაჰდმა ბავშვივით გაიცინა. აბუ ფაჰდმა კი გააგრძელა:

– წითელ კაბას გიყიდდი!

უმმ ფაჰდმა კისკისით წაიჩურჩულა:

– მხოლოდ ერთ კაბას?

– ას კაბას გიყიდდი!

აბუ ფაჰდი წამით დადუმდა, მერე ცოლს ჩაეკითხა:

– როდის აჩენ?

– სამ თვეში.

– ბიჭი იქნება.

– ჩვენსავით აღარ დაიტანჯება!

– არ მოშივდება!

– მისი სამოსი სუფთა და ლამაზი იქნება!

– სამუშაოს ძებნა არ მოუწევს!

– სკოლებში მიიღებს განათლებას.

– სახლის პატრონი ბინის ქირას არ მოსთხოვს.

– ექიმი გახდება, როცა გაიზრდება.

– მე მინდა, ადვოკატი იყოს.

– მას ვკითხოთ, ადვოკატობა უნდა თუ ექიმობა.

ქალი ნაზად მიეკრა, ეშმაკური კილოთი კითხვა მიაყოლა:

– მეორედ ხომ არ დაქორწინდები?

კაცმა ყურზე ოდნავ უკბინა და უთხრა:

– რატომ უნდა დავქორწინდე? ამქვეყნად საუკეთესო ქალი ხარ!

ორივე დადუმდა. ისინი დიდმა, მშვიდმა სიხარულმა ალავსო. მაგრამ ცოტა ხანში აბუ ფაჰდმა მოულოდნელი მოძრაობით საბანი სხეულიდან გადაიძრო. უმმ ფაჰდი შეეკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

– რა გჭირს?

– ახლა წავალ.

– სად?

– ცხვარს მოვიყვან.

– ხვალ ღამემდე მოიცადე, ახლა დაიძინე.

კაცი სწრაფად ადგა საწოლიდან, ჭერიდან ჩამოკიდებული ელექტრონათურა აანთო, ტანსაცმლის ჩაცმას შეუდგა.

– იქნებ ვერ იპოვო...

– ვიპოვი.

უმმ ფაჰდმა, ქმარს წელზე ყვითელი ქამრის შემოჭერაში რომ ეხმარებოდა, თქვა:

– იცოდე, არ გაუშვა!

აბუ ფაჰდმა იგრძნო, რომ გაუაზრებლად რალაც სარისკო საქმეს შესდგომოდა და თავისი ხანჯალი დასჭირდებოდა. ხანჯალი ჰქონდა წვერმოკაუჭებული, მუქად მოელვარე.

სახლიდან გამოვიდა და აჩქარებით იარა, სანამ თალის ქვეშ არ მივიდა. იმედგაცრუებამ შეიპყრო, რადგან ცხვარი ვერ იპოვა. ქუჩა უკაცრიელი იყო. აქა-იქ გაბნეული სახლების ფანჯრებში შუქები ჩამქრალიყო.

მოლოდინში მყოფი აბუ ფაჰდი გაუნძრევლად იდგა, კედელს ზურგით მიყრდნობოდა. ცოტა ხანში მის სმენას მისწვდა ხმაური, რომელიც უახლოვდებოდა. მალევე შენიშნა ბარბაცით მომავალი მთვრალი კაცი, ვიწრო ქუჩის კედლებს აქეთ-იქით რომ ეხლებოდა და გაჭიანურებული ხმით იძახდა:

– ჰეი... მე კაცი ვარ!

როცა აბუ ფაჰდს მიუახლოვდა, შეჩერდა, თვალები გაკვირვებისგან დაჭყიტა და ენის ბორძიკით, გახარებული ხმით უთხრა:

– აქ რას აკეთებ?

– გაიარე!

მთვრალმა ჩაფიქრებით შუბლი მოისრისა, მერე სიხარულით სახეგაბადრულმა უთხრა:

– ღმერთმანი, მეც ქალების მოყვარული ვარ! ელოდები, რომ ქმარმა დაიძინოს და ქალმა კარი გაგიღოს, არა?

აბუ ფაჰდს მობეზრდა, იგრძნო, სულ უფრო და უფრო როგორ მოიცვა სიბრაზემ. ამასობაში მთვრალი თავის საუბარს აგრძელებდა:

– ქალი ლამაზია?

აბუ ფაჰდმა განრისხებით ჰკითხა:

– რომელი ქალი?

– ქალი, რომელსაც ელოდები.

– გაიარე!

– შენი კომპანიონი ვიქნები!

აბუ ფაჰდს სიბრაზე გაუძლიერდა. თან შიშს შეეპყრო, ვაითუ ცხვარი აღარ გამოჩნდეს ამ მთვრალის აქ ყოფნის გამოო და უხეშად უთხრა:

– წადი შენი გზით, თორემ თავს გაგიხეთქავ!

მთვრალმა ამოაბოყინა და გაოცების კილოთი უთხრა:

– შენ მე მიბრძანებ? შენ ვინა ხარ?

წამით დადუმდა, შემდეგ დააყოლა:

– მოდი და თავი გამიტეხე! მოდი, აბა!

აბუ ფაჰდმა უთხრა:

– წადი და თავი დამანებე! შენთვის თავის გატეხვა არ მინდა.

მთვრალმა გაჯაჯრებით უთხრა:

– არა, არა! მოდი და თავი გამიტეხე!

თან ცოტათი უკან დაიხია და გახარებული ხმით თქვა:

– საცრად გაქცევ!

მთვრალმა ხელი შარვლის ჯიბეში ჩაიცურა და იქიდან გრძელი, წამახული სამართებელი ამოიღო. აბუ ფაჰდმა ხელი სწრაფად წაიღო თავისი ქამრისკენ და ხანჯალი იძრო, ამ დროს მთვრალი სწრაფად და წინდახედულად უახლოვდებოდა.

აბუ ფაჰდმა ხანჯალი მაღლა ასწია და მოიქნია. მთვრალი მოულოდნელად, თვალის დახამხამებაში მარცხნივ გადაადგილდა და ხანჯალი არ შეხებია. სამართებელი აბუ ფაჰდს მკერდში ყვირილით აძგერა:

– მიიღე!

სამართებელი ხორციდან ამოაძრო, თან ცოტათი უკან დაიხია. აბუ ფაჰდი მიწიან კედელს აეკრა, ხანჯალი მეორედ ასწია, თუმცა მთვრალის სამართებელი მეორედ ჩაესო მკერდში. მესამედ მარჯვენა მხარში ჩაერჭო და მაშინვე მკლავი ჩამოეკიდა, ხანჯალი თითებიდან დაუცურდა და მიწაზე დაეცა.

მთვრალი კი ყვიროდა და მის გარშემო ხტოდა:

– მიიღე!.. მიიღე!

შემდეგ გვერდში აძგერა, აბუ ფაჰდმა დაიგმინა და მუხლებში სისუსტე იგრძნო. შეეცადა, ფეხზე მდგარი უძრავად გაჩერებულიყო, მაგრამ სამართებელი მის ხორცს სდევდა, უტევდა, იერიში მიჰქონდა; ფლეთდა, დაუნდობლად ჯიჯგნიდა.

მთვრალი ყვიროდა:

– მიიღე!..

მერე სამართებელი მუცელში შეურჭო და აბუ ფაჰდს ნაწლავები გარეთ გადმოსცვივდა. აბუ ფაჰდი ხელით დააწვა ნაწლავებს. ისინი ცხელი იყო, მთრთოლვარე და სველი. დაუცურდა და ძირს ჩამოუცვივდა. აბუ ფაჰდი ზურგზე გადავარდა. იქვე შორიახლოს მდგომი მთვრალი წაიხარა, რამდენჯერმე ჩაახველა, ამოაღებინა, შემდეგ შორს მოკურცხლა.

აბუ ფაჰდმა გაიგონა, ცხვარი ეუბნებოდა:

– შვიდი ქოთანი ოქრო.

და უამრავი ოქრო დაცვივდა. პატარა მზესავით აბრჭყვიალდა. შემდეგ მისი ხმა ნელ-ნელა დაშორდა...

***არაბულიდან თარგმნა დარეჯან გარდავაძემ***

# შინ ველარ დაბრუნდები

**რამდენიმე თავი რომანიდან**



*თომას ვულფი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ქართველი მკითხველი მალე მიიღებს მე-20 საუკუნის ჰომეროსად წოდებული ამერიკელი მწერლის, თომას ვულფის (1900-1938) რომანს „შინ ველარ დაბრუნდები“. ის მსოფლიოს ყველა კულტურული ერის ენაზეა თარგმნილი. გთავაზობთ აღნიშნული რომანის ბოლო თავებს, რომლებიც, როგორც მთელი ეს რომანი, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. იგი მწერალსა და მის რედაქტორს შორის მეგობრობისა და ლიტერატურული ურთიერთობის უნიკალურ ნიუანსებს აღწერს. მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში თომას ვულფის რომანის ეს დასკვნითი თავები ხშირად ისწავლება, როგორც მწერლური საქმის ერთგულების, სიტყვისადმი მწერლის პასუხისმგებლობისა და თავდადების, პირველ რიგში კი – როგორც მწერლური თვითშემეცნების ამსახველი ცენტრალური დოკუმენტი.*

## ორმოცდამეხუთე თავი

**ნორჩი იკაროსი**

„ბოლო დროს, ძვირფასო ფოქს (წერდა ჯორჯი), ბევრს ვფიქრობდი თქვენზე, თქვენს უცნაურ, მაგრამ ასე ნაცნობ სახეზე. ადრე არავინ მცნობია თქვენი მსგავსი და, რომ არ შეგხვედროდით, ვერასდროს წარმოვიდგენდით. ჩემთვის ეს მაინც გარდუვალობა იყო – თქვენთან შეხვედრა. ვერ წარმომიდგენია, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება თქვენ გარეშე. თქვენ ის ვარსკვლავი იყავით, გზას რომ მინათებდა; ჯადოსნური ძაფი იყავით იმ გიგანტურ აბლაბუდაში, რომელიც უკვე მოქსოვილია, უკვე მზად არის. ჩვენი თანაარსებობის წრე დასრულებულია. ყოველი ჩვენგანი თავისი გზით მიდის დასასრულთან. ჩვენი გზები გაიყო. ეს დასასრულიც – ისევე, როგორც დასაწყისი – გარდაუვალი იყო. ამიტომ გემშვიდობებით, როგორც მეგობარს და მამას, ჩემი ახალგაზრდობის მშობელს.

ცხრა წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენი მისაღების კარი შემოვაღე. თქვენ კი არ გამაგდეთ. არა, თქვენ გულითადად მიმიღეთ, გამამხნევეთ და სწორედ მაშინ, როცა საბოლოოდ ვეცემოდი სულით, სიცოცხლე და იმედი ჩამბერეთ, საკუთარი თავის პატივისცემა დამიბრუნეთ, საკუთარი თავის რწმენა აღმიდგინეთ. თქვენ მენდეთ და მაშინ მეც ისევ ვენდე საკუთარ თავს. ჩემდამი თქვენმა კეთილშობილმა და ურყევმა რწმენამ მატარა მთელი ეს წლები სიძნელეებით, გაურკვევლობით, უიმედობით, სასოწარკვეთით სავსე გზაზე, მომცა ძალა, მებრძოლა.

მაგრამ ახლა ის გზა, რომელზეც ერთად უნდა გვევლო, დამთავრდა. მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით, რომ ამ გზაზე ნაბიჯიც აღარ დაგვრჩა გადასადგმელი. იშვიათად თუ გაუვლია ვინმეს ასეთი სრული წრე, დიდებულად შეკრული. სანამ წავალ, მინდა ის აღვწერო.

შეიძლება იფიქროთ, ადრე ხომ არ არის ჩემთვის ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში საკუთარი ცხოვრების შეჯამება. ეს არ მქონია მიზნად. ოცდაჩვიდმეტი წელი არ არის ის ასაკი, როცა შეგიძლია თქვა, რომ ბევრი რამ ისწავლე ცხოვრებაში, მაგრამ არც ისე ცოტაა, რომ რაღაც არ გესწავლა. იმდენი მაინც გიცხოვრია, რომ შეგიძლია, უკან მიიხედო, განვლილ გზას თვალი გადაავლო და მომხდარი და გადატანილი ისე დაინახო – ისეთი თანაფარდობით, ისეთი მომავლის შუქზე – ადრე რომ არ შეგეძლო. ახლა უკან რომ ვიყურები, ვხედავ, რომ ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ვითარდებოდა და იცვლებოდა არა მხოლოდ სული, რომელიც განმსჭვალავდა ყველაფერს, რასაც ვაკეთებდი, არამედ იცვლებოდა ჩემი დამოკიდებულებაც ადამიანებისა და ცხოვრებისადმი, ჩემი შეხედულება სამყაროზე. მინდა ამის შესახებ გიამბოთ. ნახავთ, რომ ყველაფერს, რაც ჩემს თავს ხდებოდა, როგორც ბედისწერით გამზადებულ გზას, თქვენამდე მოვყავდი, ამ წუთამდე, ამ განშორებამდე. ასე რომ, მოთმინება მოიკრიბეთ, შემდეგ კი – მშვიდობით.

სულ თავიდან დავიწყებ (ახლა ყველაფერი ნათელი და გასაგებია – პირველი ნაბიჯიდან უკანასკნელ ნაბიჯამდე!).

ოცი წლის წინ, როცა ჩვიდმეტის ვიყავი და პაინ როკ კოლეჯის მეორე კურსზე ვსწავლობდი, მეც, როგორც

ბევრი ჩემი თანაკურსელი, გატაცებით ვმსჯელობდი ჩემეულ „ცხოვრების ფილოსოფიაზე“. ეს ჩვენი საუბრების საყვარელი თემა იყო და მთელი სერიოზულობით ვუდგებოდით მსჯელობის საგანს. ახლა არ მახსოვს, როგორი იყო მაშინ ჩემი „ფილოსოფია“, მაგრამ ნამდვილად მახსოვს, რომ საკუთარი ფილოსოფია, როგორც ყველას, მეც მქონდა. პაინ როკში ყველა ფილოსოფიით იყო გატაცებული. ისე ვთამაშობდით ტერმინებით: „კონცეფცია“, „კატეგორიული იმპერატივი“, „უარყოფის მომენტი“ – თვით სპინოზა გაწითლდებოდა.

გამოგიტყდებით, მეც კარგად ვიყავი განაფული ამაში. ჩვიდმეტი წლისა უკვე კოლეჯში ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი ვიყავი ფილოსოფიაში. „კონცეფციები“ არ ამძიმებდა ჩემს ახალგაზრდა გულს, „უარყოფის მომენტებით“ კი ისე ვიყავი გამოწრთობილი, რომ მათი ყველა ნიუანსი ვიცოდი. რადგან ტრაბახი დავიწყე, იმასაც გეტყვით, რომ ლოგიკაში ისეთი მაღალი შეფასება დავიმსახურე, როგორიც მრავალი წლის განმავლობაში არავის მიუღია. როგორც ხედავთ, როცა საქმე ფილოსოფიას ეხებოდა, ისე ვგრძნობდი თავს, როგორც თევზი წყალში.

ახლანდელ სტუდენტებზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩვენ, ვინც ოცი წლის წინ ესწავლობდით კოლეჯში, ფილოსოფიას სერიოზულად ვეკიდებოდით, გამუდმებით ესაუბრობდით ღმერთზე. დაუსრულებლად ვკამათობდით, ვცდილობდით, ჩავწვდომოდით „ჭეშმარიტების“, „სიკეთისა“ და „მშვენიერების“ არსს, რაზეც ყოველ ჩვენგანს საკუთარი შეხედულება ჰქონდა. ახლა არავითარი სურვილი არ მაქვს ამ შეხედულებებზე ქილიკისა. ახალგაზრდები ვიყავით, გულანთებულები და გულწრფელები.

ჩემი სტუდენტობის წლებიდან ყველაზე მეტად ის დამამახსოვრდა, როგორ შევეჩეხე ერთხელ, შუადღისას, კოლეჯის ეზოში ჩემს თანაკურსელს, დ.-ტ. ჯოუნსს, რომელსაც ზოგჯერ მეტსახელად დელირიუმ ტრემენსს ვეძახდით. ჯოუნსიც ფილოსოფოსი იყო. ჩემკენ მოაბიჯებდა და, როგორც კი შევხედე, მივხვდი, მის თავს რაღაც მომხდარიყო. ჯოუნსი ბაპტისტების უბრალო ოჯახიდან იყო, ნითური, გამხდარი, აწოწილი. მაშინ კი, კოლეჯის ეზოში, შუადღის მზის სხივებში თითქოს ერთიანად – თმებით, ნარზებით, ქუთუთოებით, თვალებით, ჭორფლით, მსხვილძვლიანი, დაძარღვული ხელებითაც კი – ნითლად გიზგიზებდა, მწველად, გაუსაძლისად.

ჯოუნსი იმ დიდებული ტყიდან მოდიოდა, სადაც ერთმანეთს ჩვენს დაფარულ ფიქრებს ვანდობდით და კვირაობით ვსეირნობდით. ეს ერთგვარი წმინდა ადგილი იყო, სადაც მაშინ განვმარტოვდებოდით, როცა მორიგ ფილოსოფიურ პრობლემას ვეჭიდებოდით. განმარტოებას „განდეგილობით გამოცდას“ ვუწოდებდით და, როცა გამოცდა გავლილი იყო, ტყიდან გამარჯვებულები, მოზეიმე სახეებით ვბრუნდებოდით.

დ.-ტ. იმ დილით სწორედ იქიდან ბრუნდებოდა. როგორც შემდეგ მითხრა, მთელი ღამე ტყეში გაატარა. გამოცდას გაუძლო და ახლა კენგურუსავით დიდი ნაბიჯებით მოხტოდა ჩემკენ. ჩამირბინა და ორი სიტყვა მომაძახა:

– კონცეფცია მაქვს!

სახტად დარჩენილი, მრავალწლოვან ხეს მივეყრდენი. მან კი გზა განაგრძო. ყოველ ორ ნაბიჯზე შეხტებოდა და ჰაერში იქნევდა ფეხებს. გარბოდა, რომ მთელი ჩვენი ქალ-მოსთვის თავისი გრანდიოზული აღმოჩენის შესახებ ემცნო.

და მაინც, ახლაც არ მეცინება ამაზე. მაშინ სერიოზულად ვიყავით გატაცებული ფილოსოფიით. ყოველ ჩვენგანს ჰქონდა საკუთარი ფილოსოფია. ყველას ერთად კი საკუთარი ფილოსოფოსი გვყავდა – დარბაისელი და კეთილშობილი ადამიანი, გამორჩეული პიროვნება. ადრე თითქმის ყველა კოლეჯს ჰყავდა ასეთი საამაყო პედაგოგი. იმედი მაქვს, რომ დღესაც ასეა... ჩვენი ფილოსოფოსი, ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყველაზე გავლენიანი და პატივსაცემი კაცი მთელ შტატში, ჰეგელიანელი იყო. ფილოსოფიის კურსი, რომელსაც ის გვიკითხავდა, უცნაურ ლოგიკას ექვემდებარებოდა, ძველი ბერძნებიდან იწყებოდა და „განვითარების ყველა სტადიის“ გავლით ჰეგელთან მივყავდით. მაგრამ რა იყო ჰეგელის შემდეგ? – ამ კითხვაზე პასუხი არასოდეს მიგვიღია. არც გვიძებნია. ჰეგელის შემდეგ ხომ ის გვყავდა – ჩვენი მასწავლებელი.

ახლა ჩვენი ფილოსოფოსის „ფილოსოფია“ აღარ მეჩვენება ისე მნიშვნელოვნად, როგორც მაშინ. საუკეთესო შემთხვევაში, მისი „ფილოსოფია“ სხვათა სახენაცვალი იდეებისგან შემდგარი კონსტრუქცია იყო, აქა-იქ უხეშად ნაკემსი. მნიშვნელოვანი ის თავად იყო – შესანიშნავი მასწავლებელი. მისი დამსახურება კი – არა მისი საკუთარი ფილოსოფიაა, რომელსაც ჩვენ გვასწავლიდა, ჩვენამდე კი ორმოცდაათი წლის განმავლობაში – სხვებს. ის თავისი ორიგინალური, მარად აქტიური, ძლიერი გონების ნაწილს გვიწილადებდა; მთაგვბერავდა სასიცოცხლო ენერგიას. ბევრ ჩვენგანს მისი წყალობით ცხოვრებაში პირველად აღეძრა კითხვები. გვასწავლიდა, არ შეგვშინებოდა, თავისუფლად გვეაზროვნა, დაგვესვა კითხვები, კრიტიკულად შეგვეხედა ჩვენს მხარეში ყველაზე წმინდა და ხელშეუხებელი შეხედულებებისა და ცრურწმენებისთვის. ბუნებრივია, რომ ჩვენს შტატში ბევრი მტერი გაიჩინა კანონმორჩილ მოქალაქეთა შორის, მაგრამ სტუდენტებს მთელი გულით უყვარდათ, პირდაპირ ეთაყვანებოდნენ.

დაახლოებით ეს დრო იყო, წერა რომ დავიწყე. ლიტერატურული გაზეთის რედაქტორი ვიყავი და ჩვენი ლიტერატურული ჟურნალისთვის – ჟურნალს „მარავანდელი“ ერქვა – მოთხრობებსა და ლექსებს ვწერდი. რედკოლეგიის წევრიც ვიყავი. ომი უკვე დაწყებული იყო. მეომრად არ გამოვდგებოდი, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. მაგრამ ჩემი პირველი სტრიქონები, პირველი ლიტერატურული სინჯი იმ დროის პატრიოტული იდეებით იყო განმსჭვალული. ჩემი ერთი ლექსი მახსოვს (მგონი პირველი ლექსი იყო), რომელშიც პიდაპირ ბოროტსვიანი კავშირი ვილჰელმი მყავდა მიზანში ამოღებული. სათაურიც გამომწვევი ჰქონდა – „ხელთათმანი“ – და ისეთივე რითმითა და სტილით იყო დაწერილი, როგორითაც ჯეიმს რასელ ლოუელის „თანამედროვე კრიზისი“. ისიც მახსოვს, რომ პირველივე სიტყვებიდან მაღალი ტონალობა ავიღე. ვწერდი, რომ პოეტი მგოსანი და წინასწარმეტყველია, ის თვითონ არის

ხალხის გულიდან ამოდგმული ენა. მეც მგოსანი ვიყავი. გამოლვიძებული დემოკრატიის სახელით კაიზერი დაუნდობლად ვამხილე. განსაკუთრებით ორი სტრიქონი დამამახსოვრდა, რომელშიც, როგორც მაშინ ვფიქრობდი, თვით შეურაცხყოფილი თავისუფლების ხმა ისმოდა:

შენ ჩვენ ბრძოლაში გამოგვიწვიე,
ჰოდა, პასუხიც, ძაღლო, იწვნიე!

ეს სტრიქონები იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მათ შესახებ ჟურნალის რედკოლეგიაში დიდხანს მსჯელობდნენ. რედკოლეგიის უფრო კონსერვატულად განწყობილი წევრები მიიჩნევდნენ, რომ სიტყვა „ძაღლო" უხეშად ჟღერდა. ვერავინ იტყოდა, რომ კაიზერი ამას არ იმსახურებდა. უბრალოდ, თავად სიტყვა იყო უხეში და არ შეეფერებოდა არც ლექსის საერთო, მაღალფარდოვან ტონალობას, არც ჟურნალ „შარავანდედის" ლიტერატურულ დონეს. ჩემი ცხარე პროტესტის მიუხედავად და პოეტური რითმის საზიანოდ, სიტყვა ამოშალეს.

იმ წელიწადს კიდევ ერთი ლექსი დავწერე – მხიარული სტრიქონები გლეხზე, რომელიც ფლანდრიაში მიწას ხნავდა და გუთანი თავის ქალას გამოსდო. გლეხმა მშვიდად განაგრძო მუშაობა. სადღაც უზარმაზარი ზარბაზნები გრგვინავდნენ, თავის ქალა კი „თავის საზარელ საიდუმლოს ულიმოდა". მახსოვს ჩემი პირველი მოთხრობაც სათაურით „ვირჯინიული ვინჩესტერი". მოთხრობის გმირი, ახალგაზრდა კაცი კარგი ოჯახიდან, სულმოკლედ მოიქცევა. შემდეგ გამბედაობას მოიკრებს, მტერზე შეტევისას წინ გაიჭრება და ბრძოლაში დაიღუპება კიდეც. მაგრამ დაკარგულ ღირსებას აღიდგენს. რამდენადაც მახსოვს, სულ ეს იყო – ჩემი პირველი ლიტერატურული გამოცდილება. როგორც ხედავთ, ჩავლილმა ომმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე.

ამას იმიტომ გიამბობთ, რომ გაჩვენოთ, საიდან დავიწყე. ასეთი იყო ჩემი პირველი ნაბიჯები.

ის, რაც შემდგომ ჩემს ცხოვრებაში მოხდა, ხშირად ცდილობენ, ახსნან ერთი ამბით, რომელიც მაშინ შემემთხვა, როცა კოლეჯში ვსწავლობდი. ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდი თქვენთან, ფოქს, არასდროს მიხსენებია. არა იმიტომ, რომ მრცხვენოდა ამ ამბავში ჩემი მონაწილეობისა ან მეშინოდა ამაზე ლაპარაკის. უბრალოდ, შესაფერისი შემთხვევა არ მომეცა. დამავიწყდა კიდეც. მაგრამ ახლა, როცა ერთმანეთს ვშორდებით, უმჯობესია, გიამბოთ, რადგან ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, იცოდეთ, რომ არ ვარ მსხვერპლი ან წამებული, რომელიც გააბოროტა იმან, რაც წარსულში გადახდა. რა თქმა უნდა, იყო დრო, როცა ნაღველით მქონდა სავსე გული. თქვენ ეს იცით. იყო დრო, როცა ვფიქრობდი, რომ ცხოვრებამ მიმუხთლა. მაგრამ შემდეგ ნაკლებად მგრძნობიარე გავხდი და ეს მწარე განცდაც გაქრა. სწორედ ასე მოხდა.

იმ ისტორიას დავუბრუნდები.

როგორც იცით, ფოქს, როცა ჩემი პირველი წიგნი გამოიცა, ჩემს მშობლიურ ქალაქში ძალიან გამინაწყენდნენ და აღიმხედრდნენ. მაშინ შეეცადნენ, „გაბოროტება", რომელიც ჩემს წიგნში ამოიკითხეს, იმით აეხსნათ, რომ კოლეჯში სწავლის დროს სამოქალაქო უფლებები მქონდა ჩამორთმეული. ახლა პაინ როკიში მომხდარი ისტორია ძველი კატაუბას მხარეში ყველამ იცის. მაშინ კი, როცა ჩემი წიგნი გამოიცა, ამ ისტორიის მონაწილეთა სახელები თითქმის მივიწყებული იყო. რადგან მეც მათ რიცხვში ვიყავი, ის საშინელი ტრაგედია ისევ გაიხსენეს და მითქმა-მოთქმაც განახლდა.

გაიხსენეს (უფალმა შეიწყალოს ყველა, ვინც მაშინ დაგვინდო), რომ ერთხელ, ღამით, ჩვენ, კოლეჯის ხუთმა სტუდენტმა, ჩვენი თანაკურსელი ბელი სპორტულ მოედანზე წავიყვანეთ, თვალები ავუხვიეთ და ვაიძულებდით, თვალახვეულს კასრის სახურავზე ეცეკვა. გაიხსენეს, რომ ბელმა ცეკვისას ფეხი წამოჰკრა, კასრიდან ჩამოვარდა და პირდაპირ გატეხილი ბოთლის პირს დაეცა, საულლე ვენა გადაეჭრა და ხუთ წუთში სისხლისგან დაიცალა. ჩვენ – რენდი შეპერტონი, ჯიმ ბრეკეტი, სტოუელ ანდერსონი და დიკ კარი – კოლეჯიდან გაგვრიცხეს, გაგვასამართლეს, მეურვეებად მშობლები ან ახლო ნათესავები დაგვინიშნეს და, საგანგებო დადგენილებით, სამოქალაქო უფლებები ჩამოგვართვეს.

ყველაფერი სიმართლე იყო, ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. მაგრამ, როცა ჩემი წიგნი გამოქვეყნდა, ეს ამბავი სულ სხვანაირად შემომიბრუნეს. არც ერთი ამ ისტორიის მონაწილეთაგან არ ქცეულა „დამთავრებულ ადამიანად", არ „გაბოროტებულა", არ „დაღუპულა". ეს ყველამ ჩვენი შემდგომი ცხოვრებით დავადასტურეთ. რა თქმა უნდა, ჩვენი საქციელის ტრაგიკულმა შედეგმა (სასამართლოს მიერ უფლებააყრილი ხუთი მონაწილიდან სამნი – არ ვიტყვი, ვინ – მხოლოდ მაყურებლები ვიყავით) საზარელი, მძიმე დაღი დაასვა ჩვენს ახალგაზრდობას. მაინც მართალი იყო ის, რაც რენდიმ მითხრა იმ საშინელ ღამეს, როცა გაფითრებულები, უმწეონი, ვიდექით და მთვარის შუქზე ვუყურებდით, როგორ იცლებოდა სისხლისგან საბრალო ბიჭი. რენდიმ წამჩურჩულა:



– ჩვენი ბრალი არ არის. უბრალოდ, უტვინო ყეყეჩები ვართ.

ყველას ეს განცდა გვქონდა, როცა იმ ღამეს მომაკვდავი მეგობრის გარშემო მუხლებზე ვიდექით. ვიცი, რომ ბელიც იმავეს გრძნობდა, როცა ჩვენს გაფითრებულ სახეებზე აღბეჭდილ შიშსა და სინანულს ხედავდა, და მომაკვდავს უნდოდა, გაეღიმა, რაღაც ეთქვა ჩვენთვის. ერთი სიტყვაც ვერ ამოთქვა, მაგრამ ყველამ ვიცოდით: ლაპარაკი რომ შეძლებოდა, იტყოდა, რომ ვცოდებით და ესმის, ბოროტი განზრახვა არ გვქონია და სისულელით მოგვივიდა.

ჩვენ ის მოვკალით, ჩვენი დაუფიქრებლობით და სისულელით მოვკალით. მომაკვდავიც ამას თუ გვისაყვედურებდა. გული მოვუკალით ჩვენს პლატონს – ჩვენს მოხუც მასწავლებელ გრანტს, ჩვენს ფილოსოფოსს... მაგრამ იმ ღამეს, როცა საწყალ ბელს დახედა და ჩვენ მოგვიბრუნდა, მხოლოდ ისღა გვითხრა:

– ღმერთო, ეს რა ჩაიდინეთ, ბიჭებო?

სულ ეს იყო. ბელის მამასაც არ უთქვამს ჩვენთვის ამაზე მეტი. და, როცა პირველი ქარიშხალი ჩადგა, მიწყდა შრისხანებისა და განკითხვის ხმა, რომელმაც ტალღასავით გადაუარა მთელ შტატს, დაგვრჩა მხოლოდ შეგნება იმისა, რომ გამოუსწორებელი რამ ჩავიდინეთ; დაგვრჩა საბედისწერო, მოუშორებელი კითხვა – „რატომ?“, რომელიც დაუნდობლად გვიკაკუნებდა სულის კარზე. ყველაზე სასტიკი სასჯელიც ეს იყო.

ძალიან მალე ყველამ იგრძნო და დაინახა ეს. ის მძვინვარე აღშფოთება, რომლის გამოც სამოქალაქო უფლებები ჩამოგვართვეს, ჩქარა მინავლდა. სამი წლის შემდეგ უხმაუროდ აღგვიდგინეს ჩამორთმეული უფლებები (მაშინ მხოლოდ თვრამეტი წლისა ვიყავი და ამიტომ იმის თქმაც არ შეიძლებოდა, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება წამართვეს). ჩვენი გარიცხვიდან ერთი წლის შემდეგ ყველას მოგვცეს კოლეჯში დაბრუნებისა და სრული სასწავლო კურსის დამთავრების უფლება. ყველას გული მოულბა, მეტიც, ახალი ვერდიქტი ასეთი იყო: „განზრახ არ ჩაუდენიათ. სისულელით მოუვიდათ“. მოგვიანებით, როცა ჩვენთვის სამოქალაქო უფლებების დაბრუნება გადაწყვიტეს, საზოგადოებრივი აზრი ჩვენ მიმართ კიდევ უფრო მოწყალე გახდა. თითქმის გვაპატიეს. „საკმარისად დაისაჯნენ,“ – ლაპარაკობდნენ ჩვენზე, – „ბავშვები იყვნენ და ძალიან სულელები. სისულელით მოუვიდათ“. გარდა ამისა (ეს არგუმენტიც ჩვენს სასარგებლოდ მეტყველებდა), ამ შემთხვევამ, საწყალ ბიჭს სიკვდილის ფასად რომ დაუჯდა, კოლეჯებში ახალბედებზე ძალადობა მთელ შტატში აღაგმა.

რაც შეეხება ჩვენს მომავალს... რენდი შეპერტონი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ჯონ ბრეკეტი, სტიუელ ანდერსონი და დიკ კარი საკმაოდ წარმატებული ადამიანები არიან. როცა სტიუელ ანდერსონს უკანასკნელად შევხვდი – ადვოკატი და პოლიტიკური ლიდერია თავის ოლქში – ჩუმად ჩამილაპარაკა, რომ იმ შემთხვევას არ დაუზარალებია მისი კარიერა.

– თუ ადამიანები ხედავენ, რომ ისე ცხოვრობ, როგორც საჭიროა, – მითხრა მან, – იოლად გპატიებენ წარსულში დაშვებულ შეცდომას. მზად არიან, არა მხოლოდ გაპატიონ, დამარცხების ხელსაც სიხარულით გიწვდიან.

„თუ ხედავენ, რომ ისე ცხოვრობ, როგორც საჭიროა“. არ მოვყვები იმის განმარტებას, რას ნიშნავს ეს სიტყვები. იმ ისტორიის შემდეგ არავის შეუტანია ეჭვი იმაში, რომ სამი ჩვენგანი – ბრეკეტი, ანდერსონი და კარი – სწორედ ისე ცხოვრობდა, როგორც საჭიროა. ვფიქრობ, მომხდარმა ამ სამს გაუმძაფრა კიდეც სურვილი, ეცხოვრათ ისე, როგორც საჭიროა. იმასაც ვფიქრობ, რომ „არასწორი“ ცხოვრების გამო ჩემი წიგნის გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო სასტიკად და დაუნდობლად გამკიცხავდნენ, რომ არა ჩემი მეგობრობა ისეთ წესიერ ადამიანებთან, როგორებიც ბრეკეტი, ანდერსონი და კარი იყვნენ.

ჩემი ცხოვრების ამ თქვენთვის უცნობი ისტორიის მოყოლით თავი იმიტომ შეგაწყინეთ, რომ შეიძლებოდა ოდესმე სხვებისგან გაგეგოთ და არასწორად აგეხსნათ ჩემი საქციელი. ლიბია ჰილში ისეთებიც არიან, ვინც ფიქრობს, რომ ამ ისტორიით სავსებით აიხსნება, რატომ დავწერე ასეთი წიგნი. შეიძლებოდა თქვენც გეფიქრათ, რომ მომხდარმა გამტეხა და სასტიკ ადამიანად მაქცია; და შეიძლებოდა, ამ ამბავთან დაგეკავშირებინათ ისიც, რაც ახლა ხდება. თქვენი გულისა და გონების ცხრა მეათედს კარგად ესმის, რატომ უნდა დაგემშვიდობოთ, მაგრამ ერთი მეათედი ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია. ვიცი, რომ შეეცდებოდით, მიზეზი გაგერკვიათ. დროდადრო ცდილობდით, გეკამათათ ჩემთან იმაზე, რასაც ნახევრად ხუმრობით ჩემს „რადიკალიზმს“ უწოდებდით. დარწმუნებული ვარ, „რადიკალიზმი“ არ არის ჩემს ბუნებაში. შეიძლება მასში არის რაღაც სხვა, რაღაც ისეთი, რასაც თქვენ რადიკალიზმს უწოდებთ.

ასე რომ, მერწმუნეთ, პაინ როკი არაფერ შუაშია, არაფერს ხსნის. ალბათ, ბუნებრივი იქნებოდა გეფიქრათ, რომ მეც, როგორც იმ ამბის სხვა მონაწილეები, მომხდარმა ცხოვრების დაწესებული ნორმების უფრო თავგამოდებულ მიმდევრად მაქცია, ვიდრე სხვა შემთხვევაში ვიქნებოდი.

თქვენ ერთი მეგობარი გყავთ, ჰანტ კორნოი, რომელიც თავად გამაცანით. ჩემზე მხოლოდ რამდენიმე წლით არის უფროსი, მაგრამ შეპყრობილია „დაკარგული თაობის“ იდეით – თაობისა, რომლის წარმომადგენელიც თავად არის და რომელსაც მეც სიამოვნებით მიმაკუთვნებდა. არაერთხელ გვიკამათია ამაზე.

– შენც ამ თაობას ეკუთვნი, – მოლუშული მეუბნებოდა ის, – თქვენ ერთ დროს გაჩნდით. ამას ვერსად წაუხვალ. ეს შენს სურვილზე არ არის დამოკიდებული.

ამაზე ყოველთვის უხეშად ვპასუხობდი:

– ნუ მტენი იქ, სადაც არაფერი მესაქმება.

თუ ჰანტს უნდოდა, „დაკარგული თაობის“ წარმომადგენელი ყოფილიყო, ეს მისი საქმეა. მაკვირვებს, როგორ უყვართ ადამიანებს გულგატეხილთა და სასოწარკვეთილთა როლის თამაში. მე მათ რიცხვს ვერავინ მიმაკუთვნებს. და თუ ასეთი პატივი დამდეს და მათ რიგებში მიმიღეს, ეს ჩემი სურვილის გარეშე და ჩემს დაუკითხავად ხდება. უარს ვამბობ ამ პატივზე. არ მაქვს და არც არასდროს მქონია განცდა, რომ დაკარგულ თაობას ვეკუთვნი. მართალი

გითხრათ, ეჭვი მეპარება რაღაც „დაკარგული თაობის“ არსებობაში. ალბათ, დაკარგულია ყველა თაობა, რომელიც ხელის ცეცებით იკვლევს გზას სიბნელეში. არცთუ დიდი ხნის წინ ისიც კი ვიფიქრე, რომ, თუ ამ ქვეყანაში არსებობს დაკარგული თაობა, ის იმ – უკვე ასაკში შესული – ადამიანებისგან უნდა შედგებოდეს, რომელთაც არ ესმით სხვა ენა, გარდა ენისა, რომელზეც 1929 წლამდე ლაპარაკობდნენ. რა თქმა უნდა, ეს ადამიანები დაკარგულები არიან, მაგრამ მე მათ რიცხვს არ ვეკუთვნი.

მიუხედავად იმისა, რომ არასდროს მიმიკუთვნებია თავი რომელიღაც დაკარგული თაობისთვის, ვერ უარვყოფ – პიროვნულად მე, ჯორჯ უებერი, დაკარგულად ვგრძნობდი თავს. შეიძლება ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო იმისა, ფოქს, რომ ამდენი ხანი და ასე საშინლად მჭირდებოდით. დაკარგული ვიყავი და ვეძებდი ვიღაცას, ვინც ჩემზე უფროსი, ჩემზე ბრძენი იქნებოდა და გზაზე გამიყვანდა. გიპოვნეთ კიდეც. თქვენ გამიწიეთ გარდაცვლილი მამის მაგივრობა. ცხრა წელია, გიცნობთ. იმ ცხრა წლიწადში, რომელიც ერთად გავატარეთ, გზაც გამოჩნდა. თქვენ მე გზაზე გამიყვანეთ, თუმცა, ალბათ, თავადაც ვერც მიხვდით, როგორ გააკეთეთ ეს. ახლა ეს გზა სრულიად საპირისპირო მიმართულებით მიდის და არა იქით, საითაც თქვენ ისურვებდით. მაგრამ ახლა დაკარგულად აღარ ვგრძნობ თავს და აგიხსნით, რატომ.

როცა პაინ როკში დავბრუნდი, სწავლების სრული კურსი გავიარე და კოლეჯი დავამთავრე. მხოლოდ ოცი წლისა ვიყავი, მაგრამ, ალბათ, ძნელად თუ მოიძებნებოდა ვინმე, უფრო გონებაარეული და სულამღვრეული. კოლეჯში იმიტომ გამამწესეს, რომ, როგორც მაშინ ამბობდნენ, „ცხოვრებისთვის მოვემზადებულიყავი“. თუმცა, როგორც ჩანს, კოლეჯში სწავლამ სწორედ ის გამოიღო შედეგად, რომ ცხოვრებისთვის სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდი. ამერიკის ყველაზე კონსერვატულ მხარეში დავიბადე. ჩემი ოჯახი კი ამ მხარეშიც გამოირჩეოდა თავისი კონსერვატულობით. ჩემი წინაპრები, უშუალოდ ჩემს წინა თაობას თუ არ ჩავთვლით, სოფლის მკვიდრნი იყვნენ და, ასე თუ ისე, მიწით ირჩენდნენ თავს.

მამაჩემი, ჯონ უებერი, მუშა იყო, მთელი ცხოვრება მუშაობდა. ოცი წლის ასაკიდან ხელები დაკოჟრილი ჰქონდა მძიმე შრომისგან. ხშირად მითქვამს თქვენთვის, რომ იშვიათი ნიჭისა და უნარის ადამიანი იყო. მაგრამ ბევრი მათგანის მსგავსად, ვინც თავად ვერ მიიღო განათლება, მთელი თავისი პატივმოყვარეობა შვილზე გადაიტანა. ყველაზე მეტად ცხოვრებაში ის უნდოდა, მე მიმეღო განათლება. სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა კოლეჯში უნდა შევსულიყავი, მაგრამ ჩემი სწავლის ფული დატოვა. ბუნებრივია, მამაჩემისნაირებს ეგონათ, რომ ადამიანს პრაქტიკული ცხოვრებისთვის იმ ოფიციალურ სასწავლო დაწესებულებებში ამზადებენ, სადაც აკადემიურ ხარისხს იძლევიან. სინამდვილეში ასე არ არის და არც უნდა იყოს. კოლეჯი ჯადოსნური კარი ეგონა. ფიქრობდა, რომ იმ კარში შესულს არა მხოლოდ ცოდნის საგანძური გადაეშლებოდა. ვინც იმ კარს გაივლიდა, შეეძლო, წარმატებისა და კეთილდღეობისკენ მიმავალ ნებისმიერ გზას დასდგომოდა, რომელზეც მოისურვებდა სიარულს. ისიც, ბუნებრივია, ისეთ კაცს, როგორიც მამაჩემი იყო, მიაჩნდა, რომ წარმატება ნაცადი, ყველასთვის მოსაწონი და მისაღები გზით მიიღწევა.

ეს გზა ჩემთვის თვითონ აარჩია – ინჟინერიის ერთ-ერთი დარგი. სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ჯოინერებს, რომლებიც იურისპრუდენციას ანიჭებდნენ უპირატესობას. კანონები დიდად არასდროს დასჭირვებია და არც იურისტებს სცემდა პატივს, „თაღლითთა ბანდას“ უწოდებდა. როცა კვდებოდა და მასთან დასამშვიდობებლად მივედი, ბოლო რჩევა მომცა:

– რამის კეთება ისწავლე, რამის აგება. კოლეჯი ამისთვის არის.

ყველაზე მწარედ იმას ნანობდა, რომ ახალგაზრდობაში სიღარიბის გამო სხვა ხელობა ვერ ისწავლა და მთელი ცხოვრება ხუროდ და კალატოზად მუშაობდა. კარგი ხურო იყო, კარგი კალატოზი. სიცოცხლის ბოლო დღეებში საკუთარ თავს მშენებელს უწოდებდა და ეს სიამოვნებდა. მშენებელი, მართლაც, იყო, მაგრამ, ალბათ, ყრუ, გამოუთქმელი ტკივილივით აწვალებდა პროექტირებისა და კონსტრუირების უნარი, რომელიც ვერასდროს გამოიყენა. რომ სცოდნოდა, რა უცნაური ფორმით გადმომეცემოდა მისგან „კეთებისა“ და „აგების“ ჟინი, სრულიად იმედგაცრუებული დარჩებოდა. არ ვიცი, რა უფრო საძულველი იქნებოდა მისთვის – იურისპრუდენცია თუ ლიტერატურა.

იმ დროისთვის, როცა კოლეჯი დავამთავრე, უკვე ცხადი იყო, რომ, თუ რამე ნიჭი მქონდა, არც იურისპრუდენციაში გამომადგებოდა და არც ინჟინერიაში. ინჟინრისთვის ტექნიკური მიდრეკილება და უნარი არ მყოფნიდა, იურისტისთვის კი, როგორც შემდეგ წლებში აღმოვაჩინე, ზედმეტად წესიერი ვიყავი. რა უნდა მექნა? კოლეჯში ჩემი აკადემიური მოსწრება, თუ არ ჩავთვლით უმაღლეს ქულას ლოგიკაში, ნამდვილად არ იყო ბრწყინვალე, რასაც ემატებოდა ჩემი სამარცხვინო მონაწილეობა პაინ როკში მომხდარ ისტორიაში და დროებითი გარიცხვა. ვერც მამაჩემის პატივმოყვარე იმედები გავამართლე და ვერც ჯოინერებისა. მამაჩემი, დიდი ხანია, ცოცხალი აღარ არის. ჯოინერებმა კი ხელი ჩაიქნიეს ჩემზე.

აი, რატომ მიჭირდა იმის აღიარება საკუთარი თავის წინაშეც კი, რომ უცნაური და არაპრაქტიკული საქმე – მწერლობა – მიზიდავდა. ეს მხოლოდ დაადასტურებდა ყველაზე მძიმე ეჭვებს, ჩემს ოჯახს რომ აღეუძრავდი. ეს ეჭვები ჩემს თვითშეფასებაზეც ახდენდა გავლენას. ამიტომ თავიდან პირდაპირ ვერ გამოვუტყდი საკუთარ თავს. ვთქვი, რომ მინდა ჟურნალისტიკაში ვცადო ბედი. ახლა, როცა უკან ვიყურები, კარგად ვხედები, რამ მიმაღებინა ასეთი გადაწყვეტილება. ეჭვი მეპარება, რომ მაშინ, ოცი წლისას, გაზეთში მუშაობა დიდად მდომებოდა. მაინც შევძელი ამაში ჩემი თავის დარწმუნება, რადგან ვერ ვხედავდი სხვა საშუალებას, რომ წერით თავი მერჩინა. ასე სხვებსაც და საკუთარ თავსაც დავუმტკიცებდი, რომ რაღაცის მაქნისი ვარ და დროს უსარგებლოდ არ ვფლანგავ.

ოჯახისთვის იმის გამოცხადება, რომ მინდა მწერალი გავხდე, სისულელე იქნებოდა. თანამედროვე ენით თუ ვიტყვი, მწერლობა „სასიამოვნო საქმე იყო, თუ ასეთი სამუშაო გამოგიჩნდებოდა". ჯონიერების გონებაში, ჩემს საკუთარ ცნობიერებაშიც, მწერალი უცხო სამყაროდან მოსული, რომანტიკული პერსონა იყო, ჯორჯ ბაირონის ან ლონგფელოს მსგავსი, ან... ირვინ შ. კობისა. რაღაც ზეადამიანურმა ძალამ შთაბერა მას ნიჭი სიტყვებისგან ლექსების, მოთხრობებისა და რომანების წერისა, რომლებიც შემდეგ წიგნებში ან ისეთ ჟურნალებში იბეჭდება, როგორიც „სეტერდი ივნინგ პოსტია". ესე იგი ყველაფერი ცხადია: მწერალი ამოუცნობი, საიდუმლოებით მოცული არსებაა. ის უჩვეულო, იდუმალი და ბრწყინვალე ცხოვრებით ცხოვრობს, იდუმალი, უჩვეულო და ბრწყინვალე სამყაროს შვილია, რომელიც ასე შორს არის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისგან და იმ გარემოსგან, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მაშინ ლიბია ჰილში გაზრდილ ბიჭს ღიად რომ ეთქვა, მწერალი მინდა გავხდეო, ყველა შეშლილად მიიჩნევდა და მაშინვე გაიხსენებდნენ რენს ჯოთნერს, რომელმაც თავისი ახალგაზრდობა ფუჭად გადააყოლა ვიოლინოზე დაკვრის შესწავლას, შემდეგ კი ორმოცდაათი დოლარი ესესხა ბიძია მარკს იმისთვის, რომ ფრენოლოგიის კურსი გაევლო. ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ ძალიან ვგავარ ბიძია რენსს. ჩემი დაფარული სურვილი რომ გამემჟღავნებინა, ყველა ერთხმად გადაწყვეტდა, რომ ეს მსგავსება უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე ჩანდა.

მტკივნეული სიტუაცია შეიქმნა, მაგრამ ახლა ამის გახსენება მართობს — ისეთი ადამიანური და ისეთი ამერიკული იყო ეს ამბავი. ვფიქრობ, ჯონიერები დღესაც ვერ მოსულან გონს, ვერ გამორკვეულან გაოცებისგან იმის გამო, რომ, მართლაც, გავხდი მწერალი. ის შეხედულებები, რომლებსაც მათთან ერთად მეც ვიზიარებდი, როცა ოცი წლის ვიყავი, კიდევ არაერთი წელი წარმართავდა ჩემს ცხოვრებას.

კოლეჯი ახალდამთავრებული მქონდა, როცა მამაჩემის დანატოვარი მოკრძალებული მემკვიდრეობა მივიღე და, იმით გახარებული, რომ ჩემი საიდუმლო ჩემოდანში ჩემს ერთადერთ სათადარიგო შარვალთან ერთად ჩავმალე, სახელისა და დიდების მოსახვეჭად გზას დავადექი. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვი, ნიუ იორკში გავემგზავრე გაზეთში სამუშაოს მოსაძებნად.

სამუშაოს ძებნით დიდად არ შემიწუხებია თავი და ამიტომ შესაფერისი ვერაფერი ვიპოვე. სანამ ფული კიდევ მრჩებოდა, წერა დავიწყე. შემდეგ, როცა ფული გამომელია, ვიკადრე და დავთანხმდი მასწავლებლის ადგილს ნიუ იორკის ერთ-ერთ გიგანტურ „განათლების ფაბრიკაში". ჩემი მხრიდან ეს კიდევ ერთი დათმობა იყო, მაგრამ ეს საშუალებას მაძლევდა, მეცხოვრა და მემუშავა.

ნიუ იორკში ცხოვრების პირველ წელს ბინას ჩემსავით სამხრეთიდან ჩამოსულ რამდენიმე ბიჭთან ერთად ვქირაობდი, რომლებსაც კოლეჯიდან ვიცნობდი. ერთ-ერთი მათგანის საშუალებით არისტოკრატული წრის იმ ახალგაზრდებში გავერიე, რომლებიც „სოფელში" ცხოვრობდნენ. სულ მალე მეც ასე ვუწოდებდი „გრინვიჩ-ვილიჯს". პირველად მოვხვდი ჩემს თანატოლ, მაღალი წრის, დახვეწილ ახალგაზრდებს შორის. ყოველ შემთხვევაში, მაშინ სწორედ ასეთებად მეჩვენებოდნენ. ჩემგან, პროვინციიდან ჩამოსული, აწოწილი, გაუთლელი ბიჭისგან განსხვავებით, რომელსაც წერის გამოუთქმელი, გაუბედავი სურვილი მოსვენებას არ აძლევდა, ამ ყმაწვილებს თავი ისე თამამად და თავისუფლად ეჭირათ, როგორც მაღალი წრის ახალგაზრდებს შეჰფერით. სხვათაშორის, მაგრამ გარკვევით მეუბნებოდნენ, რომ მწერლები იყვნენ და ეს სიმართლე იყო. წერდნენ და ბეჭდავდნენ სხვადასხვა ახალ-ახალ მოდურ ჟურნალში, რომლებიც მაშინ ყველგან გამოიცემოდა. როგორ მშურდა მათი!

მათ ჰყოფნიდათ გამბედაობა არა მხოლოდ საიმისოდ, რომ საკუთარი თავისთვის მწერლები ეწოდებინათ. ისინი ასევე თამამად და ღიად ამბობდნენ, რომ სხვები, ბევრი მათგანი, ვისაც მე მწერლებად მივიჩნევდი, სულაც არ არიან მწერლები. ენის ბორძიკით ვცდილობდი, მონაწილეობა მიმეღო მათ ბრწყინვალე საუბარში, ჩემ გარშემო რომ იფრქვეოდა, და თანდათან ვხვდებოდი, რომ მზად უნდა ვყოფილიყავი უსასტიკესი დარტყმებისთვის. ძალიან დავიბენი, როცა, მაგალითად, ერთ-ერთს ამ თვითდაჯერებულ, ლოყაწითელ, დიდებული და წუნდაუდებელი დაუდევრობით ჩაცმულ ახალგაზრდათაგანს ვკითხე: „წაკითხული გაქვთ გოლსუორსის „შეტაკება"? მან პასუხად ნელა ასწია წარბები, სიგარეტის ნაფაზი დაარტყა, ბოლი გამოუშვა, აუჩქარებლად გადააქნია თავი და გაბეზრებულმა მიპასუხა დაღლილი ხმით: „არ შემიძლია ამის წაკითხვა. უბრალოდ, არ შემიძლია. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ..." — მისი ნათქვამის ინტონაციაში იკითხებოდა: ცუდია, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდია, მაგრამ რა გაეწყობა.

ისინი ბევრ რამეზე და ბევრ ვინმეზე წუხდნენ. თეატრი მათი ცხოველი ინტერესის უმთავრესი საგანი იყო, მაგრამ ძნელად თუ მოიძებნებოდა იმ დროის დრამატურგი, რომელსაც არ განიქიქებდნენ. "შოუ ართობს, მაგრამ ის ხომ დრამატურგი არ არის", — ამბობდნენ ისინი, — „წერა მაინც ვერ ისწავლა". ო'ნილის დიდება კი გადამეტებულად მიაჩნდათ: მოუქნელი დიალოგები აქვს, პერსონაჟები კი სულელებად ჰყავს გამოყვანილი. ბერი მათთვის აუტანლად სენტიმენტალური იყო, პინერო და მისთანები... ეს ძველმოდური კალმოსნები მათთვის, უბრალოდ, სასაცილოები იყვნენ.

ეს ზღვარგადასული კრიტიკულობა რაღაცით სასარგებლო იყო ჩემთვის. მისი წყალობით ყველაზე პატივსაცემი სახელებისა და შეუვალი რეპუტაციის მქონე პერსონებსაც კი ფხიზელი თვალით ვუყურებდი — ისეთებს, რომელთა წინაშეც განსაკუთრებული დაფიქრების გარეშე ქედის მოხრას ჩემმა უწინდელმა მასწავლებლებმა მიმაჩვიეს. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ მალე, ამ ახალგაზრდების მსგავსად, წერილმან, ზედმეტად დახვეწილ ესთეტიზმში გადავეშვი, რომელიც, უსიცოცხლო და ხელოვნური იყო, სრულიად მოწყვეტილი ცოცხალ, რეალურ ცხოვრებას, და არ გამოდგებოდა ნამდვილი შემოქმედებისთვის საზრდოდ და შთაგონების წყაროდ.

საინტერესოა ახლა უკან მიხედვა და იმის გახსენება, რისი გვწამდა თხუთმეტი წლის წინ, როცა ახალგაზრდები ვიყავით, იმედებით სავსე, ვოცნებობდით, ხელოვნებაში რაღაც დიდი და მნიშვნელოვანი შეგვექმნა; ბევრს ვლაპარაკობდით „ხელოვნებასა" და „მშვენიერებაზე"; ბევრს ვმსჯელობდით იმაზე, თუ ვინ არის „შემოქმედი". ზედმეტად ბევრს ვმსჯელობდით და ვლაპარაკობდით. შემოქმედი, როგორიც ის ჩვენ წარმოგვედგინა, სინამდვილეში, ესთეტიკური მონსტრის ნაირსახეობა, ნამდვილი ურჩხული იყო. ადამიანი არც ეთქმოდა. ხელოვანი კი ყველაზე მეტად და უპირველეს ყოვლისა – ცოცხალი ადამიანია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ცხოვრების ნაწილია, ცხოვრებაში ფესვგადგმული, მასთან ისეთი შინაგანი ძაფებით დაკავშირებული, რომლებიც ასაზრდოებს, სასიცოცხლო ძალას აძლევს. სხვაგვარად რა ადამიანი იქნებოდა?

მაგრამ ხელოვანი, რომელზეც ჩვენ მაშინ ვმსჯელობდით, ასეთი არ იყო. და მართლაც რომ არსებულიყო – არა მხოლოდ ჩვენს გონებაში – სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა ნამდვილი საოცრება, კაცთმოძულე არამზადა. ცხოვრებისადმი სიყვარულისა და მისდამი ნდობის ნაცვლად, ჩვენი „ხელოვანი" გაურბოდა ცხოვრებას და სძულდა იგი. ჩვენი მოთხრობების, პიესებისა და რომანების მთავარი თემაც ეს იყო. ჩვენი გმირი მგრძნობიარე, ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა გენიოსი იყო, ცხოვრებით გატანჯული და ჯვარცმული, რომელსაც ვერავინ გაუგო და რომელიც გარიყა საზოგადოებამ, მოიძულა, აბუჩად აიგდო და სამარცხვინო ბოძზე გააკრა. დიახ, სწორედ ასეთად წარმოგვიდგებოდა იგი – პროვინციულ ქალაქში ან მივარდნილ დასახლებაში მცხოვრებ, წვრილმანი და უღირსი ვნებებით შეპყრობილ, ბოგანოთა და ქკუასუსტ ფანატიკოსთა მიერ დამცირებული ახალგაზრდა გენიოსი, აბუჩად აგდებული, ცოლის არარაობით შეურაცხყოფილი და, საბოლოოდ, დადუმებული, განადგურებული და ფეხქვეშ გათელილი მის წინააღმდეგ ერთსულოვნად ამხედრებული ბრბოს მიერ. ასეთად წარმოგვედგინა ხელოვანი, რომელზეც დაუსრულებლად ვსაუბრობდით. ჩვენი გმირი არ იყო იმ სამყაროს განუყოფელი ნაწილი და თანამონაწილე, რომელშიც ცხოვრობდა, პირიქით, გადაულახავი წინააღმდეგობებით აღვსილი, მუდამ ებრძოდა, მუდამ გაურბოდა მას. სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობდა, პირსისხლიან მხეცად გვესახებოდა, ხელოვანი კი – დაჭრილ ფავნად, რომელსაც მხეცი დადევნებოდა.

ახლა, როცა უკან ვიხედები, ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი არ იყო ჩვენთვის კარგი, არაბუნებრივ სირთულეს სძენდა სტილსა და ენას მწერალი ახალგაზრდებისა, რომელთაც აკლდათ ცხოვრებისეული გამოცდილება და მასალა, შემოქმედებისთვის აუცილებელი ცოცხალი კავშირი ცხოვრებასთან; იმ ფილოსოფიით და ესთეტიკით აიარაღებდა, რომელიც ცხოვრებას აშორებდა. ჩვენ შორის იყვნენ ისეთები, რომელთაც განგება შემოქმედის ბედს უმზადებდა. ასე კი შეიძლებოდა არა მხოლოდ საკუთარი თავისთავადობის განცდა, საკუთარ თავზე გადამეტებულად მაღალი წარმოდგენაც შეგვექმნოდა. ყოველ ჩვენგანში იმალებოდა საკუთარი განსაკუთრებულობის შეგნება, რწმენა, რომ იმ წესებსა და კანონებზე მაღლა ვდგავართ, რომლებსაც ჩვეულებრივი ადამიანები ემორჩილებიან; რომ ჩვენი სურვილები, გრძნობები და მისწრაფებანი ამაღლებული და გამორჩეულია. მოკლედ რომ ვთქვათ, ადამიანური ბუნების უმშვენიერესი ხნეულება ვართ, როგორც მარგალიტი – ხამანწკისა.

ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ მოქმედებდა ეს ყველაფერი ჩემზე, გაუთლელ პროვინციელზე. პირველად წოვირგე გაუმტარი აბჯარი, ავიღე ელვარე, მოხდენილი ფარი. ფარის უკან შემეძლო, დამემალა ჩემი გაუბედაობა, საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, ეჭვი, რომ ძალა არ შემწევს, განვახორციელო ჩაფიქრებული. როგორც კი ჩემს სურვილებსა და მისწრაფებებს შეეხებოდა საუბარი, თავმომწონე და უხეში ვხდებოდი. ყარგონზე ვლაპარაკობდი და ისევე, როგორც სხვები, ათას სისულელეს ვროშავდი „არტისტებზე", ზიზღით და ქედმაღლურად მოვიხსენიებდი ბურჟუაზიას, ბებიტებსა და ფილისტერებს – ასე ვუწოდებდით ყველას, ვინც არ განეკუთვნებოდა რჩეულთა ციცქნა ეპარქიას, რომელიც თავად შევიქმენით.

უკან ვიყურები და ვცდილობ, მივხვდე, როგორი ვიყავი მაშინ. ვშიშობ, არ ვიყავი კეთილგანწყობილი და სათნო ახალგაზრდა. გამომწვევად მეჭირა თავი და მზად ვიყავი, სრულიად ქვეყნიერებისთვის ამეტეხა ჩხუბი. მუდამ ვძიძგილაობდი და არაფერს ვუთმობდი მათ, ვისაც, როგორც მეგონა, ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ ბევრს მივაღწევდი. ამას კი უბრალო ახსნა მოეძებნებოდა: თავად არ ვიყავი დარწმუნებული, რომ, მართლაც, ასე იქნებოდა, შემწევდა ამის ძალა. გაცნობიერებულიც არ მქონდა, რომ ასე მხოლოდ საკუთარი თავის გასამხნევებლად ვიქცეოდი.

ასეთი ვიყავი, როცა პირველად შევხვდით, ფოქს. რა თქმა უნდა, იმ წიგნზე გესაუბრეთ, რომელიც მინდოდა, დამეწერა, მოკრძალებით და თავმდაბლად, თუმცა სინამდვილეში არც მონიწებას ვგრძნობდი და არც ჩემი თავმდაბლობა იყო გულწრფელი. როგორც პრანჭია სნობი, ზიზღნარევი ქედმაღლობით ვფიქრობდი, რომ სხვებზე აღმატებული ვიყავი – რჩეულთა მოდგმიდან. მაშინ ჯერ კიდევ უცნობი იყო ჩემთვის ის ჭეშმარიტება, რომ სხვებზე, მართლაც, აღმატებული მხოლოდ ის არის, ვინც თავმდაბალი და მორჩილია, სხვისი სულის მოსმენის უნარი აქვს. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ აღმატებულთა და რჩეულთა მოდგმას მხოლოდ ის ეკუთვნის, ვინც შეძლო, ეპოვნა საკუთარ თავში ნამდვილი ძალა და უანგარო თავგანწირვის ნიჭი.

## ორმოცდამეექვსე თავი

### ორი ანგელოზიც არ არის საკმარისი

ბავშვობიდან იმაზე ვოცნებობდი (წერდა ჯორჯი ფოქსს), რაზეც ახალგაზრდობაში ყველა ოცნებობს – სიყვარულსა და დიდებაზე. ამ ორი სურვილით შეპყრობილმა გავიარე ჩემი განათლების ყველა ეტაპი, ყველა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჯი და საფეხური. სულ ეს იყო, რისადმი რწმენასაც ჩვენ, იმ დროის ახალგაზრდობას, გვინერგავდნენ.

სიყვარული და დიდება. დიახ, ერთიც მქონდა და მეორეც.

თქვენ ერთხელ მითხარით, ფოქს, რომ მე არც ერთი მდომებია და არც მეორე. მართალი იყავით. უბრალოდ, მეგონა, რომ მინდოდა, მქონოდა ერთიცა და მეორეც, სანამ ორივე არ მივიღე. ხოლო, როცა მივიღე, მივხვდი, რომ ეს ძალიან ცოტაა. გულწრფელად გეტყვით: ვფიქრობ, იმავეს განიცდის ყველა, ვისი განვითარებაც არ შეწყვეტილა. სიყვარული და დიდება ყველაფერი არ არის.

არასდროს ყოფილა სახიფათო იმის აღიარება, რომ სახელი და დიდება ყველაფერი არ არის. მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა პოეტმა ამას „კეთილშობილი გონების უკანასკნელი სისუსტე“ უწოდა... თუმცა, ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო, სახიფათოა იმის აღიარება, რომ სიყვარული სისუსტეა. შესაძლოა, მავანისთვის სიყვარული საკმარისიც იყოს. შესაძლოა, სიყვარულში, როგორც წყლის კამკამა წვეთში, მართლაც, აისახება ყველაფერი: მზეც და ვარსკვლავებიც, ზეცაც და ადამიანის შინაგანი სამყაროც. ასე ამბობდნენ წარსულის დიდი პოეტები და მას შემდეგ ადამიანები ასე ფიქრობენ. მე კი ერთს ვიტყვი: არ ვფიქრობ, რომ ბაყაყებიან გუბეში ან უოლდენის ტბაში ოკეანე აირეკლება, რადგან ორივე წყლით არის სავსე.

„სიყვარული ყველაფერია, თუმცა მისით სამყარო ვიწროვდება,“ – წერდა უილიამ მორისი. ჩვენი ნებაა, დავიჯეროთ თუ არა მის ნათქვამს. იქნებ მისთვის ასეც იყო, თუმცა ეჭვი მეპარება. შესაძლოა, სწორედ ასეთი განცდა ჰქონდა მაშინ, როცა ამ სიტყვებს წერდა. და არა ბოლოს, როცა ყველაფერი უკვე ნათქვამი და განვლილი ჰქონდა.

თავად ასე არ ვფიქრობდი.

მაშინაც კი, როცა სიყვარულით გარემოცული – მისი რჩეული და ტყვე – მშვიდად და უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს, უფრო დიდი გარე სამყარო ხილული ხდებოდა ჩემთვის. მის ნათებას მოულოდნელად არ მოუჭრია ჩემთვის თვალი, როგორც ჩეპმენისეულ ჰომეროსს ჯონ კიტსისთვის:

თითქოს ვიყავი ვარსკვლავთმრიცხველი,
მანათობელი რომ იხილა ცაზე ახალი.

მე ასე არ მომსვლია. სამყარო თანდათან ჩნდებოდა ჩემ თვალწინ ისე, რომ თავდაპირველად ვერც შევნიშნე მისი გამოჩენა.

მაშინ, უბრალოდ, მგრძნობიარე ახალგაზრდა კაცი ვიყავი, რომელიც ვერ შერიგებოდა ცხოვრებას თავის გარშემო, საკუთარ ქალაქში, საკუთარ ოჯახში, შემდეგ – მგრძნობიარე შეყვარებული ახალგაზრდა კაცი, რომელიც იმდენად იყო ჩაფლული თავისი სიყვარულის ციცქნა სამყაროში, რომ ეგონა, ეს იყო მთელი სამყარო. თანდათან ამეხილა თვალი ცხოვრებაზე, ისეთი რამ დავინახე, რამაც შემძრა და გამომგლიჯა სიყვარულის ამ პატარა, ჩაკეტილ, თვითკმარ სამყაროს. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვხედავდი ძლიერთა, მდიდართა, იღბლიანთა ცხოვრებას, მათ დალხენილ ყოფას, ვინც დარწმუნებული იყო, რომ სამართლიანად ხვდა წილად ყველა შესაძლო სიკეთე. დავინახე, რომ ისინი, იმდენი ხანია, განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობენ, თვით ხანდაზმულობა აკანონებს მათ უპირატეს მდგომარეობას. თითქოს წარმოიდგინეს, რომ თვით ბუნებამ უბოძა მათ ბედის ნებიერთა ხვედრი. თანდათან იმასაც ვაცნობიერებდი, რომ სადღაც, სულ ქვემოთ, დაჩაგრული და ყველასგან დავიწყებული ზილოტები თავისი შრომით, ოფლით, სისხლით და გამოუთქმელი ტანჯვით აცოცხლებენ და ასაზრდოებენ თავზე წამომჯდარ ძლევამოსილ ბატონებს.



შემდეგ 1929 წლის კრიზისი დაიწყო და საშინელი დღეები დაგვიდგა. ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. იმდენად ნათელი, რომ ვისაც თვალები აქვს, ყველა ხედავს, რაც მოხდა. მაშინ ბრუკლინის ჯუნგლებში ვცხოვრობდი და, როგორც არასდროს, ცხადად დავინახე ცხოვრებისგან დაჩაგრულთა ნამდვილი და შემზარავი სახე. ჩემ თვალწინ გადაიშალა მათი არაადამიანური, სისასტიკით სავსე სამყარო, რამაც შეცვალა ჩემი შეხედულება ცხოვრებასა და ადამიანებზე – ისეთი, როგორიც გვიყალიბდება ახალგაზრდობაში, როცა ყველაფერს საკუთარი სამრეკლოდან ვუყურებთ და თავი სამყაროს ცენტრად წარმოგვიდგენია. მაშინ დაიწყო ჩემთვის მორჩილების გაკვეთილები, მაშინ მომეჩვენა საკუთარ სურვილებსა და გეგმებში მთელი ვნებით ჩაფლული საკუთარი თავი, საკუთარი პატარა სამყარო ფუჭად, უღირსად, უმნიშვნელოდ. იმ დროიდან მოყოლებული, სულ უფრო მძაფრდებოდა და ღრმავდებოდა ჩემი ცხოველი ინტერესი სხვათა სურვილებისა და გეგმებისადმი, მთელი კაცობრიობის სურვილებისა და გეგმებისადმი.

რა თქმა უნდა, ამ მონათხრობში ყველაფერი ძალიან გავამარტივე. მაშინ თავადაც ვერ გავრკვეულიყავი, რა ხდებოდა ჩემს თავს. მხოლოდ ახლა, როცა თვალს გადავავლებ განვლილ წლებს, ვხვდები, როგორ იცვლებოდა იმ წლებში ჩემი შეხედულებები. ადამიანის სული ხომ ამღვრეული ტბორია, რომლის ფსკერზეც ბევრი რამ გროვდება. დროც ბევრ დანალექს ტოვებს. უხილავი დინებები წყალქვეშ და ზედაპირზე ტბორს ამღვრევს და როგორღა აირეკლავს

გაუმჭვირვალე წყალი ცხოვრების მკაფიო და ზუსტ სურათს. ჯერ წყალი უნდა დაიწმინდოს. გამოდის, რომ, როგორც უნდა გინდოდეს, ვერ შემოაცლი შენს სულს დაძენძილ სამოსს ისევე იოლად და სამუდამოდ, როგორც გველი იცვლის კანს.

მაშინაც კი, როცა სამყარო უკვე ახალი სახით მეჩვენებოდა და მის ადრე უხილავ, უცნობ ნაკვთებს ვხედავდი, უფრო მეტად – მეტად, ვიდრე ოდესმე – ვიყავი ჩართული საკუთარ თავთან ბრძოლაში, ჩაფლული შინაგან წინააღმდეგობებში. ჩემს ცხოვრებაში ეს ყველაზე დიდი გაურკვევლობისა და სასოწარკვეთის წლები იყო. ჩემს მეორე წიგნზე ვმუშაობდი და ისე გავიბლანდე მის სირთულეებში, ყველაფერს, რასაც ვხედავდი, აღვიქვამდი ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ნაპერწკლებივით სწრაფად ქრობად სურათებად, წამიერ გაელვებად. მოგვიანებით დავრწმუნდი, რომ სამყაროს ახალი სახე ჩემი სულის მგრძნობიარე შრეებზე კინოფირის კადრებივით ერთმანეთის მიყოლებით ასახულიყო, მაგრამ ამას მხოლოდ წიგნზე მუშაობის დასრულების შემდეგ მივხვდი. ახალი სამყაროც მას შემდეგ აღვიქვი ერთ მთელად და მივხვდი, რა მომცა ამ წლებმა.

რა თქმა უნდა, ისევ ძველებურად ვიყავი შეყვარებული მშვენიერ მედუზაზე – სახელგანთქმულობაზე. მისადმი ჩემი მწველი სიყვარული წარსულის ნარჩენი იყო. მე ხომ ბავშვობიდან ვოცნებობდი მასზე, ტოტებს შორის მოლიცლიცე ტყის სულივით მოუხელთებელზე, უხილავზე, სანამ მისი ხატი და საყვარელი ქალის სახე ათასჯერ მაინც არ შეერთდა ერთ მთელად. ახლა უკვე ვიცოდი, რა იყო სიყვარული, მაგრამ დიდება კვლავ დამისხლტა ხელიდან და ამიტომ, როცა მეორე წიგნს ვწერდი, მისი კეთილგანწყობის მოპოვებას ვცდილობდი.

და აი, პირველად ვიხილე იგი, როცა ლოიდ მაკჰარგი გაეიცანი. ამ უჩვეულო ამბიდან რაღაც უნდა მესწავლა. მგონი, ვისწავლე კიდეც. ლოიდ მაკჰარგი, მართლაც, კარგი და წესიერი ადამიანი იყო, დიდებას ეშურებოდა და მოიპოვა კიდეც. მე კი დავინახე, რომ მისი ეს გამარჯვება ფუჭი იყო. ისეთ სახელსა და დიდებაზე, როგორიც მას ჰქონდა, მე არც კი მიოცნებია. და მაინც, ცხადი იყო, რომ ლოიდ მაკჰარგისთვის ეს ყველაფერი არ იყო. მას კიდევ სჭირდებოდა რაღაც, რაც ვერასდროს მიიღო.

როგორც ვთქვი, ეს ჩემთვის გაკვეთილი უნდა ყოფილიყო. მაგრამ მთავარი ის იყო, შევძლებდი თუ არა, სხვის მაგალითზე მესწავლა, როცა მზად არ ვიყავი ამისთვის. შეიძლება სხვის ცხოვრებაში რაღაც ჭეშმარიტება ამოიკითხო, ნათლად დაინახო, მაგრამ თავად ვერ გამოიყენო. განა ჩვენი სათაყვანებელი „მე" – გასაოცარი და ერთადერთი, განუმეორებელი, ისეთი, როგორიც არასდროს არსებულა სამყაროს შექმნიდან დღემდე და არასდროს განმეორდება მომავალში – ჩვენ მიერ განებივრებული და ნაფერები, არ წარუდგება ჩვენს კრიტიკულ მზერას და არ განაცხადებს საკუთარი განსაკუთრებულობის შესახებ? „დიახ", – ვფიქრობდი მე, – "სწორედ ასე დაემართა ლოიდ მაკჰარგს, მაგრამ მე ასე არ მომივა, მე ხომ მე ვარ". ყოველთვის ასე იყო. ვერასდროს ვერაფერს ვსწავლობდი სხვის მაგალითზე, იოლად არაფერი მეძლეოდა. თავად უნდა გადამხდომოდა თავს, რომ რამე მესწავლა.

დიდებაც ასე იყო. ბოლოს და ბოლოს, უნდა მომეპოვებინა. ის ხომ ქალი იყო. უცნაური პარადოქსი აღმოვაჩინე: დიდება ქალი იყო, ერთადერთი – სიყვარულის მეტოქეთა შორის, ერთნაირად სანატრელი ქალებისა და სიყვარულისთვის. და აი, ის ჩემი გახდა, რამდენადაც შესაძლებელია, ვინმე დაეუფლოს მას. მე კი დავეუფლე მხოლოდ იმისთვის, რომ მივმხვდარიყავი – ეს არ არის საკმარისი.

იმ დროისთვის უკვე ბევრი რამ გადამხდომოდა, ბევრი ქარიშხალი დამტყდომოდა თავს, თუმცა ჯერ კიდევ ვერ გამეგო კარგად, საით წაიღებდა ჩემს ნავს და რომელ ნაპირზე გამრიყავდა ამოვარდნილი ქარი. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ, მუშაობისგან ძალაგამოცლილმა, ქანცგაწყვეტილი მორბენალივით ქოშინით მივირბინე ფინიშის ხაზთან და მაშინღა მივხვდი, რომ რბოლა დამთავრებულია, ფინიშამდე მივაღწიე და გავიმარჯვე, მაინც გავიმარჯვე. მხოლოდ ამაზე შემეძლო ფიქრი: ცხოვრებაში მეორედ გავუძლი ასეთ გამოცდას, ღირსეულად გავუძელი. დავძლიე სასოწარკვეთა, დაურწმუნებლობა საკუთარ ძალებში, უნდობლობა საკუთარი თავისადმი, შიში, რომ ვერასდროს მივიყვან ბოლომდე, რაც ჩავიფიქრე.

გზა დავასრულე, წრე შეიკრა. გამოფიტული, არაქათგამოცლილი და ღონემიხდილი ვიყავი. რამდენიმე თვით ჩემი ცხოვრება გაჩერდა, გაიყინა, ჩემი დაქანცული სული ისვენებდა. შემდეგ კი ისევ მომეცა ძალა და მასთან ერთად გარე სამყარო ისევ შემოიჭრა, ადიდებული წყალივით მოაწყდა ჩემს სულს. ახლა მასში, ისევე, როგორც ჩემს გულში, რაღაც ისეთი იყო, რაც ადრე არასდროს მიგრძვნია.

დასასვენებლად, გასართობად და ყველაფრის დასავიწყებლად იმ ქვეყანაში გავემგზავრე, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარდა იმ უცხო მხარეთაგან, სადაც მიმოგზაურია.

მკაცრი განმარტოებისა და ახალ წიგნზე მუშაობის წლებში ხშირად ვიხსენებდი ამ ქვეყანას და ისე მენატრებოდა, როგორც ბნელ ჯურღმულში ჩაგდებულ პატიმარს ენატრება ჯადოსნური ქვეყნის წარმტაცი მინდვრები და ტყეები. რამდენჯერ დავბრუნებულვარ იქ ჩემს ოცნებებში – ჩაძირულ ზართან, გოთურ ქალაქებში, შუაღამის შადრევნებთან, ძველ მოედანზე ამღერებულ სამრეკლოსთან, ქერა, იდუმალ, გულუხვ ქალებთან. და აი, გათენდა დილა, როცა ბრანდენბურგის კარიბჭე გავიარე და თიარგარტენის ამწვანებულ ჯადოსნურ ხეივანში შევაბიჯე. აი, ისიც, დიდება. მაისი იყო, გარშემო დიდი წაბლის ხეები ყვაოდა, მათი ტოტები ჩემს თავს ზემოთ ეშვებოდა. მე კი, როგორც ტამერლანს, ნეტარება მეუფლებოდა. რა დიდებული განცდაა, იყო მბრძანებელი და ტრიუმფალური სვლით გადაკვეთო პერსეპოლისი – იყო სახელგანთქმული.

მრავალი წლის მძიმე შრომის შემდეგ საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ ჩემს დატანჯულ სულს დასვენება ესაჭიროებოდა. და აი, ისიც – ნანატრი დასვენება, რომელზეც ასე ვოცნებობდი: სასწაულებრივად ახდა ყველაფერი, რასაც ვნატრობდი. რა ხშირად დავეხეტებოდი ქუჩებში, დიდ ქალაქებში, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ყვე-

ლასთვის უცხო და უცნობი. ახლა კი ბერლინი თითქოს მე მეკუთვნოდა. პირველად განვიცადე ნანატრი ბედნიერება, პირველად მოვიხელთე. კვირა კვირას მისდევდა და სიამოვნება სიამოვნებას ცვლიდა, დღესასწაული — დღესასწაულს. ჩემს გულში კი არ ცხრებოდა სიხარული და მღელვარება იმის გამო, რომ უცხო ქვეყანაში, სადაც ჩემთვის უცხო ენაზე ლაპარაკობენ, ამდენი მეგობარი გამომიჩნდა. საფირონისფერი ლურჯად აკამკამებული სალამოები, ჩრდილოეთის მოკლე, ჯადოსნური ღამეები, ჩინებული ღვინო ლამაზ ბოთლებში, გარიჟრაჟები, მწვანე მინდვრები, მომხიბვლელი ქალები — ახლა ყველაფერი ჩემი იყო, თითქოს მხოლოდ ჩემთვის შექმნილი, მხოლოდ მე მელოდებოდა, არსებობდა და ბრწყინავდა მთელი თავისი მშვენიერებით მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ყოფილიყო.

ასე გადიოდა კვირები. და აი, ისე მოხდა, რომ გარე სამყარომ თანდათან შემოაღწია ჩემში. თავიდან თითქმის შეუმჩნევლად შემოვიდა, შურისმაძიებელი ანგელოზივით ჩამიქროლა და ფრთიდან შავი ბუმბული ჩამოუვარდა. ზოგჯერ მას განწირული ველრებით სავსე თვალებში ვხედავდი, დაფეთებული მზერის დაუფარავ სასოწარკვეთაში, უცებ წამონთებულ და მყისვე დაფარულ შიშში. ზოგჯერ ეს სამყარო წამიერად გაკრთებოდა და ქრებოდა, ისე უბრალოდ, როგორც გაიელვებს და გაქრება სხივი. მე კი ვისრუტავდი მას, მხოლოდ ვისრუტავდი — წამოსროლილ სიტყვებს, გაგონილ საუბრებს, მოძრაობებს.

შემდეგ კი, ღამეული სიფხიზლის დროს, სქელი კედლების, ჩარაზული კარებისა და დახურული დარაბების მიღმა ეს სამყარო გამოუთქმელი სასოწარკვეთის ნიაღვრად აწყდებოდა ჩემს სულსა და გონებას. არ ვიცი, რა უბიძგებდა ამ ადამიანებს, ჩემთვის — უცხოელისთვის გადაეშალათ გული. ალბათ ის, რომ იცოდნენ, როგორ მიყვარდა ისინი და მათი ქვეყანა. მათ, ალბათ, ტანჯავდა გაუსაძლისი სურვილი, ვინმესთვის — ვინც მათ გაუგებდა — ეთქვათ ყველაფერი, რასაც გულში იკლავდნენ. ჩემმა სიმპათიამ ყველაფრისადმი, რაც გერმანული იყო, გაარღვია თავშეკავებისა და სიფრთხილის ჯებირი. მათმა ნაამბობმა ენით აუწერელ შიშსა და უბედურებაზე დატბორა ჩემი სმენა. მიამბობდნენ მეგობრებსა და ნათესავებზე, რომელთა მიერ საზოგადოებაში წამოსროლილ სიტყვებს შედეგად ის მოსდევდა, რომ ეს ადამიანები უკვალოდ ქრებოდნენ; მიყვებოდნენ გესტაპოზე და იმაზე, თუ როგორ იქცეოდა მეზობლური ურთიერთობა და კინკლაობა პოლიტიკურ დევნად; მიყვებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკებსა და დარბევებზე, მდიდარ ებრაელებზე, რომლებსაც აშინებდნენ, სცემდნენ, ართმევდნენ ქონებას და შემდეგ უფლებას არ აძლევდნენ, მცირედი გასამრჯელოსთვის ემუშავათ; მიამბობდნენ კარგი ოჯახებიდან გამოსულ ებრაელ ქალებზე, რომლებსაც ძარცვავდნენ, საკუთარი სახლებიდან აძევებდნენ და აიძულებდნენ, მუხლებზე ხოხვით ტროტუარებიდან ანტისემიტური ლოზუნგები წაეშალათ. მათ გარშემო შეკრებილი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი გარეწრები კი ხიშტებს უღერებდნენ და ქალაქის წყნარ ქუჩებს უტიფარი ოხუნჯობითა და უხამსი ხარხარით აყრუებდნენ. თითქოს დაბრუნდა შუა საუკუნეების სიბნელე და სისასტიკე. წარმოუდგენელი, დაუჯერებელი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი მართლაც ხდებოდა. ადამიანი, რომ საკუთარი თავისთვის დედამიწაზე ჯოჯოხეთის მოწყობის უზადლო ოსტატია.

ასე გახდა ჩემთვის ხილული ადამიანთა გაცრუებული იმედები, წართმეული და დამახინჯებული რწმენა, ტანჯვის უძირო ჭაად ქცეული სულები. სულ ბოლოს — დავინახე ის საშინელი სულიერი ავადმყოფობა, რომელიც ჭამდა და წამლავდა ამ კეთილშობილ და ძლიერ ხალხს.

დიახ, დავინახე და მივხვდი, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. თუმცა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, კიდევ ერთ რამეს მივხვდი. სანამ ჩაბნელებულ ოთახებში ვიჯექი, ჩარაზულ კარებსა და დახურულ დარაბებში, ჩემი გერმანელი მეგობრები ჩურჩულით მიამბობდნენ იმაზე, რაც გულს უღრღნიდათ, შეძრწუნებული ვუსმენდი და ვხედავდი, როგორ ევსებოდათ თვალები ცრემლებით, სახე კი — ის სახე, რომელზეც სულ ცოტა ხნის წინ, როცა აქ სხვა ადამიანებიც იყვნენ, გულგრილი უდარდელობა აღბეჭდოდათ — მწუხარების ნაოჭებით ელარებოდათ. სანამ ამ ყველაფერს ვისმენდი და მათ სახეებს ვუყურებდი, გული მეფლითებოდა. შემდეგ კი მისი დაფლეთილი სიღრმიდან რაღაც ისეთმა ამოხეთქა, უეცარმა ცოდნამ, რომლის არსებობა არც კი ვუწყოდი. მოულოდნელად უცნაური რამ მოხდა. ბრუკლინის ულიმღამო, არაფრით გამორჩეული, პირქუში წყვდიადი ისევ დამაწვა გულზე. გამახსენდა, როგორ დავეხეტებოდი ღამღამობით ქალაქის ჯუნგლებში. ისევ წარმომიდგა თვალწინ უსახლკარო, მაწანწალა, უპოვარი ამერიკელების სახეები, მოხუცი მუშები, რომლებმაც ცხოვრება შრომაში გალიეს და ახლა მუშაობაც აღარ შეუძლიათ, პირტიტველა ბიჭები, რომელთაც არასდროს უმუშავიათ და რომელთათვისაც სამუშაო არ მოიძებნებოდა. ისინი — ერთნიც და მეორენიც — არავის სჭირდებოდნენ. საზოგადოებისგან გარიყულებს, ბედის ანაბარა მიტოვებულებს, როგორც შეეძლოთ, ისე უნდა ერჩინათ თავი — სანაგვეებზე ეძებნათ საჭმელი, სითბო და მეგობრული თანაგრძნობა — ბინძურ საპირფარეშოებში, ისეთში, ნიუ იორკის მუნიციპალიტეტის მახლობლად რომ არის, ღამე მეტროს ბეტონის იატაკზე გაეთიათ, ძველ გაზეთებში გახვეულებს.

ყველაფერი თვალწინ დამიდგა, ბრუკლინში ნანახის გაბნეული ფრაგმენტები და ამასთან ერთად მეხსიერებაში ამომიტივტივდა აუზუღითი ხატება იმისა, რაც ამ ღამის კოშმარზე იყო წამომართული, მთელი თავისი სიმდიდრით და ბრწყინვალებით, ნატიფი, დახვეწილი სიამოვნებებით მათთვის, ვინც მწვერვალზე მოექცა; მათი გულგრილი განურჩევლობა იმ ტანჯვისა და უსამართლობისადმი, რომელზეც იყო აგებული მათი კეთილდღეობა. ახლა ეს გაბნეული მოგონებები ჩემს მეხსიერებაში ერთ მთლიან სურათად შეიკრა.

ისე მოხდა, რომ ამ შორეულ ქვეყანაში, სხვათა ცხოვრების მწვავე და შემაშფოთებელი მოვლენების ეპიცენტრში, პირველად გავაცნობიერე სრულად, რა ავად არის ამერიკა. ისიც დავინახე, რომ ეს სნეულება იმ სენს ჰგავს, გერ-

მანიას რომ შეპყრია – მძიმე ავადმყოფობას, რომელიც სულს ამოჭამდა კაცობრიობას. შემდეგ ერთ-ერთმა ჩემს გერმანელ მეგობართაგან, ფრანც ჰაილიგმა, სწორედ ასე მითხრა: გერმანიას ველარ უშველი, ავადმყოფობა ისე მოედო, უკვე ველარაფერი შეაჩერებს, სიკვდილისა და ნგრევის, საბოლოო განადგურების გარდა. ამერიკა კი, ასე მგონია, არ არის განწირული, მისი სნეულება უკურნებელი არ არის – ჯერ კიდევ შეიძლება გადარჩეს. მასაც საშინელი, მძიმე სენი სჭირს, რომელიც კიდევ უფრო დამძიმდება, თუ ამერიკაში, გერმანიის მსგავსად, შეეშინდებათ, თვალებში შეხედონ თავად შიშს, გაარკვიონ, რა დგას მის უკან, რა შობს და ასაზრდოებს მას – გამოიძიონ და თქვან სიმართლე ამ შიშის შესახებ. ამერიკა ახალგაზრდაა, ისევ ახალი მიწაა, კაცობრიობის იმედი. ამერიკა არ ჰგავს ბებერ, ნათრევ ევროპას, რომელშიც ჩაბუდებულია და ლპება ათასი ძველი, ღრმად ფესვგადგმული, მოურჩენელი დაავადება. ამერიკა ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანია, ჯერ კიდევ ექვემდებარება მკურნალობას... მორჩება, თუ ადამიანებს აღარ შეეშინდებათ სიმართლის. სიმართლის კაშკაშა და თვალისმომჭრელი შუქი, რომელიც აქ, გერმანიაში, ისეა ჩახშობილი, რომ საცაა, ჩაქრება, ერთადერთი წამალია, რომელსაც შეუძლია, განწმინდოს და მოარჩინოს კაცობრიობის გაწამებული სული.

ღამეულ აღიარებებსა და აღმოჩენებს, თვალს რომ მიხელდნენ, კვლავ მოჰყვებოდა დღე, გრილი, ხალისიანი დილა, ზრინჯაოსფერ-ოქროსფერი ფიჭვები, მწვანეში ჩაფლული გამჭვირვალე ტბები, ჯადოსნური ბაღები და პარკები. მაგრამ ყველაფერი მაინც გადასხვაფერებულიყო, რადგან ახლა ვიცოდი, რომ ცხოვრებაში არის რაღაც სხვაც, დილასავით ახალი და ჯოჯოხეთზე უფრო ძველი – მარადიული ბოროტება, რომელიც აქ, გერმანიაში, გამოვლინდა თავისი ყველაზე საშინელი ფორმით, სიტყვებში ჩამოსხმული, ფრაზათა ნყობასა და გააზრებული ქმედებების სიბილწეში განსხეულებული. დღე დღეს მისდევდა და მისით იჟღინთებოდა ყველაფერი. უკვე თითოეულ ადამიანში – ვისაც ვხვდებოდი და ვეხებოდი – ვხედავდი ამ საზარელი სიბილწის დამღუპველ კვალს.

ასე გაიფანტა ჩემ თვალწინ ბურუსის კიდევ ერთი ფენა, ხედვას რომ მიშლიდა. ახლა უკვე ვიცოდი: ის, რაც ვნახე, რაც გავიგე, არასდროს დამავიწყდება და არასდროს მოვწყდები.

## ორმოცდამეშვიდე თავი
### ეკლესიასტე

ახლა უკვე იცით (წერდა ჯორჯი ფოქსს) ზოგი რამ ჩემი ცხოვრებიდან. იცით, რა გადავიტანე და რა გავლენა მოახდინა ჩემზე განცდილმა. შეიძლება მკითხოთ: რა კავშირი აქვს ამ ყველაფერს ჩემთან – ფოქსჰოლ ედვარდსთან?

დასაწყისში „ცხოვრების ფილოსოფია" ვახსენე, რომელიც ოცი წლის წინ გამოვიგონე, როცა კოლეჯში ვსწავლობდი. თქვენთვის არ მითქვამს, რა იყო ამ ფილოსოფიის არსი, რადგან რეალურად, ალბათ, არავითარი ცხოვრების ფილოსოფია არ გამაჩნდა. ვფიქრობ, არც ახლა გამაჩნია. ჩემი აზრით, საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ ჩვიდმეტი წლისას მეგონა, საკუთარი ფილოსოფია მქონდა, მეგონა, ადამიანები ჯერ კიდევ მსჯელობენ „ცხოვრების ფილოსოფიაზე", მეგონა, ეს ფილოსოფია რაღაც ხელშესახები იყო, რაღაც ისეთი, რაც შეიძლება აიღო და წარმართო, განზომილება შეუცვალო, აწონო, გაზომო. სულ ცოტა ხნის წინ მთხოვეს, რამე დამეწერა წიგნისთვის „ჩვენი დროის ფილოსოფია". ვცადე კიდეც: დავიწყე და შევწყვიტე, რადგან არ მინდოდა და მზადაც არ ვიყავი, მეთქვა, რომ არსებობს ჩვენი დროის ფილოსოფია. არ შემეძლო და არ მსურდა არა იმიტომ, რომ დარწმუნებული არ ვიყავი ჩემს აზრებსა და შეხედულებებში ან ვერ ვაყალიბებდი მათ, არამედ იმიტომ, რომ არ ვიცოდი, ვერ გამეგო, როგორ გამომეთქვა ისინი მკაფიოდ და სრულად.

სწორედ ეს იყო ოცი წლის წინ პაინ როკში ყველა ჩვენგანის შეცდომა. სიმართლის, მშვენიერების, სიყვარულის, სინამდვილის საკუთარი კონცეფცია ჩამოვაყალიბდა და მასთან ერთად – შეხედულება ამ სიტყვების მნიშვნელობაზე. შემდეგ კი საერთოდ აღარ გვეპარებოდა ეჭვი ჩვენი მრწამსის სისწორეში ან, უბრალოდ, ვერ ვბედავდით იმის აღიარებას, რომ ეჭვი შევიტანეთ მასში. ეს კი არ იყო კარგი, რადგან მრწამსის არსი უნდობლობაა, სინამდვილისა – ეჭვი. დროის არსი დინებაა და არა უძრაობა. რწმენისა კი – ცოდნა, რომ ყველაფერი მოძრაობს და უნდა შეიცვალოს. მზარდი ადამიანი – ცოცხალი ადამიანია. მისი „ფილოსოფია" მასთან ერთად უნდა იზრდებოდეს და იცვლებოდეს. თუ ასე არ ხდება, ადამიანი – საყრდენგამოცლილი, მუდამ ზედაპირზე მოფარფატე – მოდის სათამაშოდ იქცევა, ხომ ასეა? ის, ვინც დღევანდელ დღეს შეეზარდა, ხვალ მიუსაფარი დარჩება და მისი შეხედულებები სხვა არაფერი იქნება, თუ არა აკვიატებული იდეები.

აი, რატომ არ შემიძლია განვსაზღვრო და დავახასიათო თქვენი „ფილოსოფია". ეს ხომ იგივე იქნებოდა, აკადემიური ყაიდის „ჩამოყალიბებული" ადამიანების რიცხვს მიგაკუთვნოთ. თქვენ კი, მადლობა უფალს, მათი მოდგმიდან არ ხართ. კიდეც რომ მეცადა, სხვას ვერაფერს დავიმსახურებდი, თუ არა თქვენს განუმეორებელ ირონიულ და ოდნავ დამცინავ ღიმილს, უცაბედად რომ გიჩნდებათ სახეზე. განა შესაძლებელია ზუსტად ამოცნობა თქვენი ახალინგლისური არსისა, ჭეშმარიტი სამხრეთ ამერიკელის ბუნებისა – ასე ფაქიზად ამაყის, ასეთი მორცხვის, ასეთი თავშეკავებულის, საკუთარ თავში ჩაკეტილის, მაგრამ გულის სიღრმეში ასეთი უშიშარის.

ამიტომ არ დავიწყებ იმის განმარტებას, ვინ ხართ თქვენ, ძვირფასო ფოქს. მაგრამ ხომ შემიძლია, ჩემი აზრი გამოვთქვა? ხომ შემიძლია გითხრათ, როგორი მგონიხართ და რას ვფიქრობ თქვენზე?

მაშ ასე, ფოქსი ჩემთვის ეკლესიასტეა. ვფიქრობ, ეს სამართლიანია, და თქვენც დამეთანხმებით ამაში, თუ საერთოდ შესაძლებელია ასე განისაზღვროს რამე. იქნებ უკეთესი იცით, უფრო ზუსტი? მე არ ვიცი. ფიქრის,

განცდის, ოცნების, შრომის, ბრძოლის, ტანჯვისა და წვალების ოცდაჩვიდმეტი წლის განმავლობაში არაფერი შემხვედრია ისეთი, რაც უკეთესად, უფრო ზუსტად დაგახასიათებდათ – თუნდაც ოდნავ უკეთესად. იქნებ სადღაც არსებობს კიდევ რაღაც – დაწერილი, დახატული, ნამღერი ან მოყოლილი, რაც უკეთესად გამოხატავს თქვენს არსს. თუ არსებობს, მე ის არ მინახავს. და რომ მენახა, ისეთი გრძნობა მექნებოდა, თითქოს ახალ სიქსტის კაპელას შევყურებ, უცნობს და კიდევ უფრო დიადს.

ჩვენი ნაცნობობის ცხრა წელიწადმა დამანახა, რომ თქვენ, ცხოვრებისა და აზროვნების წესით, გრძნობებითა და ქცევით, ნამდვილი მქადაგებელი ხართ – როგორც ეკლესიასტე. მე არ ვიცი უკეთესი გზა და უკეთესი წესი. იმ ყველაფრიდან, რაც ცხოვრებაში ვნახე და ვისწავლე, ეს წიგნი ყველაზე ბრძნული, ძლიერი და დახვეწილი გამოხატულებაა ადამიანის მიწიური არსისა, სიტყვიერებისა, პოეზიისა და ჭეშმარიტების უმშვენიერესი ყვავილია. არ მჩვევია ლიტერატურული ნიმუშისთვის შეუვალი დოგმების მორგება, მაგრამ თუ მაინც შევეცდები, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ არაფერი დაწერილა ადამიანის მიერ ეკლესიასტეზე დიადი; არაფერი შექმნილა უფრო დიდი სიბრძნის შემცველი – უფრო ჩამწვდომი, უფრო ნარუვალი. და უნდა გითხრათ, ის ისე სრულად გამოხატავს თქვენს პოზიციას, როგორც არაფერი სხვა. მუდამ ვუბრუნდებოდი ამ წიგნს, არაერთხელ წამიკითხავს, წელი არ გასულა ისე, რომ არ გადამეშალა. არ არის მასში თუნდაც ერთი სიტყვა, ერთი სტრიქონი, რომელსაც მყისიერად არ დაეთანხმებოდით.

მხოლოდ რამდენიმე გამონათქვამს გავიხსენებ ამ დიდი წიგნიდან, რომელთაც უყოყმანოდ დაეთანხმებით. დიახ, თქვენ დაეთანხმებით, რომ კარგი სახელი სჯობს ძვირფას ნელსაცხებელს; ვფიქრობ, იმასაც დაეთანხმებით, რომ სჯობს დღე სიკვდილისა გაჩენის დღეს; იმაშიც დაეთანხმებით დიდ მქადაგებელს, რომ ყველა სიკეთე შრომაში იყრის თავს; რომ უძლურია ყოველი სიტყვა, არ ძალუძს კაცს ყოველივეს თქმა; თვალი ხედვით ვერ გაძღება, ყური კი სმენით ვერ აღივსება. ვიცი, თქვენც ფიქრობთ, რომ, რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება – არაფერია მზის ქვეშეთში ახალი; თქვენც ასე ფიქრობთ: როცა მიაპყრობ გულისყურს, შეიცნობ სიბრძნეს, მეცნიერებას, უმეცრებას და სისულელეს, მიხვდები, ამასაც არ აქვს აზრი. თქვენ თვითონ არაერთხელ გითქვამთ ჩემთვის, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში.

ამაოება ამაოებათა, – თქვა ეკლესიასტემ, – ყველაფერი ამაოა. თქვენ ამასაც ეთანხმებით; იმასაც, რომ ბრიყვს გულზე ხელი დაუკრეფია და თავის ხორცს ჭამს. მთელი გულით დაეთანხმებით, კაცთათვის სხვა სიკეთე რომ არ ყოფილა, თუ არ იხარა თავისი ნაღვაწით, რადგან ესაა მისი წილი ამ მზისქვეშეთში. ვინ დაანახვებს, რა მოხდება შემდგომად მისა.

რას ფიქრობთ, ძვირფასო ფოქს, ეს სამართლიანია? – ასეთი შეგონება და ასეთი სიცოცხლე? დიახ, ასეა, რადგან მისი ყოველი სიტყვა თქვენზეა ნათქვამი. ამაში ათასჯერ დავრწმუნებულვარ. მეც თქვენგან ვისწავლე ეს ყველაფერი. ერთხელ, როცა რაღაც წიგნზე ჩემი თქვენდამი მიძღვნა წაიკითხეთ, მითხარით, რომ ეს თქვენი ეპიტაფია იქნება. შეცდით, თქვენი ეპიტაფია საუკუნეების წინ დაიწერა – ეს ეკლესიასტეა. თქვენი პორტრეტი უკვე არსებობდა. ეს დიდი მქადაგებლის პორტრეტია – ისეთი, როგორსაც ის საკუთარ თავს ხედავდა. თქვენ ის ხართ, მისი სიტყვები ისე თანხვდება თქვენსას, მას რომ არასდროს ეარსება ან არ ეთქვა ის, რაც თქვა, მთელი მისი დიადი და უბადლო ქადაგება შეიძლებოდა თქვენ მიერ ყოფილიყო ნათქვამი.

რომ შემეძლოს თქვენი და მისი ფილოსოფიის დახასიათება, მე მას იმედისმომცემი ფატალიზმის ფილოსოფიას ვუწოდებდი. თქვენ – ორივენი – ბუნებით პესიმისტები ხართ, ისეთი პესიმისტები, რომელთაც იმედი არ დაუკარგავთ. თქვენგან ბევრი რამ ვისწავლე. თქვენ – ორივემ – მომეცით იმედი და ჭეშმარიტება. უპირველეს ყოვლისა, ვისწავლე, რომ ადამიანმა უნდა იშრომოს, თავისი საქმე აკეთოს, რაც შეიძლება კარგად და მონდომებით; რომ მხოლოდ ბრიყვი წუწუნებს და დარდობს იმის გამო, რაც არ მიეცა, იმის გამო, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ არ არის. თქვენ, ორივემ, ჩამიტარეთ მკაცრი გაკვეთილი მორჩილებისა, გამაგებინეთ, რომ თვით ცხოვრების არსია ტრაგიკული, რადგან ადამიანი იბადება იმისთვის, რომ განვლოს თავისი ცხოვრების გზა და მოკვდეს; უდრტვინველად მივიღე ეს უტყუარი ჭეშმარიტება, მივიღე და შევეცადე, ისე მოვქცეულიყავი, როგორც ჩემამდე იქცეოდნენ: გამეკეთებინა ყველაფერი, რაც შემეძლო და არ დამეზოგა თავი.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, იმდენად განუყოფლად ვიზიარებდი თქვენს შეხედულებებს, იმდენად სრულად გეთანხმებოდით, რომ ბოლოს აღარც გეთანხმებოდით. აქ გამოვლინდა ჩვენი სიახლოვისა და პოლარულობის იდუმალი და სასტიკი პარადოქსი. შემეძლო, ასეც მეთქვა თქვენთვის: „მჯერა და მწამს ყველაფრისა, რასაც თქვენ ამბობთ, მაგრამ არ გეთანხმებით". ეს იყო მთელი უბედურების ფესვი, ჩვენი უთანხმოებისა და საბოლოო განშორების საიდუმლო. პატარა ადამიანები – ბოროტი ენები – ალაპარაკდებიან, იჭორავებენ, ალბათ, უკვე ჭორაობენ. ათას სულელურ, ზედაპირულ და ნაჩქარევ ახსნას მოუძებნიან მომხდარს. მაგრამ, ფოქს, მანდვილი მიზეზი ხომ, მართლაც, ეს არის.

ჩემდამი თქვენს ერთ-ერთ – ხშირად არ მწერდით – ბოლოდროინდელ, საოცარ და ამაღელვებელ წერილში მითხარით: „ვიცი, ჩემგან წახვალ. ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს გარდაუვალია; არ ვცდილობ, დაგაკავოთ, რადგან ასეც უნდა მომხდარიყო. უცნაურია მხოლოდ, რომ ასე მიმძიმს: არასდროს შევხვედრივარ ადამიანს, რომლის შეხედულებები ყველაფერზე, რაც მნიშვნელოვანია, ასე ემთხვეოდეს ჩემსას".

ასეა, მართლაც, მძიმე და უცნაურია ეს ყველაფერი, ამოუცნობი და საკვირველია, მაგრამ სრული სიმართლეა, ისეთი სიმართლე, რომლის ლოგიკასაც ვერასდროს ამოხ-

სნიან პატარა ადამიანები. მეჩვენება, რომ ჩვენი საერთო სამყაროს ორბიტაზე თქვენ ჩრდილოეთ პოლუსი ხართ, მე კი – სამხრეთ პოლუსი. და, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს ვანონასწორებთ, ჩვენ შორის, ძვირფასო ფოქს, მთელი სამყაროა. ეს ჩვენი ამოუცნობი პარადოქსია.

ჩვენი შეხედულებები ცხოვრებაზე ძალიან ჰგავს ერთმანეთს, ეს მართალია. გარეთ რომ ვიხედებით, ორივე ვხედავთ ადამიანებს, რომელთაც ერთი და იგივე მზე აცხუნებს, ერთი და იგივე სუსხი ყინავს, ერთი და იგივე დაუძლეველი სტიქია და უამინდობა უმწარებს სიცოცხლეს; ერთი და იმავე თავქარიანობის გამო რჩება გასულელებული, იმავე და ისეთივე სიბრიყვის გამო ღალატობს საკუთარ თავს, მიედმოედება და გზიდან გადადის იმიტომ, რომ სულელია. ყოველი ჩვენგანი საკუთარი ნახევარსფეროდან, საკუთარი პოლუსიდან იყურება ერთ ორბიტაზე მოტრიალე, ნაწამები და შეგინებული სამყაროს გავლით მეორე ნახევარსფეროსკენ, მეორე პოლუსისკენ – და სურათი, რომელიც ერთს წარმოუდგება თვალწინ, ის სურათია, რომელსაც მეორეც ხედავს. ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ ადამიანურ სიჩლუნგეს, სიბრიყვეს, თავქარიანობასა და ღალატს – საკუთარი თავის ღალატს. ჩვენ მის კეთილშობილებას, უშიშარობას, მის მისწრაფებებსაც ვხედავთ. ვხედავთ მტაცებლებს, რომლებიც აოხრებენ და აუბედურებენ ადამიანებს, მათ სიხარბით ამყრალებულ ხახებს, შიშის, უთანასწორობის, ტირანიის, ჩაგვრის, სიღარიბისა და ავადმყოფობის, უსამართლობის, სისასტიკისა და ტყუილის დაგლეჯილ ლეშში მოფუთფუთე მხეცებს. ამას ორივე ვხედავთ, ძვირფასო ფოქს, და ერთნაირად ვაფასებთ.

საიდანღა მოდის ჩვენი უთანხმოება? რატომ დავიწყეთ ერთმანეთთან ბრძოლა, რომელიც საბოლოოდ დაგვაშორებს? ერთსა და იმავეს ვხედავთ და დანახულს ერთსა და იმავეს ვუწოდებთ, ერთი და იმავე სიტყვებით, ერთნაირი ზიზღითა და ბრაზით. და მაინც ვერ ვთანხმდებით. მე ამ წერილით გემშვიდობებით. ძვირფასო მეგობარო, თქვენ ჩემთვის მამა იყავით, ჩემი ახალგაზრდა სულის მცველი. ჩვენ ორივემ ვიცით, რომ ერთმანეთს ვშორდებით. ეს უკვე მოხდა. მაგრამ რატომ?

ამ კითხვაზე პასუხი მაქვს და აი, რას გეტყვით:

ვიცი, რომ მოკვდავი ვარ. ვიცი, რომ ადამიანი იმისთვის იბადება, იცხოვროს, ეწამოს და მოკვდეს – პირქუში სიმართლეა, თქვენი და დიდი მქადაგებლის კრედო. ჩემი ფატალიზმი და მორჩილება კი აქ მთავრდება. ეს არის მიჯნა, რომლის გადალახვაც არ მინდა და არ შემიძლია. მოკლედ ვიტყვი. თქვენი აზრით, სნეულებანი, კაცობრიობას რომ შეჰყრია და ტანჯავს, მოურჩენელია და ზუსტად ისე, როგორც ადამიანის ხვედრია, იცხოვროს, ეწამოს და მოკვდეს, კაცობრიობაც იმისთვის გაჩნდა, რომ თავისი ხელით შექმნილი ურჩხულების – შიშის, სისასტიკის, ძალაუფლებისა და ტირანიის, სიღატაკისა და სიმდიდრის – მარადიული მსხვერპლი იყოს. მორჩილების დაუნდობელი ფატალიზმის წყალობით, რომელიც თქვენი ბუნების ურყევი საფუძველია, თქვენ იღებთ ამ ყველაფერს, როგორც გარდუვალობას, საუკუნოდ მოცემულს, რადგან ასე იყო ოდიდან და მემკვიდრეობად გადაეცემოდა ადამიანის ნაწამებ და დაავადებულ სულს.

ძვირფასო ფოქს, გისმენდით და მესმოდა თქვენი, მაგრამ არ შემეძლო დაგეთანხმებოდით. თქვენ მიგაჩნდათ, რომ თუ გავანადგურებთ ძველ ურჩხულებს, მათ ნაცვლად ახლები გაჩნდებიან, ახლები დაიკავებენ მათ ადგილს. გამოდის, რომ, თუ ძველ ტირანიებს დავამხობთ, მათ ადგილზე ახალი ტირანიები აღმოცენდება, არანაკლებ ბოროტი და პირსისხლიანი. გამოდის, რომ აულაგმავი ბოროტება ჩვენ გარშემო – საზარელი და მანკიერი უთანასწორობა ძალაუფლებასა და მისდამი მორჩილებას, სიღარიბესა და კეთილდღეობას, პრივილეგიებსა და მძიმე ჩაგვრას შორის გარდაუვალია, რადგან მუდამ იყო ადამიანური არსებობის თანმდევი, მისი საუკუნო წყევლა. სწორედ აქ გაწვა ჩვენ შორის უფსკრული. საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამდით და ასაბუთებდით. მე კი გისმენდით და არ გეთანხმებოდით.

თქვენი შინაგანი წყობა და თქვენი ქცევა მოკლედ რომ დავახასიათო, ვიტყვი: ძნელად თუ მოიძებნება თქვენზე კეთილი და გულმოწყალე კაცი, მაგრამ ასევე ძნელად თუ მოიძებნება ვინმე, ვისი მორჩილებაც ისეთი ფატალური იქნებოდა, როგორიც თქვენი. მე ვიხილე სასწაული: ეკლესიასტეს ქადაგება, თქვენ მიერ თქვენს ცხოვრებასა და ქცევაში განხორციელებული. ღელავდით და წრიალებდით, როცა ხედავდით, რომ ნიჭი იკარგება; ვიღაც ფუჭად ხარჯავს ცხოვრებას; ის, რაც გასაკეთებელია, არ კეთდება. ვხედავდი, როგორ ეჭიდებოდით შეუძლებელს, მზად იყავით, მთები გადაგედგათ იმის გადასარჩენად, რაც მიგაჩნდათ, რომ ღირებული იყო და უნდა გადარჩენილიყო. ვხედავდი, როგორ ახდენდით საწაულს შრომითა და მოთმინებით იმისთვის, რომ ამოგეთრიათ ნიჭიერი ადამიანი წარუმატებლობის ჭაობიდან, რომელშიც ყელამდე იყო ჩაფლული. და, როცა ის ისევ უბრუნდებოდა თავის ძველ ცხოვრებას, ისევ ეფლობოდა ჭაობში, იმის ნაცვლად, რომ ფარ-ხმალი დაგეყარათ და მორჩილად გეღიარებინათ თქვენი მარცხი, თვალებიდან ნაპერწკლებს ყრიდით, ფოლადზე უდრეკი ხდებოდით, მაგიდას მუშტს ურტყამდით და შეპყრობილივით სისინებდით: „არ უნდა დანებდეს. ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული. ამას არ დავუშვებ, არ დავანებებ!"

იმისთვის, რომ თქვენი კეთილშობილება მთელი ბრწყინვალებით წარმოვაჩინო, როგორც იმსახურებთ, ვალდებული ვარ, სწორედ ახლა აქ ვთქვა ამაზე. სხვაგვარად შეუძლებელია თქვენი პიროვნების, თქვენი მნიშვნელოვნების სწორად და სრულად გაგება! ბედისადმი თქვენს უსიტყვო და პირქუშ მორჩილებაზე ლაპარაკი, როცა ჯერ არაფერი მითქვამს თქვენს შთაგონებით სავსე შეუპოვარ შრომაზე, ნიშნავს, დაეხატო გამრუდებული და არასრული სახე ჩვენი დროის ამერიკელთაგან ყველაზე უცნაურისა და ჩემთვის ყველაზე მშობლიურის, ყველაზე ეშმაკისა და ყველაზე პირდაპირის, ერთდროულად ყველაზე უბრალოსი და ყველაზე რთულის.

უსამართლობა იქნებოდა, მეთქვა, რომ თქვენ ბედისადმი მორჩილებით და მოთმინებით იღებდით ჩვენი სამყა-

რის ყველა სატკივარსა და უბედურებას, და არ მეთქვა, რა თავდავიწყებით, არაადამიანური ძალისხმევით ცდილობდით, გადაგერჩინათ ყველაფერი, რისი გადარჩენაც შესაძლებელი იყო. არავის შეუსრულებია თქვენზე უკეთესად დიდი მქადაგებლის შეგონება, რომ უნდა იშრომო ძალღონის დაუზოგავად და ყველაფერი გააკეთო, რაც ძალგიძს. არავის შეუსრულებია მქადაგებლის მოწოდება ისეთი თავგანწირვით, როგორც თქვენ – არა მხოლოდ საკუთარი გარეჯით, არამედ მათი გადარჩენითაც, ვისაც თავად არ შეეძლო იმის შესრულება, რაც დიდმა მოძღვარმა იქადაგა, მაგრამ ვისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. თუმცა არავის შეეძლო ასე იოლად და უდრტვინველად შეგუებოდა იმას, რაც გარდაუვალი, რისი გამოსწორებაც შეუძლებელი იყო. ვიცი, საკუთარ სიცოცხლესაც არ დაზოგავდით, რომ გადაგერჩინათ მეგობარი, რომელმაც დაუფიქრებლად და გაუმართლებლად ჩაიგდო თავი საფრთხეში. მაგრამ ისიც ვიცი, რომ მეგობრის სიკვდილი, თუ ეს გარდაუვალი იქნებოდა, დიდად არ დაგამწუხრებდათ. მინახიხართ დალევრემილი და თვალებჩაცვენილი, როცა მოსვენებას არ გაძლევდათ დარდი და წუხილი თქვენი საყვარელი შვილის გამო, რომელსაც ნერვული შოკი თუ რაღაც სხვა, ექიმებისთვის გაუგებარი, დაავადება ჰქონდა. ყველაფერი იღონეთ და დაავადების მიზეზს მაინც მიაკვლიეთ. ბავშვი გამოჯანმრთელდა. მაგრამ ვიცი, მისი სენი რომ უკურნებელი და სასიკვდილო ყოფილიყო, ამასაც უდრტვინველად მიიღებდით, ისეთივე მორჩილებით, როგორი გააფთრებითაც ეძებდით იქამდე გადარჩენის გზას.

ამიტომ არის ერთმანეთისგან ჩვენი ესოდენ დიდი განსხვავებულობის პარადოქსი ისეთივე მძიმე და უცნაური, როგორც — ჩვენი დაპირისპირებულობის პარადოქსი. უბედურებაც ეს არის. ჩვენი დაშორების მიზეზიც ეს არის. თქვენ, საკუთარი ფილოსოფიით მართული, იღებთ არსებულ სამყაროში გამეფებულ წესრიგს, რადგან არ გაქვთ იმედი, რომ შეძლებთ მის შეცვლას. კიდეც რომ შეგეძლოთ, იფიქრებდით, რომ ნებისმიერი სხვა, ახალი წესრიგი არაფრით იქნებოდა ძველზე უკეთესი. თუ ურყევნელ, მარადიულ ჭეშმარიტებებზე ვიკამათებთ, თქვენ და დიდი მქადაგებელი მართლები იქნებით, რადგან არ არსებობს სიბრძნე, ეკლესიასტეს სიბრძნეზე დიდი, და, საბოლოოდ, არ არსებობს მიღება და შეგუება იმაზე ნამდვილი, ვიდრე კლდის პირქუში ფატალიზმია. ადამიანი იბადება იმისთვის, რომ იცხოვროს, ენამოს და მოკვდეს. და როგორი ბედიც უნდა ხვდეს წილად, მისი ხვედრი ტრაგიკულია. საბოლოოდ, ასეც იქნება, ამას ვერავინ გაექცევა. მაგრამ ვალდებულნი ვართ, ჩვენი ცხოვრების ყოველი წამით უარვყოთ ეს, ძვირფასო ფოქს.

კაცობრობა სამარადისოდ არის შექმნილი, ყოველი ცალკეული ადამიანის სიცოცხლე კი ხანმოკლეა. მისი სიკვდილის შემდეგ კაცობრიობას ახალი საწუხარი ექნება, მაგრამ მას დღევანდელი ადარდებს. ვფიქრობ, ჩემთვის და ჩემისთანებისთვის ყოველი რწმენის, ყოველი რელიგიის არსი ის არის, რომ ადამიანის ცხოვრება უკეთესი უნდა გახდეს. მისი უდიდესი მტერი, იმ სახით, რომლითაც ის დღესდღეობით წარმოგვიდგება – შიში, სიძულვილი, მონობა, სისასტიკე, გაჭირვება და სიღატაკე – შეიძლება დამარცხდეს და განადგურდეს. მაგრამ მტრების დამარცხებასა და განადგურებას მაშინ შევძლებთ, თუ სრულიად გარდავქმნით საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ. მათ ვერ დაამარცხებ ბედისადმი მწუხარე და უდრტვინველი მორჩილებით, ვერც იმ ფილოსოფიით, რომელიც ხსნის და ამართლებს ყოველგვარი რეალობის მიღებასა და დათმენას; ვერც იმ ტრაგიკული ჰიპოთეზით, რომლის თანახმადაც, ყველაფერი არსებული – კარგიც და ცუდიც – უცვლელი სახით დარჩება სამარადჟამოდ. ნებისმიერ ბოროტებას, რომელიც გვძაგს – თქვენ ჩემზე არანაკლებ – ვერ გავუმკლავდებით, ვერ დავამხობთ, თუ მხოლოდ მხრებს ავიჩეჩავთ, ამოვიოხრებთ და, თუნდაც მეტად მრავალმნიშვნელოვნად, თავს გავაქნევთ. მგონია, როცა ვემალებით მძვინვარე განსაცდელს, ვამბობთ, რომ ადამიანის ბედი მაინც ტრაგიკულია, ისინი – კაცობრიობის მტრები – თავხედდებიან და კიდევ უფრო მწარედ დაგვცინიან. თუ გჯერა, რომ დამარცხებული ურჩხულის ადგილს ახალი დაიკავებს, ისეთივე ხახადაღებული, როგორიც ძველი, როცა იჯერებ, რომ ადამიანთა უბედურებების ავბედითი მყრალი ქარბორბალა, ერთხელ პანდორას ყუთიდან ამოშვებული, არასდროს აილაგმება, ემარები ბოროტებას, დარჩეს სამარადისოდ, დარჩეს უცვლელი.

შესაძლოა, მარადისობის გადმოსახედიდან თქვენ და დიდი მქადაგებელი მართლები ხართ, მაგრამ, ძვირფასო ფოქს, ჩვენ ცოცხალი ადამიანები ვართ და მართლებიც დღეს უნდა ვიყოთ. ამ აწმყოს გამო, მათ გამო, ვინც დღეს ვცხოვრობთ, დღეს უნდა ვილაპარაკოთ – უნდა ვილაპარაკოთ სიმართლე, მთელი სიმართლე, რასაც ვხედავთ და რაც ვიცით. სიმართლის ძალით შთაბერილი გამბედაობით შეიარაღებულები დავუპირისპირდებით ჩვენ წინააღმდეგ დაძრულ მტრებს და აუცილებლად დავამარცხებთ მათ. და, თუ გავიმარჯვებთ, დავინახავთ, რომ ახალი მტერი გვიახლოვდება. ჩვენ მას იმ საზღვარზე დავუხვდებით, სადაც ძველი დავამარცხეთ და იქიდან ისევ წინ წავიწევთ. სწორედ ეს არის, ეს უწყვეტი ბრძოლაა ადამიანის რელიგია, მისი ცოცხალი რწმენა.

## ორმოცდამერვე თავი
## მრწამსი

არასდროს განმიცხადებია ჩემი რწმენის შესახებ – წერდა ჯორჯი წერილის დასასრულს ფოქსს, – თუმცა კი ბევრი რამის მწამდა და ვმალავდი ამას. არასდროს გამომითქვამს სიტყვებით, არასდროს ჩამომიყალიბებია ჩემი მრწამსი, მთელი არსებით ვეწინააღმდეგებოდი მყარ ჩარჩოებს, დასრულებულ ფორმულირებებს.

ისევე, როგორც თქვენ ხართ ცხოვრების კლდე, მე აბლაბუდა ვარ. ისევე, როგორც თქვენ ხართ დროის გრანიტი, მე მცენარე ვარ. ჩემი ცხოვრება ისე ჰგავს მცენარეს, როგორც არც ერთი სხვა ადამიანისა. არავის ვიცნობ ისეთს, ასე ღრმად რომ ჰქონდეს გადგმული ფესვები დროისა და

ხაოვნის ნიადაგში, საკუთარი სამყაროს კლიმატში. თქვენ
ჩემთან იყავით მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა მძიმე
ბრძოლაში ვიყავი ჩაბმული. მთელი ოთხი წელი, სანამ
ბრუკლინში ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, მის ჯუნგლებს
ვიკვლევდი, ჩემი სულის ჯუნგლებივით ბნელს, თქვენ
გვერდიდან არ მშორდებოდით, ფეხდაფეხ მომყვებოდით
და ჩემი ერთგული იყავით.

არასდროს გეპარებოდათ ეჭვი, რომ ბოლომდე მივიყვან
დაწყებულ საქმეს, შევკრავ წრეს და შევქმნი რაღაც
მთლიანს. ეჭვები მხოლოდ მე მაწვალებდა, სულ უფრო
ძლიერი და მტანჯველი, დაღლილობით, სასოწარკვეთით
და იმ პატარა კაცუნების მიერ გავრცელებული ბოროტი
ჭორებით გამოწვეული, რომლებმაც არაფერი იცოდნენ
ჩემ შესახებ, მაგრამ მაინც დაბეჯითებით ამტკიცებდნენ,
რომ ვერასდროს ვერაფერს მივიყვან ბოლომდე, რადგან
იმის ძალაც არ მაქვს, სერიოზულად დავიწყო მუშაობა.
ჩვენ ორივემ ვიცით, რომ ეს სულელური ტყუილია, ისეთი
სიბრიყვე და მონაჩმახი, რომ ზოგჯერ ბრაზიან და ავად-
მყოფურ ხარხარს ვერ ვიკავებ. ეს ყველაფერი ძალიან
შორს იყო სიმართლისგან. მე სულ სხვა რამ – საპირისპ-
ირო – მაშინებდა: მეშინოდა, რომ ვერასდროს შევძლებ,
გადმოვცე ყველაფერი, რაც ენახე და განვიცადე, რაც გა-
ვიაზრე და აუცილებლად უნდა გამომეთქვა.

უზარმაზარ აბლაბუდაში გავიბლანდე, რომელიც იმ
ყველაფრისგან იყო ნაქსოვი, რაც მემკვიდრეობით მერგო
– მოგონებათა ურიცხვი ძაფებისგან. ეს უცნაური მეხსი-
ერება, რომელიც დედაჩემის მხრიდან შთამომავლობით
მივიღე, ათასი ნერვით მაერთებდა წარსულთან – არა მხო-
ლოდ ჩემს საკუთარ, იმ მიწის, იმ ადგილის წარსულთანაც,
სადაც დავიბადე და საიდანაც მოვდივარ. ამიტომ არაფერი
გამორჩენია ჩემს ყოვლისმომცველ მოთხოვნილებას, მე-
გრძნო და განმეცადა ყველაფერი – როგორ ამოვიდა და
ჩავიდა მზე ამა და ამ დღეს, როგორ მიღიტინებდა ბალახი
შიშველი ფეხის თითებზე, რა უეცრად დგებოდა შუადღე,
რკინის ჭიშკრის ჯახუნი და ქუჩის მოსახვევში გაჩერებუ-
ლი ტრამვაის ღრჭიალი, ტყავის ლანჩების რბილი ტყაპუნი
ტროტუარზე, როცა მამაკაცები შინ სადილად ბრუნდე-
ბოდნენ, ბოლოკის ფოთლების სუნი, მენაყინის ყიჟინის
მაშების წკარუნი, ქათმის კაკანი. ამ ხმების მიღმა დრო
თანდათან ქრება, როგორც სიზმარი, იმ დავიწყებულ დროს
ერთვის, როცა ორი წლის ვიყავი. ჩემი ტვინი უწყვეტად
ფეთქავს და დღის სინათლეზე ამოაქვს ეს ყველაფერი და
კიდევ ბევრი სხვა რამ: ყველა ჩაკარგული ბგერა და ხმა,
ყველა დავიწყებული მოგონება – ისინი ცოცხლდებიან
ჩემს სიზმრებში. მათი მძიმე ტვირთი მუდამ დამაქვს ჩემი
სიზმრების უსასრულო გზებზე. არაფერი დამიკარგავს,
არაფერი დამვიწყებია. ყველაფერი ბრუნდება და მიედი-
ნება, ერთვის დაუსრულებელ დინებას: ბუხრის შეერილზე
მიმხმარი სალებავის ბუშტუკები მამაჩემის სახლში, ძველი,
ჩაზნექილი ტყავის დივანის სუნი, მტვრიანი ბოთლებისა
და აბლაბუდას სუნი სარდაფში, ზოგჯერ ფლოქვის ზანტი
ცემა ფასიანი საჯინიბოს მორყეულ ძელნაგებზე, ამაყად
აქნეული კუდი და ქერის მარცვლებში ამოსვრილი ჩონ-
ჩორიკის შავი გუნდები. კვლავ განვიცდიდი ოდესღაც
გადატანილს, ჩავლილ დროსა და განწყობას – ზამთრის
მჭმუნვარების სულ ბოლო დღეებს მარტში, დაღლილ-
ლი, მეწამული ცის გამყინავ, მტანჯველ სასოწარკვეთას,
აპრილში ამოწვერილი ბალახისა და ახლად ამწვანებული
ხეების საოცრებას, ბრმა შიშს შუა ზაფხულის ხვატისა და
გავარვარებული ასფალტისა, დამწვარი ფოთლებისა და
კოცონის კვამლის სუნს ოქტომბერში. დავიწყებული ბამ-
ბი და საათები მიბრუნდებიან მეხსიერების მძიმე ტვირ-
თად, დიდი ხნის წინ მთებში მიმწყდარი ხმებით, ხმებით
ჩემი სისხლით ნათესავებისა, რომლებიც უკვე ცოცხლები
აღარ არიან და რომლებიც არასდროს მინახავს; სახლებით,
რომლებიც მათ ააშენეს და რომლებშიც გარდაიცვალნენ,
მათ მიერ გაკვალული ოღროჩოღრო გზებით. ბრუნდება
ყოველი არსად აღბეჭდილი გაელვება მათი შორეული,
დიდი ხნის წინ ჩავლილი, ყველასთვის უცნობი ცხოვრე-
ბისა, რომელზეც მიამბობდა დეიდა მეი. ასე ცოცხლდება
ყველაფერი უწყვეტად მფეთქავ ტვინში, ისევ ამოიზრდება
საოცარი მცენარე, ფესვები, ყლორტები, ფოთლები – და
აი, შრიალებს ჯადოსნური ხე, იმ მიწის ნაწილი, რომლი-
დანაც აღმოცენდა და რომლის ცოცხალი, დასრულებული
განსხეულებაც თავად არის.

თქვენ ჩემ გვერდით იდექით, როგორც კლდე, სანამ
მთელი მცენარე არ ამოვიღე მიწიდან, არ მივყევი მისი
რთული ქსოვილის ყოველ ძარღვს, მისი ფესვების ყოველ
ძაფს, რომელიც ყრუ, დახშულ მიწაში იკარგებოდა. და აი,
ყველაფერი დამთავრდა, წრე შეიკრა – ჩვენი ამბავიც დას-
რულდა. აი, კიდევ რას გეტყვით.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ აქ, ამერიკაში, დაკარ-
გულები ვართ. მაგრამ ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ
გვიპოვნიან. და ეს რწმენა, რომელიც ახლა ცოდნისა და
რწმენის კათარზისამდე ამაღლდა, ჩემთვის – და, ვფიქრობ,
ყოველი ჩვენგანისთვის – მთელი ამერიკის მარადიულად
მფეთქავი ოცნებაა. ვფიქრობ, ის ცხოვრება, რომელიც
ჩვენ შევქმენით ამერიკაში და რომელმაც თავად შეგვქმნა
– ახალი ფორმები, ათასობით, ასი ათასობით, მილიონო-
ბით უჯრედი, ჩვენ მიერ აშენებული სკა – თავისი ბუნებით
თვითდამანგრეველია და თავად უნდა დაინგრეს. ვფიქრობ,
ეს ფორმები ქრობადია და უნდა გაქრეს, ამერიკა და მისი
ხალხი კი უკვდავია, ჯერ არ არის აღმოჩენილი და უნდა
იცოცხლოს. ვფიქრობ, ამერიკის ნამდვილი აღმოჩენა ჯერ
არ მომხდარა, ამერიკა აღმოსაჩენია. ვფიქრობ, ამერიკის
სული, ჩვენი ხალხი, ჩვენი ძლიერი, უკვდავი ქვეყანა ჯერ
კიდევ გამოავლენს თავის ძალასა და უხრწნელ სიმართლეს.
ვფიქრობ, ჩვენი დემოკრატიის ჭეშმარიტი აღმოჩენა ჯერ
კიდევ წინ გვაქვს. ეს კი ისევე მოსალოდნელია, როგორც
მზის ამოსვლა და ისევე გარდაუვალია, როგორც შუადღის
დადგომა. ვამბობ, რომ ჩვენი ამერიკა უკვე დღეს და აქ,
ამ დროსა და ამ სივრცეში, გვხიბლავს; რომ ჩვენი რწმე-
ნა მისი აღმოჩენის გარდუვალობისა არა მხოლოდ ჩვენი
მფეთქავი იმედი, ჩვენი ოცნებაც არის, რომელიც უნდა
განვახორციელოთ. დარწმუნებული ვარ, მხოლოდ მე არ
ვფიქრობ ასე. ყველა ამერიკელი ასე ფიქრობს.

ი15/3

ვგონებ, მტერთან შეხვედრაც წინ გვაქვს. მაგრამ ჩვენ ვიცით მტრის სახე და ცვალებადი ბუნება, მისი ფორმები და ვფიქრობ, თავად შეგრძნება იმისა, რომ ვიცნობთ მტერს, შევხვედრივართ მას და ბოლოს მაინც უნდა დავამარცხოთ, – ჩვენი ცოცხალი იმედია. ვფიქრობ, მტერი აქ არის, ჩვენ წინ დგას, ათასი სახე აქვს, მაგრამ ყველა სახეზე ერთი და იგივე ნიღაბი აქვს აფარებული. მტერი ერთი გვყავს – თავკერძობა და მისი მუდმივი თანამგზავრი – სიხარბე. მტერი ბრმაა, მაგრამ მის ბრმა მტაცებლურ ინსტინქტში მძვინვარე ძალაა. არც იმას ვფიქრობ, რომ ჩვენი მტერი გუშინ გაჩნდა და ორმოცი წლის წინ მოიკრიბა ძალა ან 1929 წელს დაუძლურდა და დამარცხდა, ან რომ, როცა ჩვენ ვიწყებდით, ის ჯერ კიდევ არ არსებობდა, რომ ვერ დავინახეთ, გზა აგვებნა და მტრის ბანაკში აღმოვჩნდით. არა, ასე არ არის. ვფიქრობ, რომ ჩვენი მტერი ისეთივე ძველია, როგორიც თავად სამყარო, ისეთივე ავსული, როგორიც თვით ჯოჯოხეთი და დასაბამიდან ჩვენთან იყო. ვფიქრობ, სწორედ მან მიიტაცა ჩვენი მიწა, გაანადგურა ჩვენი დოვლათი, გაძარცვა და დააქცია ჩვენი ქვეყანა. ვფიქრობ, მან აქცია მონად ჩვენი ხალხი, შებილწა ჩვენი ცხოვრების წმინდა წყარო, დაეპატრონა ჩვენს უძვირფასეს საგანძურს, მიითვისა ჩვენი პური და მოგვიგდო ქერქი. და, რადგან მისი ბუნება გაუმაძღარია, ესეც არ ეყო და ბოლოს შეეცადა, ჩვენთვის ქერქიც წაერთმია.

ვფიქრობ, მტერი უწყინარი სახით გვიახლოვდება და ამბობს: „მე თქვენი მეგობარი ვარ".

ვფიქრობ, მტერი გვატყუებს ყალბი სიტყვებით და მატყუარა ფრაზებით.

„შემხედეთ, – ამბობს ის, – მე ერთ-ერთი თქვენგანი ვარ, ერთ-ერთი თქვენი შვილებიდან, თქვენი ძმა და მეგობარი. ნახეთ, რა მაძღარი ვარ, როგორ მიბზინავს კანი. ნახეთ, რა მდიდარი და ძლევამოსილი ვარ, ასეთი კი იმიტომ ვარ, რომ ერთ-ერთი თქვენგანი ვარ. ისე ვცხოვრობ, როგორც ყველა; იმავეს ვფიქრობ, რასაც ყველა; იმისკენ ვისწრაფვი, რისკენაც ყველა. ისეთი ვარ, როგორიც ვარ, რადგან ერთ-ერთი თქვენგანი ვარ, თქვენი თავმდაბალი ძმა და მეგობარი. ნახეთ, როგორი ვარ, როგორად ვიქეცი, რას მივაღწიე, და გაიაზრეთ! – დაგვძახის მტერი. – ნუთუ დაანგრევთ ამ ყველაფერს. გარწმუნებთ, რომ ეს ყველაზე ღირებულია, რაც გვაქვს. ეს ხომ თქვენ ხართ, თქვენ თვითონ, თითოეული თქვენგანის ანარეკლი; ეს თქვენი პიროვნების აღზევებაა; ეს თქვენს სისხლშია, თქვენი მოდგმის ბუნებაა, ეს ამერიკის ტრადიციაა. ეს ყოველი თქვენგანის იმედია, სასურველი მომავალი, რადგან – მორიდებით გვეუბნება მტერი – მე მხოლოდ ერთ-ერთი თქვენგანი ვარ, განა ასე არ არის? განა თქვენი ძმა არ ვარ, თქვენი შვილი? განა ცოცხალი განსხეულება არ ვარ იმისა, რაც ყოველ თქვენგანს უნდა, გახდეს, იმედოვნებს, რომ გახდება. ნუთუ თავად გაანადგურებთ ამ დიდებულ განსახიერებას ჩვენი გმირული სულისა? თუ ასეა, თქვენ საკუთარ თავს ანადგურებთ, – ამბობს მტერი, – კლავთ იმას, რაც არის თქვენში დიდებული, საუკეთესო, ყველაზე ამერიკული, ესე იგი, კლავთ საკუთარ თავს".

ის ცრუობს! ახლა უკვე ვიცით, რომ ცრუობს. არაფერია დიდებული, არაფერია თქვენეული მისი გამოჩენა ჩვენს ცხოვრებაში. ის არც თქვენი მეგობარია, არც შვილი, არც ძმა. ის არ არის ამერიკელი. თუმცა მას ჩვენთვის ნაცნობი და დახვეწილი ათასი სახე აქვს, მაგრამ მისი ნამდვილი სახე ისეთივე ბებერია, როგორიც ჯოჯოხეთი.

მიმოიხედეთ გარშემო და დაინახეთ, რა ჩაიდინა მან.

ძვირფასო ფოქს, ჩემო ძველო მეგობარო, გზა, რომელზეც ერთად სიარული გვხვდა წილად, დასრულდა. ჩვენ ის ბოლომდე გავიარეთ. ჩემი ამბავიც დასრულდა – ესე იგი, მშვიდობით.

მაგრამ, სანამ წავალ, კიდევ უნდა გითხრათ რაღაც.

ღამით, როცა მიმავალი წლის ცვილის სანთლები იწვოდა და ილევნთებოდა, რაღაცამ მითხრა, წამჩურჩულა, რომ მოვკვდები, მაგრამ არ მეცოდინება, სად. და კიდევ, აი, რა მითხრა: „დაკარგავ მიწას, რომელსაც იცნობ – უზენაესი ცოდნისთვის; დაკარგავ ცხოვრებას, რომელიც მოგეცა – უზენაესი ცხოვრებისთვის; დატოვებ მეგობრებს, რომლებიც გიყვარს – უზენაესი სიყვარულისთვის; მოგეცემა ადგილი, მშობლიურ სახლზე უტკბესი – დედამიწაზე უკიდეგანო...

ის ადგილი – მიწის ყველა საყრდენს ამაგრებს, იქით მიდის სამყაროს სინდისი... იქით მიექანება ქარი და იქით მიედინებიან მდინარეები..."

*ინგლისურიდან თარგმნა მაია გოგოლაძემ*

## თემურ ჩხეტიანის საჭადრაკო ამოცანების ამოხსნები

1. კb6!.. (2. ეd4#)

1.... e5. 2. ეd6! h2. 3. კa5 h1=ლ. 4. d3+ მფc5. 5. კb4#;

3.... მფc5. 4. კb4+ მფc4. 5. d3#;

3....e4. 4. კb6 h1=ლ. 5. ეd4#.

1. ეh2! ეh1. 2. ე:d2 კ:d2. 3. მ:c4+ მფd5.

4. მ:b6+ მფe5. 5. მd7+ მფd5. 6. c4#.

# გამომცემლობა „საუნჯის“ ახალი წიგნები










შალვა ბაკურაძე

თემურ ჩხეტიანი

გიორგი ხუროშვილი








სალომე სულაბერიძე

კონსტანტინე ზ. გამსახურდია









ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0134-9848
9 770134 984002